

სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი

კაზუსეზის კრებული

თბილისი, 2017

წინამდებარე გამოცემა შექმნილია GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) ფინანსური მხარდაჭერით. 1993 წლიდან GIZ-ი საქართველოში ხელს უწყობს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების გატარებას. სხვა ღონისძიებებთან ერთად GIZ-ი ზრუნავს იურიდიული ლიტერატურის შექმნასა და სამართლის პოპულარიზაციაზე. GIZ-ი არ იღებს პასუხისმგებლობას ნაშრომის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.



ავტორები:

დავით მაისურაძე – LL.M., GIZ-ის სამართლის პროგრამა

თორნიკე დარჯანია – LL.M., GIZ-ის სამართლის პროგრამის სამართლებრივი მრჩეველი, ადვოკატი

შალვა პაპუაშვილი – Dr. iur., LL.M., GIZ-ის სამართლის პროგრამის ჯგუფის ხელმძღვანელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სამეცნიერო რედაქტორი

სერგი ჯორბენაძე – თსუ-ის მონვეული ლექტორი, დოქტორი, ადვოკატი

მეთოდური რედაქტორი

ეთერ ჩაჩანიძე – GIZ-ის სამართლის პროგრამის უფროსი სამართლებრივი მრჩეველი

ენობრივი რედაქტორი **თამარ გაბელაია**

ტექნიკური რედაქტორი **გვანცა მახათაძე**

ISBN 978-9941-0-9836-9

QR Code



© შესაბამისი კაზუსების ავტორები, 2017

© გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2017

გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე:

lawlibrary.info/ge

სარჩევი

შემოკლებათა განმარტება	6
შესავალი	7
I. რატომ გვჭირდება კაზუსების დამუშავების მეთოდის ცოდნა?	7
II. საილუსტრაციო მაგალითები:	8
III. კაზუსის დამუშავების მეთოდის	8
1. შესავალი	8
2. მოთხოვნის საფუძველი	11
3. დასკვნის სტილი	16
4. მოთხოვნის შემონმების სამსაფეხურიანი სქემა	24
IV. საილუსტრაციო კაზუსის ამოხსნა:	26
V. საილუსტრაციო კაზუსის გაგრძელების ამოხსნა:	29
კაზუსი 1. „Samsung“-ის ტელევიზორი	33
(ხელშეკრულების დადება; ნების გამოვლენა; გარიგება; მოთხოვნის წარმოშობა, შეწყვეტა და განხორციელებადობა)	
კაზუსი 2. გუდიაშვილის ნახატი	42
(ხელშეკრულების დადება; თანხმობა შეცვლილი პირობებით; დუმილი, როგორც ნების გამოვლენა)	
კაზუსი 3. მეტიჩარა ნათია	46
(ნების გამოვლენის ნამდვილობის წინაპირობები, სკ-ის 51-ე მუხლის მიხედვით; ნების გაცხადება; ნების გაცხადება მესამე პირის მიერ)	
კაზუსი 4. საჩუქარი კოლეგას	54
(ნების გამოვლენა კონკლუდენტურად; აქცეპტის მისვლა მეორე მხარესთან; აქცეპტის მისვლის ზედმეტობა; ჩუქების გაუქმება)	
კაზუსი 5. სტუდენტური ცხოვრება	61
(ნების გამოვლენის მისვლა; ნების გამოვლენის შინაარსის გაცნობა მის მისვლამდე; მისვლის დამაბრკოლებელი გარემოებები; ნების მისვლის ფიქცია და მისვლის დროულობის ფიქცია)	
კაზუსი 6. კეთილი მეზობელი	79
(ნების გამოვლენის გამომშობა; გამომშობის შესახებ დაგვიანებული შეტყობინება; მაუწყებელი და მიმღები მაცნე)	
კაზუსი 7. ნანატრი ველოსიპედი	91
(გარიგების დადება არასრულწლოვნის მიერ; „ჯიბის ფული“)	
კაზუსი 8. ხუმარა თორნიკე	96
(ნების გამოვლენის არასერიოზულობა; ზიანის ანაზღაურება)	

კაზუსი 9. ძუნწი ორჯერ იხდის	102
(მოჩვენებითი გარიგება; თვალთმაქცური გარიგება; უძრავი ქონების ნასყიდობა; აუცილებელი ფორმა)	
კაზუსი 10. უხამსი შეთავაზება	116
(ამორალური გარიგება)	
კაზუსი 11. გადასახადების დამალვა	122
(ბათილი გარიგება; კანონისმიერი აკრძალვა; ნასყიდობა)	
კაზუსი 12. „ნამდვილი ღომი“	129
(შეცილება ნების გამოვლენის შინაარსში დაშვებული შეცდომის გამო, სკ-ის 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით)	
კაზუსი 13. გულმავიწყი მონადირე	144
(ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომა; ნაწილობრივი შეცილება; ნაწილობრივი ბათილობა; ზიანის ანაზღაურება სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით)	
კაზუსი 14. ბიზნესმენი კობა	157
(შეცილება ნების გამოვლენის შინაარსში დაშვებული შეცდომის გამო)	
კაზუსი 15. ფიროსმანის გაუჩინარებული ნახატი	163
(შეცდომა თვისებრიობაში, სკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით; ნივთის ღირებულების განმსაზღვრელი თვისებრიობა; ვინდიკაცია)	
კაზუსი 16. „ფორდ-მუსტანგი GT“	177
(შეცდომა თვისებრიობაში, სკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით და შეცილების შესახებ ნორმების კონკურენტია ნაკლის პასუხისმგებლობის ნორმებთან)	
კაზუსი 17. ოდომეტრის არასწორი მაჩვენებელი	185
(მოტყუებით დადებული გარიგების შეცილება, სკ-ის 81-ე მუხლის მიხედვით; შესრულების კონდიქცია, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)	
კაზუსი 18. მოტყუებული თავდები	193
(მესამე პირის მიერ მოტყუებით დადებული გარიგების შეცილება, სკ-ის 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით; მესამე პირის ცნება)	
კაზუსი 19. ხელმოცარული აჩიკო	200
(შეცდომა გარიგების სამართლებრივ შედეგში, შეცილების უფლება, სკ-ის 75-ე მუხლის მიხედვით)	
კაზუსი 20. ავარია	210
(შეცილება იძულებით დადებული გარიგების გამო, სკ-ის 85-ე მუხლის მიხედვით)	

კაზუსი 21. იუბილარი ირაკლი	217
(წარმომადგენლობის საფუძვლები; შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე წარმომადგენელი)	
კაზუსი 22. საქონილო ტორტი	230
(წარმომადგენლობაზე მითითების პრინციპი; გამონაკლისი წარმომადგენლობაზე მითითების პრინციპიდან)	
კაზუსი 23. იშვიათი გამოცემები	235
(აქცეპტის ვადა; ელექტრონული ნების გამოვლენის მისვლა; შუამავლის შეცდომა სკ-ის მე-80 მუხლის მიხედვით; ნების გადამტანის მიერ განზრახ არასწორი შეტყობინება)	
კაზუსი 24. დანიწარებული ლადო	254
(მოჩვენებითი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, სკ-ის 108-ე მუხლის მიხედვით)	
კაზუსი 25. განსაკუთრებული ფასდაკლება	260
(შიდა და გარე ურთიერთობის გამიჯვნა წარმომადგენლობისას; წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება)	
კაზუსი 26. არაკვალიფიციური ასისტენტი	271
(გარიგების დასაღებად უკვე გამოყენებული რწმუნებულების შეცილება)	
კაზუსი 27. პინკ ფლოიდის ალბომები	280
(წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგების შეცილება მარწმუნებლის მიერ; ნების გამოვლენის ნაკლი წარმომადგენლობისას, სკ-ის 106-ე მუხლი)	
კაზუსი 28. „ნადი“ ქართული ქათამი	286
(წარმომადგენელი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე; წარმომადგენლის მიერ შეცილების უფლება; შეცილება მესამე პირის მხრიდან მოტყუების გამო; შეცილება წარმომადგენლის შეცდომის გამო)	
კაზუსი 29. სიურპრიზი ლადოსთვის	295
(საკუთარ თავთან დადებული გარიგების დაუშვებლობა, სკ-ის 114-ე მუხლის მიხედვით; გამონაკლისი საკუთარ თავთან დადებული გარიგების დაუშვებლობის პრინციპიდან)	
კაზუსი 30. ცხოველების მცველი დალი	306
(თვითდახმარება; აუცილებელი მოგერიება)	
კაზუსი 31. ეჭვიანი სალომე	312
(აუცილებელი მოგერიება; დელიქტი; ზიანის ანაზღაურება)	
გამოყენებული ლიტერატურა	320

შემოკლებათა განმარტება

ა.შ.	ასე შემდეგ
გვ.	გვერდი
ე.წ.	ეგრეთ ნოდებული
იხ.	იხილეთ
მაგ.	მაგალითად
მუხ.	მუხლი
რედ.	რედაქტორი
სკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
შდრ.	შეადარეთ

Art.	Artikel, article
AT	Allgemeiner Teil
Aufl.	Auflage
Begr.	Begründer
BGB	Bürgerliches Gesetzbuch
f.	folgende
ff.	fortfolgende
MüKo	Münchener Kommentar
S.	Seite
Rn.	Randnummer
ZGB	Georgisches Zivilgesetzbuch

შენსავალი

ძვირფასო სტუდენტებო,

სანამ უშუალოდ კაზუსების ამოხსნაზე გადავიდოდეთ, გვინდა, კაზუსების დამუშავების მეთოდოლოგიასა და სამოქალაქო სამართლის სწავლების შესახებ მოგცეთ სასარგებლო მითითებები.

I. რატომ გვჭირდება კაზუსების დამუშავების მეთოდის ცოდნა?

სახელმძღვანელოები, რომლებითაც თქვენ ლექციების შემდგომ სამოქალაქო სამართლის საკითხებს სწავლობთ, ძირითადად, გაძლევთ აბსტრაქტულ და თეორიულ ცოდნას ამა თუ იმ სამართლებრივი ინსტიტუტის შესახებ. ისინი გიხსნიან, მაგალითად, ნების გამოვლენისას დაშვებული შეცდომის შემთხვევაში, შეცდომების მიზანსა და სტრუქტურას. სახელმძღვანელოებში მოცემულია სხვადასხვა ცნების განმარტება, მაგალითად: რა არის „ნების გამოვლენის დროს დაშვებული შეცდომა“ ან „თვისებრიობა“. გარდა ამისა, იქვე მოცემულია კლასიკური მაგალითები, რომლებიც თქვენ წარმოდგენას გიქმნიან სამართლებრივი ინსტიტუტის შესახებ.

თუმცა მხოლოდ სახელმძღვანელოებით სწავლა არ არის სასურველი შედეგის მომტანი. ხშირ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც წაიკითხავთ თეორიულ სახელმძღვანელოს, გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი იცით და ყველა სამართლებრივი ინსტიტუტი გათავისებული გაქვთ. ეს მართლაც ასეა, მაგრამ პრაქტიკაში შემთხვევის ანუ კაზუსის გადაწყვეტისას ხშირად აწყდებით სირთულეებს. იდეალური იქნებოდა, თეორიული სახელმძღვანელოს წაკითხვისას სტუდენტს თავის გონებაში წარმოედგინა ამა თუ იმ სამართლებრივი ინსტიტუტის ცხოვრებაში მოქმედების პრაქტიკული მაგალითები და ამგვარად გაეაზრებინა ისინი. თუმცა, ცხადია, რომ პრობლემური შემთხვევების ასეთი სახით წარმოდგენა და შემდგომ მათი გაანალიზება სრულყოფილად თითქმის შეუძლებელია. სწორედ ამიტომ სჭირდება ყველა სტუდენტს ცალკეულ კაზუსთან მუშაობის შესწავლა. კაზუსებით მეცადინეობა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს, თავისი თეორიული ცოდნა გამოსცადოს პრაქტიკული მაგალითებით და ამ გზით დამატებით გაიღრმავოს ცოდნა. გარდა ამისა, სტუდენტი ეჩვევა იურიდიულ მსჯელობას და თავისი ნააზრევის ლოგიკურ სისტემაში მოქცევას. იურიდიული დასკვნის გაკეთების შესწავლა არის იურიდიული განათლების ანბანი, რომელიც ყველა დამწყებ იურისტს უნდა ჰქონდეს

გათავისებული. ამიტომ ყველა იურისტი თავიდანვე უნდა მიეჩვიოს სისტემურ და დახვეწილ მუშაობას კაზუსებთან და იურიდიულ ტექსტებთან. რაც უფრო ადრე დაეუფლება სტუდენტი მუშაობის სწორ მეთოდებს, მით უფრო მალე შეძლებს რთული კაზუსების ამოხსნას და ნაკლები დრო დაეკარგება, როგორც ეს არასისტემური მუშაობის შემთხვევაში ხდება ხოლმე. მაშასადამე, რეკომენდებულია კაზუსების წიგნის სხვა თეორიულ სახელმძღვანელოებთან ერთად, პარალელურად, გამოყენება.

იმისათვის, რომ უკეთ შევიცნოთ კაზუსების ამოხსნის მეთოდიკა და იურიდიული დასკვნის გაკეთების სტილი, გთავაზობთ საილუსტრაციო მაგალითებს.

II. საილუსტრაციო მაგალითები:

კაზუსი „სოსო და მისი მეგობრები“

სტუდენტი სოსო მეგობრებთან ერთად მიდის თეატრში. იგი თავის ქურთუკს ჩამოკიდებს საკიდზე. თეატრალური წარმოდგენის დასრულების შემდეგ სოსოს მეგობარი კოტე შემთხვევით იღებს სოსოს ქურთუკს, რომელიც ძალიან ჰგავს მისას, და იცვამს.

შეუძლია სოსოს, კოტესგან მოითხოვოს ქურთუკის გადმოცემა?

გაგრძელება (მეორე ეპიზოდი):

სტუდენტები ამჯერად ერთ-ერთი მეგობრის დაბადების დღის აღსანიშნავად ერთმანეთს სოსოსთან აგარაკზე შეხვდებიან. ქეიფის დასრულების შემდეგ ისინი იწყებენ ეზოს დალაგებას. დალაგება რომ მალე დაამთავრონ, სოსო ცარიელ ლუდის ბოთლებს გადაყრის მეზობელი ნოდარის მიწის ნაკვეთზე.

შეუძლია ნოდარს, სოსოსგან მოითხოვოს მისი მიწის ნაკვეთზე გადაყრული ბოთლების გატანა?

III. კაზუსის დამუშავების მეთოდიკა

1. შესავალი

საქართველოში იურიდიულ სასწავლო პროგრამებში, ბოლო წლებია, ფეხს იკიდებს კაზუსების ამოხსნის მეთოდიკა. ეს მეთოდიკა ემსახურება

სტუდენტების მიერ ფიქტიური ცხოვრებისეული შემთხვევების სამართლებრივი განხილვის სწავლებას. სტუდენტები სწავლის პერიოდში კონკრეტული კაზუსების (შემთხვევების) ამოხსნით ცდილობენ, უკეთ დაინახონ და გაითავისონ პრობლემური სამართლებრივი საკითხები. კაზუსების ამოხსნას კი თავისთავად საკუთარი წესები აქვს. წინამდებარე წიგნშიც კაზუსები შესაბამისი მეთოდის გამოყენებით არის დამუშავებული და ამოხსნილი.

მაშინ, როდესაც კოლოკვიუმზე, გამოცდაზე ან, თუნდაც, უბრალოდ, გასავარჯიშებლად დავინწყებთ კაზუსის ამოხსნას, ყოველთვის მნიშვნელოვანია, რომ კაზუსის ფაბულა ანუ მისი მოცემულობა თავიდან ბოლომდე დაკვირვებით წავიკითხოთ. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ საკითხს, რომ კაზუსში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები მყარად/ფიქსირებულად არის მოცემული და დაუშვებელია მათი „ჩვენური ინტერპრეტაცია“. დაუშვებელია ასევე რაიმე სხვა ფაქტობრივი გარემოების დამატება, რომელიც ტექსტიდან არ იკვეთება. თუმცა შესაძლებელია, კაზუსში წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეთ, ანუ სხვადასხვანაირად იქნეს ერთი და იგივე გარემოება გაგებული. ამ შემთხვევაში კაზუსის ფაბულა უნდა განვმარტოთ „რეალურ ცხოვრებასთან ახლოს“, რაც იმას გულისხმობს, რომ ესა თუ ის გარემოება უნდა შეფასდეს ისეთი სახით, როგორცაა ის რეალურ ცხოვრებაში, ჩვეულებრივ სიტუაციაში არსებობს.

სასარგებლო რჩევა: კაზუსის დამუშავებამდე რამდენჯერმე დაკვირვებით წაიკითხეთ კაზუსის ფაბულა. კითხვისას სასურველია, გააკეთოთ ჩანაწერები და სქემები, სადაც ყველა იმ მნიშვნელოვან გარემოებას დაიტანთ, რაც ფაბულაშია წარმოდგენილი. მაგ.: მოდავე მხარეები, მათ შესახებ ინფორმაცია, მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობა და ა.შ. მაშინ, როდესაც კაზუსში ბევრი თარიღია, სქემის გვერდით შეგიძლიათ ასევე მოვლენათა ქრონოლოგიური ცხრილი ან ხაზი ჩასვათ. ეს დაგეხმარებათ ვადების გამოთვლისას, ხანდაზმულობის ვადების შემოწმებისას და ა.შ. თუ კაზუსის თქვენიული მონახაზი სრულყოფილი და ზუსტი იქნება, ანუ, თუ მასში მისი ამოხსნისათვის საჭირო ყველა ინფორმაცია სწორი ფორმით იქნება განთავსებული, აღარ დაგჭირდებათ ფაბულაში ხშირად ჩახედვა, რაც განსაკუთრებით დამლელია დიდი კაზუსების შემთხვევაში და ბევრ დროს მოითხოვს. ამ ეტაპზე თქვენ ჯერ კიდევ არ გადადიხართ კაზუსის უშუალო ამოხსნაზე, არამედ, ასე ვთქვათ, თქვენებურად ალაგებთ კაზუსში მოცემულ მნიშვნელოვან გარემოებებს. ეს ტექნიკა მომავალშიც გამოგადგებათ პროფესიული

საქმიანობის განხორციელებისას. მაგალითად, წარმოიდგინეთ, ადვოკატს, რომელმაც მცირე დროში უნდა შეისწავლოს საქმე, როგორ გაუჭირდება ამ ტექნიკის გამოყენების გარეშე ფაქტობრივი გარემოებების გაცნობა და გააზრება მაშინ, როდესაც კლიენტი საქმესთან დაკავშირებით უამრავ საბუთსა და საქალაქდეს გადასცემს?

კაზუსის ამოხსნისა და დასკვნის მომზადებისას ამოსავალი წერტილია კაზუსის შეკითხვა. შეკითხვა იმავდროულად გვაძლევს კაზუსის ამოხსნის მიმართულებას, ანუ ადგენს მოთხოვნის საფუძვლის შემომწევის მიმართულებას (ამასთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ). არ შეიძლება, იმაზე მეტს ან იმაზე ნაკლებს გავცეთ პასუხი, რაც კაზუსის კითხვიდან გამომდინარეობს. ხშირ შემთხვევაში, სტუდენტებს სურთ, კაზუსის გამსწორებელს დაანახვონ, რომ იმ საკითხის გარდა, რაც კითხვაშია დასმული, ბევრი რამ იციან და ამის გამო ამ კონკრეტული კაზუსისათვის უმნიშვნელო სამართლებრივ მსჯელობებს, ცნებებს და ა.შ. ასახავენ კაზუსის ამოხსნაში. ეს თავისთავად შეცდომაა, იმიტომ, რომ იურისტებს არა მარტო გამოცდის წერისას, არამედ რეალურ ცხოვრებაშიც (სასამართლო პროცესებზე, მოლაპარაკებისას და ა.შ.) მოეთხოვებათ, შეეხონ მხოლოდ იმ საკითხებს და იმ კითხვებზე გასცენ პასუხი, რაც მათ წინაშეა დასმული. ამით ისინი ზოგავენ ენერგიას და დროს და თავიდან იცილებენ ზედმეტ შრომას. იურიდიულ განათლებაში ამას პრობლემაზე ორიენტირებული აზროვნება ჰქვია, რაც არსებითი და გარდაუვალია წარმატებული იურისტისთვის.

თითქმის ყველა კაზუსს აქვს ბოლოს დასმული შეკითხვა – შეუძლია თუ არა ერთ პირს მეორისგან რაიმის მოთხოვნა? ან შეიძლება, კითხვა უფრო ზოგადადაც იყოს დასმული, მაგალითად: რა მოთხოვნების წაყენება შეუძლიათ მხარეებს ერთმანეთისთვის? პირველ შემთხვევაში თუ „მხოლოდ“ ორ კონკრეტულ პირს შორის არსებულ კონკრეტულ მოთხოვნაზე ვმსჯელობთ, მეორე შემთხვევაში ჩვენი დავალებაა, შევამოწმოთ ყველა მოსალოდნელი მოთხოვნის საფუძველი, რომლებიც შესაძლოა, აფუძნებდეს მხარეების მოთხოვნებს ერთმანეთის მიმართ. მაგალითად, როგორც ზემოაღნიშნულ კაზუსებში გვაქვს მოცემული: სოსო ითხოვს ქურთუკის გადმოცემას, ხოლო ნოდარი მის მიწის ნაკვეთზე გადაყრილი ცარიელი ბოთლების გატანას. კაზუსის ამომხსნელიც ამ დროს თავის თავს უსვამს კითხვას: **„ვინ ვისგან რას მოითხოვს და რის საფუძველზე?“**, რითაც განისაზღვრება მსჯელობის მიმართულება.

კითხვა, თუ რამდენად შეუძლია ერთ პირს, მეორეს მოთხოვოს რაიმე, განიხილება კანონისმიერი მოთხოვნის საფუძვლის მიხედვით. მაშასადამე, აუცილებელია, არსებობდეს **სამართლებრივი ნორმა**, რომელშიც განსაზღვრული იქნება, რომ ერთ პირს, გარკვეული გარემოებების არსებობისას, შეუძლია, მეორისგან რაიმე კონკრეტულის მოთხოვნა. ასეთი ნორმა უნდა იყოს კითხვაში დასმულ კონსტრუქციასთან კავშირში და, მაშასადამე, თავიდანვე კითხვასთან ერთად უნდა იქნეს განხილული. სრული კითხვა, რომელიც კაზუსის დამუშავების დასაწყისში დაისმის, შემდეგნაირად გამოიყურება:

ვის	(მოთხოვნის წარმდგენი, მაგ., სოსო)
სურს რაიმე	(მოთხოვნის შინაარსი, მაგ., ქურთუკის დაბრუნება)
ვისგან	(მოთხოვნის ადრესატი, მაგ., კოტე)
რა საფუძველით	(მოთხოვნის საფუძველი, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)

როგორც წესი, პირველი სამი ელემენტი კაზუსის შინაარსიდან უპრობლემოდ გამომდინარეობს. კერძოდ, კაზუსში ყოველთვის არის სახეზე მოთხოვნის წარმდგენი და მისი ადრესატი და, ასევე, მოცემულია მოთხოვნის შინაარსიც – თუ რას სთხოვს ერთი მხარე მეორეს. კაზუსში არ არის მოცემული მოთხოვნის საფუძველი, ანუ სამართლებრივი ნორმა, რომლის საფუძველზეც ერთ მხარეს შეუძლია, მეორეს წარუდგინოს მოთხოვნა. შესაბამისად, სტუდენტის მიერ კაზუსის დამუშავების პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი არის კანონში სწორი მოთხოვნის საფუძვლის მონახვა. სწორი მოთხოვნის საფუძვლის მონახვა არის კაზუსის ამოხსნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა.

2. მოთხოვნის საფუძველი

მოთხოვნის საფუძველი არის განსაკუთრებული სამართლებრივი ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგიც გულისხმობს, რომ პირი (კრედიტორი), ნორმის შემადგენლობის (დისპოზიციის) ფაქტობრივი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, უფლებამოსილია, მეორე პირისგან (მოვალისგან) მოითხოვოს მოქმედების შესრულება ან მისგან თავის შეკავება (მოთხოვნის შინაარსი). არსებობს ასევე არა მოთხოვნის, არამედ ვალდებულების განმსაზღვრელი მოთხოვნის საფუძველები, მაგალითად, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები:

„1. ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიწოდოს საქონელი.

2. მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.“

ასეთი ვალდებულების განმსაზღვრელი ნორმა, ვალდებულებასთან ერთად, აფუძნებს ამ ვალდებულების შესრულების მიმდინარეობის მოთხოვნას ვალდებულების შესრულების მიმართ, ანუ, თუ ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ მყიდველს აქვს უფლება, იმავდროულად, მოსთხოვოს გამყიდველს ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემა.

ა) მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა

სამოქალაქო კოდექსის ნორმათა უმრავლესობა დამხმარე ნორმებია და ისინი არ გამოდგებიან მოთხოვნის საფუძვლად. ასეთი ნორმები შეიძლება შეიცავდეს სამართლებრივ დეფინიციებს, მათ შეიძლება ჰქონდეთ ასევე მიმითებელი, განმავრცობელი ან შემზღუდველი ბუნება. მაგალითად, სკ-ის 523-ე მუხლი არის მიმითებელი ნორმა, რომელიც მიგვითითებს, რომ გაცვლის ხელშეკრულების მიმართ ასევე გამოიყენება ნასყიდობის სამართლის ნორმები. შემზღუდველი ნორმის მაგალითია სკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის სამართლებრივ შედეგს ზღუდავს. სკ-ის 50-ე მუხლში მოცემულია გარიგების ცნება, რომელიც ზოგადი ხასიათისაა და ყველა სახის გარიგების/ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება.

სამართლებრივი ნორმა, რომელიც აფუძნებს მოთხოვნას (ანუ წარმოადგენს მოთხოვნის საფუძველს), შედგება დისპოზიციისა და სამართლებრივი შედეგისაგან. დისპოზიცია და სამართლებრივი შედეგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. დისპოზიციის არსებობა არის სამართლებრივი შედეგის დადგომის წინაპირობა. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ ასეთ სამართლებრივ ნორმას აქვს შემდეგნაირი სტრუქტურა: „როდესაც მოცემულია ქმედება Y, მაშინ სახეზეა სამართლებრივი შედეგი X“. მაგალითისთვის ავიღოთ სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რომელიც არის უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნების საფუძველი:

პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია, მოსთხოვოს ვითომკრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ:

ა) ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში;

ნორმა სხვაგვარი ფორმულირებით ასეთ სახეს მიიღებს: თუ გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შემდგომში შეწყდა ვალდებულება (ანუ თუ გვექნება ქმედება Y), მაშინ პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომკრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება (სამართლებრივი შედეგი X). მოთხოვნის საფუძვლის შემცველი სამართლებრივი ნორმის შედეგი არის მხარისთვის მოთხოვნის უფლების მინიჭება. მაშასადამე, ზემოაღნიშნულ მაგალითში პირს შეუძლია, ვითომკრედიტორს **მოსთხოვოს** მის მიერ განხორციელებული შესრულების უკან გადმოცემა.

სასარგებლო რჩევა: მაშინ, როდესაც მოთხოვნის საფუძველს „მიაგნებთ“, გადაშალეთ კანონი და კიდევ ერთხელ ნაიკითხეთ ნორმა. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ნორმა ზეპირადაც იცოდეთ, ეს აუცილებელია იმდენად, რამდენადაც თქვენ გევალებათ კაზუსის ფაქტობრივი გარემოებების ნორმის წინაპირობებთან მისადაგება (სუბსუმცია – იხ. მე-8 გვერდი). ამას კი მოახერხებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ნორმის ტექსტი თვალწინ გექნებათ. ბევრი იურისტის გამოცდილების მიხედვით, მიზანშეწონილია, ასევე მოძიებული ნორმის წინა და შემდგომი ნორმების წაკითხვა, ვინაიდან, როგორც წესი, თქვენთვის საინტერესო ნორმები მოძიებული მოთხოვნის საფუძვლის „სიახლოვეს“ იმყოფება და სისტემურ კავშირშია მოთხოვნის საფუძვლის განმსაზღვრელ ნორმასთან.

ბ) ნორმის დისპოზიცია

როგორც ზემოთ აღინიშნა, იმისათვის, რომ სამართლებრივი შედეგი დადგეს, აუცილებელია, წარმოდგენილი იყოს ნორმის დისპოზიცია. ხშირ შემთხვევაში დისპოზიცია რამდენიმე ელემენტისგან (ფაქტობრივი წინაპირობებისაგან) შედგება, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან ნორმის დისპოზიციას. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ დისპოზიციის ელემენტები არსებობს ალტერნატიული და კუმულაციური. ალტერნატიული

ნიშნავს, რომ აუცილებელი არ არის ყველა ასეთი ელემენტის არსებობა, რათა დადგეს ნორმით განსაზღვრული შედეგი. ასეთი ელემენტები ნორმაში ერთმანეთისაგან გამოყოფილია „ან“ კავშირით და სწორედ აქედან გამომდინარეობს მათი ალტერნატიული ბუნება. მაგალითად მოვიხმოთ ისევ ზემოაღნიშნული უსაფუძვლო გამდიდრების ნორმა, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი“, და განვიხილოთ მისი დისპოზიცია.

პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია, მოსთხოვოს ვითომკრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ:

ა) ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში;

როგორც ვხედავთ, იმისათვის, რომ სამართლებრივი შედეგი დადგეს, ანუ პირმა შეძლოს ვითომკრედიტორისგან შესრულების უკან დაბრუნება, ვალდებულება უნდა იყოს ბათილი ან არ არსებობდეს სხვა საფუძვლით. აქედან ერთ-ერთის ქონა სრულიად დამაკმაყოფილებელია წინადადების პირველ ნაწილში განსაზღვრული შედეგის მისაღწევად. დისპოზიცია ალტერნატიულია მეორე ნაწილშიც, რამეთუ იგი განსაზღვრავს, რომ სამართლებრივი შედეგი დადგება ერთ-ერთი შემდეგი წინაპირობის შემთხვევაში: ვალდებულება არ არსებობს ან არ წარმოიშობა, ან შეწყდა შემდგომში.

ხოლო თუ დისპოზიციის ელემენტები ერთმანეთთან დაკავშირებულია „და“ კავშირით ან *მძიმით*, მაშინ საქმე გვაქვს კუმულაციურ ელემენტებთან (კუმულაციური ანუ ჯამური), რაც იმას ნიშნავს, რომ სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის აუცილებელია ყველა ამ ელემენტის არსებობა. ამის ნათელი მაგალითია სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილი:

თუ გარიგება საცილო გახდა და შეცდომა გამონვეულია შეცილების უფლების მქონე პირის დაუდევრობით, მაშინ იგი ვალდებულია, მეორე მხარეს აუნაზღაუროს გარიგების ბათილობით წარმოშობილი ზიანი.

როგორც ვხედავთ, იმისათვის, რომ პირს შეეძლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, გარიგება უნდა იყოს შეცილებული და შეცდომა (შეცილების საფუძველი) გამონვეული უნდა იყოს შეცილების უფლების მქონე პირის დაუდევრობით, ანუ ამ შემთხვევაში აუცილებელია ორივე ელემენტის ერთობლივი არსებობა.

დისპოზიციის ელემენტები ნორმაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს **პირდაპირ ან არაპირდაპირ**. არაპირდაპირი ელემენტების გააზრება და გადმოცემა კაზუსის ამომხსნელის ამოცანაა. მაგალითისათვის ავიღოთ სკ-ის 160-ე მუხლის 1-ლი და მე-2 წინადადებები:

თუ კეთილსინდისიერ მფლობელს ჩამოერთმევა მფლობელობა, მას სამი წლის განმავლობაში შეუძლია, ახალ მფლობელს ნივთის უკან დაბრუნება მოსთხოვოს. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა ახალ მფლობელს აქვს მფლობელობის უკეთესი უფლება.

სკ-ის 160-ე მუხლის 1-ლი ნაწილი წარმოდგენილი ნორმის დისპოზიციის ელემენტებია: „კეთილსინდისიერი მფლობელი“, „მფლობელობის ჩამოერთმევა“, „ახალი მფლობელი“ და „ნივთი“. თუმცა, სკ-ის 160-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეიცავს 1-ლი ნაწილის დისპოზიციისთვის მნიშვნელოვან ელემენტს – „მფლობელობის უკეთეს უფლებას“, რომელიც სტუდენტმა კაზუსის ამომხსნისას 1-ლი ნაწილის დისპოზიციის ელემენტებთან ერთად უნდა განიხილოს. მაშასადამე, როგორც ვხედავთ, ზოგიერთ შემთხვევაში, დისპოზიციის ელემენტი/ელემენტები შესაძლოა, „გაბნეული“ იყოს იმავე ნორმის სხვა ნაწილში ან სხვა ნორმაში.

კაზუსის ამომხსნისას ყოველი ცალკეული ელემენტის არსებობა უნდა შემოწმდეს **ცალ-ცალკე** (ოთხსაფეხურიანი მოდელის გამოყენებით. იხ. ქვემოთ, გვ. 19). თუ მივალთ იმ შედეგამდე, რომ მოცემულია დისპოზიციის ყველა ელემენტი, ანუ სახეზეა სრული დისპოზიცია, მაშინ შეგვიძლია დავადგინოთ სამართლებრივი შედეგიც, კერძოდ: სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შემთხვევაში, ნივთის უკან დაბრუნების ვალდებულება/ მოთხოვნა; სკ-ის 160-ე მუხლის მიხედვით, ნივთის უკან მფლობელობაში გადმოცემა; სკ-ის 976-ე მუხლის შემთხვევაში, შესრულების უკან გადმოცემა და ა.შ. დისპოზიციის ელემენტების შემოწმება კაზუსის ფაბულის საფუძველზე ხორციელდება, სადაც გამოიყენება სუბსუმციის მეთოდი და ეს ყოველივე გადმოცემული და წარმოდგენილია სამართლებრივი დასკვნის სტილში (ამას დანვრილებით ქვემოთ შევეხებით, მე-16 გვერდზე).

გ) მოთხოვნის საფუძვლის სამართლებრივი შედეგი: მოთხოვნის უფლება

მოთხოვნის საფუძვლის შემცველი ნორმა სხვა (დამხმარე) ნორმებისგან განსხვავდება იმით, რომ მასში ყოველთვის მოცემულია სამართ-

ლებრივი შედეგი. სამართლებრივი შედეგი კი, თავის მხრივ, გამოიხატება პირისთვის *მოთხოვნის უფლების მინიჭებით ან ვალდებულების დაკისრებით*. მოთხოვნის კანონისმიერი ცნება მოცემულია სკ-ის 128-ე მუხლის 1-ლ ნაწილში: „სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა“. სკ-ის 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ფორმულირებიდან გამომდინარე, მოთხოვნის შინაარსი ყოველთვის **მოქმედება ან მოქმედებისგან თავის შეკავებაა**. მაგალითად, მოქმედება გვექნება: ნივთის გადმოცემის მოთხოვნისას (172-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), მინის ნაკვეთის განმენდისას გადაყრილი ბოთლებისაგან, თანხის გადახდისას და ა.შ.

მოქმედებისგან თავის შეკავების ანუ უმოქმედობის მოთხოვნა გვაქვს სახეზე მაშინ, როდესაც ერთი პირი სთხოვს მეორეს, შეწყვიტოს ნაკვეთით სარგებლობის ხელშეშლა.

დ) როგორ უნდა მოვიძიოთ მოთხოვნის სწორი (შესაბამისი) საფუძველი?

მოთხოვნის სათანადო საფუძვლის მოძიება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სამართლებრივი შედეგის მიღწევა გვინდა. მაშასადამე, ჩვენი მიზანია, მოვიძიოთ ისეთი ნორმა, რომლითაც მოთხოვნის წარმდგენის (კრედიტორის) სასურველი სამართლებრივი შედეგი მიიღწევა. როგორც წესი, მოთხოვნის საფუძვლის მიგნება კანონში არ არის რთული, ვინაიდან ასეთი ნორმები გამოირჩევა ფორმულირებით: „...შეუძლია... მოითხოვოს“, ან „...არის... ვალდებული“.¹

მაგალითად: ზემოაღნიშნულ შემთხვევაში სოსო კოტეგან ითხოვს ქურთუკის დაბრუნებას. ამ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძვლად მოიაზრება მხოლოდ ისეთი ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგიც ნივთის დაბრუნების მოთხოვნა ან ვალდებულება იქნება. ასეთი ნორმა კი სამოქალაქო კოდექსში არის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილი: „მესაკუთრეს **შეუძლია**, მფლობელს **მოსთხოვოს** ნივთის **უკან დაბრუნება**, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება“.

3. დასკვნის სტილი

კაზუსის ამოხსნა ხორციელდება სამართლებრივი დასკვნის სპეციალური სტილით. **დასკვნის სტილი** გერმანულ სამართალმეცნიერებაში

¹ მოთხოვნის საფუძვლებთან დაკავშირებით იხ. *ბიოლინგი/ლუტრინგკაუსი*, სკ-ის მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009.

შემუშავებული და დამკვიდრებული სტილია და შეგნებულად ემიჯნება **გადანყვეტილების სტილს**. თუ ეს უკანასკნელი გამოიყენება უკვე პრაქტიკული პროფესიული საქმიანობისას (მაგალითად, სასამართლო გადანყვეტილების ჩამოყალიბებისას), დასკვნის სტილი არის საკითხის, პრობლემის მეცნიერული დამუშავებისა და ანალიზის სტილი და გამოიყენება უმაღლესი იურიდიული განათლების ფარგლებში. დასკვნის სტილი ნიშნავს სავარაუდო (ჰიპოთეზური) შედეგის დასახვას და შემდეგ ოთხსაფეხურიანი (სილოგიზმის) მოდელის (იხ. გვ. 15) გამოყენებით ამ სავარაუდო შედეგის ეტაპობრივ, ინციდენტურ განხილვა-შემომნებას, რომლის ბოლოსაც დგას შედეგი (დასკვნა), რომლითაც ან დასტურდება, ან არ დასტურდება დასაწყისში ჩამოყალიბებული სავარაუდო შედეგი. დასკვნის სტილისაგან განსხვავებით, გადანყვეტილების სტილში ჩამოყალიბებული მსჯელობა შემდეგნაირი აგებულებისაა: აქ მთავარი წინადადების შემდეგ (რომელიც არის განხილვის ერთგვარი შესავალი, სათაური) დასაწყისში დგას შედეგი (გადანყვეტილება – *ამიტომაც ეწოდება მას გადანყვეტილების სტილი*) და შემდეგ მას მოსდევს დასაბუთება, ანუ გადანყვეტილების სტილი უხეში სტრუქტურული თვალსაზრისით შემობრუნებული დასკვნის სტილია. მიუხედავად იმისა, რომ საუნივერსიტეტო განათლების ფარგლებში კაზუსის ამოხსნის ჩამოყალიბების ძირითადი ფორმაა დასკვნის სტილი, ზოგიერთ შემთხვევაში სტუდენტმა გადანყვეტილების სტილიც უნდა გამოიყენოს. ამას სტუდენტები, ბუნებრივია, ისედაც აკეთებენ, უბრალოდ, გაუცნობიერებლად. ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც საკითხი ცხადზე ცხადია, თვალსაჩინოა ან, სულ მცირე, არ არის პრობლემატური. მაგალითად:

- 1) როდესაც საუბარია იმაზე, რომ „ა“-მ და „ბ“-მ დადეს ხელშეკრულება და კაზუსის ფაბულაში გაპრობლემებულია ამ ხელშეკრულების შესრულების ან ზიანის ანაზღაურების საკითხები, არ არის საჭირო, დასკვნის სტილით იქნეს განხილული და დადასტურებული თვითონ ხელშეკრულების დადება მთელი მისი წინაპირობებით (ოფერტი, აქცეპტი და ა.შ.); ან,
- 2) როდესაც შემომნების შედეგად მივალთ (შუალედურ) დასკვნამდე, რომ მოთხოვნა წარმოიშვა და კაზუსის ფაბულა არაფერს ამბობს ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებიც მის შესაძლო შეწყვეტაზე შეიძლება მიუთითებდეს. აქაც ზედმეტია დასკვნის სტილში მოთხოვნის შეწყვეტის საკითხის განხილვა. ესეც მარტივ, უპრობლემო საკითხად ჩაითვლება და მოკლედ წარმოჩნდება გადანყვეტილების სტილში.

ზემოაღნიშნული მაგალითები გადაწყვეტილების სტილში შემდეგნაირად გამოიყურება:

პირველი მაგალითის ფორმულირება გადაწყვეტილების სტილში:

მოთხოვნის წარმოშობისთვის აუცილებელია „ა“-სა და „ბ“-ს შორის ნამდვილი ხელშეკრულების არსებობა (მთავარი წინადადება).

ასეთი ხელშეკრულება არსებულად მიიჩნევა (შედეგი), ვინაიდან ფაბულაში საუბარია იმაზე, რომ „ა“-მ და „ბ“-მ დადეს ხელშეკრულება“, რაც მოიაზრებს აღნიშნულთან დაკავშირებული ყველა წინაპირობის (ოფერტი, აქცეპტი) არსებობას (დასაბუთება).

მეორე მაგალითის ფორმულირება გადაწყვეტილების სტილში:

მოთხოვნის წარმოშობის გარდა, განხილულ უნდა იქნეს, ხომ არ შეწყდა იგი (მთავარი წინადადება).

წინამდებარე შემთხვევაში მოთხოვნა არ შეწყვეტილა (შედეგი), ვინაიდან კაზუსის ფაბულა არ შეიცავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებს მოთხოვნის შესაძლო შეწყვეტაზე (დასაბუთება).

შედეგისა და დასაბუთების გადანაცვლებით სახეზე გვექნება ე.წ. **კომბინირებული სტილი**, რომელიც მაინც გადაწყვეტილების სტილისკენ უფრო იხრება მისი სიმარტივის, მოკლე და კატეგორიული (არაჰიპოთეზური) ფორმულირების გამო. მაგალითად:

პირველი მაგალითის ფორმულირება კომბინირებული გადაწყვეტილების სტილში:

მოთხოვნის წარმოშობისთვის აუცილებელია „ა“-სა და „ბ“-ს შორის ნამდვილი ხელშეკრულების არსებობა (მთავარი წინადადება).

რადგან ფაბულაში საუბარია იმაზე, რომ „ა“-მ და „ბ“-მ დადეს ხელშეკრულება“, რაც მოიაზრებს აღნიშნულთან დაკავშირებული ყველა წინაპირობის (ოფერტი, აქცეპტი) არსებობას (დასაბუთება), ასეთი ხელშეკრულება მოცემულად მიიჩნევა (შედეგი).

მეორე მაგალითის ფორმულირება კომბინირებული გადაწყვეტილების სტილში:

მოთხოვნის წარმოშობის გარდა, განხილულ უნდა იქნეს, ხომ არ შეწყდა იგი (მთავარი წინადადება). კაზუსის ფაბულა არ შეიცავს ისეთ გარე-

მოებებს, რომლებიც მიუთითებს მოთხოვნის შესაძლო შეწყვეტაზე (დასაბუთება). ამრიგად, წინამდებარე შემთხვევაში მოთხოვნა არ შეწყვეტილა (შედეგი).

ზემოთ უკვე არაერთგზის ხსენებული ოთხსაფეხურიანი მოდელი კი ასეთია:

ა) მთავარი წინადადება (ანუ ჰიპოთეზური შედეგი)

მთავარ წინადადებაში გადმოცემულია სწორედ ის სავარაუდო (ჰიპოთეზური) შედეგი, რომლის შემონმებასაც ისახავს სტუდენტი მიზნად. მთავარი წინადადების აუცილებელი კომპონენტებია: **ვინ** ითხოვს **ვისგან რას** და **რის საფუძველზე**. ამასთან, წინადადება ფორმულირებული უნდა იყოს *თურმეობით კილოში*, რაც ხაზს უსვამს მისი შინაარსის სავარაუდოობას. ჩვენ ამ ეტაპზე ხომ ზუსტად არ ვიცით, სამართლებრივი მსჯელობის შედეგად დადასტურდება თუ არა ჩვენი ვარაუდი/შედეგი.

მაგალითად: სოსოს (ვის?) შესაძლოა ჰქონდეს კოტეს მიმართ (ვის მიმართ?) ქურთუკის დაბრუნების მოთხოვნის უფლება (რაიმე?), სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე (რის საფუძველზე?).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთავარი წინადადება ვარაუდს უნდა გამოხატავდეს. ზემოაღნიშნულ მაგალითში ვარაუდს გამოხატავს სიტყვა „შესაძლოა“. ამ სიტყვის გამოუყენებლობის შემთხვევაში, თუ პირდაპირ ვიტყვოდით, რომ სოსოს აქვს კოტეს მიმართ ქურთუკის დაბრუნების მოთხოვნის უფლება, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე (ან სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე), მაშინ ეს იქნებოდა თხრობითი, დადგენილი ტონი, რომლის გამოყენებაც კაზუსის დასაწყისში, ანუ ჯერ კიდევ საკითხის სამართლებრივ განხილვამდე, არასწორია. ასეთი ფორმულირება შედეგის (დასკვნის) სახით წარმოდგენილი უნდა იყოს საკითხის სამართლებრივი ანალიზის ბოლოს.

ბ) ცნებები და წინაპირობები

მას შემდეგ, რაც შევადგენთ მთავარ წინადადებას, უნდა გადავიდეთ მოთხოვნის საფუძვლის დისპოზიციის შემონმებაზე და გავარკვიოთ, ფაქტობრივად, არსებობს თუ არა ის წინაპირობები (ელემენტები), რომლებიც აფუძნებენ მთავარ წინადადებაში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს წინაპირობები კანონში ნორმის დისპოზიციამია წარმოდგენილი. ასევე აღინიშნა, რომ, თუ დისპოზიციამი რამდენიმე ელემენტია (წინაპირობაა) წარმოდგენილი, მაშინ აუცილებელია თითოეული მათგანის ცალ-ცალკე შემოწმება. შემოწმება კი შემდეგნაირად ხდება: მოგეხსენებათ, რომ სამართალში ყველა ცნებას, ტერმინს თავისებური განმარტება აქვს. ამიტომ აუცილებელია, რომ მანამ, სანამ ვიმსჯელებთ იმაზე, სახეზეა თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში, ანუ კაზუსის ფაბულაში ნორმის დისპოზიციით გათვალისწინებული ესა თუ ის წინაპირობა, განვმარტოთ, რას ნიშნავს იგი, რომ შემდეგ უფრო კონკრეტულად ვიცოდეთ, რას ვეძებთ კაზუსში.

მაგალითი 1: სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის წინაპირობის თანახმად, სოსო უნდა იყოს ქურთუკის მესაკუთრე.

მაგალითი 2: სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მეორე წინაპირობის თანახმად, კოტე უნდა იყოს ქურთუკის მფლობელი.

აუცილებელია შესაბამისი წინაპირობის (ელემენტის), მაგალითად „მესაკუთრის“, დეფინიცია. დეფინიციისათვის შეგვიძლია მივმართოთ ზემოთ აღნიშნულ ე.წ. დამხმარე ნორმებს, რომლებიც შეიცავს კანონში მოხსენიებული ცნებების ლეგალურ დეფინიციას და ასევე სასამართლო პრაქტიკასა და ლიტერატურას (დოქტრინას). დეფინიციის დახმარებით წინაპირობა, რომელსაც კონკრეტულ ცხოვრებისეულ შემთხვევაში (კაზუსში) ვეძებთ, იძენს კონკრეტულ კონტურებს და ხდება უფრო ხელმოსაჭიდი. განვიხილოთ ზემოთ მოყვანილი ორი მაგალითი:

მაგალითი 1: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი წინაპირობის მიხედვით, სოსო უნდა იყოს ქურთუკის მესაკუთრე. ჩვენი მიზანია, კაზუსის ტექსტის გამოყენებით დავადგინოთ, სოსო მართლა არის მესაკუთრე თუ არა. მაშასადამე, ამ დროს გვჭირდება, ვიცოდეთ მესაკუთრის/საკუთრების შინაარსის დეფინიცია, რაც უნდა დაგვეხმაროს მესაკუთრის დადგენაში. საკუთრების შინაარსის დეფინიცია მოცემულია სკ-ის 170-ე მუხლის 1-ლ ნაწილში. მესაკუთრე არის პირი, რომელსაც ნივთზე აქვს ყოვლისმომცველი სანივთო უფლება, რაც გულისხმობს ნივთზე შეუზღუდავ ბატონობას, მის თავისუფლად ფლობას და მისით სარგებლობას, ასევე სხვა პირთა მიერ ამ ნივთით სარგებლობის დაუშვებლობის უფლებას.

მინიშნება: როგორც წესი, იმ შემთხვევებში, როდესაც კაზუსში კონკრეტული ნივთები რომელიმე პირს მიეწერება, ანუ მოცემულია, მაგ., ფორმულირება – „სოსო თავის ქურთუკს ჩამოკიდებს“ ან „სოსოს ქურთუკი“, უნდა მივიჩნიოთ, რომ სოსო მართლაც ქურთუკის მესაკუთრეა და ამ შემთხვევაში რაიმე დამატებითი კონკრეტიზაცია და „მესაკუთრის“ ცნების სიღრმისეული განხილვა საჭირო აღარ არის.

მაგალითი 2: მეორე წინაპირობის მიხედვით, სახეზე უნდა იყოს კოტეს მიერ სოსოს ქურთუკის ფლობა, ანუ კოტე უნდა იყოს ნივთის მფლობელი. მფლობელობის აბსტრაქტული ცნების მისადაგება კაზუსის ფაბულასთან რთულია. ამიტომ ამ შემთხვევაშიც გვჭირდება ცნება „**მფლობელობის**“ **განმარტება** (დეფინიცია). ცნება კი მოცემულია სკ-ის 155-ე მუხლის პირველ ნაწილში („მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით“). მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც მფლობელის დადგენაში გვეხმარება დეფინიცია: სკ-ის 155-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მფლობელი არის პირი, რომელიც ახორციელებს ფაქტობრივ ნებელობით ბატონობას ნივთზე.

გ) სუბსუმცია

განმარტების (დეფინიციის) შემდეგ უკვე დაკონკრეტებული ცნება გამოგვყავს კონკრეტული კაზუსის, ფაბულის კონტექსტში და ხდება ფაბულაში ასახული ფაქტობრივი გარემოებების მისადაგება ამ ცნების განმარტებასთან. სწორედ ამ ნაბიჯს ეწოდება სუბსუმცია. ამრიგად, სუბსუმცია არის *სამართლის ნორმის დისპოზიციის აბსტრაქტული² ელემენტების დაკავშირება კაზუსის (ფაბულის) ფაქტობრივ (კონკრეტულ) გარემოებებთან*. ამ ეტაპზე ჩვენ კიდევ ერთხელ ვკითხულობთ, თუ რა ფაქტობრივი გარემოებები გვაქვს მოცემული კაზუსში და ვასკვნივთ, საკმარისია თუ არა ისინი დისპოზიციის სამართლებრივი წინაპირობების დასაკმაყოფილებლად:

მაგალითად: კოტემ ქურთუკი საკიდიდან ჩამოხსნა და ჩაიცვა. ამის შედეგად მან მოიპოვა ფაქტობრივი ბატონობა ქურთუკზე. მაშასადამე, წარმოდგენილია დისპოზიციის ელემენტი – კოტეს მიერ ნივთის ფლობა.

² აბსტრაქტული, ვინაიდან იგი არეგულირებს არა ერთ კონკრეტულ, არამედ უამრავ აბსტრაქტულ შემთხვევას.

ე.წ. ოთხსაფეხურიანი სამართლებრივი მსჯელობისას ძირითადი პრინციპის სახით გამოიყენება სილოგიზმის (ლოგიკური არგუმენტირების) მეთოდი. სქემის სახით ეს მეთოდი შემდეგნაირად გამოიყურება:

- I. გიორგი იურისტია
- II. იურისტი არის ის, ვინც იცის კაზუსების ამოხსნა
- III. (მაშასადამე) გიორგიმ იცის კაზუსების ამოხსნა

თუმცა ხდება ამ სქემის განვრცობა სხვადასხვა კომპონენტით, როგორებიცაა: მთავარი (საწყისი) წინადადება, იურიდიული ცნებების (დისპოზიციის) განმარტება და სუბსუმცია.

ჩვენი კაზუსის შემთხვევაში სახეზე გვექნებოდა (განვრცობილი) სილოგიზმის შემდეგი სქემა:

მოთხოვნის წარმოშობისთვის კოტე უნდა იყოს ქურთუკის მფლობელი (მთავარი წინადადება).

- I. მფლობელია ის, ვინც თავისი ნებით ნივთზე მოიპოვებს ფაქტობრივ ბატონობას.
- II. ფაქტობრივი ბატონობის ნებით მოპოვებაში იგულისხმება ნივთზე პირის მიერ ნებელობით ფიზიკური ბატონობის მოპოვება.
- III. კოტემ ქურთუკი საკიდიდან ჩამოხსნა და ჩაიცვა. ამით იგი საკუთარი ნებით ფიზიკურად დაეუფლა მას, ანუ მოიპოვა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა.
- IV. მაშასადამე, კოტე არის მფლობელი.

მიაქციეთ ყურადღება ნორმის დისპოზიციის ცალკეული ელემენტების შემონიშნებას: მთავარი წინადადება არ გამოხატავს ჰიპოთეზას, არამედ „მხოლოდ“ ასახელებს ამ ელემენტს, როგორც წინაპირობას (იხილეთ საილუსტრაციო კაზუსის ამოხსნა, გვ. 26).

სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის წარმოშობისთვის სოსო უნდა იყოს ქურთუკის მესაკუთრე. ამის შემდეგ დასახელებული შემდეგი წინაპირობები (მაგ.: „კოტეს მიერ ქურთუკის ფლობა“, „ნივთი“, „არამართლზომიერი ფლობა“), განიხილება ისინი ზემოაღნიშნული მეთოდით (დეფინიცია, სუბსუმცია, დასკვნა/შედეგი) და ასე გრძელდება მანამ, სანამ არ შემონიშნება მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის (მოთხოვნის საფუძვლის) დისპოზიციის ყველა ელემენტი. დისპოზიციის სრულად შემონიშნების შემდეგ დგას დასკვნა/შედეგი: „მოთხოვნა წარმოიშვა“ ან „მოთხოვნა არ წარმოიშვა“.

დ) შედეგი

მაშინ, როდესაც მოთხოვნის საფუძვლის ყველა წინაპირობას შევამოწმებთ ზემოთ წარმოდგენილი ოთხსაფეხურიანი მეთოდით და თითოეული მათგანის შემთხვევაში მივალთ დადებით შედეგებამდე, ასევე გამოვრიცხავთ (უკვე წარმოშობილი) მოთხოვნის შეწყვეტას და მისი განხორციელების შემაფერხებელი გარემოებების არსებობას, შეგვიძლია დავადგინოთ საბოლოო შედეგი. მაგალითად, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შემთხვევაში, შევამოწმებთ წინაპირობებს, – „მესაკუთრე“, „არამართლზომიერი მფლობელი“, „ნივთი“ და „არამართლზომიერი ფლობა“, – ვადგენთ, რომ მოცემულია ყველა ეს წინაპირობა, პირველ რიგში, ვაყალიბებთ შედეგს, რომ მოთხოვნა წარმოიშვა. ამის შემდეგ ვამოწმებთ მისი შესაძლო შეწყვეტისა და ასევე განხორციელების საკითხს, სადაც შუალედურ შედეგებად ვაფიქსირებთ, რომ მოთხოვნა არ შეწყვეტილა, რომ მოთხოვნა განხორციელებადია. მხოლოდ ამის შემდეგ ვადგენთ საბოლოო შედეგს, რომელიც არის პასუხი თურმეობით ფორმაში გადმოცემულ საწყის წინადადებაზე. როგორც წესი, ამ დროს გამოიყენება სიტყვები: „ამგვარად“, „ამრიგად“, „მაშასადამე“ ან „გამომდინარე აქედან“.

მაგალითი: მაშასადამე, სოსოს აქვს კოტეს მიმართ ქურთუკის დაბრუნების მოთხოვნა, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

სასარგებლო რჩევა: ხშირად ამბობენ, რომ იურისტი ენის ჯადოქარი უნდა იყოს. რას ნიშნავს ეს? იურისტის მიერ დაწერილი ტექსტი უნდა იყოს ნათელი, დასაბუთებული, ლოგიკური და ერთი ამოსუნთქვით იკითხებოდეს. მხოლოდ ამ უნარების მქონე იურისტი არის წარმატებული თავის საქმიანობაში. ამიტომ სამართლებრივი დასკვნა წერეთ ნათელი, გასაგები ენით, რომელიც სასიამოვნო და მარტივი იქნება ნასაკითხავად. რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებების გამოყენება, ანუ ისეთების, რომელთა გააზრებასაც რამდენიმეჯერ წაკითხვა სჭირდება, მიზანშეწონილი არ არის. აზრი გადმოეცით მარტივი, მოკლე წინადადებებით! ყოველთვის უკეთესია მათი გამოყენება – ისინი ადვილად იკითხება.

დასაბუთებულობა და ლოგიკურობა იურიდიული აზროვნების ქვაკუთხედეა. იურიდიული მეცნიერება არ მიეკუთვნება ზუსტ მეცნიერებათა რიცხვს. შესაბამისად, მნიშვნელობა ენიჭება არა იმას, თუ რა შედეგამდე მიხვალთ, არამედ იმას, როგორ მიხვედით იქამდე. მთავარია, თქვენი მსჯელობა ლოგიკურად გამართული და დასაბუთებული იყოს და არ ეწინააღმდეგებოდეს ზოგადად აღიარებულ სამართლებრივ პრინციპებს. ხშირ შემთხვევაში, კარგად

დასაბუთებული ნაკლებად გავრცელებული მოსაზრება უფრო ღირებულია, ვიდრე დაუსაბუთებელი ფართოდ გავრცელებული მოსაზრება.

როგორც ზემოთ აღნიშნული მინიშნებიდან („ნაკლებად გავრცელებული მოსაზრება... ფართოდ გავრცელებული მოსაზრება...“) ჩანს, მსჯელობისას სტუდენტი შეიძლება წაანყდეს ისეთ საკითხებს, რომლებიც არა მხოლოდ მისთვის ჩანს პრობლემური, არამედ ასევე პრობლემური და სადავოა მეცნიერებასა და პრაქტიკაში. ასეთ დროს სტუდენტი ვალდებულია, გადმოსცეს სამართალმეცნიერებასა და პრაქტიკაში (ან მხოლოდ მეცნიერებაში) არსებული სხვადასხვა მოსაზრება, ანუ აზრთა სხვადასხვაობა. ცალკეული მოსაზრება თუ თეორია უნდა გადმოიცეს სრულად, თავისი არგუმენტებით. ამის შემდეგ კი სტუდენტი უნდა მიემხროს ერთ-ერთ მათგანს (ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ გადაწყვეტს პრობლემატურ საკითხს), რომელსაც იგი მეტად დამაჯერებლად მიიჩნევს. ამასთან, მხოლოდ რომელიმე მოსაზრებისადმი მიმხრობა არ არის საკმარისი. სტუდენტმა აუცილებლად უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ უჭერს მხარს ამ და არა სხვა მოსაზრებასა თუ თეორიას. შეფასებისათვის მნიშვნელობა არ აქვს, მეტად თუ ნაკლებად გავრცელებულ მოსაზრებას მიემხრობა სტუდენტი. მნიშვნელოვანია ის, თუ რა არგუმენტებით დაასაბუთებს იგი თავის პოზიციას.

4. მოთხოვნის შემონმების სამსაფეხურიანი სქემა

კაზუსის შეკითხვა, როგორც წესი, მიმართულია ერთი ან რამდენიმე მოთხოვნის უფლების არსებობის განხილვაზე. მოთხოვნის უფლების არსებობა კი ნიშნავს, რომ:

- I. მოთხოვნა უნდა წარმოიშვას
- II. მოთხოვნა არ უნდა შეწყდეს
- III. მოთხოვნა უნდა იყოს განხორციელებადი

შესაბამისად, კაზუსის განხილვის უხეში (გარე)სტრუქტურაც ასეთი უნდა იყოს:

- I. მოთხოვნის წარმოშობა
- II. მოთხოვნის შეწყვეტა
- III. მოთხოვნის განხორციელება

როგორც ვხედავთ, მოთხოვნის წარმოშობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ საბოლოო შედეგად მოცემულად დაფიქსირდეს ერთი პირის მიერ მეორისაგან კონკრეტული ქმედების განხორციელების მოთხოვნის უფლება. ამისათვის აუცილებელია, რომ: I. მოთხოვნა წარმოიშვას, II. მოთხოვნა არ შეწყდეს და III. მოთხოვნა იყოს განხორციელებადი.

მხოლოდ ამ სამივე აუცილებელი კომპონენტის განხილვისა და დადასტურების შემდეგ მივდივართ საბოლოო დასკვნამდე, რომ ერთ პირს აქვს უფლება, მოსთხოვოს მეორეს შესაბამისი ქმედების განხორციელება, ზიანის ანაზღაურება და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუ პირველი მათგანის (მოთხოვნის წარმოშობა) შემომნების შედეგად ჩვენ მივალთ დასკვნამდე, რომ მოთხოვნა არ წარმოიშვა, ბუნებრივია, აღარ გავაგრძელებთ მისი შესაძლო შეწყვეტის განხილვას, ხოლო, თუ მეორე საკითხის (მოთხოვნის შეწყვეტის) შემომნების შედეგად დავასკვნით, რომ მოთხოვნა შეწყდა შესრულების, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის, შეცილებისა თუ სხვა საფუძვლით, ასევე ბუნებრივია, რომ აღარ ვიმსჯელებთ მის განხორციელებადობაზე. წარმოშობილ და „არშეწყვეტილ“ მოთხოვნას პირი მეორე პირს ვერ ნაუყენებს, თუ იგი არ არის განხორციელებადი. განხორციელებას კი ხელს უშლის, მაგალითად, მისი ხანდაზმულობა, გადავადება და ა.შ. ასეთ შემთხვევებში მოთხოვნა არსებობს, სახეზეა (მატერიალურსამართლებრივი კუთხით), თუმცა იგი ვერ განხორციელდება. ამიტომაც არის აუცილებელი ამ სამივე საკითხის შემომნება, სანამ დავაფიქსირებთ კაზუსის საბოლოო შედეგს. თუმცა, თუ ფაბულაში არ არის ფაქტობრივი მინიშნებები რომელიმე ამ საკითხის (მოთხოვნის შეწყვეტა, მოთხოვნის განხორციელება) თაობაზე, მათი ვრცელი და მეცნიერული განხილვა საჭირო არ არის. საკმარისია მხოლოდ მათი „ხსენება“ და მოკლედ დასკვნა იმისა, რომ ეს საკითხები არ არის პრობლემატური წინამდებარე კაზუსში (იხ. დასკვნის სტილი, გვ. 16).

ასევე აუცილებლად უნდა გავიაზროთ, რომ ეს სამი აუცილებელი საკითხი (I, II, III) **კაზუსის ამოხსნის უხეში (გარე)სტრუქტურაა**.

ზემოთ განხილული ოთხსაფეხურიანი მოდელი კი (მთავარი წინადადება, დეფინიცია, სუბსუმცია, შედეგი/დასკვნა) არის **კაზუსის განხილვის შიდა სტრუქტურა**, ანუ მეთოდი, რომლითაც განხილვა როგორც მოთხოვნის წარმოშობის, ისე მისი შეწყვეტისა და განხორციელების საკითხი, თითოეული თავისი ქვეპუნქტითა და ელემენტით.

IV. საილუსტრაციო კაზუსის ამოხსნა:

მონახაზი:

ვის	სოსოს
რა სურს	ქურთუკის დაბრუნება
ვისგან	კოტესგან
რის საფუძველზე	სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე

A. სოსოს მოთხოვნა კოტეს მიმართ ქურთუკის დაბრუნების თაობაზე სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე – სამართლებრივი დასკვნა

სოსოს შესაძლოა ჰქონდეს კოტეს მიმართ ქურთუკის დაბრუნების მოთხოვნის უფლება სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე (მთავარი წინადადება – თურმეობითი ფორმა!).

ამისათვის ეს მოთხოვნა უნდა წარმოიშვას, არ უნდა შეწყდეს და უნდა იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა:

1. ნორმის დისპოზიციის ელემენტი: „მესაკუთრე“

მთავარი წინადადება:	სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის წინაპირობის თანახმად, სოსო უნდა იყოს ქურთუკის მესაკუთრე (სხვაგვარი ფორმულირებით: ახლა უნდა გავარკვიოთ, არის თუ არა სოსო ქურთუკის მესაკუთრე).
დეფინიცია:	მესაკუთრე არის პირი, რომელსაც ნივთზე აქვს ყოვლისმომცველი სანივთო უფლება, რაც გულისხმობს ნივთზე შეუზღუდავ ბატონობას, მის თავისუფლად ფლობასა და მისით სარგებლობას, ასევე სხვა პირთა მიერ ამ ნივთით სარგებლობის დაუშვებლობის უფლებას. მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ სახელმეკრულებო, შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს ქონებას და სარგებლობდეს მისით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი (სკ-ის 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

სუბსუმცია:	ფაბულაში საუბარია იმაზე, რომ სოსომ „თავისი ქურთუკი“ ჩამოკიდა საკიდზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მას აქვს ამ ნივთით სარგებლობისა და მასზე ბატონობის შეუზღუდავი უფლება.
შედეგი:	მაშასადამე, სოსო არის ქურთუკის მესაკუთრე.

2. ნორმის დისპოზიციის ელემენტი: „მფლობელი“

მთავარი წინადადება:	გარდა ზემოაღნიშნული წინაპირობებისა, დადასტურებული უნდა იყოს კოტეს მიერ ქურთუკის ფლობა (ან სხვაგვარი ფორმულირებით: საკითხავია, არის თუ არა კოტე ქურთუკის მფლობელი).
დეფინიცია:	სკ-ის 155-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით. ფაქტობრივი ბატონობის ნებით მოპოვება გულისხმობს ნივთზე პირის მიერ ნებელობით ფიზიკური ბატონობის მოპოვებას.
სუბსუმცია:	ფაბულის მიხედვით, კოტემ აიღო ქურთუკი და ჩაიცვა. ამის შედეგად მან ქურთუკზე თავისი ნებით მოიპოვა ფაქტობრივი ბატონობა.
შედეგი:	მაშასადამე, კოტე არის ქურთუკის მფლობელი.

3. ნორმის დისპოზიციის ელემენტი: „ნივთი“

მთავარი წინადადება:	ნორმის სხვა წინაპირობებთან ერთად, უნდა შემოწმდეს, ჩაითვლება თუ არა ქურთუკი ნივთად (ან სხვაგვარი ფორმულირება: საკითხავია, არის თუ არა ქურთუკი ნივთი სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით).
დეფინიცია:	ნივთის ცნება წარმოდგენილია სკ-ის 148-ე და 149-ე მუხლებში. 149-ე მუხლი განმარტავს უძრავი ნივთის ცნებას, სხვა დანარჩენ ნივთებს კი მოძრავად აცხადებს. ნივთად, როგორც წესი, მიიჩნევა სხეულებრივი საგანი.
სუბსუმცია:	ქურთუკი არის სხეულებრივი საგანი.
შედეგი:	მაშასადამე, ქურთუკი არის ნივთი, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით.

4. ნორმის დისპოზიციის ელემენტი: „არამართლზომიერი ფლობა“:

მთავარი კითხვა:	საკითხავია, ხომ არ არის კოტეს მიერ ქურთუკის ფლობა მართლზომიერი?
დეფინიცია:	მართლზომიერი ფლობის შემთხვევაში, კოტეს უფლება ექნებოდა, მიუხედავად სხვა წინაპირობების არსებობისა, ქურთუკი შეენარჩუნებინა. მართლზომიერ ფლობაზე უფლება შესაძლოა გამომდინარეობდეს კანონიდან ან გარიგებიდან. მაგალითად, მართლზომიერი ფლობა წარმოიშობა ხელშეკრულების (მაგალითად: თხოვების, ქირავნობის და ა.შ.) საფუძველზე.
სუბსუმცია:	კაზუსის ფაბულიდან არ იკვეთება კოტეს მიერ ნივთის მართლზომიერი ფლობის უფლება. ფაბულიდან არ იკვეთება არცერთი ფაქტი, რომელიც შესაძლოა, მართლზომიერი ფლობის რომელიმე შემთხვევაზე მიუთითებდეს. პირიქით, ფაბულაში საუბარია, რომ კოტე „შემთხვევით იღებს“ სხვის ქურთუკს მხოლოდ იმიტომ, რომ „იგი ძალიან ჰგავს მისას“. ანუ კოტე შეცდომით, და არა რაიმე კანონისმიერი ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძველით, იღებს სოსოს ქურთუკს, რაც გამორიცხავს ფლობის მართლზომიერებას.
შედეგი:	მაშასადამე, კოტეს მიერ ნივთის ფლობა არამართლზომიერია.

5. დასკვნა:

სკ-ის 172-ე მუხლის წინაპირობები შესრულებულია. მაშასადამე, სოსოს მოთხოვნა კოტეს მიმართ ქურთუკის დაბრუნების თაობაზე წარმოიშვა სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად (თხრობითი ფორმა!).

II. მოთხოვნის შეწყვეტა

მთავარი წინადადება:	შესაძლოა, სოსოს მოთხოვნა შეწყვეტილიყო მისი წარმოშობის შემდეგ.
---------------------	---

სუბსუმცია:	ფაბულა არ შეიცავს არანაირ მითითებას ისეთ გარემოებაზე, რაც შესაძლოა, მეტყველებდეს მოთხოვნის შეწყვეტაზე (გადანწყვეტილების სტილი – მოკლე, კატეგორიული).
შედეგი:	ამრიგად, მოთხოვნა არ შეწყვეტილა.

III. მოთხოვნის განხორციელება

ფაბულა არ შეიცავს არანაირ მითითებას ისეთ გარემოებაზე, რაც შესაძლოა, მეტყველებდეს მოთხოვნის განხორციელებლობაზე. შესაბამისად, მოთხოვნა განხორციელებადია (გადანწყვეტილების სტილი – მოკლე, კატეგორიული).

B. საბოლოო შედეგი: სოსოს აქვს უფლება, მოსთხოვოს კოტეს ქურთუკის დაბრუნება, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე (თხრობითი ფორმა!).

A. სოსოს მოთხოვნა კოტესგან

ქურთუკის დაბრუნების თაობაზე

I. მოთხოვნის წარმოშობა (+)

- სოსო – მესაკუთრე (+)
- კოტე – მფლობელი (+)
- ქურთუკი – ნივთი, სკ-ის 172, I (+)
- კოტეს მიერ არამართლობიერი ფლობა (+)

II. მოთხოვნის შეწყვეტა (-)

- კაზუსი არ შეიცავს რაიმე მითითებას

III. მოთხოვნის განხორციელება (+)

B. შედეგი: სოსოს მოთხოვნა კოტეს მიმართ 172, I-ის მიხედვით ქურთუკის დაბრუნების თაობაზე (+)

V. საილუსტრაციო კაზუსის გაგრძელების ამოხსნა:

მინიშნება: პირველი კაზუსი ჩვენ ამოვხსენით ცხრილების გამოყენებით, რათა თვალნათლივ დაგვეჩვენა იურიდიული დასკვნის გაკეთების ეტაპები: თუ სად დგას მთავარი წინადადება, რა როლს ასრულებს დეფინიცია მსჯელობაში და, ბოლოს, თუ როგორ მივდივართ შედეგამდე სუბსუმციით. თუმცა, ჩვეულებრივ, კაზუსის ამოხსნა ასეთი სახით არ ხდება. ამიტომ ქვემოთ საილუსტრაციო კაზუსის გაგრძელება ამოხსნილია ცხრილების გარეშე, ისე, როგორც ეს, ჩვეულებრივ, მოეთხოვება სტუდენტს.

A. ნოდარის მოთხოვნა სოსოს მიმართ ნაკვეთიდან ლუდის ბოთლების გატანის თაობაზე, სკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების საფუძველზე – სამართლებრივი დასკვნა

ნოდარს შესაძლოა, სოსოს მიმართ ჰქონდეს ლუდის ბოთლების გატანის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადებიდან გამომდინარე.

ამისათვის შესაბამისი მოთხოვნა უნდა წარმოიშვას, არ უნდა შეწყდეს და უნდა იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა

სკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადება: „თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია, ხელისშემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა“.

მოთხოვნის წარმოშობისათვის, ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი 4 ელემენტი (ფაქტობრივი წინაპირობა): ნოდარი უნდა იყოს (1) მიწის მესაკუთრე, უნდა არსებობდეს სოსოს მხრიდან (2) საკუთრების ხელყოფა, ხელყოფა უნდა ხორციელდებოდეს (3) ნივთის ამოღების ან ჩამორთმევის გარეშე და ნოდარს არ უნდა ეკისრებოდეს (4) ხელყოფის/ხელშეშლის თმენის ვალდებულება.

1. მესაკუთრე

როგორც აღინიშნა, სკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების ერთ-ერთი წინაპირობაა, რომ ნოდარი უნდა იყოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე.

ფაბულაში მარტივი ფორმულირებით – „სოსომ ლუდის ბოთლები გადაყარა მეზობელი ნოდარის მიწის ნაკვეთზე“ – მითითებულია, რომ ნაკვეთის მესაკუთრე არის ნოდარი.

ამრიგად, ნოდარი მიიჩნევა მესაკუთრედ, სკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით (*გადაწვეტილების სტილი – მოკლე, კატეგორიული*).

2. სოსოს მიერ საკუთრების ხელყოფა

შემდგომი წინაპირობის თანახმად, სახეზე უნდა იყოს სოსოს მიერ ნოდარის საკუთრების (მიწის ნაკვეთის) ხელყოფა.

საკუთრების ხელყოფად ითვლება მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ საკუთრების შინაარსში ნებისმიერი ჩარევა. საკუთრების შინაარსი რეგულირდება სკ-ის 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რომლის თანახმადაც მესაკუთრეს შეუძლია, თავისუფლად ფლობდეს ქონებას, სარგებლობდეს ქონებით (ნივთით) და არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა და მისი ხელყოფა.

სოსომ ლუდის ბოთლები ნოდარის საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე გადაყარა, რითაც ფაქტობრივი ზემოქმედება მოახდინა ნოდარის საკუთრებაზე, ანუ მისი ნების საწინააღმდეგოდ ჩაერია მის საკუთრებაში.

მაშასადამე, სოსომ თავისი მოქმედებით განახორციელა ნოდარის საკუთრების ხელყოფა.

3. ამოღება ან ჩამორთმევა

სოსოს მიერ საკუთრების ხელყოფა არ უნდა იყოს გამოხატული ნივთის ამოღებით ან ჩამორთმევით და, შესაბამისად, მესაკუთრის მფლობელობიდან ნივთის გასვლით, ანუ ხელყოფილი საკუთრება არ უნდა გასულიყო მესაკუთრის მფლობელობიდან.

სკ-ის 155-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მფლობელი არის პირი, რომელიც ახორციელებს ფაქტობრივ ნებელობით ბატონობას ნივთზე.

ფაბულის მიხედვით, სოსოს მიერ ნოდარის ნაკვეთზე ლუდის ბოთლების გადაყრის მიუხედავად, ნაკვეთზე ფაქტობრივ ბატონობას მაინც ნოდარი, ანუ ნაკვეთის მესაკუთრე, ახორციელებდა. გამომდინარე აქედან, ნოდარი რჩება ნაკვეთის მფლობელად.

მაშასადამე, ხელყოფა არ არის გამოხატული ნივთის ამოღებით ან ჩამორთმევით.

4. თმენის ვალდებულება

გარდა ზემოაღნიშნული წინაპირობებისა, უნდა შემონმდეს, სკ-ის 175-ე მუხლის თანახმად, ხომ არ ეკისრებოდა ნოდარს სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულება.

თმენის ვალდებულება შესაძლოა გამომდინარეობდეს კანონიდან, ან შეთანხმებულ იქნეს მხარეთა მიერ და გულისხმობს უფლებამოსილი პირის (ამ შემთხვევაში მესაკუთრის) ვალდებულებას, გარკვეულ შემთხვევებში მოითმინოს უფლების შეზღუდვა ან ხელშეშლა.

კაზუსის ფაბულაში არ არის წარმოდგენილი რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც მიგვანიშნებდა ნოდარის მიერ სოსოს ზემოქმედების თმენის ვალდებულებაზე.

ამდენად, სკ-ის 175-ე მუხლის წინაპირობების შემომწმება ამ შემთხვევაში არარელევანტურია. შესაბამისად, ვადგენთ, რომ ნოდარს არ ეკისრება თმენის ვალდებულება.

5. შუალედური დასკვნა

ნოდარს აქვს სოსოს მიმართ ლუდის ბოთლების გატანის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადებიდან გამომდინარე.

II. მოთხოვნის შეწყვეტა და განხორციელებადობა

ფაბულა არ შეიცავს არანაირ მითითებას ისეთ გარემოებაზე, რაც შესაძლოა მეტყველებდეს მოთხოვნის შეწყვეტაზე ან მის განხორციელებადობაზე. შესაბამისად, მოთხოვნა არსებობს და განხორციელებადია.

III. საბოლოო შედეგი

ნოდარს აქვს სოსოს მიმართ ლუდის ბოთლების გატანის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების საფუძველზე.

A. ნოდარის მოთხოვნა სოსოს მიმართ ნაკვეთიდან ლუდის ბოთლების გატანის თაობაზე, სკ-ის 172, II, 1

I. მოთხოვნის წარმოშობა (+)

- ნოდარი – მესაკუთრე (+)
- სოსოს მიერ ნოდარის საკუთრების ხელყოფა (+)
- ნივთის ამოღება ან ჩამორთმევა (-)
- ნოდარის (მესაკუთრის) თმენის ვალდებულება (-)

II. მოთხოვნის შეწყვეტა (-)

- კაზუსი არ შეიცავს რაიმე მითითებას

III. მოთხოვნის განხორციელება (+)

- კაზუსი არ შეიცავს საწინააღმდეგო მითითებებს

შედეგი: ნოდარის მოთხოვნა სოსოს მიმართ 172, II, 1-ის მიხედვით ბოთლების გატანის თაობაზე (+)

კაზუსი 1. „Samsung“-ის ტელევიზორი

(ხელშეკრულების დადება; ნების გამოვლენა; გარიგება; მოთხოვნის წარმოშობა, შეწყვეტა და განხორციელებაღობა)

საწყისი კაზუსი

ლევანს სურს, ტექნიკით მოვაჭრე მერაბისაგან შეიძინოს ტელევიზორი. იგი 2005 წლის 5 მარტს ეწვია მერაბს და შეუკვეთა „SAMSUNG“-ის ფირმის ტელევიზორი 1000 ლარად, ადგილზე მიტანით. მერაბი დასთანხმდა და მეორე დღეს სასურველი ტელევიზორი მიანოდა ლევანს, თუმცა ლევანმა ამასობაში გადაიფიქრა და ტელევიზორის მიღებაზე უარი განაცხადა.

შეუძლია თუ არა მერაბს, მოითხოვოს საფასურის გადახდა?

მოდულიკაცია 1

ტელევიზორის დროული მიწოდებით გახარებულმა ლევანმა მერაბს საჩქაროდ გადაუხადა საფასური ნაღდი ფულით. შუადღისას სამსახურში დაბრუნებულ მერაბს დაავიწყდა გადახდილი თანხის შესაბამის დოკუმენტებში ასახვა. ორი თვის შემდეგ, როდესაც იგი თავის დოკუმენტებს ათვალიერებდა, შემთხვევით აღმოაჩინა, რომ ლევანის მიერ თანხის გადახდა აღრიცხული არაა და, რადგან ამასობაში სრულიად გადაავიწყდა ლევანის მიერ თანხის გადახდის ფაქტი, მერაბი ხელმეორედ ითხოვს ტელევიზორის საფასურს.

შეუძლია თუ არა მერაბს, მოითხოვოს გადახდა ხელმეორედ?

მოდულიკაცია 2

მერაბმა ლევანს ტელევიზორი 2005 წლის 9 მარტს მიანოდა. ლევანი შეუთანხმდა, რომ თანხას არაუგვიანეს 2005 წლის 30 მარტისა საბანკო ანგარიშზე გადაურიცხავდა. მერაბმა ეს თარიღი ჩაინიშნა თავის კომპიუტერში, ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალურ პროგრამაში, რომელსაც მერაბისათვის ვადის გასვლა უნდა შეეხსენებინა. ლევანმა შეთანხმებულ ვადაში თანხა არ გადაურიცხა. მერაბს ვადის გადაცილება არც გახსენებია და, პროგრამული შეცდომის გამო, არც კომპიუტერულმა პროგრამამ შეატყობინა ეს. მხოლოდ სამი წლის შემდეგ, 2008 წლის აპრილში, როდესაც კომპიუტერში ახალი პროგრამა დაინსტალირდა, მერაბს გაახსენდა გადაუხდელი საფასურის შესახებ და მოითხოვა იგი ლევანისაგან. ლევანმა უარი განაცხადა თანხის გადახდაზე ხანდაზმულობის გამო.

რამდენად დასაბუთებულია მერაბის მოთხოვნა?

საკითხის ბასალრმავებლად!

ხელშეკრულების დადება

ძალიან ხშირად კაზუსის შეკითხვა ეხება ისეთ მოთხოვნას, რომელიც მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს. ასეთი მოთხოვნის წინაპირობა ხელშეკრულების დადებაა.

მაგალითად: თუ ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია, გამყიდველი სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ვალდებულია, მიყიდველს გადასცეს საკუთრების უფლება ქონებაზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი მიყიდველს ავალდებულებს, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ქონება.

ხელშეკრულების დადების წესებს განსაზღვრავს სკ-ის 327-ე და შემდგომი მუხლები. ამ მუხლებიდან გამომდინარეობს, რომ ხელშეკრულება ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენით – ოფერტი და აქცეპტით – იდება. ოფერტი შეთავაზებაა და დროში წინ უსწრებს მეორე მხარის აქცეპტს, ანუ თანხმობას.

ოფერტი და აქცეპტი შინაარსობრივად ურთიერთმფარავი უნდა იყოს და ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას მოიცავდეს. არსებითი პირობები ხელშეკრულების სხვადასხვა სახეს სხვადასხვაგვარი აქვს. მაგალითად, ნასყიდობისას არსებითია ნასყიდობის საგანი, ფასი და მხარეები. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, შემდეგი **განმარტებები** ჩამოვყალიბოთ:

ოფერტი არის ნების გამოვლენა, რომლითაც პირი, რომელსაც ხელშეკრულების დადება სურს, სხვას სთავაზობს ხელშეკრულების იმგვარად ჩამოყალიბებულ არსებით პირობებს, რომლებზეც ყოველგვარი შინაარსობრივი ცვლილების გარეშე უპირობო თანხმობა ხელშეკრულების წარმოშობისათვის საკმარისია.³

აქცეპტი არის ნების გამოვლენა, რომლითაც ოფერტის ადრესატი ოფერტის შინაარსზე უპირობო თანხმობას აცხადებს.⁴

ნების გამოვლენა

ნების გამოვლენა სამართლებრივად მნიშვნელოვანი ნების გამოხატვაა. ნება სამართლებრივად მნიშვნელოვანი მაშინაა, როცა მისი მიზანი სამართლებრივი შედეგის მიღწევაა. ასეთი სამართლებრივი შედეგი შეიძლება იყოს, მაგალითად, ხელშეკრულების ძალაში შესვლა მისგან გამომდინარე უფლებებითადავალდებულებებითურთ. ოფერტი და აქცეპტი ნების გამოვლენაა, რადგან მათი მიზანი სწორედ ამ შედეგის მიღწევაა. ამგვარად, ნების გამოვლენა

³ Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 38. Aufl., Rn. 165; შდრ. *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 329, 119-120.

⁴ იქვე, Rn. 176.

შეიძლება **განიმარტოს** როგორც კერძო ნების გამოსატყა სამართლებრივი შედეგის მისაღწევად.⁵

გარიგება

გარიგება ცალმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენაა, რომელიც უშუალოდ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს. განსხვავებით ნების გამოვლენისაგან, რომლისთვისაც სამართლებრივი შედეგის მიღწევა მხოლოდ *მიზანია*, გარიგება სამართლებრივ შედეგს *უშუალოდ წარმოშობს*.⁶

მაგალითად: ვინც ნასყიდობის ხელშეკრულების ოფერტს გასცემს (ოფერენტი), მას სკ-ის 477-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგების დადგომა სურს. თუმცა მხოლოდ მისი ოფერტი (ნების გამოვლენა) ამ შედეგს ვერ წარმოშობს. მხოლოდ მეორე თანმხვედრი ნების გამოსატყის (აქცეპტი) შემდეგ დაიდება ნასყიდობის ხელშეკრულება (გარიგება). სწორედ ეს გარიგება (ამ შემთხვევაში ნასყიდობა) წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს უშუალოდ (სკ-ის 477-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნის წარმოშობა).

ამიტომ ცალ-ცალკე აღებული არც ოფერტი და არც აქცეპტი არ არის გარიგება.

ამდენად, ხელშეკრულება გარიგების ერთ-ერთი სახეა. იგი ორი (ან მეტი) ნების გამოვლენისაგან – ოფერტისა და აქცეპტისაგან – შედგება და უშუალოდ წარმოშობს სამართლებრივ მოთხოვნებს, ე. ი. სამართლებრივ შედეგებს.

თუმცა გარიგების ცნება მხოლოდ ხელშეკრულებებით არ შემოიფარგლება. სხვა შემთხვევებშიც შესაძლოა, სახეზე იყოს გარიგება, რომელიც სამართლებრივ შედეგს უშუალოდ წარმოშობს. ზოგიერთ მათგანს ჩვენ მომდევნო კაზუსების განხილვისასაც შევხვებით.

A. სანყისი კაზუსი – მერაბის მოთხოვნა ლევანისაგან 1000 ლარის ოდენობით ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე

მერაბს შესაძლოა, ჰქონდეს ლევანისაგან ნასყიდობის ფასის, 1000 ლარის, მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე. ამისათვის საჭიროა, ეს მოთხოვნა წარმოიშვას, არ იყოს შეწყვეტილი და იყოს განხორციელებადი.

⁵ იქვე, Rn. 44.

⁶ *Brox/Walker*, Allgemeiner Teil des BGB, 38. Aufl., Rn. 96 ff; შდრ. *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, 232-233, 240-242; ასევე *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, 311-315, 329-330.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ამ მოთხოვნის წარმოშობის აუცილებელი წინაპირობაა ნასყიდობის ნამდვილი ხელშეკრულების არსებობა მხარეთა შორის. შესაბამისად, უნდა შემოწმდეს, დაიდო თუ არა ნასყიდობის ხელშეკრულება.

1. ნასყიდობის ხელშეკრულება

ნასყიდობის ხელშეკრულების დასადავად საჭიროა ორი ურთიერთმფარავი ნების – ოფერტისა და აქცეპტის – გამოვლენა.

ა. ოფერტი

საკითხავია, იყო თუ არა ლევანის შეკვეთა ოფერტი?

ოფერტარის ნების გამოვლენისას პირი, რომელსაც ხელშეკრულების დადება სურს, სხვას სთავაზობს ხელშეკრულების იმგვარად ჩამოყალიბებულ არსებით პირობებს, რომლებზეც, ყოველგვარი შინაარსობრივი ცვლილების გარეშე, უბრალო თანხმობა ხელშეკრულებას წარმოშობს. ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, არსებით პირობებად მიიჩნევა ნასყიდობის საგანი, ფასი და მხარეები.

წარმოდგენილ შემთხვევაში, ლევანის შეთავაზება მერაბის მიმართ შეიცავდა ნასყიდობის ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას და ამ შეთავაზებაზე, მისი შინაარსის ყოველგვარი ცვლილების გარეშე, მერაბის თანხმობა საკმარისი იქნებოდა ხელშეკრულების დასადავად.

შესაბამისად, ლევანის ოფერტი სახეზეა.

ბ. აქცეპტი

უნდა შემოწმდეს, აგრეთვე, იყო თუ არა გაცხადებული აქცეპტი მერაბის მხრიდან.

აქცეპტი არის ნების გამოვლენა, რომლითაც ოფერტის ადრესატი ოფერტის შინაარსზე თანხმობას აცხადებს.

ამ შემთხვევაში, მერაბი ლევანის შეთავაზებას დასთანხმდა, შესაბამისად, აქცეპტიც სახეზეა.

შუალედური დასკვნა: რადგან სახეზეა ოფერტიცა და აქცეპტიც, რომლებიც ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე შეთანხმებას მოიცავენ, ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია. შესაბამისად, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მოთხოვნა წარმოიშვა.

II. მოთხოვნის შეწყვეტა და განხორციელება

კაზუსის ფაბულიდან არ იკვეთება მოთხოვნის შეწყვეტის ან განუხორციელებლობის გარემოებები, შესაბამისად, მოთხოვნა არსებობს და განხორციელებადია.

საბოლოო დასკვნა: მერაბს აქვს ლევანისაგან 1000 ლარის ოდენობით ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

A. მერაბის მოთხოვნა ლევანისაგან ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე

I. მოთხოვნის წარმოშობა (+)

- ნასყიდობის ხელშეკრულება (+)
 - ოფერტი (+)
 - აქცეპტი (+)

II. მოთხოვნის შეწყვეტა (-)

- კაზუსი არ შეიცავს რაიმე მითითებას

III. მოთხოვნის განხორციელება (+)

შედეგი: მერაბის მოთხოვნა ლევანის მიმართ, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე (+)

B. მოდიფიკაცია 1 – მერაბის მოთხოვნა ლევანისაგან ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე

მერაბს შესაძლოა, ჰქონდეს ლევანისაგან ნასყიდობის ფასის, 1000 ლარის, მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე. ამისათვის საჭიროა, ეს მოთხოვნა წარმოიშვას, არ იყოს შეწყვეტილი და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ამ მოთხოვნის წარმოშობის აუცილებელი წინაპირობაა ნასყიდობის ნამდვილი ხელშეკრულების არსებობა მხარეთა შორის.

ლევანსა და მერაბს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია (იხ. ზემოთ). შესაბამისად, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მერაბის მოთხოვნა ლევანის მიმართ წარმოშობილია.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

მერაბის აღნიშნული მოთხოვნა ლევანის მიმართ, სკ-ის 427-ე მუხლის თანახმად, შესაძლოა, შეწყვეტილიყო შესრულებით.

ამისათვის საჭიროა, ნაკისრი ვალდებულება – ნასყიდობის ფასის გადახდა – შესრულებული იყოს კრედიტორის სასარგებლოდ. ლევანმა მე-

რებს თანხა ერთხელ უკვე გადასცა. შესაბამისად, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე და სკ-ის 427-ე მუხლის თანახმად, მერაბის მოთხოვნა შეწყვეტილია.

საბოლოო დასკვნა: მერაბს არ აქვს ლევანის მიმართ 1000 ლარის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

B. მერაბის მოთხოვნა ლევანისაგან ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე

I. მოთხოვნის წარმოშობა (+)

- ნასყიდობის ხელშეკრულება (+)
 - ოფერტი (+)
 - აქცეპტი (+)

II. მოთხოვნის შეწყვეტა (+)

შედეგი: მერაბის მოთხოვნა ლევანის მიმართ, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე (-)

C. მოდიფიკაცია 2 – მერაბის მოთხოვნა ლევანისაგან ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლიდან გამომდინარე

მერაბს შესაძლოა, ჰქონდეს ლევანისაგან ნასყიდობის ფასის, 1000 ლარის, მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე. ამისათვის საჭიროა, ეს მოთხოვნა წარმოიშვას, არ იყოს შეწყვეტილი და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ამ მოთხოვნის წარმოშობის აუცილებელი წინაპირობაა ნასყიდობის ნამდვილი ხელშეკრულების არსებობა მხარეთა შორის.

ლევანსა და მერაბს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია (იხ. ზემოთ). შესაბამისად, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მერაბის მოთხოვნა ლევანის მიმართ წარმოშობილია.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

კაზუსის ფაბულიდან არ იკვეთება მოთხოვნის შეწყვეტის რაიმე წინაპირობა. შესაბამისად, მოთხოვნა შეწყვეტილი არაა.

III. მოთხოვნის განხორციელებადობა

საკითხავია, ხომ არ არის მერაბის მოთხოვნა ხანდაზმულობის გამო განუხორციელებელი, სკ-ის 144-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით?

ამისათვის საჭიროა, მერაბის მოთხოვნა იყოს ხანდაზმული. რადგან ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნებისათვის ხანდაზმულობის განსაკუთრებული ვადა არაა დაწესებული, მათ მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ზოგადი ვადა – 3 წელი, სკ-ის 129-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი ვარიანტის თანახმად. ეს ვადა, სკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, ე. ი. იმ მომენტიდან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

ხანდაზმულობის ვადის ათვლა

მოთხოვნის ხანდაზმულობა გამორიცხავს მის განხორციელებადობას. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა მომენტიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის ათვლა. სკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ეს ვადა *მოთხოვნის წარმოშობის* მომენტიდან იწყება, მოთხოვნის წარმოშობას კი იგივე მუხლი განმარტავს მომენტად, როცა **პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ**. უნდა აღინიშნოს, რომ სკ-ის 130-ე მუხლში ტერმინოლოგიური უზუსტობაა, კერძოდ, „მოთხოვნის წარმოშობა“ არასწორადაა გამოყენებული და რეალურად გულისხმობს არა ამ სიტყვების ლიტერატურაში დამკვიდრებულ მნიშვნელობას, არამედ უკვე წარმოშობილი მოთხოვნის **ვადამოსულობის** მომენტს. როგორც წესი, მოთხოვნის წარმოშობისა და მოთხოვნის ვადამოსულობის მომენტები ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ არა ყოველთვის.

მაგალითად: „ა“-მ და „ბ“-მ დადეს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა, რომ ნაკისრ ვალდებულებებს ისინი შეასრულებენ ერთი წლის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში, მოთხოვნა წარმოშობილია ხელშეკრულების დადების მომენტიდან, ხოლო ვადამოსული ეს მოთხოვნა მხოლოდ შეთანხმებული მომენტის დადგომისას – ერთი წლის გასვლის შემდეგ ხდება. თუკი სკ-ის 130-ე მუხლის შინაარსს სიტყვასიტყვით განვმარტავთ და ხანდაზმულობის ვადის ათვლას მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან დავიწყებთ, კრედიტორის ინტერესები შეილახება, რადგან მას გაუმართლებლად დაეკარგება ერთი წელი კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადისა. შესაბამისად, სკ-ის 130-ე მუხლის ტელეოლოგიური განმარტებიდან გამომდინარე, ვადის ათვლა უნდა დაიწყოს მოთხოვნის ვადამოსულობის მომენტიდან.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ ხანდაზმულობის ვადის ათვლის **ობიექტურ** და **სუბიექტურ** სისტემებს. ობიექტური სისტემის შემთხვევაში, გადამწყვეტია

ვადამოსულობის მომენტის ობიექტურად დადგომის ფაქტი (უფლების დარღვევის მომენტი), ხოლო სუბიექტური სისტემა ვადის ათვლას უკავშირებს უფლებამოსილი პირის მიერ უფლების დარღვევის შესახებ შეტყობას. სკ-ის 130-ე მუხლის სიტყვებიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ ქართული სამართალი უპირატესობას ანიჭებს სუბიექტურ სისტემას,⁷ თუმცა ნმინდა სუბიექტური სისტემისაგან განსხვავებით, შემოაქვს ობიექტური დამკვირვებლის კრიტერიუმიც („უნდა შეეტყო“).

ხშირ შემთხვევაში, უფლების დარღვევის მომენტი და მისი გაცნობის მომენტი ერთმანეთს ემთხვევა. გასარკვევია, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, როცა ეს ორი მომენტი დროში აცდენილია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს სუბიექტურ მომენტს, ე. ი. გადამწყვეტი უნდა იყოს უფლების დარღვევის გაცნობის მომენტი.⁸ თუმცა ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს სკ-ის 130-ე მუხლის სიტყვები, – „უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ“, – რომლებიც მიუთითებენ კრედიტორის პასუხისმგებლობაზე, სულ მცირე, მაშინ, როცა კრედიტორი თავისივე უხეში გაუფრთხილებლობის გამო დააგვიანებს დარღვევის გაცნობას. ასეთ დროს გამართლებული იქნება, თუკი ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყება სწორედ იმ მომენტიდან, როდესაც კრედიტორს ჰქონდა რეალური საშუალება, შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

ამდენად, უპირველესად, გასარკვევია, როდის შეიტყო ან უნდა შეეტყო მერაბს სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების დარღვევის შესახებ. სკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ, ხელშეკრულებით განსაზღვრონ შესრულების დრო. ამ შემთხვევაში, ლევანი და მერაბი შეთანხმდნენ, რომ ვალდებულება არაუგვიანეს 2005 წლის 30 მარტისა უნდა შესრულებულიყო. შესაბამისად, მერაბის მოთხოვნაც სწორედ 2005 წლის 30 მარტს გახდა ვადამოსული. მართალია, მერაბმა უფლების დარღვევის შესახებ გვიან შეიტყო, მაგრამ მას ჰქონდა შესაძლებლობა, ადრევე გასცნობოდა დარღვევის ფაქტს და თავისივე გაუფრთხილებლობის გამო ვერ გაეცნო (დაავიწყდა). აქედან გამომდინარე, ვადამოსულობის მომენტიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის ათვლა. შესაბამისად, სკ-ის 129-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი ვარიანტი განსაზღვრული სამწლიანი ვადა 2008 წლის 30 მარტს გავიდა, აპრილში კი მოთხოვნა ხანდაზმული იყო.

⁷ ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 123, 124.

⁸ კვანტალიანი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხ. 130, ველი 7.

ვინაიდან ხანდაზმულობა, სკ-ის 144-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე, არის უფლების შემაფერხებელი შესაგებელი, მოვალემ მასზე უნდა მიუთითოს. ამ შემთხვევაში, ლევანმა ნათლად მიუთითა ხანდაზმულობის ვადის გასვლაზე.

შუალედური დასკვნა: სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მერაბის მოთხოვნა ხანდაზმულობის გამო არ არის განხორციელებადი.

საბოლოო დასკვნა: მერაბს არ შეუძლია, ლევანისაგან მოითხოვოს ნასყიდობის ფასი სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

C. მერაბის მოთხოვნა ლევანის მიმართ ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე

I. მოთხოვნის წარმოშობა (+)

➤ ნასყიდობის ხელშეკრულება (+)

II. მოთხოვნის შეწყვეტა (-)

III. მოთხოვნის განხორციელებადობა (-)

➤ ხანდაზმულობის ვადის გასვლა (+)

➤ ლევანის მითითება ხანდაზმულობაზე (+)

შედეგი: მერაბის მოთხოვნა ლევანის მიმართ, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე (-)

სამახსოვრო!

- **ოფერტი** არის ნების გამოვლენა, რომლითაც პირი, რომელსაც ხელშეკრულების დადება სურს, სხვას სთავაზობს ხელშეკრულების იმგვარად ჩამოყალიბებულ არსებით პირობებს, რომლებზეც, ყოველგვარი შინაარსობრივი ცვლილების გარეშე, უპირობო თანხმობა ხელშეკრულების წარმოშობისათვის საკმარისია.
- **აქცეპტი** არის ნების გამოვლენა, რომლითაც ოფერტის ადრესატი ოფერტის შინაარსზე უპირობო თანხმობას აცხადებს.
- **ნების გამოვლენა** სამართლებრივად მნიშვნელოვანი ნების გამოხატვაა, ხოლო
- **გარიგება** ცალმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენაა, რომელიც უშუალოდ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს.

კაზუსი 2. გუდიაშვილის ნახატი

(ხელშეკრულების დადება; თანხმობა შეცვლილი პირობებით; დუმილი, როგორც ნების გამოვლენა)

დათოს დიდმა ბებამ მემკვიდრეობით დაუტოვა ლადო გუდიაშვილის ნაკლებად ცნობილი ნახატის ორიგინალი. დათო მხატვრობის დიდი მოყვარული არაა, ამიტომ მისი გაყიდვა გადანყვიტა და კოლექციონერ ვაჟას წერილობით შესთავაზა ნახატი 3000 ლარად. ვაჟას საპასუხო წერილში ეწერა, რომ იგი სიამოვნებით იღებს ამ შემოთავაზებას, მაგრამ 2500 ლარს გადაიხდის. დათოს პასუხი არ გაუცია.

შეუძლია თუ არა თუ არა ვაჟას, მოითხოვოს ნახატი და მასზე საკუთრების უფლების გადაცემა?

A. ვაჟას მოთხოვნა დათოს მიმართ ნახატისა და მასზე საკუთრების უფლების გადაცემის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე

ვაჟას შესაძლოა, ჰქონდეს დათოსაგან ნახატისა და მასზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა იყოს წარმოშობილი, არ იყოს შეწყვეტილი და იყოს განხორციელებადი.

1. მოთხოვნის წარმოშობა – ნასყიდობის ხელშეკრულება

ეს მოთხოვნა წარმოიშობა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებით. ნასყიდობის ხელშეკრულების დადება ხდება მხარეთა მიერ ურთიერთ-თანმხვედრი ნების გამოხატვით, ე. ი. აქცეპტითა და ოფერტით.

2. დათოს ოფერტი

უპირველესად, უნდა შემოწმდეს, არის თუ არა სახეზე დათოს ოფერტი. ოფერტი არის მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, რითაც პირი სხვას იმგვარი ფორმულირებით სთავაზობს ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას, რომ მასზე უბრალო თანხმობაც საკმარისი იქნებოდა ხელშეკრულების დასადებად.

ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, არსებით პირობებად უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულების საგანი, ფასი და მხარეები. დათოს შეთავაზება ყველა ამ პირობას შეიცავდა, ე. ი. მან ოფერტი განახორციელა.

3. ვაჟას აქცეპტი

გარდა ამისა, სახეზე უნდა იყოს ვაჟას აქცეპტი. აქცეპტიც მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა, რომლითაც აქცეპტანტი ოფერტზე უპირობოდ თანხმობას აცხადებს. მართალია, ვაჟამ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ მისი თანხმობა არ იყო უპირობო, კერძოდ, მან შეცვალა ნასყიდობის ფასი. სკ-ის 333-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ოფერტზე თანხმობა შეცვლილი პირობებით ითვლება უარად ოფერტზე. შესაბამისად, ვაჟას აქცეპტი სახეზე არაა.

4. ახალი ოფერტი ვაჟას მხრიდან

სკ-ის 333-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ოფერტზე შეცვლილი პირობებით თანხმობა ახალ ოფერტად ჩაითვლება. ამდენად, სახეზეა ვაჟას ოფერტი დათოს მიმართ 2500 ლარად ნახატის შესყიდვის თაობაზე.

5. დათოს აქცეპტი

ვაჟას მხრიდან ახალ ოფერტზე დათოს აქცეპტით უნდა ეპასუხა. დათოს პასუხი არ გაუცია.

საკითხავია, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს დუმილი ნების გამოვლენად, ამ შემთხვევაში – აქცეპტად.

ზოგადად, ობიექტური მხარე, სკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე, დუმილში ვერ აღიქვამს ნებას. რადგან არანაირი მინიშნება არ არსებობს, დუმილისას ობიექტურად შეცნობადი არც თანხმობაა და არც უარი. შესაბამისად, დუმილი, როგორც წესი, არ ითვლება აქცეპტად.

დუმილი, როგორც აქცეპტის ფორმა

ნების გამოვლენა, უპირველესად, აქტიურ მოქმედებას გულისხმობს, რამდენადაც ნების გამოვლენის ნამდვილობის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა მისი ობიექტური შემადგენლობაა; ე. ი., საშუალოდ გონიერი ადამიანისათვის ნების გამოვლენა და მისი შინაარსი აღქმადი უნდა იყოს. ობიექტური დამკვირვებლის თვალსაწიერიდან კი უმოქმედობა, როგორც წესი, ნების გამოვლენად არ აღიქმება. შესაბამისად, სამართალში **დუმილი თანხმობის ნიშანი არაა**.⁹ უფრო მეტიც: **დუმილი არც უარყოფას ნიშნავს** – მას, როგორც წესი, საერთოდ არ აქვს გარიგების სამართლებრივი მნიშვნელობა.

თუმცა ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისებიც. ერთ-ერთ, მაგრამ არა ერთადერთ, ასეთ გამონაკლისს პირდაპირ ასახელებს სკ-ის 335-ე მუხლი. კერძოდ, საქმიან ურთიერთობებში იმ მენარმის დუმილი ოფერტზე, რომელსაც სხვა პირთა საქმიანი ოპერაციების შესრულება უხდება, ჩაითვლება აქცეპტად. გარდა ამისა, ლიტერატურაში აღიარებულია, რომ დუმილი თანხმობად ჩაითვლება აგრეთვე მაშინაც, როცა ამაზე მხარეთა შორის არსებობს წინასწარი შეთანხმება,¹⁰ ან მათ ურთიერთობაში უკვე ჩამოყალიბებული ტრადიციები ცალსახად მიუთითებენ, რომ დუმილი მეორე მხარის მიერ თანხმობად აღიქმება.

გამონაკლისის სახით დუმილს, როგორც აქცეპტის ფორმას, სკ-ის 334-ე და 335-ე მუხლები იცნობენ მხოლოდ სამენარმეო და საქმიან ურთიერთობებში. ასეთი ურთიერთობა ვაჟასა და დათოს შორის არ არის.

⁹ *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, 342-343; *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 335, 146; *Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 38. Aufl., Rn. 195 ff.*

¹⁰ *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 335, 147; *Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 38. Aufl., Rn. 195.*

კაზუსის ფაბულა არ ასახელებს არც სხვა რაიმე განსაკუთრებულ გარემოებებს, მაგ. დათოსა და ვაჟას შორის შეთანხმებას,¹¹ რაც გვაფიქრებინებდა, რომ გამონაკლისის სახით დათოს დუმილი ნების გამოვლენად შეიძლება ჩათვლილიყო. შესაბამისად, სახეზე არ გვაქვს დათოს აქცეპტი ნახატის 2500 ლარად გაყიდვის თაობაზე.

შუალედური დასკვნა: დათოსა და ვაჟას შორის არ დადებულია ნასყიდობის ნამდვილი ხელშეკრულება, სკ-ის 477-ე მუხლის მიხედვით.

საბოლოო დასკვნა: ვაჟას არ აქვს უფლება, დათოსაგან მოითხოვოს ნახატისა და მასზე საკუთრების უფლების გადაცემა, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე.

A. ვაჟას მოთხოვნა დათოსაგან ნივთის გადაცემის თაობაზე

I. ნასყიდობის ხელშეკრულება (-)

- დათოს ოფერტი (+)
- ვაჟას აქცეპტი (-)
- ახალი ოფერტი ვაჟას მხრიდან (+)
- დათოს აქცეპტი (-)

შედეგი: ვაჟას მოთხოვნა დათოსაგან, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე (-)

სამანსწორი!

- აქცეპტი ოფერტზე უპირობო თანხმობაა. თუკი პასუხში მხარე თანხმობას აცხადებს ხელშეკრულების დადებაზე, ეს ითვლება ოფერტზე უარად და, ამავ დროს, – ახალ ოფერტად (სკ-ის 333-ე მუხლის მე-2 წინადადება).
- დუმილი, როგორც წესი, არ არის ნების გამოვლენა და, შესაბამისად, არც აქცეპტი შეიძლება განხორციელდეს დუმილით. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, დუმილს შეიძლება მიენიჭოს სამართლებრივი მნიშვნელობა, მაგალითად, როცა მხარეთა შორის არსებული შეთანხმება ან დამკვიდრებული ტრადიციები ცალსახად მიუთითებენ, რომ დუმილი თანხმობის ნიშანია.

დავალება: დათოს პასუხი ამჯერადაც არ გაუცია, თუმცა ვაჟას ნახატი გაუგზავნა.

შეუძლია თუ არა დათოს, მოითხოვოს ვაჟასგან 3000 ან 2500 ლარის გადახდა?

¹¹ შდრ. *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, 343-344.

კაზუსი 3. მედიცარა ნათია

(ნების გამოვლენის ნამდვილობის წინაპირობები, სკ-ის 51-ე მუხლის მიხედვით; ნების გაცხადება; ნების გაცხადება მესამე პირის მიერ)

ზაფხულის სიცხით შენუხებული კოტე შემთხვევით წააწყდა ტატოს ტექნიკის მაღაზიის სარეკლამო კატალოგს. კატალოგში წარმოდგენილი რამდენიმე კონდიციონერიდან კოტემ ერთ-ერთი შეარჩია და საჩქაროდ გაგზავნა ტატოსთან წერილი, რომ სამ ცალ 900-ლარიან თეთრი ფერის კონდიციონერს ყიდულობდა.

ცხელი ზაფხულის გამო ტატოს გაყიდვების საქმე ისედაც კარგად მისდის, ერთბაშად სამი ძვირადღირებული კონდიციონერის გაყიდვამ კი განსაკუთრებულად გაახარა: მაშინვე გაამზადა თანხმობის წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ კოტეს კონდიციონერების წაღება მომავალ კვირაში შეეძლო. თუმცა ტატო დარწმუნებული არაა, რომ კოტეს მიერ მოთხოვნილი კონდიციონერები საწყობში კიდევ დარჩა, ამიტომ წერილის გაგზავნა არ იჩქარა და გადამონმებამდე სამუშაო მაგიდაზე შეინახა.

როდესაც ტატო დღის ბოლოს მუშაობას მორჩა და ოფისიდან გავიდა, მის ოთახში დამლაგებელი ნათია შევიდა და ტატოს მაგიდაზე გასაგზავნად გამზადებულ კონვერტს მოჰკრა თვალი. ნათიამ იცოდა, რომ ასეთ საქმიან წერილებს ტატო ყოველთვის მაგიდაზე ტოვებდა, დღის ბოლოს კი მისი მდივანი წერილებს ერთად აგზავნიდა ხოლმე, მაგრამ ამჟამად ტატოს მდივანი შვებულებაში იყო. რადგან ნათიას ძალიან სურს, რომ თავის უფროსს რამენაირად თავი მოაწონოს, გადაწყვიტა, მდივნის როლი თავად ეკისრა და წერილი საფოსტო ყუთში ჩააგდო.

მეორე დღეს დილით ტატომ საწყობში შეიარა და გაარკვია, რომ 900-ლარიანი კონდიციონერებიდან მხოლოდ სამი ცალია დარჩა. თუმცა ეს სამი ცალი ტატოს თავისთვის სჭირდება, ამიტომ გადაწყვიტა, ძველი წერილი დაეხია და კოტესთვის უარი ეთქვა. წერილის რამდენიმეწუთიანი უშედეგო ძებნის შემდეგ მას ტელეფონზე ურეკავს კოტე, რათა კონდიციონერების ტრანსპორტირებასა და მონტაჟთან დაკავშირებულ წვრილმანებზე შეუთანხმდეს.

შეუძლია თუ არა კოტეს ტატოსგან კონდიციონერების მოთხოვნა?

A. კოტეს მოთხოვნა ტატოსაგან კონდიციონერების გადაცემის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე

კოტეს შესაძლოა, ჰქონდეს ტატოსაგან კონდიციონერების გადაცემის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა იყოს ნარმოშობილი, არ იყოს შეწყვეტილი და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის ნარმოშობა – ნასყიდობის ხელშეკრულება

ამისათვის საჭიროა, მათ შორის დადებული იყოს ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება. ნასყიდობის ხელშეკრულება იდება ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენით – ოფერტითა და აქცეპტით.

1. ოფერტი

ა. ტატოს სარეკლამო კატალოგი

საკითხავია, ჩაითვლება თუ არა ტატოს სარეკლამო კატალოგში გაკეთებული შეთავაზებები ოფერტად? ოფერტი არის მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, რომელშიც ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობა განსაზღვრულია და მასზე უპირობო თანხმობა (აქცეპტი) ხელშეკრულების დადებისათვის საკმარისია. ნასყიდობის ხელშეკრულების არსებით პირობებად ითვლება ნასყიდობის საგანი, ფასი და მხარეები. ტატოს კატალოგში, მართალია, ჩამოთვლილი იყო საგნები და მათი ფასები, მაგრამ არ იყო განსაზღვრული ხელშეკრულების მხარე, რამდენადაც კატალოგი პირთა განუსაზღვრელ წრეს მიემართებოდა. სკ-ის 329-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ასეთი შეთავაზება უნდა ჩაითვალოს არა ოფერტად, არამედ მოწვევად ოფერტზე. შესაბამისად, ტატოს ოფერტი სახეზე არაა.

მონვევა ოფერტზე

ოფერტი ხელშეკრულების დადებისაკენ მიმართული ისეთი ნების გამოვლენაა, რომელიც დასაადები ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას (ლათ. *essentialia negotii*) შეიცავს. არსებითი პირობების ერთობლიობა იმ მინიმალურ შინაარსს გულისხმობს, რის გარეშეც ამ ტიპის ხელშეკრულება, უბრალოდ, ვერ დაიდება. ასეთი პირობები, როგორც წესი, ხელშეკრულების მხარეების ვინაობა და ერთმანეთის მიმართ მათი ვალდებულებანია. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების დასაადებად, სულ მცირე, საჭიროა იმის

განსაზღვრა, თუ ვინაა გამყიდველი, ვინ – მყიდველი, რა არის ნასყიდობის საგანი და რა ღირს იგი. თუკი შეთავაზება ყველა ამ პირობას არ შეიცავს, იგი ოფერტად არ ჩაითვლება.

სკ-ის 329-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირთა განუსაზღვრელი წრისადმი მიმართული წინადადება არის არა ოფერტი, არამედ **მონვევა ოფერტზე** (ლათ. *invitatio ad offerendum*). ამდენად, ეს ნორმა ასახელებს ისეთ შემთხვევას, როდესაც შეთავაზება არ შეიცავს ხელშეკრულების არსებითი პირობებიდან ერთ-ერთს – ხელშეკრულების მეორე მხარის ვინაობას. ამის მაგალითია მაღაზიის ვიტრინაში გასაყიდი პროდუქციის გამოფენა მითითებული ფასებით, გაზეთში განცხადების გამოქვეყნება, თეატრის აფიშა, რეკლამა და სხვ. ასეთ დროს პირი თავისი შეთავაზებით მიმართავს განუსაზღვრელ წრეს და მოუწოდებს სხვებს, წარმოადგინონ თავიანთი ოფერტი.¹²

სკ-ის 329-ე მუხლის მე-2 ნაწილი ოფერტზე მონვევის მხოლოდ ერთ მაგალითს ასახელებს – როდესაც ხელშეკრულების მეორე მხარე არაა განსაზღვრული. თუმცა მონვევა ოფერტზე ყველა იმ სხვა შემთხვევაშიც სახეზეა, როდესაც ხელშეკრულების რომელიმე თუნდაც ერთი არსებითი პირობა არაა შეთავაზებაში განსაზღვრული, მაგ., ხელშეკრულების საგანი, ანდა ფასი.

მაგალითი: რესტორნის მენიუ, რომელიც მიმტანს მიაქვს კლიენტთან. ასეთ დროს ხელშეკრულების მხარეები – რესტორანი და კლიენტი – ცნობილია, თუმცა ჯერ კიდევ არაა დაზუსტებული, თუ რა საგანზე (კერძზე) უნდა დაიდოს ხელშეკრულება. ამას კლიენტი აზუსტებს და ამით სწორედ იგი აკეთებს ოფერტს რესტორნის წინაშე.

მონვევა ოფერტზე, განსხვავებით ოფერტისაგან, არაა მხოლოდ ხასიათის ე.ი., თუკი მესამე პირი მის შეთავაზებას (ოფერტზე მიწვევას) დასთანხმდება, ეს ჯერ კიდევ არ ავალდებულებს „ოფერტზე მიწვევ“ პირს, შეასრულოს ვალდებულება. რამდენადაც ოფერტზე მიწვევის „აქცეპტირება“ რეალურად ოფერტია ხელშეკრულების დასადებად და, შესაბამისად, სახელშეკრულებო ვალდებულების წარმოშობისათვის, ჯერ კიდევ საჭიროა „ოფერტზე მიწვევის“ თანხმობა (აქცეპტი). ზემოთ მოყვანილ მაგალითში რესტორნის კლიენტის მიერ კონკრეტული კერძის არჩევა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ხელშეკრულება დაიდო – საჭიროა, რესტორანმაც თანხმობა განაცხადოს ამ კერძის მომზადებაზე.

¹² MüKo/Busche, BGB, 7. Aufl., 2015, § 145, Rn. 10-14; Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 38. Aufl., Rn. 165a.

ბ. კოტეს წერილი

ოფერტი შესაძლოა, მოცემული იყოს კოტეს წერილში. კოტეს წერილში განსაზღვრული იყო ნასყიდობის საგანიც, ფასიც და ხელშემკვერელი მხარეებიც. შესაბამისად, იგი შეგვიძლია, მივიჩნიოთ ოფერტად.

2. აქცეპტი

საკითხავია, უპასუხა თუ არა კოტეს ოფერტს ტატომ აქცეპტით.

ა. თანხმობის წერილი

ტატომ მის მიერ შედგენილი წერილით დაეთანხმა კოტეს პირობებს. ამდენად, ტატომ აქცეპტი წერილობით გადმოსცა.

შენიშვნა: ეს წინადადება ჩამოყალიბებულია „შემოკლებული“ დასკვნის სტილით, რომელიც არ შეიცავს ჰიპოთეზას. „შემოკლებული“ დასკვნის სტილის შემთხვევაშიც დასკვნა ბოლოში კეთდება. ასეთი სტილი კაზუსის წერილს გამოიყენება მაშინ, როცა საკითხი არაა პრობლემური. არაპრობლემური საკითხების ვრცლად განხილვა კაზუსის ამოხსნისას არაა საჭირო. მეტიც, გამსწორებლის მოლოდინია, რომ კაზუსის ამომხსნელი რეალურ სამართლებრივ პრობლემას დაინახავს და სწორედ მას დაუთმობს უფრო ვრცელ მიმოხილვას. ამიტომ ცალსახად ნათელ საკითხებზე დასკვნები ზოგჯერ გადანყვეტილების სტილშიც კი შეიძლება დაინეროს.

ბ. აქცეპტის ნამდვილობა

საკითხავია, არის თუ არა ტატოს აქცეპტი ნამდვილი.

**ნების გამოვლენის ნამდვილობის წინაპირობები,
სკ-ის 51-ე მუხლის მიხედვით**

ნების გამოვლენა შეიძლება იყოს მიღებასავალდებულო ან არამიღებასავალდებულო. მიღებასავალდებულო ენოდება ისეთ ნების გამოვლენას, რომელიც საჭიროებს ადრესატის მიერ მის მიღებას. რადგან ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებას წარმოადგენს, ხელშეკრულების დადებისაკენ მიმართული ყოველი ნების გამოვლენა მეორე მხარეს უნდა მიუვიდეს. ამდენად, ოფერტი და აქცეპტი ყოველთვის მიღებასავალდებულო ნების გამოვლენებია. თუმცა მიღებასავალდებულოდ ითვლება აგრეთვე ცალმხრივ ნების გამოვლენათა უმრავლესობა. მართალია, ისინი არ საჭიროებენ მეორე მხარის თანხმობას, კანონმდებლობა მიზანშეწონილად თვლის, რომ პირი, რომლის უფლებებზეც გავლენას ახდენს ასეთი ნების გამოვლენა, სულ მცირე,

ინფორმირებული უნდა იყოს ამის შესახებ. მაგალითად, ასეთია ხელშეკრულების მოშლა.

მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის ნამდვილობა უნდა შემოწმდეს, სკ-ის 51-ე მუხლის მიხედვით, შემდეგი სქემით:

1. ნების გამოვლენის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობა

ნების გამოვლენის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის შესახებ იხ. კაზუსები: ნების გამოვლენის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის შესახებ იხ. კაზუსი 12.

2. ნების გაცხადება

მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა „გაცხადებულია“, როცა იგი გამოვლენმა ადრესატისკენ მიმართა ისე, რომ, ჩვეულებრივ, სავარაუდოა ადრესატის მიერ მისი მიღება.¹³

3. ნების მისვლა

მიღებასავალდებულო ნების ნამდვილობისათვის ასევე აუცილებელია, რომ ნება ადრესატს მიუვიდეს. ნება მისულად ითვლება, როცა იგი ადრესატის ძალაუფლების სფეროში მოექცევა და ჩვეულებრივ ვითარებაში მოსალოდნელია, რომ ადრესატი მის შინაარსს გაეცნობა (ამის შესახებ იხ. კაზუსი: 5).¹⁴

4. ნების გამოთხოვა

ნება არ იქნება ნამდვილი, თუკი ადრესატს მისი გამოთხოვის შესახებ შეტყობინება უფრო ადრე, ან თავდაპირველი ნების მისვლისთანავე მიუვა (იხ. კაზუსი 6).¹⁵

გარდა ამისა, არსებობს **არამიღებასავალდებულო** ნების გამოვლენებიც, თუმცა ისინი ძალიან იშვიათია. არამიღებასავალდებულო ნების გამოვლენა მაშინ გვაქვს სახეზე, როცა იგი გავლენას სხვა პირის უფლებებზე ვერ მოახდენს, ანდა მისთვის მხოლოდ სარგებელი მოაქვს (მაგ.: უფლების მიტოვება; საკუთრების მიტოვება, სკ-ის 190-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით; ჯილდოს საჯაროდ დაპირება, სკ-ის 755-ე მუხლის მიხედვით). არამიღებასავალდებულო ნების ნამდვილობისათვის მხოლოდ მისი შინაარსის გარეგნულად ფორმულირების დასრულებაა საკმარისი.¹⁶

სამახსოვრო შენიშვნა: ანდერძი არის არამიღებასავალდებულო ნების გამოვლენა. ანდერძის ნამდვილობისათვის არც მემკვიდრეთა თანხმობაა

¹³ *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, 244-246.

¹⁴ იქვე, გვ. 246-248.

¹⁵ იქვე, 248-249.

¹⁶ *Brox/Walker*, Allgemeiner Teil des BGB, 38. Aufl., Rn. 142.

საჭირო და არც ანდერძის მისვლა მათთან.¹⁷ მემკვიდრეები თანხმობას ან უარს ამბობენ მხოლოდ სამკვიდროს მიღებაზე და არა ანდერძის ნამდვილობაზე.

აქცეპტი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა, რომელიც, სკ-ის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ნამდვილი ხდება მაშინ, როცა იგი გაცხადებულია და მეორე მხარეს მიუვა.

აა. ნების გაცხადება

მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა „გაცხადებულად“ ითვლება, როცა მას გამომვლენი თავისი ნებით ადრესატისკენ ისე მიმართავს, რომ, ჩვეულებრივ, სავარაუდოა ადრესატის მიერ მისი მიღება. ტატოს ნება კოტესკენ ნათიამ მიმართა, თუმცა ეს არ მომხდარა ტატოს ნებით. შესაბამისად, ამ განმარტების თანახმად, ნება გაცხადებულად არ ჩაითვლება.

თუმცა საკითხავია, გამონაკლისის სახით მიჩნეული უნდა იქნეს თუ არა ნება გაცხადებულად მაშინ, როცა იგი გამომვლენის სურვილის გარეშე იქნება მიმართული ადრესატისაკენ და მესამე პირისათვის ნების გაცხადების შთაბეჭდილება იქმნება. ეს სადავოა.

შენიშვნა: ასეთ შემთხვევებში ნების გაცხადებულად მიჩნევის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ნების გამოვლენის ადრესატმა, როგორც წესი, არ იცის, ვინ, როგორ და რა ვითარებაში მიმართა ნება მისკენ, ამიტომ იგი, როგორც წესი, ენდობა მის მიერ მიღებული შეტყობინების ნამდვილობას.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ ფიქციას დავუშვებთ, ნება გაცხადებულად მხოლოდ მაშინ უნდა ჩავთვალოთ, როცა გამომვლენს შეეძლო, ევარაუდა, რომ ნება მისი სურვილის საწინააღმდეგოდ იქნებოდა მიმართული ადრესატისკენ და ამისი თავიდან არიდებაც შეეძლო.

შენიშვნა: წინააღმდეგ შემთხვევაში, ნება ნამდვილად გაცხადებულად ჩაითვლებოდა ყოველთვის, როცა მესამე პირი აშკარად ანდა ბოროტი განზრახვით გამომვლენის სურვილის საწინააღმდეგოდ მიმართავდა მას ადრესატისკენ; მაგალითად, მაშინაც, როცა ვილაც სეიფში ჩაკეტილ წერილს მოიპარავს და გაგზავნის. ასეთი მიდგომა კი ეწინააღმდეგება ნების ავტონომიის პრინციპს.

¹⁷ ახვლედიანი, სკ-ის კომენტარი, წიგნი V, 2000, მუხ. 1344, 401.

ამდენად, ამ შემთხვევაში, ტატოს ნება გაცხადებულად უნდა ჩავთვალოთ, თუკი მას შეეძლო, ევარაუდა, რომ მისი დამლაგებელი წერილს გაგზავნიდა და ასევე შეეძლო, თავიდან აეცილებინა ეს.

ტატომ წერილი თვალსაჩინო ადგილზე, სამუშაო მაგიდაზე დატოვა, თუმცა საკითხავია, იყო თუ არა მოსალოდნელი, რომ ვინმე ამ წერილს გაგზავნიდა. კაზუსის ფაბულიდან, ნათიას გარდა, არ იკვეთება სხვა პირი, ვისაც ტატოს ოთახში იმჟამად შესვლა შეეძლო. ნათია დამლაგებელია და მის მოვალეობაში შედის ოთახის დალაგება და არა ტატოს სხვა საქმეების მოგვარება. ფაბულაში აგრეთვე არაა მითითება იმაზე, რომ ნათიას ამგვარი რამ ადრეც გაუკეთებია. მართალია, სხვა დროს ამგვარად დატოვებულ წერილებს მდივანი გზავნიდა, მაგრამ ამჯერად მდივანი შვებულებაში იყო და ეს ტატომაც იცოდა. აქედან გამომდინარე, ტატოს არ შეეძლო, გაეთვალისწინებინა და თავიდან აეცილებინა ის, რომ სამუშაო მაგიდაზე დატოვებულ წერილს ნათია გაგზავნიდა. შესაბამისად, წერილის გაგზავნა არ შეიძლება შეერაცხოს ტატოს.

აქედან გამომდინარე, ნება გაცხადებულად არ ჩაითვლება.

3. შედეგი – ნასყიდობის ხელშეკრულება

აქცეპტის არარსებობის გამო ტატოსა და კოტეს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება არ დადებულა.

II. საბოლოო შედეგი

კოტეს არ აქვს ტატოსაგან კონდიციონერების გადაცემის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე.

A. კოტეს მოთხოვნა ტატოს მიმართ ნივთის გადაცემის თაობაზე

I. ნასყიდობის ხელშეკრულება (-)

- ოფერტი (+)
 - ტატოს კატალოგი (-)
 - კოტეს წერილი (+)
- აქცეპტი (-)
 - თანხმობის წერილი (+)
 - ნების გაცხადება კოტეს მიერ (-)
 - წერილის გაგზავნა დამლაგებლის მიერ (+)
 - ნების გაცხადების ფიქცია (-)

შედეგი: კოტეს მოთხოვნა ტატოს მიმართ, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე (-)

სამახსოვრო!

- ოფერტი ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას უნდა შეიცავდეს. არსებითი პირობები ხელშეკრულების სხვადასხვა ტიპის შემთხვევაში სხვადასხვაა, მაგ., ნასყიდობის შემთხვევაში არსებითია ნასყიდობის საგანი, ფასი და მხარეები. თუკი შეთავაზება არ შეიცავს ყველა არსებით პირობას, ან/და მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისკენ (მაგ., მალაზიის ვიტრინაში გამოფენილი გასაყიდი პროდუქცია), იგი ითვლება არა ოფერტად, არამედ **მონვევად ოფერტზე** (სკ-ის 329-ე მუხლის მე-2 ნაწილი).
- ნების გამოვლენის ნამდვილობის ერთ-ერთი წინაპირობა არის **ნების გაცხადება**. მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა „გაცხადებულია“, როცა იგი გამოვლენმა ადრესატისკენ მიმართა ისე, რომ, ჩვეულებრივ, სავარაუდოა ადრესატის მიერ მისი მიღება. მაგ. ოფერტის შემცველი წერილის დაწერა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი გაცხადებულია: ნების გამოვლენმა იგი ადრესატისაკენ უნდა მიმართოს, საფოსტო ყუთში ჩააგდოს, შუამავალს გაატანოს და სხვ. მიღებასავალდებულო ნების ნამდვილობისათვის გაცხადება ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი, აუცილებელი წინაპირობაა: გაცხადებასთან ერთად საჭიროა ნების გამოვლენის მისვლა მის ადრესატთან.
- თუ ნების გამოვლენა არა მისი ავტორის, არამედ სხვა პირის მიერ გაცხადდა, იგი ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს მაშინ, როცა მის ავტორს შეეძლო გაეთვალისწინებინა და თავიდან აეცილებინა ნების გამოვლენის გაცხადება სხვა პირის მიერ (**ნების გაცხადების ფიქცია**).
- **არამიღებასავალდებულო** ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის მხოლოდ **ნების გაცხადება** – ე.ი. მისი შინაარსის გარეგნულად ფორმულირების დასრულება – საკმარისია.

დავალბა:**კაზუსის მოდიფიკაცია**

ფაქტობრივი გარემოებები რჩება უცვლელი იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ნათია ტატოს მდივანია, ხოლო სანყობში კონდიციონერები საერთოდ აღარაა დარჩენილი.

შეუძლია თუ არა კოტეს ტატოსგან კონდიციონერების მოთხოვნა?

კაზუსი 4. საჩუქარი კოლეგას

(ნების გამოვლენა კონკლუდენტურად; აქცეპტის მისვლა მეორე მხარესთან; აქცეპტის მისვლის ზედმეტობა; ჩუქების გაუქმება)

სამართლის პროფესორმა გიორგიმ კოლეგა დავითს გაუგზავნა თავისი ახალგამოქვეყნებული ნაშრომის ერთი ეგზემპლარი. წიგნში ჩადებული იყო ბარათი წარწერით: „პატივისცემით დოქტორ დავითს ავტორისაგან“. დავითმა წიგნი შეინახა კარადაში, რომელშიც მსგავსი წარწერიანი ბარათებით სავსე 500-ამდე წიგნი ინახება. გიორგი გაბრაზდა, რადგან დავითი შესაბამისი შეფასებით არ გამოეხმაურა მის მონოგრაფიულ ნაშრომს და კოლეგას წიგნის უკან დაბრუნება მოსთხოვა. დავითი წიგნის დაბრუნებაზე უარს ამბობს.

რომლის პოზიციასა სამართლებრივად დასაბუთებული?

A. გიორგის მოთხოვნა დავითის მიმართ წიგნის უკან დაბრუნების თაობაზე, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე

გიორგის დავითის მიმართ შესაძლოა ჰქონდეს წიგნის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, არსებობდეს ნამდვილი მოთხოვნა, რომელიც არაა შეწყვეტილი და განხორციელებადია.

I. მოთხოვნა გიორგის საკუთრებიდან გამომდინარე

ამის აუცილებელი წინაპირობაა, რომ გიორგი იყოს წიგნის მესაკუთრე. წიგნის თავდაპირველი მესაკუთრე გიორგია. თუმცა საკითხავია, დაკარგა თუ არა მან საკუთრების უფლება.

1. საკუთრების უფლების გადასვლა ჩუქების საფუძველზე, სკ-ის 524-ე მუხლის თანახმად

გიორგის წიგნზე საკუთრების უფლება შესაძლოა დაეკარგა დავითთან დადებული ნამდვილი ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, სკ-ის 524-ე მუხლიდან გამომდინარე. მოძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენითა და ნივთის გადაცემით.

ა. ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა

წიგნში ჩადებულ ბარათზე გაკეთებული წარწერა იყო გიორგის ოფერტი დავითის წინაშე წიგნის ჩუქების თაობაზე, სკ-ის 329-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად. ეს ოფერტი დავითმა მიიღო, როდესაც მან წიგნში ბარათი იპოვა.

საკითხავია, არის თუ არა სახეზე დავითის აქცეპტი. აქცეპტი არის მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, რომლითაც ოფერტის ადრესატი ოფერტის შინაარსზე თანხმობას აცხადებს.

დავითს გიორგისთვის პასუხი არ გაუცია. დუმილი, როგორც წესი, არ ითვლება აქცეპტად. სკ-ის 335-ე მუხლი დუმილს, როგორც აქცეპტის ფორმას, ითვალისწინებს მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობაში (გარდა ცალკეული გამონაკლისი შემთხვევებისა). ამ შემთხვევაში არც დავითი და არც გიორგი მეწარმეები არ არიან, შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევა სახეზე არაა და დავითის დუმილი ვერ შეფასდება აქცეპტად.

დავითს შესაძლოა, აქცეპტი კონკლუდენტური მოქმედებით გამოეხატა.¹⁸ მან გიორგისგან გამოგზავნილი წიგნი იმ კარადაში შეინახა, სადაც ძველად ნაჩუქარ მსგავსწარწერიან წიგნებს ინახავდა. დავითის ამ ქმედებაში ჩუქების თაობაზე გიორგის ოფერტზე კონკლუდენტური აქცეპტი იკვეთება. თუმცა აქცეპტი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა და მისი ნამდვილობისათვის, სკ-ის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საჭიროა, რომ იგი მეორე მხარეს მიუვიდეს. გიორგის არ მისვლია დავითის აქცეპტი.

იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ აქცეპტის მეორე მხარესთან მისვლა მისი ნამდვილობისათვის შესაძლოა, ზედმეტი იყოს, როცა, სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ტრადიციიდან გამომდინარე, იგი მოსალოდნელი არ იყო.¹⁹

შენიშვნა: აქ საუბარია არა თავად აქცეპტის ზედმეტობაზე, არამედ მხოლოდ მისი მეორე მხარესთან მისვლის ზედმეტობაზე. ამ შემთხვევაში სახეზეა კონკლუდენტური მოქმედებით გამოვლენილი აქცეპტი, რომლის მისვლაც მეორე მხარესთან, შესაძლოა, არ იყოს საჭირო.

სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებულ ტრადიციად უნდა იქნეს განხილული კონკრეტულ საზოგადოებრივ წრეში გაბატონებული ფაქტობრივი პრაქტიკა. ახალგამოცემული ნაშრომების ერთმანეთისათვის ჩუქება აკადემიურ წრეებში დამკვიდრებული ჩვეულებაა. როგორც წესი, დასაჩუქრებულისაგან ელოდებიან, რომ იგი დაუკავშირდება ავტორს და მადლობას გადაუხდის. თუმცა უჩვეულო არც ის იქნება, თუკი დასაჩუქრებული წიგნს, უბრალოდ, კარადაში შეინახავს და მოგვიანებით, სხვა საკითხზე შეხვედრისას, ავტორთან მადლიერების ნიშნად მოკლედ მიმოიხილავს მის ნაშრომს. შესაბამისად, უშუალოდ მიღებისთანავე აქცეპტის გაცხადება მოსალოდნელი არაა. ამ საზოგადოებრივი წრის ასეთი ტრადიციიდან გამომდინარე, დავითის აქცეპტის მისვლა გიორგისთან არ იყო აუცილებელი პირობა აქცეპტის ნამდვილობისათვის.

შესაბამისად, სახეზეა დავითის ნამდვილი აქცეპტი.

¹⁸ კონკლუდენტური ნების გამოვლენის შესახებ იხ. *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, 344.

¹⁹ შდრ. *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, 337-338.

ბ. ნივთის გადაცემა

სკ-ის 525-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულიად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან.

ნიგნი არის მოძრავი ნივთი. კაზუსის ფაბულიდან ცალსახაა, რომ გიორგიმ დავითს ნივთი გადასცა.

შუალედური დასკვნა: გიორგისა და დავითს შორის დაიდო ნამდვილი ჩუქების ხელშეკრულება, რის საფუძველზეც გიორგიმ დავითს გადასცა ნიგნი და მასზე საკუთრების უფლება. აქედან გამომდინარე, გიორგი აღარაა ნიგნის მესაკუთრე.

საბოლოო შედეგი: გიორგის არ აქვს დავითისაგან ნიგნის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

A. გიორგის მოთხოვნა დავითისაგან ნიგნის უკან დაბრუნების შესახებ

I. გიორგის საკუთრება (-)

- თავდაპირველი მესაკუთრე (+)
- საკუთრების დაკარგვა ჩუქებით (+)
 - ოფერტი (+)
 - აქცეპტი (+)
 - ნივთის გადაცემა (+)

შედეგი: გიორგის მოთხოვნა დავითისგან ნიგნის დაბრუნების შესახებ, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე (-)

B. გიორგის მოთხოვნა დავითის მიმართ ნიგნის უკან დაბრუნების თაობაზე, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე

გიორგის შესაძლოა, ჰქონდეს დავითისაგან ნიგნის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე.

შენიშვნა: გასათვალისწინებელია, რომ ხშირად კრედიტორის ინტერესების დასაკმაყოფილებლად საჭიროა მისი მოთხოვნის სხვადასხვა საფუძველის შემოწმება. კაზუსის ამოხსნისას უნდა შემოწმდეს ყველა ის საფუძველი, რომლებმაც შესაძლოა, მისი მოთხოვნა სამართლებრივად დაასაბუთონ. მოთხოვნის საფუძველების შემოწმებისას უნდა დავიცვათ შემდეგი თანმიმდევრობა:

1. სახელშეკრულებო მოთხოვნები (მაგ., სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილი);

2. კვაზისახელშეკრულებო მოთხოვნები (მაგ.: წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, სკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილი; დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულება, სკ-ის 969-ე მუხლი და შემდგომნი);
3. სანივთოსამართლებრივი მოთხოვნები (მაგ., სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილი);
4. დელიქტური მოთხოვნები (მაგ., სკ-ის 922-ე მუხლი);
5. უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნები (სკ-ის 976-ე მუხლი და შემდგომნი).

მაშინაც კი, როცა კაზუსის ამოხსნისას ერთი მოთხოვნა სამართლებრივად უკვე დასაბუთებულია, საჭიროა ყველა დანარჩენი სავარაუდო საფუძვლის შემოწმება. თუკი დადგინდება, რომ კრედიტორს ერთი და იგივე მოთხოვნა რამდენიმე სხვადასხვა საფუძვლით აქვს, ეს მას აძლევს ალტერნატიული საფუძვლებიდან ერთ-ერთის ამორჩევის საშუალებას და არა ვალდებულების რამდენიმეჯერ შესრულების მოთხოვნის უფლებას.

ამისათვის, უპირველესად, გასარკვევია, წარმოიშვა თუ არა ეს მოთხოვნა. შესაბამისად, უნდა შემოწმდეს აღნიშნული მუხლის წინაპირობები.

I. რაიმეს გადაცემა

პირველი წინაპირობა, მუხლის ფორმულირების მიხედვით, რაიმეს გადაცემაა. როგორც უკვე აღინიშნა (იხ. ზემოთ A, I, 1. ბ.) გიორგიმ დავითს წიგნი გადასცა.

II. ვალდებულების შესასრულებლად

გარდა ამისა, საჭიროა, რომ გადაცემა გაცნობიერებულად და მიზანმიმართულად ვალდებულების შესრულებისკენ იყოს მიმართული. ამ შემთხვევაში გიორგიმ დავითს წიგნი ჩუქების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად გაცნობიერებულად გაუგზავნა. შესაბამისად, ეს წინაპირობაც სახეზეა.

III. უსაფუძვლოდ

გადაცემა უნდა მომხდარიყო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე: ვალდებულება არ უნდა არსებობდეს, არ უნდა იყოს წარმოშობილი, ან უნდა იყოს შეწყვეტილი.

წარმოდგენილ შემთხვევაში გიორგის მიერ დავითისათვის წიგნის გადაცემა მოხდა ჩუქების ნამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე. ჩუქების ხელშეკრულება არის სამართლებრივი საფუძველი. შესაბამისად, გადაცემა უსაფუძვლო არ ყოფილა.

შედეგი: გიორგის არ აქვს დავითისაგან წიგნის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

B. გიორგის მოთხოვნა დავითისაგან წიგნის უკან დაბრუნების თაობაზე

I. უსაფუძვლო გამდიდრება (-)

- ნივთის გადაცემა (+)
- ვალდებულების შესასრულებლად (+)
- უსაფუძვლოდ (-)

შედეგი: გიორგის მოთხოვნა დავითისაგან ნივთის უკან დაბრუნების შესახებ, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე (-)

C. გიორგის მოთხოვნა დავითის მიმართ წიგნის უკან დაბრუნების თაობაზე, სკ-ის 529-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

გიორგის შეიძლება ჰქონდეს დავითისაგან წიგნის გამოთხოვის უფლება, სკ-ის 529-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე. ამისათვის საჭიროა, ეს მოთხოვნა იყოს წარმოშობილი, არ იყოს შეწყვეტილი და იყოს განხორციელებადი. ამ მოთხოვნის წარმოშობისათვის, უპირველესად, საჭიროა, ჩუქების ხელშეკრულება იყოს გაუქმებული.

I. ჩუქების გაუქმება

ჩუქების გაუქმების წინაპირობებია სკ-ის 529-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ჩუქების გაუქმების საფუძვლის არსებობა და გაუქმების შესახებ ნების გამოვლენა.

1. ჩუქების გაუქმების საფუძველი

სკ-ის 529-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ჩუქების გაუქმების ორ საფუძველს ასახელებს: მჩუქებლის მიმართ დასაჩუქრებულის მიერ მძიმე შეურაცხყოფის მიყენება, ან დიდი უმადურობის გამოჩენა. დავითს გიორგისათვის არც მაღლობა გადაუხდია და არც მისი წიგნი შეუფასებია. ეს არ შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც მძიმე შეურაცხყოფა ან დიდი უმადურობა. დავითის საქციელი აკადემიურ წრეებში დამკვიდრებულ ჩვეულებასაც

შეესაბამება (იხ. ზემოთ A. I. 1. ა.). აქედან გამომდინარე, არ არსებობს ჩუქების გაუქმების საფუძველი.

შუალედური დასკვნა: დავითთან დადებული ჩუქების ხელშეკრულება ვერ გაუქმდება სკ-ის 529-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული საფუძველებით.

საბოლოო დასკვნა: გიორგის არ აქვს დავითისაგან წიგნის გამოთხოვის უფლება, სკ-ის 529-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

C. გიორგის მოთხოვნა დავითისაგან წიგნის უკან დაბრუნების თაობაზე

I. ჩუქების გაუქმება (-)

- ჩუქების გაუქმების საფუძველი (-)
 - მძიმე შეურაცხყოფა (-)
 - დიდი უმადურობა (-)

შედეგი: გიორგის მოთხოვნა დავითისაგან, სკ-ის 529-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე (-)

სამასსოვრო!

- ნების გამოვლენა არ არის აუცილებელი, სიტყვიერი ფორმით მოხდეს. ნების გამოვლენა **კონკლუდენტურადაც** შესაძლებელია, როცა გარემოებები ცალსახად მიუთითებს პირის ქმედების სამართლებრივ მნიშვნელობაზე.
- აქცეპტის მეორე მხარესთან მისვლა მისი ნამდვილობისათვის შესაძლოა ზედმეტი იყოს, როცა, სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ჩვეულებებიდან გამომდინარე, იგი მოსალოდნელი არც იყო.

დავალება: რა შეიცვლებოდა, თუკი დავითი გიორგის მონოგრაფიულ ნაშრომს მწვავე საჯარო კრიტიკით გამოეხმაურებოდა?

კაზუსი 5. სტუდენტური ცხოვრება

(ნების გამოვლენის მისვლა; ნების გამოვლენის შინაარსის გაცნობა მის მისვლამდე; მისვლის დამაბრკოლებელი გარემოებები; ნების მისვლის ფიქცია და მისვლის დროულობის ფიქცია)

საწყისი კაზუსი:

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი რატის თბილისში საცხოვრებლად დაქირავებული აქვს ერთოთახიანი ბინა. ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად, მას შეუძლია, მოშალოს ხელშეკრულება ნებისმიერი თვის ბოლოს, თუკი ერთი თვით ადრე გააფრთხილებს გამქირავებელს.

რატიმ გადაწყვიტა, ახალ ბინაში გადასულიყო საცხოვრებლად თავის მეგობარ გიორგისთან ერთად, რათა დაეზოგა ქირის ხარჯი. ამიტომ რატიმ 23 მაისს გადაწყვიტა ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა ივნისის ბოლოსთვის. რადგან რატი და გიორგი ახალი ბინის ძებნით აქტიურად არიან დაკავებული, რატიმ მხოლოდ 31 მაისის საღამოს, გვიან, მოახერხა გამქირავებელთან მისვლა, ამიტომ წერილი დაუნერა და კარის ქვეშ შეაგდო. გამქირავებელმა წერილი მეორე დღით, 1 ივნისს ნახა და ხელშეკრულების მოშლაზე უარი განაცხადა. მისი აზრით, რატიმ ქირა, სულ მცირე, ივლისის ბოლომდე უნდა იხადოს. რატი თვლის, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა 30 ივნისს უნდა შეწყდეს და ივლისის თვეში ქირის გადახდაზე უარს ამბობს.

რომლის პოზიციაა სამართლებრივად დასაბუთებული?

მოდულიკაცია 1:

გამქირავებელმა ჯერ კიდევ 31 მაისის საღამოს ნახა წერილი და ნაიკითხა.

რა იცვლება ამით?

მოდულიკაცია 2:

რატიმ წერილი ჯერ კიდევ 23 მაისს გაუგზავნა გამქირავებელს ფოსტით. კონვერტზე მან გამქირავებლის სახელი და მისამართი გაკრული, გაურკვეველი ხელით წააწერა. მეორე დღეს ფოსტალიონმა მინაწერს რამდენიმე წუთი უყურა, ძლივს ამოიკითხა სავარაუდო მისამართი და გამქირავებელს მიუტანა. გამქირავებელმა წერილს დახედა და ივარაუდა, რომ რატისგან იყო გამოგზავნილი და იგი ხელშეკრულების მოშლას მოითხოვდა, მაგრამ ადრესატის (თავისი) მისამართი და სახელი ზუსტად მანაც ვერ

ამოიკითხა, თანაც ხელშეკრულების მოშლაც არ სურდა... ამიტომ ფოსტალიონს უარი უთხრა წერილის მიღებაზე იმ მოტივით, რომ წერილის ადრესატი ვერ დგინდებოდა. ფოსტალიონმა წერილი უკან წაიღო და 31 მაისს რატის დაუბრუნა. რატიმ წერილი 2 ივნისს ხელმეორედ გაგზავნა და 3 ივნისის დილას იგი გამქირავებელმა წაიკითხა.

უნდა გადაიხადოს თუ არა რატიმ ივლისის თვის ქირა?

მოდIFIკაცია 3:

რატიმ წერილი გამქირავებელს ელ. ფოსტით 30 მაისს გაუგზავნა. ელ. ფოსტის მისამართი სხვა საკონტაქტო ინფორმაციასთან ერთად გამქირავებელმა რატის ერთი კვირის წინ მიანოდა, თუმცა მისამართში ერთი სიმბოლო შეცდომით დანერა. ელ. ფოსტით გაგზავნილი წერილი 1 ივნისს რატის უკან დაუბრუნდა შეტყობინებით, რომ „მითითებულ მისამართზე წერილის გაგზავნა შეუძლებელია“.

30 ივნისის დილას რატიმ დატოვა ნაქირავები ბინა და გამქირავებლის საცხოვრებელ სახლში კარის ქვემოდან თავად შეაღწურა კონვერტი, რომელშიც იდო ხელშეკრულების მოშლის შესახებ წერილი და გასაღები. რატიმ კონვერტს მინაწერიც გაუკეთა: „ვნუხვარ, რომ გვიან შეიტყვეთ ხელშეკრულების მოშლის შესახებ, მაგრამ ფოსტით ადრე გამოგზავნილმა წერილმა თქვენამდე ვერ მოაღწია“.

უნდა გადაიხადოს თუ არა რატიმ ივლისის ქირა?

A. სანყისი კაზუსი – გამქირავებლის მოთხოვნა რატის მიმართ ივლისის თვის ქირის გადახდის თაობაზე, სკ-ის 531-ე მუხლის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე

გამქირავებელს შესაძლოა, ჰქონდეს რატისაგან ივლისის თვის ქირის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 531-ე მუხლის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, წარმოშობილი მოთხოვნა არ იყოს შეწყვეტილი და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა – ქირავნობის ხელშეკრულება

ეს მოთხოვნა, უპირველესად, ეფუძნება მხარეებს შორის არსებულ ნამდვილ ქირავნობის ხელშეკრულებას. კაზუსის ფაბულიდან ირკვევა, რომ ასეთი ხელშეკრულება თავდაპირველად დადებული იყო.

II. მოთხოვნის შეწყვეტა – ხელშეკრულების მოშლა

ქირავნობის ხელშეკრულება შესაძლოა, მოშლილიყო და სახელშეკრულებო ურთიერთობა შემწყდარიყო 1 ივლისს. ამისათვის საჭიროა რატის მხრიდან ხელშეკრულების მოშლა ვადების დაცვით. ხელშეკრულების მოშლა მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა და მისი ნამდვილობა ეფუძნება ნების გაცხადებასა და მის მისვლას (სკ-ის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

შინაარსობრივად რატის წერილი შეიცავდა ხელშეკრულების მოშლის ნებას.

მითითება: ხელშეკრულების მოშლა არის გარიგება, რომელიც მხოლოდ ერთი ნების გამოვლენისაგან შედგება. ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი შედეგი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტაა.²⁰ გარიგების განმარტება იხ. ზემოთ, კაზუსი 1.

1. ნების გაცხადება

ნების გაცხადება ნიშნავს გამოვლენილი ნების ნებაყოფლობით ადრესატისათვის იმგვარად მიწოდებას, რომ ჩვეულებრივ ვითარებაში ნების ადრესატამდე მისვლა მოსალოდნელია. რატიმ წერილი გამქირავებლის

²⁰ ჟანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 352, 233-234.

კარის ქვეშ შეაცურა. ჩვეულებრივ ვითარებაში ამგვარი სახით მიწოდებული წერილის ადრესატამდე მისვლა მოსალოდნელია. შესაბამისად, სახეზეა ნების გაცხადება რატის მიერ.

2. ნების დროულად მისვლა

გარდა ამისა, საჭიროა, ნების მისვლა ადრესატთან.

ხელშეკრულების თანახმად, ქირავნობის ხელშეკრულების 1 ივლისს მოსაშლელად საჭირო იყო რატის მხრიდან ამის თაობაზე ერთი თვით ადრე, 31 მაისამდე, გაფრთხილება.

ამდენად, საკითხავია, მიუვიდა თუ არა რატის მიერ გამოვლენილი ნება ადრესატს 31 მაისამდე. ნება მისულად ითვლება, როდესაც იგი ადრესატის ძალაუფლების სფეროში იმგვარად მოექცევა, რომ მას მისი გაცნობის საშუალება აქვს და ნორმალურ ვითარებაში ეს მოსალოდნელიცაა. რატიმ წერილი გამქირავებლის საცხოვრებელ სახლში კარის ქვემოდან შეაცურა. საცხოვრებელი სახლი მიეკუთვნება მისი მფლობელის ძალაუფლების სფეროს. ამდენად, რატიმ წერილი 31 მაისის საღამოს გამქირავებლის ძალაუფლების სფეროში მოაქცია.

საკითხავია, დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე, რამდენად მოსალოდნელი იყო გამქირავებლის მიერ წერილის გაცნობა იმავე მომენტში. მართალია, 31 მაისს წერილი უკვე მოექცა ადრესატის ძალაუფლების სფეროში, მაგრამ მოლოდინი იმისა, რომ წერილს ადრესატი იმავე საღამოს აუცილებლად გაეცნობოდა, ვერ იქნება გამართლებული, მით უმეტეს, როცა წერილი საღამოს საათებში შეაცურეს კარის ქვეშ და ამ დროს ადრესატი სახლში არ იყო. ჩვეულებრივ ვითარებაში მოსალოდნელია, რომ საღამოს საათებში მიწოდებულ შეტყობინებას მეორე დღეს გაეცნობიან.²¹

ამ შემთხვევაშიც, მოსალოდნელი იყო, რომ გამქირავებელი წერილს მეორე დღეს გაეცნობოდა. შესაბამისად, მოშლის თაობაზე რატის მიერ გამოვლენილი ნება მისულად ჩაითვლება მხოლოდ 1 ივნისს. აქედან გამომდინარე, 1 ივლისს ველარ შეწყდება ხელშეკრულება და იგი შეწყვეტილად ჩაითვლება მხოლოდ 1 აგვისტოდან.

A. გამქირავებლის მოთხოვნა რატის მიმართ ივლისის ქირის გადახდის თაობაზე

- ქირავნობის ხელშეკრულება (+)
- ხელშეკრულების მოშლა (-)
 - ნების გაცხადება (+)
 - ნების მისვლა დროულად (-)

შედეგი: გამქირავებლის მოთხოვნა რატის მიმართ ივლისის თვის ქირის გადახდის თაობაზე (+)

²¹ Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 38. Aufl., Rn. 150, 150a.

შუალედური დასკვნა: დაგვიანებული ნების გამოვლენის გამო ხელშეკრულება არ მოიშლება 1 ივლისს და, სულ მცირე, მთელი ივლისის განმავლობაში მხარეთა შორის იარსებებს ნამდვილი ქირავნობის ხელშეკრულება.

III. მოთხოვნის განხორციელება

კაზუსის ფაბულაში არ იკვეთება რაიმე გარემოება, რაც მოთხოვნის განხორციელებას გამორიცხავდა. შესაბამისად, მოთხოვნა განხორციელებადია.

საბოლოო შედეგი: გამქირავებელს შეუძლია, რატისაგან მოითხოვოს ივლისის თვის ქირა, სკ-ის 531-ე მუხლის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე.

ნების მისვლა

I. განმარტება

ნება მისულად ითვლება, როდესაც იგი მიმღების ძალაუფლების სფეროში იმგვარად მოქცევა, რომ მიმღებს მისი გაცნობის საშუალება აქვს და ნორმალურ ვითარებაში ეს მოსალოდნელიცაა.²²

ამგვარად, ნების მისვლა შედგება ორი ძირითადი ელემენტისაგან, რომელთაგან ორივე თანადროულად უნდა იყოს სახეზე:

- (1) მიმღების ძალაუფლების სფეროში მოქცევა;
- (2) იმ მომენტის დადგომა, როდესაც ნორმალურ ვითარებაში მოსალოდნელია მიმღების მიერ ნების გაცნობა.

(1): ძალაუფლების სფეროს განეკუთვნება მიმღების გამგებლობაში მოქცეული სივრცე, მაგ., საცხოვრებელი ბინა. გამგებლობის სფეროში შედის აგრეთვე შეტყობინების მიმღები მონყობილობები, როგორებიცაა: ფაქსი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა და სხვ.

(2): თუკი 1-ლი წინაპირობა შესრულებულია, ნების მისვლა იმ მომენტში მოხდება, როცა **ნორმალურ ვითარებაში მოსალოდნელია**, რომ მიმღები ნების შინაარსს **გაცნობა**. ამ მომენტის განსაზღვრისას, როგორც ნესი, მხოლოდ ტიპურ ცხოვრებისეულ ვითარებებს ითვალისწინებენ და უგულებელყოფენ კაზუსის ფაბულაში აღწერილ განსაკუთრებულ გარემოებებს – მაგ., ადრესატის შვებულებაში ყოფნას – მაშინაც კი, როცა ნების გამომვლენისათვის ეს

²² კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, 2009, 246-248.

განსაკუთრებული გარემოებები ცნობილია.²³ ნების შინაარსის ფაქტობრივი გაცნობის მომენტი სამართლებრივად მნიშვნელოვანი, როგორც წესი, არაა.

გამონაკლისი: თუკი ადრესატი იმაზე ადრე გაეცნობა ნებას, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო, ნება, ფაქტობრივად, მისი გაცნობის მომენტიდან ჩაითვლება მისულად.

II. განსაკუთრებული შემთხვევები

ნების მისვლის ამ მნიშვნელობით გამოყენება ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა, გარკვეულ სირთულეებთან იყოს დაკავშირებული. ეს მაშინ, როცა ნების შეტყობინების დროს წარმოიშობა დაბრკოლება, რომელიც ნების ადრესატის ძალაუფლების სფეროში მოქცევას ან მისი გაცნობის შესაძლებლობას აფერხებს, ანდა სრულიად შეუძლებელს ხდის. ასეთ დროს ზემოთ აღნიშნულ განმარტებას ყოველთვის არ მივყავართ გონივრულ შედეგამდე. ამიტომ საჭირო ხდება ნების მისვლის ცნების მოდიფიცირება.

(1) **დაბრკოლება გამგზავნის სფეროში:** შემთხვევები, როდესაც ნების მისვლის დამაბრკოლებელი გარემოებები გამგზავნის გავლენის სფეროშია, დიდ სირთულეებს არ ქმნის. ასეთ დროს ზემოთ მითითებული განმარტების გამოყენება თავისუფლად შეიძლება, რადგან ნების მისვლის წინაპირობების შემსუბუქების საფუძველი არ არსებობს: გამგზავნი შეფერხებისა და ამის გამო ნების დაგვიანებული მისვლისათვის თავადაა პასუხისმგებელი. ამავე დროს, ნების მისვლის წინაპირობების გამკაცრებაც არაა საჭირო, რადგან ამ წინაპირობებით ადრესატი ისედაც საკმარისადაა დაცული.

გამგზავნის სფეროს მიეკუთვნება ყველა ეტაპი ადრესატის ძალაუფლების სფეროში ნების მოხვედრამდე (მაგ., საფოსტო ყუთში წერილის ჩაგდება-მდე). სანამ ნება ადრესატის ძალაუფლების სფეროში მოხვედება, გადაგზავნის პროცესში სწორედ გამგზავნია პასუხისმგებელი, რადგან სწორედ მას აქვს ამ პროცესის მართვის რეალური შესაძლებლობა და არა ადრესატს. გამგზავნის სფეროში დაბრკოლების ტიპური შემთხვევებია: ნების გადამტანის დაუდევრობა, არასწორად მითითებული ადრესატის მისამართი და სხვ.

(2) **დაბრკოლება ადრესატის სფეროში:** სხვადასხვაგვარ სირთულეს უკავშირდება შემთხვევები, როცა ნების მისვლის შემაფერხებელი ან დამაყოვნებელი გარემოება ადრესატის სფეროში წარმოიშობა. ეს ის შემთხვევებია, როცა გამგზავნმა თავისი მხრიდან, მართალია, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ნორმალურ პირობებში ნება დროულად მისულიყო ადრესატამდე, მაგრამ თავად ადრესატის მხრიდანაა შექმნილი ისეთი გარემოება, რაც მასთან ნების

²³ *Ellenberger*, in Palandt BGB Kommentar, 75. Aufl., 2016, § 130, Rn. 5 (შემდგომი მითითებებით).

მისვლას ან აყოვნებს, ან შეუძლებელს ხდის. ე.ი. დროულ მისვლას ისეთი გარემოებები უშლიან ხელს, რომლებსაც გამგზავნი ვერ მართავს. თუკი ასეთ შემთხვევებში ნების მისვლის ჩვეულ განმარტებას გამოვიყენებდით, მიმღებს ზედმეტი რისკი დაანებოდა მხოლოდ ადრესატის მიერ გამოწვეული შეფერხებისათვის. ამიტომ ჩვეული მიდგომა ამ დროს არ გამოიყენება.

როგორც წესი, ორი შესაძლებლობა არსებობს:

ერთი მხრივ, შესაძლებელია, დაშვებულ იქნეს, რომ ნება დროულად მივიდა, მიუხედავად იმისა, ეს დასახელებული კრიტერიუმებით არ მომხდარა. ე.ი., ფაქტობრივად, წარუმატებელ მისვლას წარმატებულად ჩავთვლით (**მისვლის ფიქცია**). ეს ადრესატისთვის ზედმეტად მკაცრი სანქციაა, რადგან ასეთი მიდგომა ნამდვილად აქცევს ნებას, რომლის შინაარსსაც ადრესატი საერთოდ არ გასცნობია. ამიტომ ამ შესაძლებლობას მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში იყენებენ, როცა გამგზავნის დაცვის განსაკუთრებული საჭიროება არსებობს.²⁴

მაგალითი: ადრესატმა ცემა და სახლიდან გააგდო ფოსტალიონი, რომელმაც წერილი მიუტანა; ადრესატი განზრახ თიშავს შეტყობინების მიმღებ მონყობილობებს, რადგან იგი არასასურველ შეტყობინებას ელოდება (ტელეფონის ან ფაქსის აპარატის გათიშვა, საფოსტო ყუთის დალუქვა);

მეორე მხრივ, შესაძლებელია, ფიქცია გავავრცელოთ მხოლოდ ნების მისვლის დროულობაზე და არა თავად მისვლაზე (**მისვლის დროულობის ფიქცია**). ეს შესაძლებელია მაშინ, როცა ადრესატი ნების მისვლას არა განზრახ, არამედ მხოლოდ გაუფრთხილებლობით აფერხებს და ეს გამგზავნისთვისაც ცნობილი ხდება, მაგალითად, როცა გზავნილი გამგზავნს უკან უბრუნდება. ასეთ შემთხვევაში გონივრულია, რომ გამგზავნმა ხელმეორედ სცადოს თავისი ნების მიწოდება ადრესატამდე. მეორე ცდის წარმატების შემთხვევაში ნების გამოვლენა მისულად ჩაითვლება არა ფაქტობრივი მისვლის მომენტიდან, არამედ იმ მომენტიდან, როცა პირველი ცდისას ჩვეულებრივ ვითარებაში ნების მისვლა მოსალოდნელი იყო.²⁵ ასეთ დროს ნების გამოვლენს აქვს არჩევანი, ხელმეორედ განაცხადოს ნება (**მისვლის დროულობის ფიქციის** სამართლებრივი შედეგით), ან, სულაც, უარი თქვას ნების გამოვლენაზე.

შენიშვნა: სხვადასხვა შემთხვევის ცალკეული დეტალის სამართლებრივი შეფასება საკამათოა. წინამდებარე მიმოხილვა არ იძლევა

²⁴ MüKo/Einsele, BGB, 7. Aufl., 2015, § 130, Rn. 36.

²⁵ MüKo/Einsele, BGB, 7. Aufl., 2015, § 130, Rn. 37.

ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების სრულ სურათს და ემსახურება მხოლოდ წარმოდგენილი კაზუსის ფაბულასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბებას.

B. მოდიფიკაცია 1 – გამქირავებლის მოთხოვნა რატის მიმართ ივლისის თვის ქირის გადახდის თაობაზე, სკ-ის 531-ე მუხლის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე

გამქირავებელს შესაძლოა, ჰქონდეს რატისაგან ივლისის თვის ქირის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 531-ე მუხლის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა იყოს წარმოშობილი, არ იყოს შეწყვეტილი და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა – ძირავენობის ხელშეკრულება

მოთხოვნის წარმოშობისათვის საჭიროა, რომ მხარეთა შორის მითითებულ თვეში არსებობდეს ქირავენობის ნამდვილი ხელშეკრულება. ქირავენობის ხელშეკრულება რატისა და გამქირავებელს შორის თავდაპირველად დადებული იყო.

II. მოთხოვნის შეწყვეტა – ხელშეკრულების მოშლა

თუმცა ქირავენობის ხელშეკრულება შესაძლოა, მოშლილიყო და სახელშეკრულებო ურთიერთობა შემწყდარიყო 1 ივლისს. ამისათვის საჭიროა რატის მხრიდან ხელშეკრულების მოშლა ვადების დაცვით. ხელშეკრულების მოშლა მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა და მისი ნამდვილობა ეფუძნება ნების გამოვლენასა და მის მისვლას (სკ-ის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

შინაარსობრივად რატის წერილი იყო ხელშეკრულების მოშლის ნება.

1. ნების გაცხადება

რატიმ წერილი გამქირავებლის კარის ქვეშ შეაცურა. ჩვეულებრივ ვითარებაში მოსალოდნელია, რომ ამგვარი სახით მიწოდებულ წერილს ადრესატი ნახავს. შესაბამისად, სახეზეა ნების გაცხადება რატის მიერ.

2. ნების მისვლა

ხელშეკრულების თანახმად, ქირავნობის ხელშეკრულების 1 ივლისს მოსაშლელად საჭირო იყო რატის მხრიდან ამის თაობაზე ერთი თვით ადრე, 31 მაისამდე გაფრთხილება. ამდენად, საკითხავია, მიუვიდა თუ არა რატის მიერ გამოვლენილი ნება ადრესატს 31 მაისამდე.

ნება მისულად ითვლება, როდესაც იგი ადრესატის ძალაუფლების სფეროში იმგვარად მოექცევა, რომ მას მისი გაცნობის საშუალება აქვს და ნორმალურ ვითარებაში ეს მოსალოდნელიცაა. საცხოვრებელი სახლი მისი მეპატრონის ძალაუფლების სფეროს მიეკუთვნება. ამდენად, რატიმ წერილის კარის ქვეშ შეცურებით იგი 31 მაისის საღამოს გამქირავებლის ძალაუფლების სფეროში მოაქცია.

ჩვეულებრივ ვითარებაში, მოსალოდნელი იყო, რომ გამქირავებელი წერილს მეორე დღეს გაცნობოდა (შდრ. ზემოთ, A. II, 2) და ნებაც, როგორც წესი, ამ დროიდან ჩაითვლება მისულად. თუმცა საკითხავია, გამქირავებლის მიერ წერილის ფაქტობრივად წაკითხვა 31 მაისის საღამოს ხომ არ ცვლის ნების მისვლის მომენტს.

ადრესატის მიერ ნების შინაარსის „ნაადრევად“ გაცნობისას ნების მისვლის მომენტად ნების შინაარსის ფაქტობრივად გაცნობის მომენტის აღიარება, უპირველესად, ადრესატის ინტერესებს ემსახურება. კერძოდ, მის ინტერესში შედის, რომ მის მიერ უკვე გაცნობილი ნება ნების გამოვლენმა უკან არ გაიხზოს. ამის გაკეთება კი ნების გამოვლენს ნების მისვლამდე შეუძლია; მეორე მხრივ, როგორც წესი, ნების გამოვლენის ინტერესებშიცაა, რომ მის მიერ გამოვლენილი ნება რაც შეიძლება მალე მიუვიდეს ადრესატს და იქცეს ნამდვილად. აქედან გამომდინარე, ადრესატის მიერ ნების შინაარსის მოსალოდნელზე ადრე გაცნობის შემთხვევაში ნება სწორედ ფაქტობრივად გაცნობის მომენტიდან უნდა ჩაითვალოს ნამდვილად.

შესაბამისად, რატის მიერ გამოვლენილი ნება მეორე მხარეს მიუვიდა 31 მაისის საღამოს.

შუალედური დასკვნა: რატისა და გამქირავებელს შორის დადებული ქირავნობის ხელშეკრულება მოიშლება 1 ივლისს. ივლისის თვეში მხარეებს შორის არ იარსებებს სახელშეკრულებო ურთიერთობა.

<p>B. გამქირავებლის მოთხოვნა რატის მიმართ ივლისის ქირის გადახდის თაობაზე</p>
<ul style="list-style-type: none"> ➤ ქირავნობის ხელშეკრულება (+) ➤ ხელშეკრულების მოშლა (+) <ul style="list-style-type: none"> ○ ნების გაცხადება (+) ○ ნების მისვლა დროულად (+) <p>შედეგი: გამქირავებლის მოთხოვნა რატის მიმართ ივლისის თვის ქირის გადახდის თაობაზე (-)</p>

საბოლოო შედეგი: გამქირავებელს არ შეუძლია, რატისაგან მოითხოვოს ივლისის თვის ქირა, სკ-ის 531-ე მუხლის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე.

C. მოდიფიკაცია 2 – გამქირავებლის მოთხოვნა რატის მიმართ ივლისის თვის ქირის გადახდის თაობაზე, სკ-ის 531-ე მუხლის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე

გამქირავებელს შესაძლოა, ჰქონდეს რატისაგან ივლისის თვის ქირის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 531-ე მუხლის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა არ იყოს შეწყვეტილი და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა – ქირავნობის ხელშეკრულება

მოთხოვნა რომ წარმოიშვას, უპირველესად, საჭიროა, რატისა და გამქირავებელს შორის დადებული იყოს ქირავნობის ხელშეკრულება. კაზუსის ფაბულიდან ირკვევა, რომ ასეთი ხელშეკრულება თავდაპირველად დადებული იყო.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

თუმცა იგი შეიძლება მოშლილიყო. ხელშეკრულების თანახმად, ქირავნობის ხელშეკრულების 1 ივლისს მოსაშლელად საჭირო იყო რატის მხრიდან ამის თაობაზე ერთი თვით ადრე, 31 მაისამდე, გაფრთხილება.

რატიმ ხელშეკრულების მოშლის თაობაზე წერილი 23 მაისს გაგზავნა. ხელშეკრულების მოშლა მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა და მისი ნამდვილობა ეფუძნება ნების გაცხადებასა და მის მისვლას (სკ-ის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

1. ნების გაცხადება

ნების გაცხადება ნიშნავს გამოვლენილი ნების ნებაყოფლობით ადრესატისათვის იმგვარად მიწოდებას, რომ ჩვეულებრივ ვითარებაში ნების ადრესატამდე მისვლა მოსალოდნელია. წარმოდგენილ კაზუსში ეჭვის საფუძველს იძლევა ის, რომ კონვერტზე ადრესატის სახლი და მისამართი

გაურკვეველად იყო მითითებული. როგორც წესი, თუ ადრესატის ვინაობის ზუსტად იდენტიფიცირება რთულდება, ფოსტა გზავნილს უკან უბრუნებს გამგზავნს. ამდენად, გაურკვეველი ხელით გაკეთებული წარწერის შემთხვევაში, მოსალოდნელი არაა, რომ წერილი ადრესატამდე მივა.

თუმცა საკითხავია, ცვლის თუ არა ამ დასკვნას ის ფაქტი, რომ, მიუხედავად გაურკვეველი წარწერისა, წერილი, ფაქტობრივად, მაინც სწორ ადრესატს წაუღეს.

ნების გაცხადების ნაკლის გამოსწორება მოვლენების ატიპური განვითარებით

ნების გამოვლენის ნამდვილობის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა მისი გაცხადებაა. ნების გაცხადება კი, როგორც უკვე აღინიშნა, მაშინ გვაქვს სახეზე, როცა სრულდება ორი წინაპირობა:

- (1) ნების გამომვლენი თავისი ნებით მიმართავს მას ადრესატისკენ და
- (2) ადრესატთან მისვლა **მოსალოდნელია**.

შესაბამისად, თუკი მისვლა მოსალოდნელი არაა, ნების გაცხადებაც არაა სახეზე. მაგალითად, თუკი პირი მტრედს ფეხზე შეაბამს წერილს იმ იმედით, რომ მტრედი საზღვარგარეთ მცხოვრებ მის ნათესავთან ჩაიტანს გზავნილს, ნების გაცხადება სახეზე არ იქნება, რადგან ასეთი სახით ადრესატისკენ მიმართული ნების გამოვლენის მისვლა დანიშნულების ადგილამდე მოსალოდნელი არაა. ადრესატთან **მისვლის მოსალოდნელობა**, როგორც წესი, **ობიექტური დამკვირვებლის** თვალსაწიერის კრიტერიუმით ფასდება.

თუმცა განსხვავებულად უნდა შეფასდეს შემთხვევები, როდესაც მოვლენები ატიპურად ვითარდება და – მიუხედავად იმისა, რომ ეს თავდაპირველად მოსალოდნელი არ იყო – ნების გამოვლენა, ფაქტობრივად, მაინც მიემართება სწორ ადრესატამდე (ნების გამოვლენა „სწორ გზაზე დგება“).

მაგალითი: „ა“ ელ. ფოსტის საშუალებით წერილს უგზავნის „ბ“-ს. „ა“ კარგად ვერ ერკვევა კომპიუტერულ სისტემებში და ჰგონია, რომ ტექსტის აკრეფა და ადრესატის ელ. ფოსტის მითითება საკმარისია წერილის გასაგზავნად. ამიტომ წერილის აკრეფის შემდეგ გაგზავნის ლილაკისთვის არ დაუჭერია, მაგრამ დარწმუნებულია, რომ წერილი ადრესატს მიუვა. სინამდვილეში წერილი ადრესატმა მხოლოდ იმიტომ მიიღო, რომ „ა“-ს ერთი წლის შვილიშვილმა რამდენიმე წუთის შემდეგ კომპიუტერის კლავიატურაზე ხელები აფათურა და შემთხვევით თითი დააჭირა გაგზავნის ლილაკზე.

ამ მაგალითში პირს თავისი ნების გამოვლენა არც ობიექტურად მიუმართავს ადრესატისკენ და არც ნების მისვლა იყო ობიექტურად მოსალოდნელი, მაგრამ მოვლენების ატიპურმა განვითარებამ ეს ნაკლი გამოასწორა და, ფაქტობრივად, განვითარებული მოვლენები (მათ შორის დამდგარი შედეგიც) სრულად შესაბამისი აღმოჩნდა ნების გამომვლენის რწმენასა და მის ნებასთან. ასეთ შემთხვევებში გაუმართლებელი იქნებოდა, თუკი ნების გაცხადებას უარყოფდით და, შესაბამისად, ნების გამოვლენას ბათილად გამოვაცხადებდით. ამას არც ერთი მხარის **ინტერესების** დაცვა არ მოითხოვს, პირიქით, ამით **ორივე მხარე დაზარალდებოდა**: (1) ნების გამომვლენის ინტერესია, რომ მისი ნების გამოვლენა არ გაბათილდეს, ხოლო (2) ადრესატს აქვს სამართლებრივი დაცვის ღირსი ნდობა, რომ მის მიერ მიღებული ნების გამოვლენა ნამდვილია.

ამდენად, როცა მოვლენების ატიპური განვითარების გამო ნების გამოვლენა მაინც „სწორ გზაზე დადგება“ და სწორი ადრესატისკენ იქნება მიმართული, **ნება გაცხადებულად ჩაითვლება, თუკი ნების გამომვლენს სჯეროდა, რომ მან ნება განაცხადა და რომ იგი ადრესატამდე მიაღწევდა.**

როდესაც მოვლენების ფაქტობრივი განვითარება – მიუხედავად იმისა, რომ ეს მოსალოდნელი არაა – მაინც სრულად შესაბამისი აღმოჩნდება ნების გამომვლენის რწმენასა და ნებასთან, ნება მაინც გაცხადებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან სხვა შემთხვევაში ნების გამოვლენის ორივე მხარის ინტერესები შეიძლება დაზარალდეს. ამ შემთხვევაში რატის სჯეროდა, რომ წერილი მიაღწევდა ადრესატამდე. მართალია, ეს თავდაპირველად ობიექტურად მოსალოდნელი არ იყო, თუმცა მოვლენების ატიპურმა განვითარებამ წერილი მაინც მიმართა სწორი ადრესატისკენ და ნების გამოვლენის მისვლა ამგვარად მოსალოდნელი გახდა. შესაბამისად, რატის ნების გამოვლენა გაცხადებულად უნდა ჩაითვალოს.

2. ნების მისვლა

საკითხავია, მივიდა თუ არა ნება ადრესატამდე. ნება მისულად ითვლება, როდესაც იგი ადრესატის ძალაუფლების სფეროში მოექცევა და ნორმალურ ვითარებაში მოსალოდნელია, რომ ადრესატი მის შინაარსს გაეცნობა. გამქირავებელმა წერილის მიღებაზე უარი თქვა და ფოსტალიონს იგი მისთვის არ გადაუცია. შესაბამისად, წერილი არ მოქცეულა გამქირავებლის ძალაუფლების სფეროში და ნება მისული არაა.

ადრესატის უარი მიღებაზე

ნების მისვლის შეფერხების განსაკუთრებული შემთხვევაა, როცა ადრესატი განზრახ უარს ამბობს მიღებაზე. სკ-ის 51-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადრესატს უფლებას აძლევს, უარი თქვას ნების მიღებაზე წინასწარ ან მაშინვე. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეს ეწინააღმდეგება ცალმხრივი ნების გამოვლენის ბუნებას, რადგან ცალმხრივი ნების ნამდვილობას დამოკიდებულს ხდის მეორე მხარის ნებაზე. ამიტომ ეს ნორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოყენებული, როცა უარის თქმის საფუძველი უშუალოდ კანონითაა განსაზღვრული (მაგ., სკ-ის 66-ე მუხლი).²⁶ სხვა შემთხვევებში, ადრესატის უარის სამართლებრივი შედეგი დამოკიდებული უნდა იყოს ნების მისვლის შემაფერხებელი საფუძვლის ხასიათზე (იხ. ზემოთ, მიმოხილვა ნების მისვლის შესახებ), კერძოდ:

(1) თუ ადრესატი ნების მიღებაზე უარს ამბობს იმ საფუძვლით, რაც გამგზავნის სფეროში წარმოიშვა, ნების მისვლის შეფერხება (მიუხედავად იმისა, რომ უარი ადრესატმა თქვა) გამგზავნის სფეროს უნდა მივაკუთვნოთ. მაგალითად, ასეთ შემთხვევასთან გვექნება საქმე, როცა კონვერტზე ადრესატის სახელი გაურკვეველადაა მითითებული და საეჭვოა ადრესატის ვინაობა, ანდა ადრესატის სახელი შეურაცხყოფელი ფორმითაა მითითებული.²⁷ ასეთ დროს მიღებაზე უარი *გამართლებულია*²⁸ და არ გამოიყენება არც მისვლის ფიქცია და არც დროულობის ფიქცია.

(2) თუკი ადრესატი სხვა საფუძვლით უარყოფს გამოვლენილ ნებას, მიღებაზე უარი *გაუმართლებელია*.²⁹ ასეთ შემთხვევაში არ იქნება გონივრული, გამგზავნს ხელმეორედ ცდის ვალდებულება დაეკისროს. ამიტომ გაუმართლებელი უარყოფის დროს შესაძლებელია ნების მისვლის ფიქციის გამოყენება და მისვლის მომენტად იმ მომენტის აღიარება, როცა მოსალოდნელი იყო მისვლა, ადრესატს უარი რომ არ განეცხადებინა.

თუმცა საკითხავია, ხომ არაა შესაძლებელი, გამოყენებულ იქნეს ნების მისვლის ფიქცია. ნების მისვლის ფიქციის გამოყენება შესაძლებელია, როცა ადრესატი გაცნობიერებულად და გაუმართლებლად უარს ამბობს მიღებაზე, რის გამოც ნების გამომვლენისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება არაგონივრული იქნებოდა. გამქირავებელმა უარი

²⁶ ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხ. 51, ველი 24-25.

²⁷ შდრ. იქვე, ველი 26.

²⁸ Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 38. Aufl., Rn. 157.

²⁹ იქვე.

თქვა წერილის მიღებაზე იმიტომ, რომ მისი სახელი და მისამართი გაურკვეველად ეწერა და ადრესატის ვინაობა საეჭვო იყო. ნების (წერილის) ტრანსპორტირებისათვის ზრუნვა ნების გამომვლენის სფეროში ექცევა, შესაბამისად, რატის უნდა ეზრუნა, რომ ფოსტალიონს ადრესატის ვინაობის გარკვევა არ გასჭირვებოდა. ამიტომ გამქირავებლის უარი გამართლებულია. ის ფაქტი, რომ გამქირავებელი ითვალისწინებდა წერილის არასასურველ შინაარსს, ამ შემთხვევაში არ ცვლის სამართლებრივ შეფასებას. აქედან გამომდინარე, ნების მისვლის ფიქცია ვერ იქნება გამოყენებული.

ერთი კვირის შემდეგ ხელშეკრულების მოშლის შესახებ შეტყობინება უკვე დაგვიანებული იყო და მის საფუძველზე ვერ მოხდებოდა ხელშეკრულების მოშლა 1 ივლისისათვის. რადგან გამქირავებლის მიერ უარყოფა გამართლებული იყო, ვერ მოხდება ვერც ნების მისვლის მომენტის ფიქტიურად წინ გადმონევა (დროულობის ფიქცია). შესაბამისად, ხელშეკრულება არ მოიშლება 1 ივლისს.

შუალედური დასკვნა: ივლისის განმავლობაში მხარეთა შორის იარსებებს ნამდვილი ქირავნობის ხელშეკრულება.

C. გამქირავებლის მოთხოვნა რატის მიმართ ივლისის ქირის გადახდის თაობაზე

- ქირავნობის ხელშეკრულება (+)
- ხელშეკრულების მოშლა (-)
 - ნების გაცხადება (+)
 - ნების მისვლა (-)

შედეგი: გამქირავებლის მოთხოვნა რატის მიმართ ივლისის თვის ქირის გადახდის თაობაზე (+)

III. მოთხოვნის განხორციელება

კაზუსის ფაბულიდან არ იკვეთება რაიმე გარემოება, რაც მოთხოვნის განხორციელებას გამორიცხავდა. შესაბამისად, იგი განხორციელებადია.

საბოლოო შედეგი: გამქირავებელს შეუძლია, რატისაგან მოითხოვოს ივლისის თვის ქირა, სკ-ის 531-ე მუხლის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე.

D. მოდიფიკაცია 3 – გამქირავებლის მოთხოვნა რატის მიმართ ივლისის თვის ქირის გადახდის თაობაზე, სკ-ის 531-ე მუხლის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე

გამქირავებელს შესაძლოა, ჰქონდეს რატისაგან ივლისის თვის ქირის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 531-ე მუხლის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე.

I. მოთხოვნის წარმოშობა – ქირავნობის ხელშეკრულება

მოთხოვნის წარმოშობისათვის, უპირველესად, საჭიროა, რატისა და გამქირავებელს შორის დადებული იყოს ქირავნობის ხელშეკრულება. კაზუსის ფაბულიდან ირკვევა, რომ ასეთი ხელშეკრულება თავდაპირველად დადებული იყო.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

თუმცა იგი შეიძლება მოშლილიყო. ხელშეკრულების თანახმად, ქირავნობის ხელშეკრულების 1 ივლისის მოსაშლელად საჭირო იყო რატის მხრიდან ამის თაობაზე ერთი თვით ადრე, 31 მაისამდე, გაფრთხილება.

რატიმ ხელშეკრულების მოშლის თაობაზე წერილი 30 მაისს გაგზავნა. ხელშეკრულების მოშლა მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა და მისი ნამდვილობა ეფუძნება ნების გაცხადებასა და მის მისვლას (სკ-ის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

1. ნების გაცხადება

ნების გაცხადება ნიშნავს გამოვლენილი ნების ნებაყოფლობით ადრესატისათვის იმგვარად მიწოდებას, რომ ჩვეულებრივ ვითარებაში ნების ადრესატამდე მისვლა მოსალოდნელია. რატიმ წერილი გამქირავებლის მიერ მითითებულ ელ. ფოსტის მისამართზე გაგზავნა. ნორმალურ ვითარებაში, სწორად მითითებული მისამართის შემთხვევაში, წერილის ადრესატამდე მისვლა მოსალოდნელია. რატიმ ნება განაცხადა.

2. ნების მისვლა

საკითხავია, მივიდა თუ არა ნება ადრესატთან. ამისათვის, უპირველესად, საჭიროა, რომ ნება ადრესატის ძალაუფლების სფეროში მოექცეს. ელ. ფოსტის შემოსული შეტყობინებების ყუთი არის ადრესატის ძალაუფლების სფერო, თუმცა წერილმა ადრესატამდე ვერ მიაღწია, რადგან მისა-

მართი სწორად არ იყო მითითებული. ამდენად, წერილი ვერ მოექცა გამქირავებლის ძალაუფლების სფეროში და ნება მისული არაა.

საკითხავია, რამდენად შეიძლება ფიქტიურად დაშვებულ იქნეს ნების მისვლა. ნების მისვლის ფიქციის გამოყენება შესაძლებელია, როცა ადრესატი გაცნობიერებულად და გაუმართლებლად უარს ამბობს მიღებაზე, რის გამოც ნების გამომვლენისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება არაგონივრული იქნებოდა. ნების მისვლა ამ შემთხვევაში დააბრკოლა იმან, რომ გამქირავებელმა რატის ელ. ფოსტის არასწორი მისამართი მიანიშნა. სწორი მისამართის მითითება ადრესატის მოვალეობაა, ასე რომ, მისვლის შემაფერხებელი გარემოება ამ შემთხვევაში ადრესატის სფეროს მიეკუთვნება.

საკითხავია, საჭირო იყო თუ არა რატის მხრიდან წერილის მიწოდების განმეორებითი ცდა. რატის წერილი ელ. ფოსტით უკან დაუბრუნდა, ამდენად, მან იცოდა, რომ პირველი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. ამავე დროს, იმ დასკვნის გაკეთების საშუალება, რომ ნების მისვლის შეფერხება ადრესატის განზრახმა და გაუმართლებელმა უარმა გამოიწვია, რატის არ ჰქონია. რატის, გარდა გამქირავებლის მისამართისა, სხვა საკონტაქტო ინფორმაციაც ჰქონდა და შეეძლო, სხვაგვარადაც დაკავშირებოდა მას. შესაბამისად, გონივრული იქნებოდა, რატის ხელახლა ეცადა თავისი ნების მიწოდება გამქირავებლისთვის. ამდენად, ნების მისვლის ფიქტიურად აღიარება ვერ მოხდება.

გასარკვევია, რამდენად შეიძლება ნების მისვლის დროულობის ფიქციის გამოყენება წარმოდგენილ შემთხვევაში. ამისათვის, სულ მცირე, საჭიროა, რომ გამქირავებელმა დაგვიანებით მიიღოს ნება და ჰქონდეს მისი გაცნობის შესაძლებლობა.

რატიმ 30 ივნისს გამქირავებლის კარის ქვეშ გასაღები და ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის შესახებ შეტყობინება შეაცურა. ამდენად, მან ნება ხელმეორედ გასცა. 30 ივნისის დილას კარის ქვეშ შეცურებული წერილი მოექცა გამქირავებლის ძალაუფლების სფეროში და, ნორმალურ ვითარებაში, მისი შინაარსის გაცნობაც ადრესატის მიერ იმავე დღესაა მოსალოდნელი. შესაბამისად, გამქირავებელს ნება 30 ივნისს მიუვიდა.

ნების მისვლის დროულობის ფიქციის დასადგენად შემდეგი პირობა ისაა, რომ რატიმ ხელმეორე მცდელობა დროულად განახორციელა. გასათვალისწინებელია, რომ განმეორებითი მცდელობის საჭიროება იცავს ადრესატის ინტერესს, დროულად გაეცნოს მისთვის საზიანო გარიგების

შინაარსს. განსაკუთრებით მაშინ, როცა ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის გათვალისწინებულია ვადა, იგულისხმება მეორე მხარის ინტერესი, დროულად და რაც შეიძლება მალე გაეცნოს ასეთი ნების გამოვლენის შინაარსს. ასე რომ, გამგზავნის მოეთხოვება, მეორე მცდელობა პირველის წარუმატებლობის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან დაუყოვნებლივ განახორციელოს. რატიმ, რომელმაც პირველი მცდელობის წარუმატებლობის შესახებ ჯერ კიდევ 1 ივნისს შეიტყო, მხოლოდ 30 ივნისს შეატყობინა ადრესატს ხელშეკრულების მოშლის ნების შესახებ. ეს ვერ შეფასდება დაუყოვნებლივ მეორე მცდელობად. ამდენად, მისვლის დროულობის ფიქციის გამოყენება შეუძლებელია.

შუალედური დასკვნა: ხელშეკრულება არ მოიშლება 1 ივლისს და, სულ მცირე, მთელი ივლისის განმავლობაში მხარეთა შორის იარსებებს ნამდვილი ქირავნობის ხელშეკრულება.

III. მოთხოვნის განხორციელება

კაზუსის ფაბულაში არ იკვეთება რაიმე გარემოება, რაც მოთხოვნის განხორციელებას გამოერიცხავდა. შესაბამისად, მოთხოვნა განხორციელებადია.

საბოლოო შედეგი: გამქირავებელს შეუძლია, რატისაგან მოითხოვოს ივლისის თვის ქირა, სკ-ის 531-ე მუხლის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე.

D. გამქირავებლის მოთხოვნა რატის მიმართ ივლისის ქირის გადახდის თაობაზე

- ქირავნობის ხელშეკრულება (+)
- ხელშეკრულების მოშლა (-)
 - ნების გაცხადება (+)
 - ნების მისვლა დროულად (-)
 - ფაქტობრივად მისვლა (-)
 - მისვლის ფიქცია (-)
 - მისვლის დროულობის ფიქცია (-)

შედეგი: გამქირავებლის მოთხოვნა რატის მიმართ ივლისის თვის ქირის გადახდის თაობაზე (+)

სამახსოვრო!

- ნების გამოვლენის ნამდვილობის ერთ-ერთი წინაპირობა **ნების მისვლაა** მეორე მხარესთან. ნება მისულად ითვლება, როდესაც იგი მიმღების ძალაუფლების სფეროში იმგვარად მოექცევა, რომ მიმღებს მისი გაცნობის საშუალება აქვს და ნორმალურ ვითარებაში ეს მოსალოდნელიცაა.

- როდესაც ნების მისვლას ხელს უშლის ადრესატის სფეროში წარმოქმნილი დაბრკოლება, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს **მისვლის ფიქცია**, ე. ი. ნება ჩაითვლება მისულად, მიუხედავად იმისა, რომ იგი, ფაქტობრივად, არ მისულა ადრესატამდე. მისვლის ფიქცია ნამდვილად აქცევს ნების გამოვლენას, რომლის შინაარსზეც ადრესატს წარმოდგენაც არ აქვს. ამიტომ ამ ფიქციას მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში იყენებენ, როცა ნების გამომვლენის განსაკუთრებული საჭიროება არსებობს, მაგალითად, როცა ნების მისვლის შეფერხება ადრესატის განზრახვი ქმედებით ხდება.
- უფრო ხშირად გამოიყენება **მისვლის დროულობის ფიქცია**. ასეთ შემთხვევაში გონივრულია, რომ გამგზავნმა ხელმეორედ სცადოს თავისი ნების მიწოდება ადრესატამდე. მეორე ცდის წარმატების შემთხვევაში ნება მისულად ჩაითვლება არა ფაქტობრივი მისვლის მომენტიდან, არამედ იმ მომენტიდან, როცა პირველი ცდისას ჩვეულებრივ ვითარებაში ნების მისვლა მოსალოდნელი იყო.

კაზუსი 6. კეთილი მეზობელი

(ნების გამოვლენის გამოხმობა; გამოხმობის შესახებ დაგვიანებული შეტყობინება; მაუწყებელი და მიმღები მაცნე)

სტუდენტ ლაშას სურს ძველი ველოსიპედის ყიდვა. დათომ მას ფეისბუქის მესინჯერის საშუალებით შესთავაზა თავისი ველოსიპედი 100 ლარად. ამ ხელსაყრელი წინადადებით გახარებულმა ლაშამ 6 ოქტომბერს, დილით, დათოს ფეისბუქითვე დაუბრუნა პასუხი და თანხმობა განაცხადა მის შემოთავაზებაზე.

იმავე დღეს, შუა დღისას, ლაშას მისმა ძველმა მეგობარმა დაურეკა და უთხრა, რომ საცხოვრებლად საზღვარგარეთ გადადიოდა და თავის ველოსიპედს ლაშას ჩუქნიდა. გახარებულმა ლაშამ გადანიყვითა, საჩქაროდ გაუეჭმებინა დათოსთვის გაგზავნილი თანხმობა და ისევ ფეისბუქზე მიწერა მისთვის, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, დილით გაგზავნილი თანხმობა დათოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ნანახი. ლაშამ იფიქრა, რომ დათო ფეისბუქზე შეტყობინებებს მაინც არ ამონმებდა და მიწერას აზრი არ ჰქონდა, ამიტომ დაურეკა დათოს მეზობელ გუგას და სთხოვა, გადასულიყო დათოსთან და ეთქვა, რომ მას ველოსიპედი აღარ უნდოდა, თუ ფეისბუქზე წერილს ნახავდა, ყურადღება არ მიექცია. გუგამ ლაშას უთხრა, რომ დათო ყოველთვის საღამოობით მოდიოდა სახლში და დაჰპირდა, როგორც კი დაბრუნდებოდა, აუცილებლად ეტყოდა.

სინამდვილეში დათო ლაშქრობაში იმყოფებოდა ორი დღით, ინტერნეტი გათიშული ჰქონდა და მხოლოდ 8 ოქტომბერს დაბრუნდა შინ. თავისი შეცდომის გამო აღელვებულმა გუგამ საღამოს აკანკალებული ხმით გადასცა დათოს ლაშას დანაბარები. იმედგაცრუებულმა დათომ ინტერნეტი ჩართო და მიიღო ლაშას შეტყობინება. რაკი ველოსიპედის თაობაზე დათოს სხვა არავინ გამოხმაურებია და თანაც მისი საჩქაროდ გაყიდვა სურდა, დათო ლაშასგან ითხოვს ველოსიპედის საფასურის გადახდას.

შეუძლია თუ არა დათოს ამ თანხის მოთხოვნა?

A. დათოს მოთხოვნა ლაშას მიმართ ველოსიპედის საფასურის გადახდის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე

დათოს შესაძლოა, ჰქონდეს ლაშასგან ველოსიპედის საფასურის გადახდის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, წარმოშობილი მოთხოვნა არ იყოს შეწყვეტილი და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა – ნასყიდობის ხელშეკრულება

აღნიშნული მოთხოვნის წარმოშობისათვის საჭიროა, დათოსა და ლაშას შორის დადებული იყოს ნასყიდობის ხელშეკრულება. ნასყიდობის ხელშეკრულების დასადებად საჭიროა მხარეთა მიერ ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა – ოფერტი და აქცეპტი.

1. დათოს ოფერტი

დათომ ლაშას შესთავაზა თავისი ძველი ველოსიპედის ყიდვა 100 ლარად. ამდენად, დათოს ოფერტი სახეზეა.

2. ლაშას აქცეპტი

საკითხავია, უპასუხა თუ არა ლაშამ დათოს ოფერტს აქცეპტით. აქცეპტი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა და მისი ნამდვილობისათვის საჭიროა როგორც ნების გაცხადება, ისე მისი მისვლა ადრესატამდე (სკ-ის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

ა. ნების გაცხადება

ლაშამ დათოს შეტყობინება ფეისბუქით გაუგზავნა. ჩვეულებრივ ვითარებაში მოსალოდნელია, რომ ამ სახით გაგზავნილი შეტყობინება ადრესატს მიუვა. შესაბამისად, ნება გაცხადებულია.

ბ. ნების მისვლა

გაცხადებული ნება აგრეთვე უნდა მიუვიდეს ადრესატს. ნება მისვლად ითვლება, როდესაც იგი ადრესატის ძალაუფლების სფეროში მოექცევა და ჩვეულებრივ ვითარებაში მოსალოდნელია, რომ ადრესატი მის შინაარსს გაეცნობა. შეტყობინება ლაშამ 6 ოქტომბერს გაგზავნა. ფეისბუქზე სწორად გაგზავნილი შეტყობინების ნახვის საშუალება ადრესატს

გაგზავნის მომენტიდანვე აქვს, შესაბამისად, გაგზავნის მომენტიდან ის დათოს ძალაუფლების სფეროშია.

საკითხავია, როდისაა მოსალოდნელი, რომ დათო შეტყობინების შინაარსს გაეცნობა. ელექტრონული ფორმით გაგზავნილი შეტყობინებების დროს მნიშვნელოვანია გამოყენებული პროგრამის პოპულარულობა, შეტყობინების გადაცემის სისწრაფე და სხვა მონაცემები. დღეისათვის ფეისბუკი საკმაოდ პოპულარული საკომუნიკაციო საშუალებაა, მაგრამ გარკვეულ წრეებში იგი მაინც არ გამოიყენება აქტიურად. თუმცა, სულ მცირე, მაშინ, როცა ოფერტი ფეისბუკის საშუალებით კეთდება, იგულისხმება, რომ ოფერენტი სოციალური ქსელის აქტიური მომხმარებელია და, როგორც წესი, აქცეპტსაც ამავე სახით უნდა ელოდეს. ჩვეულებრივ ვითარებაში, მოსალოდნელია, რომ ფეისბუკით გაგზავნილი შეთავაზების პასუხს იმავე დღის განმავლობაში შეამოწმებენ. ამდენად, ამ შემთხვევაშიც მოსალოდნელი იყო, რომ დათო იმავე დღეს ფეისბუკზე შესვლისას საღამომდე ნახავდა შეტყობინებას – ე. ი., 6 ოქტომბერს. ის ფაქტი, რომ დათო ლაშქრობაში იმყოფებოდა და 8 ოქტომბერს დაბრუნდა, არის განსაკუთრებული ვითარება და, ამდენად, არ უნდა იქნეს გათვალისწინებული.

შესაბამისად, ნების გამოვლენა დათოს მიუვიდა 6 ოქტომბერს.

გ. აქცეპტის გაუქმება

საკითხავია, ხომ არ გაუუქმებია ლაშას თავისი აქცეპტი. აქცეპტის გაუქმებაც აგრეთვე მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა, რომლის ნამდვილობაც დამოკიდებულია მის გამოვლენასა და მეორე მხარის მიერ დროულ მიღებაზე.

აქცეპტისა და ოფერტის გაუქმება

სკ პირდაპირ არ ითვალისწინებს აქცეპტის ან ოფერტის გაუქმების შესაძლებლობას, თუმცა იგი აღიარებულია როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე საერთაშორისო სამართლის ნორმებით. საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ ვენის 1980 წლის კონვენციის 22-ე მუხლის თანახმად, **აქცეპტი შეიძლება გაუქმებულ იქნეს**, თუ შეტყობინება გაუქმების შესახებ ოფერენტმა მიიღო იმ მომენტზე ადრე ან იმ მომენტში, როდესაც აქცეპტი ძალაში უნდა შესულიყო. ქართული კანონმდებლობის მიხედვით, აქცეპტი ძალაში მეორე მხარესთან მისი მისვლის მომენტიდან შედის. შესაბამისად, აქცეპტის გამოხმობა სწორედ მის მისვლამდე უნდა მოხდეს. ეს გამართლებულიცაა, რადგან ასეთ დროს არ არსებობს ადრესატის

ისეთი ინტერესი, რომლის დასაცავადაც ნების გამოვლენის შეზღუდვა მის მიერ გამოვლენილი ნებით გამართლებული იქნებოდა.

თუკი აქცეპტანტი დააგვიანებს აქცეპტის გამომხმობას, აქცეპტი ნამდვილად ჩაითვლება. ამავე დროს, თუკი ორივე ნება (აქცეპტი და მისი გაუქმება) ერთდროულად მიუვა ადრესატს, აუცილებელი არაა, რომ ადრესატი პირველად აქცეპტის გაუქმების შესახებ შეტყობინების შინაარსს გაეცნოს და მხოლოდ შემდეგ თავად აქცეპტს. გადამწყვეტი ნების მისვლის მომენტი და არა მისი შინაარსის რეალურად გაცნობის მომენტი. ვენის კონვენცია აგრეთვე ითვალისწინებს **ოფერტის გაუქმების** შესაძლებლობასაც. კერძოდ, მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სანამ ხელშეკრულება დადებული არ არის, ოფერტი შეიძლება უკან გამოიხმოს ოფერენტმა, თუ შეტყობინება უკუგამოხმობის შესახებ მიღებულია ოფერტის ადრესატის მიერ მანამ, სანამ იგი აქცეპტს გაგზავნის.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, სკ-ის 51-ე მუხლის მე-2 ნაწილი გაგებულ უნდა იქნეს არა როგორც ადრესატის მიერ ნების მიღებაზე უარის თქმის შესაძლებლობა (სიტყვასიტყვითი გაგება), არამედ როგორც ნების გამოვლენის უფლება, გამოითხოვოს მის მიერ გამოვლენილი ნება³⁰ (ტელეოლოგიური, სისტემური და ისტორიული განმარტება). შესაბამისად, ამ ნორმის ასე გაგების შემთხვევაში, არა მხოლოდ აქცეპტისა და ოფერტის, არამედ ნებისმიერი მიღებასავალდებულო ნების გამოთხოვა შესაძლებელი, თუკი დაცულია ზემოთ აღნიშნული პირობები: კერძოდ, თუკი ნების გაუქმებისაკენ მიმართული შეტყობინება ადრესატს 1-ლი (გასაუქმებელი) ნების მისვლამდე ან მისვლისას მიუვა.

აა. აქცეპტის გაუქმების შესახებ ნების გაცხადება

ლაშამ დათოს მეზობელ გუგას სთხოვა, აქცეპტის გაუქმების შესახებ შეეტყობინებინა დათოსთვის. მეზობლის მიერ მიცემული პირობის გათვალისწინებით, მოსალოდნელი იყო, რომ შეტყობინება დათომდე მიაღწევდა. შესაბამისად, აქცეპტის გაუქმების ნება ლაშამ განაცხადა.

ბბ. დროული მისვლა

გარდა ამისა, აქცეპტის გაუქმების შესახებ ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის საჭიროა, იგი დროულად მიუვიდეს ადრესატს. მისვლა დროულად ითვლება, თუკი აქცეპტის გაუქმებისაკენ მიმართული ნება

³⁰ *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, 248-249; *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 51, 172; *შდრ. ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხ. 51, ველი 28.

ადრესატს უფრო ადრე ან იმავე მომენტში მიუვა, რა მომენტშიც აქცეპტი იქნა მიღებული. ამდენად, გასარკვევია, აქცეპტის გაუქმების შესახებ ნება მიუვიდა თუ არა დათოს 6 ოქტომბერს (აქცეპტის მისვლის თარიღი) ან მანამდე.

საკითხავია, ჩაითვლება თუ არა აქცეპტის გაუქმების შესახებ ნების გამოვლენა მისულად იმ მომენტიდან, როცა ლაშამ 6 ოქტომბერს გუგას სთხოვა შუამავლობა. ეს დამოკიდებულია შუამავალი პირის – მეზობლის – სამართლებრივ მდგომარეობაზე დათოსთან მიმართებით.

(1) მიმღების წარმომადგენელი?

მეზობელი გუგა შესაძლოა, ყოფილიყო დათოს წარმომადგენელი სკ-ის 103-ე და შემდგომი მუხლების შესაბამისად. ამ შემთხვევაში, აქცეპტის გაუქმების შესახებ შეტყობინების მისვლა მეზობელთან სამართლებრივ შედეგებს უშუალოდ და მხოლოდ დათოსთვის გამოიწვევდა. ამდენად, აქცეპტის გაუქმების შესახებ ნების გამოვლენის მეზობლის მიერ მიღება 6 ოქტომბერს ჩაითვლებოდა მისვლად დათოსთან.

მეზობლის წარმომადგენლად აღიარებისათვის (ლაშას თვალსაწიერიდან) საჭიროა, რომ მეზობელს ნების გამოვლენა დათოს სახელით მიეღო. მიმღების წარმომადგენელი არაა უბრალოდ ნების გადამტანი, იგი თვითონ იღებს ნებას, ხოლო სამართლებრივი შედეგი მის მიერ წარმოდგენილი პირისათვის წარმოიშობა. გუგას სურვილი არ ყოფილა, ნების გამოვლენა დათოს სახელით მიეღო. მან მხოლოდ შეტყობინების გადაცემაზე დადო პირობა და ეს ლაშასთვისაც ცხადი იყო.

ამდენად, მეზობელი გუგა არ იყო მიმღების – დათოს წარმომადგენელი და მის მიერ პირობის მიცემა არ ჩაითვლება ნების გამოვლენის მისვლად ადრესატთან.

მაცნე

ყოფით ცხოვრებაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ნების გამოვლენის ადრესატამდე მიტანა მესამე პირის საშუალებით ხდება. ასეთ დროს შუამავალი მხოლოდ დამხმარე პირია და უშუალოდ არ არის სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. ამგვარ ვითარებაში მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როდის უნდა ჩაითვალოს ნების გამოვლენა მისულად. ასეთი დამხმარე პირის სამართლებრივი მდგომარეობა სამოქალაქო კოდექსით დარეგულირებული არაა – მხოლოდ სკ-ის მე-80 მუხლი იხსენიებს „შუამავლად გამოყენებულ პირს“, თუმცა ნების გამოვლენის მისვლის მომენტის განსაზღვრას ეს

მუხლიც არ ეხება. „შუამავლად გამოყენებულ პირს“ შესაძლებელია, ეწოდოს **მაცნე**.

მაცნე უნდა **განვასხვაოთ წარმომადგენლისაგან**, რომელიც საკუთარ ნებას გამოავლენს სხვა პირის სახელით; წარმომადგენლის მიერ გამოვლენილი ნების შინაარსს თავად წარმომადგენელი აყალიბებს, იგი მხოლოდ წარმოდგენილი პირის მიერ მიცემული ფარგლებითაა შეზღუდული, მაცნე კი მხოლოდ სხვისი ნების გადამტანია, რომლის შინაარსთანაც თავად მაცნეს კავშირი არ აქვს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მაცნე მხოლოდ ტექნიკურ სამუშაოს ასრულებს – გადააქვს სხვის მიერ უკვე ფორმულირებული ნების გამოვლენა, მაშინ, როცა წარმომადგენელი კონკრეტულ ვითარებაში გარიგების მხარეს, პიროვნებას ანაცვლებს და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში თავად განსაზღვრავს დადებული გარიგების შინაარსს. აქედან გამომდინარე, მაცნე შესაძლოა, **ქმედუუნარო პირიც** კი იყოს.³¹

წარმომადგენლისა და მაცნის გამიჯვნა კონკრეტულ ვითარებაში ობიექტური დამკვირვებლის თვალსაზრისიდან უნდა მოხდეს: მაცნე ის პირი შეიძლება იყოს, რომელსაც ობიექტური დამკვირვებელი მხოლოდ და მხოლოდ ნების გამოვლენის გადამტანად აღიქვამს.³² ამავე დროს, გასათვალისწინებელია შექმნილი ვითარება და სხვა ობიექტური გარემოებები, როგორებიცაა, მაგალითად: ასაკი (წარმომადგენელი ვერ იქნება ქმედუუნარო პირი), ნათესაური ან სხვაგვარი ურთიერთობა გარიგების მხარეებთან და სხვ. ცალსახად წარმომადგენლობაზე მიუთითებს, მაგალითად, ვითარება, როდესაც შუამავალი პირი გარიგების საგანს გარკვეული ყოყმანის შემდეგ შეარჩევს (მაგ., ნასყიდობის საგანს, ღვინოს მხოლოდ დეგუსტაციის შემდეგ ამოირჩევს). ასეთ დროს პირი თავისი არჩევანით განსაზღვრავს გარიგების საბოლოო შინაარსს, რაც სცდება მხოლოდ ტექნიკური სამუშაოს შესრულებას – ნების გადატანას – და, შესაბამისად, გამორიცხავს მაცნეს.

მაცნისა და წარმომადგენლის ერთმანეთისაგან გამიჯვნა ნების გამოვლენის მისვლის მომენტის გარკვევისთვისაა საჭირო. თუკი წარმომადგენლობისას ნების გამოვლენის მისვლა წარმომადგენელთან ნიშნავს წარმოდგენილ პირთან ნების მისვლასაც, იმავეს ვერ ვიტყვით მაცნის შემთხვევაში. ნების მისვლის მომენტის განსასაზღვრავად საჭიროა, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს მაცნის ორი სახე – მაუწყებელი და მიმღები მაცნე:

(1) მაუწყებელი მაცნე ეწოდება ისეთ პირს, რომელსაც ნების გამომვლენი ავალებს ნების გადატანას ადრესატამდე, ხოლო სწორად/დროულად

³¹ MüKo/Schubert, BGB, 7. Aufl., 2015, § 164, Rn. 70.

³² იქვე, Rn. 71.

მინოდების რისკს თავად ნების გამომვლენი ატარებს. მაუნყებელი მაცნე, ფაქტობრივად, სამართლებრივად უტოლდება შეტყობინების გასაგზავნ მონყობილობას, რომელიც ნების გამომვლენს ეკუთვნის. ზოგადად, ნების ტრანსპორტირება ნების გამომვლენის პასუხისმგებლობის სფეროს მიეკუთვნება, ამიტომაა იგი პასუხისმგებელი მისი არჩეული მაცნის მიერ ნების გამოვლენის სწორად და დროულად მინოდებაზეც. აქედან გამომდინარე, მაუნყებელი მაცნისათვის შეტყობინების გადაცემა და ადრესატისკენ მიმართვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ნების გამოვლენის მისვლას ადრესატამდე. ნების გამოვლენა მისულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მაუნყებელი მაცნე უშუალოდ გადასცემს ადრესატს შეტყობინებას.

მაუნყებელი მაცნის თვალსაჩინო მაგალითია, როდესაც დედა ექვსი წლის შვილს აგზავნის მალაზიაში პურის საყიდლად. ცხადია, ხელშეკრულება დედასა და გამყიდველს შორის იდება, ექვსი წლის შვილის (მაცნის) ფუნქცია კი მხოლოდ დედის ნების გამოვლენის ადრესატამდე მიტანაა.

(2) მიმღები მაცნე არის ის პირი, რომელსაც ადრესატმა მიანდო მისთვის გამოგზავნილი შეტყობინებების მიღება (ჩაბარება), ანდა პირი, რომელიც ადრესატთან იმდენად დაახლოებულია, რომ, როგორც წესი, შეუძლია, ჩაიბაროს მისთვის განკუთვნილი შეტყობინებები.³³ მიმღებ მაცნედ ჩაითვლება, მაგალითად, ადრესატის მეუღლე ან მის სახლში მცხოვრები ოჯახის სხვა წევრი; აგრეთვე მდივანი, რომელიც უფლებამოსილია, ჩაიბაროს მისი დამსაქმებლისთვის გამოგზავნილი წერილები. მიმღები მაცნის სამართლებრივი მდგომარეობა უტოლდება შეტყობინების მიმღებ მონყობილობას, რომელიც ადრესატს ეკუთვნის. აქედან გამომდინარე, მიმღები მაცნის მიერ შეტყობინების მიღება ნიშნავს ნების გამოვლენის მოხვედრას ადრესატის ძალაუფლების სფეროში. ამ შემთხვევაშიც მოქმედებს ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც ნების გამოვლენის ადრესატის ძალაუფლების სფეროში მოხვედრის შემდეგ ნების მიუსვლელობის რისკი სწორედ ადრესატზე გადადის. ამდენად, ნების გამოვლენა მისულად ჩაითვლება მაშინ, როცა ჩვეულებრივ ვითარებაში სავარაუდოა, რომ მაცნე აცნობებს ადრესატს შეტყობინების შინაარსს.³⁴

მაცნის განსაკუთრებული შემთხვევაა **თარჯიმანი**. იგი, მართალია, ნების გამოვლენას სიტყვიერად თავად აცალიბებს, მაგრამ არ ცვლის უკვე ფორმულირებულ შინაარსს და, ამდენად, მისი როლიც გარიგების დადების პროცესში

³³ იქვე, Rn. 80-81.

³⁴ იქვე, Rn. 82.

მხოლოდ ტექნიკურია. თარჯიმანი შესაძლებელია იყოს როგორც მაუწყებელი, ისე მიმღები მაცნეც: როდესაც იგი ადრესატის მიერაა დაქირავებული, თარჯიმანი მიმღებ მაცნედ უნდა ჩაითვალოს და, შესაბამისად, სწორი და დროული თარგმანის რისკს ადრესატი ატარებს, ნების გამომვლენის მიერ თარჯიმანის დაქირავების შემთხვევაში კი – პირიქით.

(2) მიმღები მაცნე?

შესაძლოა, გუგა ყოფილიყო ე.წ. მიმღები მაცნე. ამ შემთხვევაში, აქცეპტის გაუქმების შესახებ შეტყობინება მისულად ჩაითვლებოდა იმ მომენტიდან, როცა ჩვეულებრივ ვითარებაში გუგას მიერ დათოსთვის შეტყობინების გადაცემა იყო მოსალოდნელი. გუგას ლაშამ 6 ოქტომბერს დაურეკა და სთხოვა შეტყობინების გადაცემა. რადგან დათო ყოველთვის საღამოობით ბრუნდებოდა სახლში და მეზობელმაც პირობა დადო, რომ მოსვლისთანავე გადასცემდა მას დანაბარებს, გადაცემაც იმავე საღამოს იქნებოდა საფიქრებელი. ამდენად, თუკი გუგას ჩავთვლით მიმღებ მაცნედ, აქცეპტი და მისი გაუქმების შესახებ გამოვლენილი ნება დათოს ერთდროულად, 6 ოქტომბრის საღამოს მიუვიდოდა.

შესაბამისად, საკითხავია, არის თუ არა მეზობელი გუგა მიმღები მაცნე. ამისათვის საჭიროა, საქმე ეხებოდეს ადრესატის გამგებლობაში მყოფ ისეთ პირს, რომელიც ნების ჩაბარებასა და გადაცემაზე (ადრესატისათვის მიწოდებაზე) შეიძლება იყოს უფლებამოსილი.

დათოს მეზობელი, მართალია, დათოსთვის უფრო ახლობელი იყო, სულ მცირე, ტერიტორიულად, მაგრამ არ არსებობს საფუძველი დასკვნისთვის, რომ იგი დათოს მიმართ გამოვლენილი ნების გადატანაზე მინდობილი პირი იყო. კაზუსის ფაბულიდან უფრო ის იკვეთება, რომ მეზობელი „სპონტანური“ დამხმარეა და არა დათოს მიერ უფლებამოსილი პირი, ჩაიბაროს მისთვის გადასაცემი შეტყობინებები. ეს ლაშასთვისაც ცხადი იყო. აქედან გამომდინარე, გუგას ვერ ჩავთვლით დათოს სფეროში მოქცეულ ნების გადამტანად – მიმღებ მაცნედ.

(3) მაუწყებელი მაცნე?

და ბოლოს, მეზობელი შეიძლება ე.წ. მაუწყებელი მაცნე ყოფილიყო. მაუწყებელი მაცნეა ყველა ის პირი, ვისთვისაც ადრესატს არ მიუნიჭებია ნების მიღების ან ჩაბარების უფლებამოსილება. ლაშამ მეზობელს შეტყობინება გაანდო, რათა ამ უკანასკნელს გადაეცა დათოსთვის. რადგან მეზობელი არც დათოს წარმომადგენელია და არც მისი მიმღე-

ბი მაცნე (იხ. ზემოთ, (1) და (2)), იგი მაუნყებელ მაცნედ უნდა მივიჩნიოთ.

რადგან მაუნყებელი მაცნე ნების გამომვლენის სფეროში იმყოფება, სწორედ ნების გამომვლენია ნების სწორად და დროულად გადაცემის რისკის მატარებელი. ნება მისულად ითვლება უშუალოდ ადრესატისთვის გადაცემის მომენტიდან.

მეზობელმა გუგამ დათოს შეტყობინება 8 ოქტომბერს გადასცა. ამ მომენტში მოექცა იგი დათოს ძალაუფლების სფეროში და ამავე მომენტში გააცნობიერა დათომ მისი შინაარსი. აქედან გამომდინარე, აქცეპტის გაუქმების შესახებ გამოვლენილი ნება დათოს მხოლოდ 8 ოქტომბერს, აქცეპტის მისვლის შემდეგ, მიუვიდა. ამდენად, აქცეპტის გამოთხოვა დაგვიანებულია.

გგ. აქცეპტის შინაარსამდე აქცეპტის გაუქმების შესახებ შეტყობინების შინაარსის გაცნობა

საკითხავია, ხომ არ ცვლის სამართლებრივ შედეგს ის ფაქტი, რომ დათო აქცეპტის შინაარსის ფაქტობრივად გაცნობამდე მისი გაუქმების შესახებ შეტყობინების შინაარსს გაეცნო. ლიტერატურაში სადავოა, უნდა ჩაითვალოს თუ არა ასეთ დროს აქცეპტის გამოთხოვა დაგვიანებულად.

ერთი მოსაზრების მიხედვით, სამართლებრივად რელევანტური მხოლოდ მისვლის მომენტია და ყურადღება არ უნდა მიექცეს ნების შინაარსის ფაქტობრივი გაცნობის მომენტს. ამ შეხედულების გაზიარების შემთხვევაში, აქცეპტის გაუქმების თაობაზე ნების გამოვლენა არ იქნება ნამდვილი.

მეორე მოსაზრების თანახმად, ასეთ შემთხვევებში, ნების შინაარსის ფაქტობრივი გაცნობის მომენტს, გამონაკლისის სახით, სამართლებრივი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. შესაბამისად, ამ მოსაზრების მიხედვით, აქცეპტის გაუქმება ასეთ დროს სახეზეა.

პირველი მოსაზრება ლოგიკურად გამომდინარეობს ნების მისვლის დეფინიციიდან, რომლის თანახმადაც ნება მისულია, როცა იგი მიმღების ძალაუფლების სფეროში მოხვდება და მას, ჩვეულებრივ, მისი გაცნობის საშუალება აქვს. გაცნობის ფაქტობრივ მომენტს ეს დეფინიცია მნიშვნელობას არ ანიჭებს.

მეორე მოსაზრების სასარგებლოდ კი შეიძლება ითქვას, რომ ადრესატს, რომელმაც არც კი იცის გამოვლენილი ნების შესახებ, ვერ ექნება ნების შინაარსის მიმართ ისეთი ნდობა, რომელიც სამართლებრივ დაცვას საჭიროებს. პირიქით, ასეთ შემთხვევებში ნების გამომვლენის ინტერესი

უფრო მეტად საჭიროებს დაცვას. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნების მისვლის დასახელებული დეფინიცია მხოლოდ ლიტერატურაშია აღიარებული და სკ-ის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილი საკანონმდებლო განმარტებას არ შეიცავს, ამ ზოგადი დეფინიციიდან გამონაკლისის დაშვება აღნიშნული ინტერესის დაცვის მიზნით არ უნდა იყოს გადაულახავი დაბრკოლება. შესაბამისად, წარმოდგენილ შემთხვევაში, მეორე პოზიცია უფრო გასაზიარებელია. აქედან გამომდინარე, ლაშას მიერ გამოვლენილი ნება აქცეპტის გაუქმების თაობაზე ნამდვილია და აქცეპტი გაუქმებულია.

A. დათოს მოთხოვნა ლაშას მიმართ ფასის გადახდის თაობაზე

I. ნასყიდობის ხელშეკრულება (-)

- ოფერტი (+)
- აქცეპტი (-)
 - თანხმობის წერილი (+)
 - ნების მისვლა (+)
 - აქცეპტის გაუქმება (+)
 - გაუქმების ნების გაცხადება (+)
 - გაუქმების ნების მისვლა დროულად (-)
 - აქცეპტის გაცნობამდე გაუქმების შესახებ წერილის გაცნობა (+)

შედეგი: დათოს მოთხოვნა ლაშას მიმართ, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე (-)

შუალედური დასკვნა: ლაშას ნამდვილი აქცეპტი არაა სახეზე. დათოსა და ლაშას შორის არ დადებულია ნასყიდობის ხელშეკრულება.

საბოლოო შედეგი: დათოს არ აქვს ლაშასგან ველოსიპედის საფასურის გადახდის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

შენიშვნა: ამ ამოხსნაში ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული აზრთა სხვადასხვაობისას. უპირველესად, ყველა შეხედულება უნდა დასახელდეს და მოკლედ განიმარტოს, თუ რა შედეგებამდე მივყავართ მათ წარმოდგენილ შემთხვევაში. თუკი ამ განსხვავებულ შეხედულებებს განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებამდე მივყავართ, საჭირო ხდება ერთ-ერთი მათგანის გაზიარება და დანარჩენის უარყოფა. იმ შემთხვევაში, თუ სამართლებრივი შედეგები ნებისმიერი მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში ერთი და იგივეა, რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭება საჭირო არაა.

თუკი აუცილებელია ერთ-ერთი მოსაზრების გაზიარება, საჭირო ხდება მცირე დისკუსიის წარმოდგენა, სადაც მოკლედ იქნება მოყვანილი თითოეული

მოსაზრების სასარგებლო ან/და საწინააღმდეგო არგუმენტები. ამ ეტაპზე ხდება მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული არგუმენტების დასახელება, საკუთარი შეფასება კი მხოლოდ შემდეგი ეტაპია.

შემდეგ ეტაპზე, სადაც კაზუსის ამომხსნელმა ერთ-ერთ მოსაზრებას უნდა მიანიჭოს უპირატესობა, სასურველია საკუთარი არგუმენტების მოხმობაც. თუმცა ეს ყოველთვის არაა შესაძლებელი: განსაკუთრებით „კლასიკური“ სამეცნიერო უთანხმოებებისას, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობს, რთულია, მოძებნო არგუმენტი, რომელიც ჯერ არავის გამოუთქვამს. ასეთ შემთხვევაში კაზუსის ამომხსნისას ორიოდ სიტყვით საკუთარი შინაგანი რწმენიდან გამომდინარე უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ ერთ-ერთი პოზიცია უფრო მეტად გასაზიარებელია.

სამახსოვრო!

- **აქცეპტი შეიძლება გაუქმდეს**, თუ შეტყობინება გაუქმების შესახებ ოფერენტმა მიიღო იმ მომენტზე ადრე ან იმ მომენტში, როდესაც აქცეპტი ძალაში უნდა შესულიყო. აქცეპტი ძალაში მეორე მხარესთან მისი მისვლის მომენტიდან შედის. შესაბამისად, აქცეპტის გამომხმობა სწორედ მის მისვლამდე ან მისვლისას უნდა მოხდეს.
- სანამ ხელშეკრულება დადებული არ არის, **ოფერტი შეიძლება უკან გამოიხმოს** ოფერენტმა, თუ შეტყობინება უკუგამომხმობის შესახებ მიღებულია ოფერტის ადრესატის მიერ მანამ, სანამ იგი აქცეპტს გაგზავნის.
- არა მხოლოდ აქცეპტისა და ოფერტის, არამედ ნებისმიერი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის გამომხმობაა შესაძლებელი, თუკი ნების გაუქმებისაკენ მიმართული შეტყობინება ადრესატს პირველი (გასაუქმებელი) ნების მისვლამდე ან მისვლისას მიუვა (სკ-ის 51-ე მუხლის მე-2 ნაწილის ტელეოლოგიური განმარტება).
- პირს, რომელსაც ნების გამომვლენის ნება გადააქვს ადრესატამდე, ეწოდება **მაცნე**. მაცნე წარმომადგენლისგან განსხვავდება იმით, რომ იგი მხოლოდ ტექნიკურ სამუშაოს ასრულებს და თავად არ განსაზღვრავს გარიგების შინაარსს. მაცნე შეიძლება იყოს **მიმღები** ან **მაუწყებელი**. მიმღები მაცნე სამართლებრივად უტოლდება ადრესატის კუთვნილ შეტყობინების მიმღებ მონყობილობას და, შესაბამისად, ნების გამოვლენა მისულად ითვლება, როდესაც ჩვეულებრივ ვითარებაში მოსალოდნელია, რომ მიმღები მაცნე ადრესატს აცნობებს გარიგების შინაარსს. ამის საპირისპიროდ მაუწყებელი მაცნე სამართლებრივად ნების გამომვლენის კუთვნილ შეტყობინების გამგზავნ მონყობილობას უტოლდება და ნება მისულად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, როცა მაუწყებელი მაცნე ფაქტობრივად აცნობებს ადრესატს გარიგების შინაარსს.

დავალება: რა შეიცვლებოდა, თუკი ლაშა გუგას არ მიმართავდა თხოვნით და კონვერტში ჩადებულ წერილს თავად შეაცურებდა დათოს კარის ქვეშ?

რა შეიცვლებოდა, თუკი ლაშა აქცეპტის გამოსხმობის შესახებ შეტყობინებასაც ფეისბუქით გაგზავნიდა?

კაზუსი 7. ნანათრი ველოსიპედი

(გარიგების დადება არასრულწლოვნის მიერ; „ჯიბის ფული“)

15 წლის რატის მშობლები ყოველდღე 5 ლარს აძლევენ სხვადასხვა ხარჯისთვის (ტრანსპორტი, კვება ან სხვა ხარჯი მისი სურვილისამებრ). რატი თანხას სრულად არ ხარჯავდა და მშობლებისგან უჩუმრად დანაზოგს აკეთებდა სამთო ველოსიპედის საყიდლად, რომელიც მას მშობლებმა, შეპირების მიუხედავად, ბოლო დაბადების დღეზე არ აჩუქეს. რამდენიმეთვიანი დაზოგვის შემდეგ მას 200 ლარი მოუგროვდა. რატიმ სასწრაფოდ დარეკა სპორტული ინვენტარის მაღაზიაში და შეუკვეთა ველოსიპედი, რომელიც 180 ლარი ღირდა. ამ ფასში შედიოდა ველოსიპედის სახლში მიტანაც. თანხა მას ველოსიპედის მიღებისას უნდა გადაეხადა. მეორე დღეს, როდესაც რატიმ სატვირთო მანქანის ხმა გაიგო, გახარებულმა ამოიღო თავისი ყულაბიდან 180 ლარი და ეზოში გავარდა. გაკვირვებული დედა მას თან მიჰყვა. როდესაც რატის დედა საქმის ვითარებაში გაერკვა, მიუბრუნდა რატის და უთხრა, რომ არაფრით დაუშვებდა ველოსიპედის ყიდვას და რომ ველოსიპედის ჩუქება მშობლებს კი არ დაავინწყდათ, არამედ სპეციალურად არ უყიდეს, ვინაიდან იცოდნენ, რომ ტყე-ღრე ხეტიალში გაერთობოდა და ფორტეპიანოზე მეცადინეობას თავს დაანებებდა. რატი აპროტესტებს და ამბობს, რომ ეს მისი ფულია და რაც უნდა, იმას იყიდის. სპორტული მაღაზიის წარმომადგენელიც გაკვირვებულია და ამბობს, რომ ოჯახური დავა მას არ აინტერესებს. ფაქტია, შეკვეთა განხორციელდა, მათ ველოსიპედი მოიტანეს და რატის ფული ხელში უჭირავს. ამიტომ, მისი აზრით, ხელშეკრულება დადებულია და დარჩენილია მხოლოდ ფულისა და ველოსიპედის გაცვლა. თუ ასე არ მოიქცევიან, მაშინ სპორტული მაღაზია სასამართლოში იჩივლებს.

შეუძლია თუ არა სპორტულ მაღაზიას, მოითხოვოს რატისაგან 180 ლარის გადაცემა?

A. სპორტული მაღაზიის მოთხოვნა რატიისაგან 180 ლარის გადახდის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე

სპორტულ მაღაზიას შესაძლოა, ჰქონდეს რატიისაგან 180 ლარის გადახდის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ამისათვის სახეზე უნდა იყოს რატიისა და მაღაზიას შორის დადებული ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება.

ნამდვილი ხელშეკრულების არსებობისთვის საჭიროა, რომ რატი და სპორტული მაღაზია შეთანხმებული იყვნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე და არ არსებობდეს ამ ხელშეკრულების ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოება.

I. შეთანხმება

სკ-ის 327-ე–341-ე მუხლების თანახმად, ხელშეკრულების შეთანხმების არსებობისთვის სახეზე უნდა იყოს რატიისა და მაღაზიის თანმხედრი ნების გამოვლენა ოფერტისა და აქცეპტის სახით, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე, სკ-ის 327-ე მუხლის შესაბამისად.

ოფერტი არის ცალმხრივი ნების გამოვლენა, რომლის საშუალებითაც ერთი მხარე (ოფერენტი) მეორეს (აქცეპტანტს) ისეთი სახით სთავაზობს ხელშეკრულების დადებას, რომ ხელშეკრულების დადება დამოკიდებულია მხოლოდ აქცეპტანტის თანხმობაზე.

სკ-ის 329-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება ითვლება შეთავაზებულად, თუ ამ წინადადებაში, რომელიც მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირისადმი, გამოხატულია წინადადების მიმცემის მზაობა, თანხმობის შემთხვევაში, შეასრულოს თავისი წინადადება (ანუ ოფერენტს აქვს სამართლებრივი ბოჭვის ნება). კაზუსიდან ირკვევა, რომ რატიმ სპორტულ მაღაზიაში დარეკა და ველოსიპედი შეუკვეთა. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რატიმ დარეკვით განახორციელა ოფერტი. ამასთან, მართალია, ოფერტი განხორციელდა არა პირისპირ, არამედ სატელეფონო კომუნიკაციით, ის მაინც ჩაითვლება თანმყოფი პირი მიმართ გაკეთებულ ოფერტად, სკ-ის 330-ე მუხლის I ნაწილის გაგებით, რომელზეც აქცეპტი მაშინვე უნდა განხორციელდეს – ვინაიდან კაზუსში საუბარია, რომ რატიმ შეუკვეთა ველოსიპედი, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ მაღაზიამ განახორციელა აქცეპტი, სკ-ის 330-ე მუხლის I ნაწილის გაგებით.

შესაბამისად, სახეზე გვაქვს ორი თანმხვედრი ნების გამოვლენა, რომლებითაც მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე, სკ-ის 327-ე მუხლის მნიშვნელობით.

II. ხელშეკრულების ნამდვილობის შემოწმების გარემოება

შეთანხმებასთან ერთად ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია, რომ არ არსებობდეს ხელშეკრულების ნამდვილობის შემოწმების გარემოება.

კაზუსიდან ირკვევა, რომ რატი ჯერ 15 წლისაა. სკ-ის მე-14 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკის პირი შეზღუდულქმედუნარიანია. შესაბამისად, რატი შეზღუდულქმედუნარიანია.

სკ-ის მე-15 და 63-ე მუხლების თანახმად, შეზღუდულქმედუნარიანის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი ამ გარიგებით იღებს სარგებელს ან განკარგავს ჯიბის ფულს, სკ-ის 65-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

1. კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა

კაზუსიდან ჩანს, რომ რატის დედას არც თავდაპირველად მიუცია ნასყიდობის ხელშეკრულების დადების წინასწარი ნებართვა და არც შემდგომ მოუწონებია ამ ხელშეკრულების დადება. შესაბამისად, სახეზე არ გვაქვს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა,/, სკ-ის მე-15 და 63-ე მუხლების მნიშვნელობით.

2. უფლებრივი სარგებელი

ნასყიდობის ხელშეკრულება არის ორმხრივი მავალდებულებელი გარიგება, შესაბამისად, არც სკ-ის მე-15 და 63-ე მუხლებით გათვალისწინებულ უფლებრივად სარგებლიან გარიგებასთან გვაქვს საქმე, რომელიც ნამდვილი იქნებოდა იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ არსებობს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

3. ჯიბის ფული

რატი ველოსიპედის საყიდლად იყენებს თავის დანაზოგს, რომელიც არის „თავისუფალი განკარგვისთვის გადაცემული საშუალება“ (ე.წ. ჯიბის ფული), სკ-ის 65-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მნიშვნელობით. შესაბამის-

სად, ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საჭირო აღარ იქნებოდა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. თუმცა ამ შემთხვევაში ხელშეკრულება მხოლოდ იმ მომენტიდან არის ნამდვილი, როდესაც შეზღუდულქმედუნარიანი სრულად შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებას მის თავისუფალ განკარგვაში არსებული საშუალებით. ამ კაზუსის თანახმად, რატის ნასყიდობის თანხა ჯერ არ გადაუხდია. შესაბამისად, მას არ განუკარგავს თავისი ჯიბის ფული.

4. სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში დადებული გარიგება

კაზუსიდან არ იკვეთება, რომ სახეზე გვაქვს სკ-ის 65-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში დადებული გარიგება.

III. შუალედური დასკვნა

შესაბამისად, სახეზე არ გვაქვს არც უფლებრივი სარგებლის, არც „ჯიბის ფულის“ და არც სამეწარმეო საქმიანობის გამონაკლისი შემთხვევები, რომელთა საფუძველზეც რატის ნების გამოვლენა მაინც იქნებოდა ნამდვილი, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა კანონიერი წარმომადგენლის ნებართვა ან მოწონება.

შესაბამისად, რატის ნების გამოვლენა არის ბათილი, სკ-ის მე-15 და 63-ე მუხლების საფუძველზე, და სახეზე გვაქვს ხელშეკრულების ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოება, რის გამოც რატისა და მალაზიას შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება არ არის ნამდვილი.

<p>A. მალაზიის მოთხოვნა რატის მიმართ ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე</p>
<p>ოფერტი და აქცეპტი (+)</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ხელშეკრულების ნამდვილობა (-) <ul style="list-style-type: none"> ○ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა (-) ○ უფლებრივი სარგებელი (-) ○ ჯიბის ფული (-) ○ გარიგება სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში (-) <p>შედეგი: მალაზიის მოთხოვნა რატის მიმართ ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე (-)</p>

საბოლოო შედეგი: სპორტული ინვენტარის მალაზიას არ აქვს რატისგან 180 ლარის გადახდის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე.

სამახსოვრო:

- 18 წლის ასაკის მიღწევისას ფიზიკურ პირს წარმოეშობა უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. ამ უნარს **ქმედუნარიანობა** ეწოდება. შვიდიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანი **შეზღუდულქმედუნარიანად** ითვლება.
- შეზღუდულქმედუნარიანი პირის გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. წინასწარ **თანხმობას** უტოლდება შემდგომი **მიწონება**. კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა საჭირო არაა, როცა არასრულწლოვანი დადებული გარიგებით იღებს **მხოლოდ უფლებრივ სარგებელს** და არ წარმოეშობა ვალდებულებები (მაგ., ჩუქების ხელშეკრულების დადებისას).
- თუ კანონიერმა წარმომადგენელმა შეზღუდულქმედუნარიან პირს მიანიჭა უფლება, დამოუკიდებლად გაუძღვეს საწარმოს (ორგანიზაციას), მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება.
- არასრულწლოვნის მიერ დადებული გარიგება ნამდვილია მაშინაც, როცა იგი გარიგებას დებს ე.წ. **ჯიბის ფულით**, ანუ კანონიერი წარმომადგენლის მიერ თავისუფალი განკარგვისთვის გადაცემული საშუალებით. თუმცა ამ შემთხვევაში, ხელშეკრულება მხოლოდ იმ მომენტიდან არის ნამდვილი, როდესაც შეზღუდულქმედუნარიანი სრულად შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებას მის თავისუფალ განკარგვაში არსებული საშუალებით.

კაზუსი 8. ხუმარა თორნიკე

(ნების გამოვლენის არასერიოზულობა; ზიანის ანაზღაურება)

თორნიკემ „ტოიოტას“ ცენტრში 80.000 ლარად ახალი „ტოიოტა-ლენდკრუიზერი“ იყიდა. მანქანის ყიდვიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ ავტობანზე მანქანის ელექტროგაყვანილობა მწყობრიდან გამოვიდა და ევაკუატორის გამოძახება გახდა საჭირო ავტოტექნომსახურების ცენტრში მის გადასაყვანად. იმავე საღამოს, ბარში მეგობრებთან ერთად ყოფნისას, თორნიკე სიცილ-სიცილით ჰყვებოდა, როგორ გაამწარა მანქანამ, რომ მისი შეკეთება 1.000 ლარი დაუჯდებოდა და შეკეთება კი არა, 1.000 ლარს თუ ვინმე მისცემდა, საერთოდ მიჰყიდიდა ამ მანქანას. თორნიკეს ერთ-ერთი მეგობარი ლაშა ამ შეთავაზებით აღფრთოვანდა, ვინაიდან „ლენდკრუიზერის“ ქონა მისი დიდი ხნის ნატვრა იყო და იმწამსვე დასთანხმდა. თორნიკემ დასტურად ლუდის კათხა მიუჯახუნა და უთხრა: დილიდანვე მოდი და ადვოკატის წამოყვანა არ დაგავიწყდეს, რომ მიღება-ჩაბარების აქტი გავაფორმოთ. მეორე დილით ლაშამ ჯერ ნაცნობ ადვოკატთან შეიარა და მიღება-ჩაბარების აქტის მომზადება და თორნიკესთან წაყოლა სთხოვა, რაზეც ადვოკატი 500-ლარიანი ანაზღაურების სანაცვლოდ დასთანხმდა, შემდგომ კი თავად თორნიკეს მიაკითხეს ფულის მისაცემად და მანქანის წამოსაღებად. თორნიკემ ლაშასა და ადვოკატის დანახვის და ამ ამბის მოსმენის შემდეგ სიცილი ვერ შეიკავა და გაკვირვებულმა უთხრა ლაშას: ხომ არ გადაირიე, ხუმრობა არ გესმისო. ლაშა დაჟინებით ითხოვს მანქანის გადაცემას ან, მინიმუმ, ადვოკატის ხარჯის ანაზღაურებას 500 ლარის ოდენობით.

რის მოთხოვნის უფლება აქვს ლაშას თორნიკეს მიმართ?

A. ლაშას მოთხოვნა თორნიკეს მიმართ ავტომანქანაზე საკუთრების უფლების გადაცემის თაობაზე, სკ-ის 477 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე

ლაშას შესაძლოა, ჰქონდეს თორნიკეს მიმართ ავტომანქანისა და მასზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ამისთვის საჭიროა, რომ ლაშასა და თორნიკეს შორის დადებულიყო **ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება**.

1. ხელშეკრულება

სკ-ის 327-ე–341-ე მუხლების თანახმად, ხელშეკრულება შედგება ორი თანმხვედრი ნების გამოვლენისგან – ოფერტისა და აქცეპტისგან. ნასყიდობის ხელშეკრულებაში იგულისხმება ორმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულება, რომლითაც გამყიდველი იღებს ვალდებულებას, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიანოდოს საქონელი, ხოლო მყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი. თორნიკემ ლაშას მიმართ იკისრა ავტომანქანა „ლენდკრუიზერისა“ და მასზე საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულება, ხოლო ლაშამ ამის სანაცვლოდ 2.000 ლარის გადახდის ვალდებულება. შესაბამისად, თორნიკესა და ლაშას შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, სკ-ის 477-ე მუხლის მნიშვნელობით.

2. გარიგების ნამდვილობა

თორნიკესა და ლაშას შორის დადებული გარიგება შესაძლოა, ბათილი იყოს ნების გამოვლენის არასერიოზულობის გამო, სკ-ის 57-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე. ამისათვის საჭიროა, რომ: ა) ნების გამოვლენა გაკეთებული იყოს არასერიოზულად და ბ) ნების გამომვლენს უნდა ევარაუდა, რომ არასერიოზულობა შესაბამისად იქნებოდა აღქმული.

ა. ნების გამოვლენის არასერიოზულობა

ნების გამოვლენის არასერიოზულობის არსებობისთვის მნიშვნელობა არ აქვს, რა არის ნების გამომვლენის მოტივი (ხუმრობა, ტრაბახი, გაბ-

რაზება, თავაზიანობა თუ სხვ.); ასევე, შეძლო, ან შეუძლია თუ არა ნების გამოვლენის ადრესატს არასერიოზულობის გამოცნობა და ა.შ., გადამწყვეტია მხოლოდ ნების გამომვლენის სუბიექტური დამოკიდებულება მის მიერ გამოვლენილი ნების მიმართ, ანუ ნების გამოვლენა არასერიოზულად უნდა იყოს ნაგულისხმევი და, ამავდროულად, არ უნდა არსებობდეს მოტყუების მიზანი. ნების გამოვლენის ადრესატი კი დაცულია სკ-ის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

კაზუსიდან ირკვევა, რომ თორნიკე სერიოზულად არ ეკიდებოდა თავის შეთავაზებას ლაშას მიმართ და არც მისი მოტყუების მიზანი არ ჰქონია.

სკ-ის 57-ე მუხლი ასევე გამოიყენება **არშემდგარი თვალთმაქცური გარიგების დროსაც** (სკ-ის 56-ე მუხლი), როდესაც თვალთმაქცური გარიგების მეორე მხარე ვერ ხვდება გარიგების თვალთმაქცურ ხასიათს. შედეგად, არ არსებობს სკ-ის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მხარეთა შეთანხმება მოჩვენებითი გარიგებით სხვა გარიგების დაფარვის თაობაზე, თუმცა ეს არ ცვლის იმ გარემოებას, რომ მხარის ნების გამოვლენა არასერიოზულია და, მისი ვარაუდით, მეორე მხარე გამოიცნობს ამას. შესაბამისად, არშემდგარი თვალთმაქცური გარიგების შემთხვევებზე გამოიყენება ნების გამოვლენის არასერიოზულობის გამო ბათილი გარიგების ნორმა.

ბ. ნების გამოვლენის არასერიოზულობის გამოცნობის ვარაუდი

პირი, რომელიც ნებას არასერიოზულად ავლენს, ასევე სუბიექტურად უნდა ვარაუდობდეს, რომ ნების გამოვლენის არასერიოზულობა გამოცნობილი იქნება ადრესატის მიერ.

სხვა შემთხვევაში საქმე გვექნებოდა ე.წ. „ფარულ დათქმასთან“, რომელიც სამართლებრივად არარელევანტურია და ხელს არ უშლის გარიგების ნამდვილობას. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს არასერიოზულობის ობიექტურ გამოცნობადობას, არამედ გადამწყვეტია ნების გამომვლენის სუბიექტური ვარაუდი, რომ ადრესატი მიხვდება ნების არასერიოზულობას.

როგორც კაზუსიდან ირკვევა, თორნიკემ ივარაუდა, რომ ლაშა ხუმრობას მიხვდებოდა.

თუკი ნების არასერიოზულად გამოვლენი ხვდება, რომ ადრესატმა მისი ნების გამოვლენა სერიოზულად მიიღო, ის ვალდებულია, მყისიერად განუმარტოს ადრესატს, რომ მის მიერ გამოვლენილი ნება არასერიოზული იყო. სხვა შემთხვევაში, სკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების ვალდებულებიდან გამომდინარე, ნების გამოვლენი ვერ დაეყრდნობა სკ-ის 57-ე მუხლს და მისი ნება განხილულ უნდა იქნეს როგორც ნამდვილი.

III. დასკვნა

თორნიკეს მიერ გამოვლენილი ნება გამოვლენილი იყო არასერიოზულად. შესაბამისად, იგი ბათილია სკ-ის 57-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე. ლაშას არ აქვს თორნიკესგან მანქანის გადაცემის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

A. ლაშას მოთხოვნა თორნიკეს მიმართ მანქანის გადაცემის თაობაზე

I. ნასყიდობის ხელშეკრულება (+)

II. გარიგების ნამდვილობა, (სკ-ის 57, I) (-)

- ნების გამოვლენის არასერიოზულობა (+)
- არასერიოზულობის გამოცნობის ვარაუდი (-)

შედეგი: ლაშას მოთხოვნა თორნიკეს მიმართ, სკ-ის 477-ე მუხლის I ნაწილიდან გამომდინარე (-)

B. ლაშას მოთხოვნა თორნიკეს მიმართ 500 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სკ-ის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე

ლაშას შესაძლოა, ჰქონდეს თორნიკეს მიმართ 500 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, სკ-ის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ამისთვის საჭიროა, რომ: ა) თორნიკეს არასერიოზულად გამოვლენილი ნება მიზეზობრივ კავშირში იყოს ლაშას ზიანთან და ბ) ლაშას არ უნდა სცოდნოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა არასერიოზულობის შესახებ.

1. არასერიოზული ნების გამოვლენისა და ზიანის მიზეზობრივი კავშირი

ლაშას ზიანი არის 500 ლარი, რაც გამოიხატა მის მიერ ადვოკატისთვის, როგორც გაირკვა, არასაჭირო მომსახურების ანაზღაურების გა-

დახდით. ლაშამ მიმართა ადვოკატს მხოლოდ იმის გამო, რომ ის ენდო ნების გამოვლენის სერიოზულობას. შესაბამისად, თორნიკეს მიერ გამოვლენილი არასერიოზული ნება პირდაპირ მიზეზობრივ კავშირშია ლაშას მიერ ადვოკატისთვის მიმართვასთან და ადვოკატის ხარჯის წარმოშობასთან.

2. ნების გამოვლენის არასერიოზულობის არცოდნა

კაზუსის მიხედვით, ლაშამ არ იცოდა, რომ თორნიკე მას ეხუმრა.

3. ნების გამოვლენის არასერიოზულობის ცოდნის შეუძლებლობა

სკ-ის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილის მეორე ალტერნატივა ეხება ისეთ სიტუაციებს, როდესაც მხარე მხოლოდ საკუთარი გაუფრთხილებლობით ვერ მიხვდა, რომ ნება არასერიოზულად იყო გამოვლენილი. გაუფრთხილებლად მოქმედებს ის, ვინც არ იჩენს სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელ წინდახედულებას. ბარში, მეგობრების წრეში შექმნილი განტვირთვის ატმოსფერო, ავტომატური რეაქციის ღირებულებასა და შეთავაზებულ ფასს შორის აშკარა შეუსაბამობა, თორნიკეს ზოგადი ქცევა და მისი მოთხოვნა, რომ ლაშას ადვოკატიც მიეყვანა მიღება-ჩაბარების აქტის გასაფორმებლად, საკმარისი ნიშანი იყო იმისთვის, რათა სათანადო გულმოდგინებით მოქმედი ადამიანი მიმხვდარიყო, რომ საქმე ხუმრობასთან ჰქონდა. შესაბამისად, ლაშა უნდა მიმხვდარიყო თორნიკეს მიერ გამოვლენილი ნების არასერიოზულობას, სათანადო გულმოდგინება რომ გამოეჩინა.

II. დასკვნა

ლაშას არ აქვს თორნიკესგან 500 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, სკ-ის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

B. ლაშას მოთხოვნა თორნიკეს მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე

I. მოთხოვნის წარმოშობა (სკ-ის 57, II) (+)

- მიზეზობრივი კავშირი (+)
- არასერიოზულობის არცოდნა (+)
- ცოდნის შეუძლებლობა (-)

შედეგი: ლაშას მოთხოვნა თორნიკეს მიმართ (სკ-ის 57, II) (-)

სამახსოვრო!

- ნების გამოვლენის არასერიოზულობის არსებობისთვის მნიშვნელობა არ აქვს, რა არის ნების გამოვლენის მოტივი (ხუმრობა, ტრაბახი, გაბრაზება, თავაზიანობა თუ სხვ.); ასევე, შეეძლო, ან შეუძლია თუ არა ნების

გამოვლენის ადრესატს არასერიოზულობის გამოცნობა და ა.შ. – გადამწყვეტია მხოლოდ ნების გამომვლენის სუბიექტური დამოკიდებულება მის მიერ გამოვლენილი ნების მიმართ.

- სკ-ის 57-ე მუხლი ასევე გამოიყენება **არშემდგარი თვალთმაქცური გარიგების** დროსაც (სკ-ის 56-ე მუხლი), როდესაც თვალთმაქცური გარიგების მეორე მხარე ვერ ხვდება გარიგების თვალთმაქცურ ხასიათს.
- თუკი ნების არასერიოზულად გამომვლენი ხვდება, რომ ადრესატმა მისი ნების გამოვლენა სერიოზულად მიიღო, ის ვალდებულია, მყისიერად განუმარტოს ადრესატს, რომ მის მიერ გამოვლენილი ნება არასერიოზული იყო.

კაზუსი 9. ძუნწი ორჯერ იხდის

(მოჩვენებითი გარიგება; თვალთმაქცური გარიგება;
უძრავი ქონების ნასყიდობა; აუცილებელი ფორმა)

ანდრიას სურს, ბადრის მიჰყიდოს მის მიერ ერთი წლით ადრე ნაყიდი მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული ორსართულიანი სახლით. საშემოსავლო გადასახადის შემცირების მიზნით ისინი შეთანხმდებიან, რომ ნაცვლად შეთანხმებული ნასყიდობის ფასისა, 200000 ლარისა, ხელშეკრულებაში ჩაწერონ 100000 ლარი. ასეც მოიქცევიან. რეესტრში საკუთრების უფლების გადაცემის რეგისტრაციის შემდეგ ანდრია ბადრის 200000 ლარის გადაცემას სთხოვს. ბადრი, რომელიც მოეწყო ახალშეძენილ სახლში და დაიგულა იგი თავის საკუთრებაში, პასუხობს, რომ სახლი რემონტს მოითხოვს, ფასი ისედაც გადაჭარბებული იყო, თან ხელშეკრულებაშიც 100000 ლარი ეწერათ, ასე რომ, ის მზად იყო, გადაეხადა მხოლოდ 80000 ლარი, ანუ წერილობითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, რემონტის ხარჯების გამოკლებით, და არცერთი თეთრით მეტი.

რის მოთხოვნის უფლება აქვს ანდრიას ბადრის მიმართ?

A. ანდრიას მოთხოვნა ბადრის მიმართ 200000 ლარის ოდენობით ნასყიდობის ფასის გადახდაზე, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე

ანდრიას შესაძლოა, ბადრის მიმართ ჰქონდეს 200000 ლარის გადახდის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ამისთვის საჭიროა, რომ ანდრიასა და ბადრის შორის დადებულიყო ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება, სადაც ნასყიდობის ფასიც იქნებოდა 200000 ლარი.

1. შეთანხმება

ნასყიდობის ხელშეკრულება შედგება ორი თანმხვედრი ნების გამოვლენისგან, ოფერტისა და აქცეპტისგან. ანდრია ბადრის თავდაპირველად შეუთანხმდა სახლის 200000 ლარად მიყიდვაზე. ეს თანხა შეესაბამება იმ ნასყიდობის ფასს, რომელიც ორივე მხარეს ნამდვილად სურდა. ამიტომ აქ საქმე არ გვაქვს მხოლოდ მოჩვენებისთვის გამოვლენილ ნებასთან, რის გამოც ნების გამოვლენის ნამდვილობა, სკ-ის 56-ე მუხლის საფუძველზე, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ანდრიასა და ბადრის შორის დაიდო სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება 200000 ლარად.

2. სავალდებულო ფორმის დაცვა, სკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი და 323-ე მუხლი

ა. ბათილობა ფორმის ნაკლის გამო

ნასყიდობის ხელშეკრულება შესაძლოა, ბათილი იყოს სავალდებულო ფორმის დაუცველობის გამო, სკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე. ამისთვის საჭიროა, რომ ანდრიასა და ბადრის შორის დადებული ხელშეკრულება არ შეესაბამებოდეს კანონით გათვალისწინებულ აუცილებელ ფორმას.

სკ-ის 323-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულება, რომლითაც ხდება უძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემის ვალდებულების აღება, მოითხოვს წერილობით ფორმას. სკ-ის 69-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, წერილობითი ფორმის დაცვისთვის საკმარისია დოკუმენტზე გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერა.

კაზუსიდან ირკვევა, რომ მხარეებმა წერილობით შეათანხმეს 100000 ლარზე ნასყიდობის ხელშეკრულება. რაც შეეხება 200000 ლარზე ნასყიდობის ხელშეკრულებას, ის მხოლოდ ზეპირად და, შესაბამისად, აუცილებელი ფორმის დაცვის გარეშე დაიდო.

ბ. ფორმის ნაკლის უმნიშვნელობა, *falsa demonstratio non nocet* პრინციპის საფუძველზე

მიუხედავად აუცილებელი ფორმის დაუცველობისა, ნასყიდობის ხელშეკრულება 200000 ლარზე შესაძლოა, ნამდვილი იყოს, თუკი ნასყიდობის ფასის არასწორად აღნიშვნას მნიშვნელობა არ ექნებოდა ხელშეკრულების ნამდვილობისთვის. *Falsa demonstratio non nocet* პრინციპის საფუძველზე, თუკი ორივე მხარეს სურდა ერთი რამ, მაგრამ ხელშეკრულებაში შეცდომით მიუთითეს სხვა რამ, მაშინ მოქმედებს ის, რაც მათ სურდათ.

Falsa demonstratio non nocet (მცდარი აღნიშვნა არ არის საზიანო) – რომაული სამართლის პრინციპია, რომლის თანახმად, გარიგებისა და ნების გამოვლენის ნამდვილობისთვის მნიშვნელობა არ აქვს, თუკი მხარეებს ურთიერთთანხმობით ერთი რამ სურდათ, მაგრამ გარიგებისას არასწორად მიუთითეს, ან ნების გამოვლენი თავის ნებას შეცდომით ავლენს, თუმცა ნების გამოვლენის ადრესატი ამ შეცდომას ხვდება ან უნდა ხვდებოდა. ასეთ შემთხვევაში მოქმედებს მხარეთა ნამდვილი ურთიერთთანხმდებრი ნება და არა ის, რაც მათ გამოხატეს.

წარმოდგენილ შემთხვევაში მხარეთა ნამდვილი ურთიერთთანხმდებრი ნება იყო 200000 ლარზე მინის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულების დადება. თუმცა მნიშვნელოვანია ის, რომ პრინციპი *Falsa demonstratio non nocet* მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარეები **ცდებიან** ნების გამოვლენის დროს, ამ შემთხვევაში კი ანდრიამ და ბადრიმ **განზრახ** მიუთითეს არასწორი ფასი ხელშეკრულება-

A. ანდრიას მოთხოვნა ბადრის მიმართ 200000 ლარის გადაცემის თაობაზე

I. მოთხოვნის წარმოშობა (-)

- შეთანხმება (+)
- სავალდებულო ფორმის დაცვა (-)
 - ბათილობა ფორმის ნაკლის გამო (+)
 - *falsa demonstratio non nocet* (-)

შედეგი: ანდრიას მოთხოვნა ბადრის მიმართ, სსკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე (-)

ში. ვინაიდან პრინციპი *Falsa demonstratio non nocet* არ უნდა იქნეს გამოყენებული იმისთვის, რომ მოხდეს სავალდებულო ფორმის მოთხოვნის განზრახ გვერდის ავლა, იგი ამ შემთხვევაზე ვერ გავრცელდება.

აქედან გამომდინარე, დაცული არ არის სკ-ის 323-ე მუხლით მოთხოვნილი ფორმა. შესაბამისად, სკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება 200000 ლარზე ბათილია, კანონით გათვალისწინებული ფორმის დაუცველობის გამო.

II. საბოლოო შედეგი

ანდრიას არ აქვს 200000 ლარის ოდენობით ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

B. ანდრიას მოთხოვნა ბადრის მიმართ 100000 ლარის ოდენობით ნასყიდობის ფასის გადახდაზე, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე

შესაძლოა, ანდრიას ბადრის მიმართ ჰქონდეს 100000 ლარის გადახდის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ამისათვის საჭიროა, რომ ანდრიასა და ბადრის შორის დადებულიყო ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება, სადაც ნასყიდობის ფასიც იქნებოდა 100000 ლარი.

1. შეთანხმება

ანდრიამ და ბადრიმ წერილობით ხელშეკრულებაში გამოხატეს ორი თანმხვედრი ნება, ოფერტი და აქცეპტი, რომლებიც მიმართული იყო სახლზე ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისკენ 100000 ლარად. შესაბამისად, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ანდრიასა და ბადრის შორის დაიდო სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება 100000 ლარად.

2. სავალდებულო ფორმის დაცვა, სკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი და 323-ე მუხლი

იქიდან გამომდინარე, რომ ეს ხელშეკრულება დაიდო წერილობით, ის შეესაბამება სკ-ის 323-ე მუხლით გათვალისწინებულ ფორმას. შესაბამის-

სად, არ განიხილება ამ ხელშეკრულების ბათილობა აუცილებელი ფორმის დაუცველობის გამო, სკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

3. ხელშეკრულების ბათილობა, სკ-ის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე (მოჩვენებითი გარიგება)

შესაძლოა, ანდრიას და ბადრის შორის დადებული გარიგება ბათილი იყოს, სკ-ის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე. ამისთვის საჭიროა, რომ ანდრიასა და ბადრის ნება ურთიერთშეთანხმებით მხოლოდ მოჩვენებით გამოეყვინათ.

ანდრიამ და ბადრიმ ხელშეკრულებაში გამოხატეს ნება 100000 ლარად სახლის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე, რათა შეემსუბუქებინათ საგადასახადო ტვირთი. სინამდვილეში მათი თანმხვედრი ნება მიმართული იყო ხელშეკრულების დადებისკენ, რომლის მიხედვით, ნასყიდობის ფასიც იქნებოდა 200000 ლარი. შესაბამისად, 100000 ლარად ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილი ნება არ შეესაბამებოდა ანდრიასა და ბადრის ნამდვილ ნებას. ვინაიდან ამ საკითხზე ისინი წინასწარ შეთანხმდნენ, ანდრიაც და ბადრიც თანახმა იყვნენ ნების მოსაჩვენებლად გამოვლენაზე. ამიტომ 100000 ლარზე გამოვლენილი ნება მხოლოდ მოჩვენებითი იყო.

შესაბამისად, ანდრიასა და ბადრის შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება სახლის 100000 ლარად ყიდვის შესახებ ბათილია, მისი მოჩვენებითობის გამო, სკ-ის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

A/B. ანდრიას მოთხოვნა ბადრის მიმართ ნასყიდობის ფასის გადახდაზე, სკ-ის 477, II

(+) ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში

I. წერილობითი ხელშეკრულების ბათილობა, სკ-ის 56, I (+)

➤ ორივე მხარის ურთიერთთანხმობა, რომ გარიგება მხოლოდ მოსაჩვენებლად იდება

II. დაფარული გარიგების ნამდვილობა, სკ-ის 56, II

(+) თუკი დაფარული გარიგების მიმართ წაყენებული ყველა პირობა შესრულებულია:

- ა) ბათილობა ფორმის ნაკლის გამო – წერილობითი ფორმა დაცული იყო მხოლოდ მოჩვენებითი გარიგების მიმართ, მაგრამ არა დაფარული გარიგების მიმართ (+)
- ბ) ფორმის ნაკლის უმნიშვნელობა *falsa demonstratio non nocet* პრინციპის გათვალისწინებით – მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც შეცდომა უნებლიეა (-)

შედეგი: ანდრიას მოთხოვნა ბადრის მიმართ (-)

4. დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესების გამოყენება, სკ-ის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე (თვალთმაქცური გარიგება)

შესაძლოა, ანდრიას და ბადრის შორის დადებული გარიგება ნამდვილი იყოს სკ-ის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე. ამისათვის მხარეებს ურთიერთშეთანხმებით მოსაჩვენებელი გარიგებით უნდა დაეფარათ სხვა გარიგება. ანდრიას და ბადრის 100000 ლარზე დადებული მოსაჩვენებელი ნასყიდობის ხელშეკრულებით სურდათ 200000 ლარზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების დაფარვა. ასეთ შემთხვევაში ამოქმედდება სკ-ის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული თვალთმაქცური გარიგების ნორმა, რაც გულისხმობს მხარეთა შორის რეალურად დადებული (დაფარული) გარიგების ნამდვილობას, იმ პირობით, რომ მასზე გავრცელდება ყველა ის ნორმა, რომლებიც მოქმედებენ დაფარული გარიგების სახეზე. ამ შემთხვევაში დაფარული გარიგება იყო უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება 200000 ლარზე. უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ სკ-ის 323-ე მუხლით ნაყენებულია წერილობითი ფორმის მოთხოვნა. ანდრიასა და ბადრის შორის 200000 ლარად მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება კი დაიდო მხოლოდ ზეპირად (*დეტალური ანალიზი იხ. ზემოთ, A, II*). აქედან გამომდინარე, თვალთმაქცური გარიგების ნორმა ვერ იმოქმედებს.

შესაბამისად, ანდრიასა და ბადრის მიერ 100000 ლარზე დადებული მოჩვენებითი გარიგებით დაფარული 200000 ლარზე დადებული მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია სკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 323-ე მუხლის საფუძველზე.

II. საბოლოო შედეგი

ანდრიას არ აქვს 100000 ლარის ოდენობით ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

C. ანდრიას მოთხოვნა ბადრის მიმართ მიწის ნაკვეთზე მფლობელობის გადაცემის თაობაზე, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე

ანდრიას შესაძლოა, ჰქონდეს ბადრის მიმართ მიწის ნაკვეთზე მფლობელობის გადაცემის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ამისათვის საჭიროა, რომ: ა) ანდრია იყოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, ბ) მიწის ნაკვეთი იყოს ნივთი, გ) ბადრი იყოს მიწის ნაკვეთის მფლობელი, და დ) ბადრის არ ჰქონდეს მიწის ნაკვეთის ფლობის უფლება.

1. ანდრიას საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე

სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინაპირობის თანახმად, ანდრია უნდა იყოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე. მესაკუთრე არის პირი, რომელსაც ნივთზე აქვს ყოვლისმომცველი სანივთო უფლება, რაც გულისხმობს ნივთზე შეუზღუდავ ბატონობას, მის თავისუფლად ფლობას და მისით სარგებლობას, ასევე სხვა პირთა მიერ ამ ნივთით სარგებლობის დაუშვებლობის უფლებას (სკ-ის 170, I მუხ.). ფაბულიდან ირკვევა, რომ ანდრია თავდაპირველად იყო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე.

თუმცა შესაძლოა, ანდრიამ მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ სახლზე საკუთრების უფლება დაკარგა იმით, რომ ბადრი, როგორც ახალი მესაკუთრე, დაარეგისტრირა უძრავი ქონების რეესტრში.

სკ-ის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შესაძენად აუცილებელია შემდეგი კუმულაციური წინაპირობების არსებობა: ა) გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ბ) შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

კაზუსის თანახმად, ანდრიამ და ბადრიმ დადეს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოხდა ბადრის რეგისტრაცია მიწის ნაკვეთის ახალ მესაკუთრედ უძრავი ქონების რეესტრში. თუმცა ზემოთ, A და B პუნქტებში მოყვანილი მსჯელობის საფუძველზე, ირკვევა, რომ ანდრიასა და ბადრის შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება 200000 ლარზე ბათილია ფორმის ნაკლის გამო, ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულება 100000 ლარზე ბათილია მისი მოჩვენებითი ხასიათის გამო. შესაბამისად, მართალია, მოხდა საკუთრების უფლების რეგისტრაცია, მაგრამ სახეზე არ გვაქვს სკ-ის 183-ე მუხლის მეორე აუცილებელი წინაპირობა, კერძოდ წერილობითი გარიგება, რომელიც იქნებოდა საჯარო რეესტრში რეგისტრაციით საკუთრების უფლების გადაცემის საფუძველი, ანუ არ არსებობს ნამდვილი ვალდებულებითსამართლებრივი გარიგება, რომელიც, თავის მხრივ, განაპირობებდა სანივთო უფლების გადაცემის წარმოშობას.

შესაბამისად, ანდრია კვლავ რჩება მიწის ნაკვეთის მესაკუთრე.

2. სახლი, როგორც ნივთი

სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მესამე წინაპირობის თანახმად, სახლი უნდა იყოს ნივთი. სკ-ის 148-ე მუხლის თანახმად, ნივთებს მიეკუთვნება მოძრავი და უძრავი ნივთები, ხოლო სკ-ის 149-ე მუხლი უძრავ ნივთებს მიაკუთვნებს მიწის ნაკვეთს მასზე მყარად მდგომი შენობა-ნაგებობებით. კაზუსის მიხედვით, ხელშეკრულების საგანი იყო მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული ორსართულიანი სახლით. შესაბამისად, მიწის ნაკვეთი და სახლი, რომლებიც იყო ნასყიდობის საგანი, წარმოადგენს ნივთს, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით.

3. ბადრის მიერ მიწის ნაკვეთის ფლობა

სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მეორე წინაპირობის თანახმად, ბადრი უნდა იყოს მიწის ნაკვეთის მფლობელი. სკ-ის 155-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მფლობელი არის პირი, რომელიც ახორციელებს ფაქტობრივ ნებელობით ფიზიკურ ბატონობას ნივთზე. კაზუსის მიხედვით, ბადრი რეგისტრაციის დღესვე შესახლდა მიწის ნაკვეთზე მდგარ სახლში. ამით მან ფაქტობრივი და ნებელობითი ბატონობა მოიპოვა უძრავ ნივთზე.

4. ბადრის მიერ მიწის ნაკვეთის ფლობის მართლზომიერება

სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მეოთხე წინაპირობის თანახმად, ბადრის არ უნდა ჰქონდეს მიწის ნაკვეთის ფლობის უფლება, ანუ ის არ უნდა იყოს მართლზომიერი მფლობელი. მართლზომიერ ფლობაზე უფლება შესაძლოა, კანონიდან ან გარიგებიდან გამომდინარეობდეს. ვინაიდან წარმოდგენილი მსჯელობიდან ირკვევა, რომ ანდრიასა და ბადრის შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია, ხოლო კაზუსიდან არ ჩანს რაიმე სხვა გარემოება (მაგ.: ქირავნობა, იჯარა, თხოვე-

C. ანდრიას მოთხოვნა ბადრის მიმართ მიწის ნაკვეთზე მფლობელობის გადაცემაზე, სკ-ის 172, I

I. მოთხოვნის წარმოშობა (+)

- ანდრია – მესაკუთრე (+)
- ბადრი – მფლობელი (+)
- სახლი არის ნივთი, სკ-ის 172, I-ის გაგებით (+)
- ბადრის მიერ არამართლზომიერი ფლობა (+)

II. მოთხოვნის შეწყვეტა (-)

- კაზუსი არ შეიცავს რაიმე მითითებას

III. მოთხოვნის განხორციელება (+)

შედეგი: ანდრიას მოთხოვნა ბადრის მიმართ, სკ-ის 172, I-ის მიხედვით, მიწის ნაკვეთზე მფლობელობის გადაცემის თაობაზე (+)

ბა), რომელიც მიუთითებდა ბადრის მიერ მიწის ნაკვეთის მართლზომიერ ფლობაზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბადრი არ არის მიწის ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელი.

5. შუალედური შედეგი

ანდრიას აქვს ბადრის მიმართ მიწის ნაკვეთზე მფლობელობის გადაცემის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

კაზუსი არ შეიცავს არანაირ მითითებას ისეთ გარემოებაზე, რაც შესაძლოა, მეტყველებდეს მოთხოვნის შეწყვეტაზე. ამრიგად, მოთხოვნა არ შეწყვეტილა.

III. მოთხოვნის განხორციელება

კაზუსი არ შეიცავს არანაირ მითითებას ისეთ გარემოებაზე, რაც შესაძლოა, მეტყველებდეს მოთხოვნის განხორციელებლობაზე. შესაბამისად, მოთხოვნა განხორციელებადია.

IV. საბოლოო დასკვნა

ანდრიას აქვს ბადრის მიმართ მიწის ნაკვეთზე მფლობელობის გადაცემის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

D. ანდრიას მოთხოვნა ბადრის მიმართ მიწის ნაკვეთზე მფლობელობის უკან გადაცემის თაობაზე, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ანდრიას შესაძლოა, ჰქონდეს ბადრის მიმართ ბინაზე მფლობელობის უკან გადაცემის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ამისათვის საჭიროა, რომ: ა) ანდრიას ბადრისთვის ვალდებულების შესრულების მიზნით გადაეცა რაიმე (შდრ. სკ-ის 976-ე მუხ. „...ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, ...“) და ბ) ეს ვალდებულება არ არსებობდეს გარიგების ბათილობის გამო.

1. რაიმეს გადაცემა ვალდებულების შესრულების მიზნით

გადაცემულ „რაიმეში“ იგულისხმება ნებისმიერი მატერიალური უპირატესობა, რომელიც ზრდის პირის ქონებას, ხოლო გადაცემაში იგულისხმება შემთხვევა, როდესაც ქონების გაზრდა ხდება შეგნებულად და მიზანმიმართულად. ქონებრივი უპირატესობა შეიძლება იყოს სანივთო ან ვალდებულებითსამართლებრივი უფლებები, ვალდებულებებისგან გათავისუფლება, უპირატეს სამართლებრივ მდგომარეობაში ჩაყენება. ანდრიამ მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით ბადრის მფლობელობაში გადასცა სახლი. მფლობელობა წარმოადგენს სანივთო უფლებას. შესაბამისად, ანდრიამ ბადრის გადასცა „რაიმე“ ვალდებულების შესრულების მიზნით.

2. ვალდებულების არარსებობა გარიგების ბათილობის გამო

ის ვალდებულება, რომლის შესასრულებლადაც ანდრიამ ბადრის გადასცა მფლობელობა მიწის ნაკვეთზე, არ უნდა არსებობდეს მისი ბათილობის გამო. ზემოთ, A და B პუნქტებში მოყვანილი მსჯელობის საფუძველზე, ანდრიასა და ბადრის შორის დადებული მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება 200000 ლარზე ბათილია

D. ანდრიას მოთხოვნა ბადრის მიმართ მიწის ნაკვეთზე მფლობელობის გადაცემაზე, სკ-ის 976, I, ა

(+) ბათილი ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში

I. რაიმეს გადაცემა ვალდებულების შესასრულებლად, სკ-ის 976, I (+)

- მიწის ნაკვეთზე მფლობელობის გადაცემა ნასყიდობის ხელშეკრულების შესასრულებლად

II. ვალდებულების არარსებობა გარიგების ბათილობის გამო, სკ-ის 976, I, ა (+)

- 100000 ლარზე დადებული გარიგება ბათილია მოჩვენებითობის გამო
- 200000 ლარზე დადებული გარიგება ბათილია ფორმის ნაკლის გამო

შედეგი: ანდრიას მოთხოვნა ბადრის მიმართ (+)

ფორმის ნაკლის გამო, ხოლო მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება 100000 ლარზე ბათილია მისი მოჩვენებითი ხასიათის გამო. შესაბამისად, არ არსებობს არც მიწის ნაკვეთის მფლობელობაში გადაცემის ვალდებულება.

3. შუალედური შედეგი

ანდრიას აქვს ბადრისგან მიწის ნაკვეთზე მფლობელობის გადაცემის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

კაზუსი არ შეიცავს არანაირ მითითებას ისეთ გარემოებაზე, რაც შესაძლოა, მეტყველებდეს მოთხოვნის შეწყვეტაზე. ამრიგად, მოთხოვნა არ შეწყვეტილა.

III. მოთხოვნის განხორციელება

კაზუსი არ შეიცავს არანაირ მითითებას ისეთ გარემოებაზე, რაც შესაძლოა მეტყველებდეს მოთხოვნის განხორციელებლობაზე. შესაბამისად, მოთხოვნა განხორციელებადია.

IV. საბოლოო დასკვნა

ანდრიას აქვს ბადრისგან მიწის ნაკვეთზე მფლობელობის გადაცემის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

E. ანდრიას მოთხოვნა ბადრის მიმართ საჯარო რეესტრის ჩანაწერის შესწორების თაობაზე, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ანდრიას შესაძლოა, ბადრის მიმართ ჰქონდეს საჯარო რეესტრში არასწორი ჩანაწერის შესწორების მოთხოვნის უფლება, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ამისათვის საჭიროა, რომ: ა) ანდრიას ბადრისთვის ვალდებულების შესრულების მიზნით გადაეცა რაიმე და ბ) ეს ვალდებულება არ არსებობდეს გარიგების ბათილობის გამო.

1. რაიმეს გადაცემა ვალდებულების შესრულების მიზნით

გადაცემულ „რაიმეში“ იგულისხმება ნებისმიერი მატერიალური უპირატესობა, რომელიც ზრდის პირის ქონებას, ხოლო გადაცემაში იგულისხმება შემთხვევა, როდესაც ქონების გაზრდა ხდება შეგნებულად და მიზანმიმართულად. ქონებრივი უპირატესობა შეიძლება იყოს სანივთო ან ვალდებულებითსამართლებრივი უფლებები, ვალდებულებებისგან გათავისუფლება, უპირატეს სამართლებრივ მდგომარეობაში ჩაყენება. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლება, ვინაიდან მას ნამდვილი უფლების არსებობის პრეზუმფციის (შდრ. სკ-ის 312-ე, 185-ე მუხ.) გამო მატერიალური ღირებულება აქვს. ანდრიამ მიწის ნაკვეთის (ვითომ) ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით ბადრი დაარეგისტრირა ახალ მესაკუთრედ საჯარო რეესტრში. რეესტრის ჩანაწერი, რომლითაც ბადრიზე რეგისტრირებულია საკუთრების უფლება, არის უპირატეს სამართლებრივ მდგომარეობაში ჩაყენება, რომელსაც აქვს მატერიალური ღირებულება. შესაბამისად, ანდრიამ ბადრის გადასცა „რაიმე“ ვალდებულების შესრულების მიზნით, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მნიშვნელობით.

2. ვალდებულების არარსებობა გარიგების ბათილობის გამო

ის ვალდებულება, რომლის შესასრულებლადაც ანდრიამ ბადრი დაარეგისტრირა ახალ მესაკუთრედ, საჯარო რეესტრში არ უნდა არსებობდეს მისი ბათილობის გამო. ზემოთ, A და B პუნქტებში მოყვანილი მსჯელობის საფუძველზე, ანდრიასა და ბადრის შორის დადებული მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება 200000 ლარზე ბათილია ფორმის ნაკლის გამო, ხოლო მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება 100000 ლარზე ბათილია მისი მოჩვენებითი ხასიათის გამო. შესაბამისად, არ არსებობს არც საჯარო რეესტრში ბადრის მესაკუთრედ რეგისტრირების ვალდებულება.

3. შუალედური შედეგი

ანდრიას აქვს ბადრის მიმართ მინის ნაკვეთთან დაკავშირებით საჯარო რეესტრში არასწორი ჩანაწერის შესწორების მოთხოვნის უფლება, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

კაზუსი არ შეიცავს არანაირ მითითებას ისეთ გარემოებაზე, რაც შესაძლოა, მეტყველებდეს მოთხოვნის შეწყვეტაზე. ამრიგად, მოთხოვნა არ შეწყვეტილა.

III. მოთხოვნის განხორციელება

კაზუსი არ შეიცავს არანაირ მითითებას ისეთ გარემოებაზე, რაც შესაძლოა, მეტყველებდეს მოთხოვნის განუხორციელებლობაზე. შესაბამისად, მოთხოვნა განხორციელებადია.

IV. საბოლოო დასკვნა

ანდრიას აქვს ბადრის მიმართ მინის ნაკვეთთან დაკავშირებით საჯარო რეესტრში არასწორი ჩანაწერის შესწორების მოთხოვნის უფლება, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

E. ანდრიას მოთხოვნა ბადრის მიმართ რეესტრის ჩანაწერის შესწორებაზე, სკ-ის 976, I, ა

(+) ბათილი ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში

I. რაიმეს გადაცემა ვალდებულების შესასრულებლად, სკ-ის 976, I (+)

➤ უპირატეს სამართლებრივ მდგომარეობაში ჩაყენება საკუთრების უფლების რეგისტრაციით

II. ვალდებულების არარსებობა გარიგების ბათილობის გამო, სკ-ის 976, I, ა (+)

➤ 100000 ლარზე დადებული გარიგება ბათილია მოჩვენებითობის გამო
➤ 200000 ლარზე დადებული გარიგება ბათილია ფორმის ნაკლის გამო

შედეგი: ანდრიას მოთხოვნა ბადრის მიმართ (+)

F. საბოლოო შედეგი

ანდრიას არ აქვს ბადრისგან ნასყიდობის ფასის (როგორც 200000 ლარის, ისე 100000 ლარის) გადახდის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, თუმცა აქვს ბადრისგან:

1-ლი ალტერნატივა – მიწის ნაკვეთზე მფლობელობის გადაცემის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე;

მე-2 ალტერნატივა – მიწის ნაკვეთზე მფლობელობის გადაცემის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე;

მე-3 ალტერნატივა – მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით საჯარო რეესტრის ჩანაწერის შესწორების მოთხოვნის უფლება, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

კაზუსი 10. უხამსი შეთავაზება

(ამორალური გარიგება)

დაქორწინებული ბედნიერი წყვილი გიორგი და ნინო ორი წლის განმავლობაში დაზოგილი თანხით კაზინოში ცდიან ბედს თავიანთი ოცნების სახლის შესაძენი თანხის მოსაგებად. როდესაც ისინი მთელ თანხას წააგებენ, მათ გაუჩნდებათ შანსი, მილიონი ლარი იშოვონ. ამისთვის ნინომ საყვარელ ქმარს უნდა უღალატოს, ვინაიდან ეს შანსი ერთ-ერთი მილიონერისგან (ლევანი) მოდის, რომელიც გიორგის სთავაზობს, რომ ის ერთ მილიონ ლარს გადაუხდის ნინოს, თუკი ნინო მასთან ერთად სტამბულში გაემგზავრება და ღამეს გაატარებს. დიდი ყოყმანის შემდეგ ნინო დასთანხმდება შეთავაზებას და სთხოვს გიორგის, რომ წერილობითი ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული ყველა დეტალი თავად მოაგვაროს. ამ ხელშეკრულებას გიორგი და ლევანი დეტალურად წერილობით განერენ და „ერთი ღამით სიყვარულის ხელშეკრულებას“ დაარქმევენ. შეთანხმებისამებრ წყვილი სტამბულში გაფრინდება, მაგრამ ბოლო მომენტში ნინო ვერ შეძლებს ღალატზე წასვლას და თბილისში გამოიქცევა. ლევანი გაბრაზებულია, ვინაიდან, უარყოფის გარდა, იგი ფინანსურადაც საკმაოდ დაზარალდა – ამ „მინითაფლობის თვისთვის“ მან იქირავა თვითმფრინავი, სახლი და კატერი სტამბულში, რაც, ჯამში, 30 000 ლარი დაუჯდა.

რის მოთხოვნის უფლება აქვს ლევანს ნინოსგან?

A. ლევანის მოთხოვნა ნინოს მიმართ მასთან ინტიმური ღამის გატარებაზე, სკ-ის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე

ლევანს შესაძლოა ჰქონდეს ნინოსგან მასთან ინტიმური ღამის გატარების მოთხოვნის უფლება, „ერთი ღამით სიყვარულის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ამისათვის საჭიროა, რომ მას და ნინოს შორის დადებულიყო ნამდვილი ხელშეკრულება.

მართალია, კაზუსში ნახსენები ხელშეკრულების სახე სამოქალაქო კოდექსში მონესრიგებული არ არის, მაგრამ, ხელშეკრულების თავისუფლებიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ, დადონ ნებისმიერი შინაარსის ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, ე.წ. ატიპური ხელშეკრულება (სკ-ის 319-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). სამოქალაქო კოდექსი ამ მხრივ არ არის ამომწურავი ხასიათის და მხოლოდ ტიპური ხელშეკრულებების მომწესრიგებელ ნორმებს გვთავაზობს.

ნამდვილი ხელშეკრულების არსებობისთვის საჭიროა, რომ ლევანი და ნინო შეთანხმებულიყვნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე და არ არსებობდეს ამ ხელშეკრულების ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოება.

1. შეთანხმება

სკ-ის 327-ე – 341-ე მუხლების თანახმად, ხელშეკრულების არსებობისთვის სახეზე უნდა იყოს ლევანის და ნინოს თანმხვედრი ნების გამოვლენები: ოფერტი და აქცეპტი. კაზუსიდან ირკვევა, რომ შეთანხმება შედგა ლევანსა და გიორგის შორის.

თუმცა, სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, შესაძლოა, გიორგის მიერ დადებული გარიგებით უფლებები და ვალდებულებები წარმოშობოდა ნინოს, თუკი გიორგი იქნებოდა ნინოს წარმომადგენელი.

სკ-ის 103-ე მუხლისა და 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამისათვის საჭიროა, რომ გარიგების დადებისას გიორგის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში სხვისი (ნინოს) სახელით გამოეცლინა საკუთარი ნება და ეს წარმომადგენლობა დასაშვები ყოფილიყო.

შენიშვნა: გარეგნულად გარკვეული მსგავსება არის წარმომადგენლის მეშვეობით დადებულ ხელშეკრულებასა და მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას (სკ-ის 349-ე მუხლი) შორის. თუმცა მათ შორის პრინციპული სხვაობაა შემდეგი გარემოებების გამო:

- წარმომადგენლის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებისას წარმოდგენილი პირი, მართალია, უშუალოდ არ მონაწილეობს ხელშეკრულების დადებაში, მაგრამ ხელშეკრულების მხარე ხდება სწორედ ის და არა წარმომადგენელი. ამის საპირისპიროდ, მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში ხელშეკრულების მხარე არის პირი, ვინც დადო ხელშეკრულება, ხოლო ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სარგებელს იღებს მესამე პირი.
- წარმომადგენლის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებით წარმოდგენილი პირი იღებს როგორც უფლებებს, ისე ვალდებულებებს. ამის საპირისპიროდ დაუშვებელია ე.წ. მესამე პირის საზიანოდ ხელშეკრულების დადება, ანუ ხელშეკრულებით მესამე პირისთვის ვალდებულების დაკისრება.

ა. წარმომადგენლობის დასაშვებობა

სკ-ის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წარმომადგენლობა დაუშვებელია, თუკი გარიგება პირმა უშუალოდ უნდა დადოს. ასეთ გამონაკლის შემთხვევებად კანონმდებლობა მხოლოდ ანდერძს და ქორწინებას მიიჩნევს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში წარმომადგენლობა დასაშვებია.

ბ. საკუთარი ნების გამოვლენა

ხელშეკრულებასთან დაკავშირებული 1-ლი კონტაქტი ლევანსა და გიორგის შორის შედგა. ამას გარდა, გიორგიმ დამოუკიდებლად შეათანხმა ხელშეკრულების ცალკეული დეტალები ლევანთან. შესაბამისად, მას ჰქონდა ხელშეკრულების მხარის ამორჩევისა და ხელშეკრულების დეტალების შეთანხმების უფლება. ამით ის ავლენდა საკუთარ ნებას და არ იყო მხოლოდ სხვისი ნების გადამტანი.

გ. სხვისი (ნინოს) სახელით მოქმედება

ნების გამოვლენის ადრესატისთვის შეცნობადი უნდა იყოს სხვა პირის სახელით მოქმედების ფაქტი. გიორგი მოქმედებდა ნინოს სახელით, რაც იმიტაც დასტურდება, რომ ხელშეკრულების მხარედ დასახელებული იყო ნინო.

დ. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედება**აა) რწმუნებულება**

სკ-ის 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, წარმომადგენლის უფლებამოსილება შეიძლება გამომდინარეობდეს კანონიდან ან გარიგებიდან.

ამ შემთხვევაში სახეზე არაა კანონისმიერი წარმომადგენლობა. ამიტომ გასარკვევია, ჰქონდა თუ არა გიორგის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება (რწმუნებულება) გარიგების საფუძველზე, სკ-ის 107-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით. კაზუსის თანახმად, ნინომ სთხოვა გიორგის ხელშეკრულების დადება, შესაბამისად, სახეზე გვაქვს გარიგებისმიერი წარმომადგენლობა დავალების ხელშეკრულების საფუძველზე, სკ-ის 709-ე მუხლის მნიშვნელობით.

ბბ) მოქმედება რწმუნებულების ფარგლებში

გარდა ამისა, სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, წარმომადგენელი მისთვის მიცემული უფლებამოსილების (რწმუნებულების) ფარგლებში უნდა მოქმედებდეს. ნინო თანახმა იყო ხელშეკრულების არსებით პირობებზე, ხოლო ცალკეული დეტალების შეთანხმება გიორგის დაავალა. შესაბამისად, გიორგი მოქმედებდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში.

შუალედური დასკვნა: გიორგი ლევანთან ხელშეკრულების დადებისას მოქმედებდა როგორც ნინოს წარმომადგენელი, შესაბამისად, სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ ხელშეკრულებიდან უფლებები და ვალდებულებები წარმოეშობა ნინოს. შესაბამისად, ლევანსა და ნინოს შორის დაიდო „ერთი ღამით სიყვარულის ხელშეკრულება“, რომლითაც ნინომ ლევანის წინაშე აიღო ვალდებულება, მასთან ერთად ემოგზაურა სტამბულში და გაეტარებინა ინტიმური ღამე; ხოლო ლევანმა, თავის მხრივ, იკისრა მოგზაურობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის ანაზღაურება და 30 000 ლარის ოდენობით საზღაურის გადახდა. შესაბამისად, ლევანსა და ნინოს შორის დაიდო ორმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულება.

2. ხელშეკრულების ნამდვილობა

ნინოსა და ლევანს შორის დადებული ხელშეკრულება შესაძლოა, ბათილი იყოს როგორც ამორალური გარიგება, სკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე. ამისათვის საჭიროა, რომ გარიგება არღვევდეს ზნეობის ნორმებს.

ზნეობის ნორმის დარღვევა

შენიშვნა: ზნეობის ნორმას არღვევს გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება ყველა კეთილგონივრულად და სამართლიანად მოაზროვნე პირის წარმოდგენას ნესიერებასა და სამართლიანობაზე და ამით არღვევს გაბატონებულ სამართლებრივ და სოციალურ მორალს. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს კონსტიტუციაში ასახული ფასეულობათა სისტემა. ამორალურობა შესაძლოა გამომდინარეობდეს როგორც გარიგების შინაარსიდან, ისე მისი საერთო ხასიათიდან.

გარიგება, რომელიც მხარეს გარკვეული სექსუალური, ინტიმური ხასიათის ქცევას ავალდებულებს, ამორალურია, სკ-ის 54-ე მუხლის მნიშვნელობით, ვინაიდან ადამიანის ინტიმური სფერო, როგორც ასეთი, არ შეიძლება ექვემდებარებოდეს სამართლებრივ შებოჭვას. კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ღირსების ძირითადი უფლება თავის თავში მოიაზრებს, რომ ადამიანს უნდა შეეძლოს ინტიმური კავშირის დამყარებაზე თავდაპირველი მზაობის გამომხმობა, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლების არსებობას.

კაზუსის თანახმად, ნინოსა და ლევანს შორის დადებული „ერთი ღამით სიყვარულის ხელშეკრულება“ ნინოს ინტიმური კავშირის დამყარებას, ანუ გარკვეულ სექსუალურ ქცევას ან ქცევის თემნას ავალდებულებს. ინტიმური კავშირის დამყარების სამართლებრივი დავალდებულება კი, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს, ვინაიდან ახდენს ადამიანის ინტიმური სფეროს კომერციალიზაციას და ეწინააღმდეგება ადამიანის ღირსების ძირითად უფლებას.

შუალედური დასკვნა: ნინოსა და ლევანს შორის დადებული „ერთი ღამით სიყვარულის ხელშეკრულება“ ბათილია მისი ამორალურობის გამო, სკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე.

საბოლოო შედეგი: ლევანს არ აქვს ნინოსგან „ერთი ღამით სიყვარულის“ ხელშეკრულებით მასთან ინტიმური ღამის გატარების მოთხოვნის უფლება, სკ-ის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

B. ლევანის მოთხოვნა ნინოს მიმართ ზიანის ანაზღაურებაზე, სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე

ლევანს შესაძლოა ჰქონდეს ნინოსგან 30000 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

ამისათვის ლევანსა და ნინოს შორის უნდა არსებობდეს ვალდებულებითი ურთიერთობა. ზემოთ მოყვანილი მსჯელობის თანახმად, ლევანსა და ნინოს შორის დადებული ხელშეკრულება ბათილია, სკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე. შესაბამისად, მათ შორის არ არსებობს და არც არსებობდა სახელშეკრულებო (ვალდებულებითი) ურთიერთობა.

საბოლოო შედეგი: ლევანს არ აქვს ნინოსგან 30000 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

კაზუსი 11. გადასახადების დამალვა

(ბათილი გარიგება; კანონისმიერი აკრძალვა; ნასყიდობა)

ანა კომერციაში გამოუცდელი სტუდენტია, რომელმაც ბებიისგან მემკვიდრეობით ძველი სახლი მიიღო. სახლი სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოს საჭიროებდა, მათ შორის სახურავის შეკეთებას, რისთვისაც ის ინდემწარმე გივის შეუთანხმდა. ამ სამუშაოსთვის მას მხოლოდ 6000 ლარი ჰქონდა, რაც გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე გივის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა. ვითარებიდან გამოსავლის სახით გივიმ ანას შესთავაზა, რომ, თუ მას ქვითრები და საბუთები არ სჭირდებოდა და თანხას ხელზე გადაიხდიდა, 6000 ლარში ჩატევდა. ანი დასთანხმდა გივის წინადადებას. სარემონტო სამუშაოების დაწყებისთანავე ანიმ გივის მასალების საყიდლად 2000 ლარი მისცა, ხოლო მას შემდეგ, რაც სამუშაო შესრულდა, დარჩენილი 4000 ლარიც. შეთანხმებისამებრ, რაიმე ქვითარი არ გამოწერილა. სამუშაოს დასრულების შემდეგ, პირველი წვიმისთანავე, სახლის ქერიდან წყალმა იწყო ჩამოსვლა. ანი ითხოვს გივისგან ნაკლის გამოსწორებას. გივი პასუხობს, რომ, ვინაიდან შეთანხმება დოკუმენტაციის გარეშე იყო, ანის რაიმე საგარანტიო მოთხოვნის უფლება არ აქვს, ამიტომ ის შეკეთებას არ აპირებს.

აქვს თუ არა ანის გივისგან ნაკლის გამოსწორების მოთხოვნის უფლება?

A. ანის მოთხოვნა გივის მიმართ ნაკეთობის ნაკლის გამოსწორების თაობაზე, სკ-ის 642-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე

ანის შესაძლოა ჰქონდეს გივისგან სახურავის შეკეთების მოთხოვნის უფლება, სკ-ის 642-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ამისათვის საჭიროა, რომ ანის და გივის შორის არსებობდეს ნამდვილი ნარდობის ხელშეკრულება, სკ-ის 629-ე მუხლის მნიშვნელობით, და გივის მიერ დამზადებულ ნაკეთობას ჰქონდეს ნივთბრივი ნაკლი, სკ-ის 639-ე მუხლისა და 641-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მნიშვნელობით.

1. ნამდვილი ნარდობის ხელშეკრულება

ნამდვილი ნარდობის ხელშეკრულების არსებობისთვის საჭიროა, რომ ანი და გივი შეთანხმებულიყვნენ ხელშეკრულების შინაარსზე და არ არსებობდეს ამ გარიგების ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოება.

ა. შეთანხმება

ანისა და გივის შორის უნდა დადებულიყო ხელშეკრულება. სკ-ის 327-ე – 341-ე მუხლების თანახმად, ხელშეკრულება შედგება ორი თანმხვედრი ნების გამოვლენისგან, ოფერტისა და აქცეპტისგან. ნარდობის ხელშეკრულებაში იგულისხმება ორმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულება, რომლითაც მენარდე კისრულობს ვალდებულებას, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. გივიმ ანის წინაშე აიღო სახურავის შეკეთების ვალდებულება, ხოლო ანიმ, თავის მხრივ, იკისრა 6000 ლარის ოდენობით საზღაურის გადახდა. შესაბამისად, ანისა და გივის შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება, სკ-ის 629-ე მუხლის მნიშვნელობით.

ბ. გარიგების ნამდვილობა

ანისა და გივის შორის დადებული გარიგება შესაძლოა, ბათილი იყოს როგორც მართლსაწინააღმდეგო გარიგება, სკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე. ამისათვის საჭიროა, რომ: ა) არსებობდეს კანონით დადგენილი წესი, ბ) გარიგება არღვევდეს ამ წესს.

აა) კანონით დადგენილი წესი და აკრძალვა

სკ-ის 54-ე მუხლით გათვალისწინებულ კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვაში უნდა ვიგულისხმოთ ყველა ნორმატიული აქტი, როგორც კანონები, ისე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. ამასთან, ამკრძალავ ნორმაში, სკ-ის 54-ე მუხლის მნიშვნელობით, იგულისხმება ისეთი ნორმა, რომელიც მიმართულია განსაზღვრული ქმედების წინააღმდეგ. აკრძალვა უნდა ეხებოდეს გარიგების შინაარსს ან მის სამართლებრივ შედეგს, ანუ ის მთლიანად გარიგების წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული.

საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილი პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში 50000 ლარამდე გადასახადის თანხის შემცირებას ადმინისტრაციულ გადაცდომად აცხადებს და ამით კრძალავს ამგვარ ქმედებას. ამ მუხლის მიზანია, გადასახადების სრული და დროული ამოღების მიმართ არსებული საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ბიუჯეტის ხარჯზე გადასახადების შემცირებისთვის ხელის შეშლა. ამ მიზნის მიხედვით, ეს ნორმა მიმართულია არა მხოლოდ გადასახადის გადამხდელთა შესაბამისი ქცევის საწინააღმდეგოდ, არამედ იმ გარიგებების საწინააღმდეგოდაც, რომლებიც გადასახადების ხელოვნურ შემცირებას ემსახურება. შესაბამისად, საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილი უნდა მივიჩნიოთ ამკრძალავ ნორმად, სკ-ის 54-ე მუხლის მნიშვნელობით.

ბბ) გარიგებით კანონით დადგენილი წესისა და აკრძალვის დარღვევა

როგორც კაზუსიდან ირკვევა, ანი და გივი შეთანხმდნენ, დოკუმენტაციის გარეშე, ნალდი ანგარიშსწორებით მოეხდინათ ურთიერთანგარიშსწორება. საბუთების გარეშე ანგარიშსწორების შესახებ შეთანხმება შესაძლოა, არღვევდეს ამ მუხლის მოთხოვნას. მართალია, ერთი შეხედვით, ისე ჩანს, თითქოს მხარეები მხოლოდ იმაზე შეთანხმდნენ, რომ წერილობით არ გამოენერათ ანგარიშფაქტურა, მაგრამ ამ შეთანხმების ეკონომიკური მიზანი იყო საგადასახადო დეკლარაციაში ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულებული ვალდებულებების ასახვისგან თავის შეკავება და ამით გადასახადის თანხის შემცირება.

შესაბამისად, გვიმ დოკუმენტაციის შეუდგენლობით დაარღვია საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, რის გამოც ანასა და გივის შორის დადებული გარიგება ბათილია, სკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე.

გ. ბათილობის ფარგლები

სკ-ის 54-ე მუხლიდან გამომდინარე, ნარდობის ხელშეკრულების ბათილობა, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ანის არ აქვს გივის მიმართ ნაკლის გამოსწორებისთვის განეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს სკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილს, კერძოდ, იმით, რომ გარიგების ბათილობით გივის საშუალება ეძლევა, თავი დააღწიოს ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების მოვალეობას. ნორმათა ამგვარი ურთიერთმიმართების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია საკითხის ორივე რაკურსის გათვალისწინება. კერძოდ კი იმისა, რომ, ერთი მხრივ, მხარეს (ამ შემთხვევაში ანის), რომელიც არღვევს კანონს, არ უნდა ჰქონდეს კანონისგან დაცვის მიღების მოლოდინი, თუმცა, მეორე მხრივ, არც მეორე მხარემ (ამ შემთხვევაში გივიმ) უნდა იხეიროს კანონის დარღვევისგან. ამდენად, ამგვარ შემთხვევაში, უნდა გაანალიზდეს მხარეთა კონკრეტული ინტერესი, რათა არ მოხდეს ერთ-ერთი მხარის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება მხოლოდ იმის გამო, რომ გარიგება ბათილია. ამიტომაც გივის არ აქვს გარიგების ბათილობაზე მითითების უფლება, სკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე.

2. ნაკეთობის ნაკლი

სკ-ის 642-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გივის მიერ შესრულებული ნაკეთობა უნდა იყოს ნაკლის მქონე.

სკ-ის 641-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ნივთობრივი ნაკლის მქონეა ნაკეთობა, როდესაც ის არ შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს, ან თუკი იგი ვარგისი არ არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის.

წარმოდგენილ კაზუსში არ იკვეთება არც ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობა და არც ის, თუ რა შეიძლება იყოს „ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენება“. შესაბამისად, ნაკეთობა, ამ შემთხვევაში სახურავი, ვარგისი უნდა

A. ანის მოთხოვნა გივის მიმართ ნაკლის გამოსწორებაზე, სკ-ის 642

I. ნამდვილი ნარდობის ხელშეკრულება (-)

- ბათილია
კანონსაწინააღმდეგობის გამო, სკ-ის 54

II. გამონაკლისი (+)


- ბათილობაზე მითითების დაუშვებლობა ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებისთვის თავის არიდების მიზნით

შედეგი: ანის მოთხოვნა გივის მიმართ (+)

იყოს „ჩვეულებრივი გამოყენებისთვის“, სკ-ის 641-ე მუხლში 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების მნიშვნელობით. ვინაიდან სახურავიდან სახლში წყალი ჩავიდა, აშკარაა, რომ ის ვარგისი არ არის ჩვეულებრივი გამოყენებისთვის. შესაბამისად, სახურავის შეკეთება ნაკლიანი იყო.

3. შუალედური დასკვნა

ანისა და გივის შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულება ბათილია, სკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე. თუმცა, სკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, გივის არ აქვს უფლება, დაეყრდნოს გარიგების ბათილო-



ბას, თუკი ის ამით თავს აარიდებს, სკ-ის 642-ე მუხლიდან გამომდინარე, დამატებითი შესრულების ვალდებულებას.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

კაზუსი არ შეიცავს არანაირ მითითებას ისეთ გარემოებაზე, რაც შე-საძლოა მეტყველებდეს მოთხოვნის შეწყვეტაზე. ამრიგად, მოთხოვნა არ შეწყვეტილა.

III. მოთხოვნის განხორციელება

კაზუსი არ შეიცავს არანაირ მითითებას ისეთ გარემოებაზე, რაც შე-საძლოა მეტყველებდეს მოთხოვნის განხორციელებლობაზე. შესაბამი-სად, მოთხოვნა განხორციელებადია.

IV. საპროცესო დასკვნა

ანის აქვს გივისგან ნაკლის გამოსწორების მოთხოვნის უფლება, სკ-ის 642-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

შეცვლილება შეცდომის საფუძველზე (სკ-ის 72-ე და მომდევნო მუხლები) შემომწმობის სქემა

I. წინაპირობები

1. შეცვლილების საფუძველი
 - ა) არსებითი შეცდომა, სკ-ის 73-ე და მომდევნო მუხლების საფუძ-ველზე
 - ბ) მიზეზობრივი კავშირი შეცდომასა და ნების გამოვლენას შორის
2. შეცვლილების განცხადება (სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინა-დადება)
 - ა) ნების გამოვლენის ნამდვილობა (ყურადღებამისაქცევია სკ-ის 51-ე მუხლი)
 - ბ) უფლებამოსილი პირის მიერ (სკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილი)
 - გ) უფლებამოსილი პირის მიმართ
3. შეცვლილების ვადა (სკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)
4. შეცვლილება არ უნდა იყოს გამორიცხული
 - ა) შეცვლილების უფლების მქონე პირის მიერ გარიგების დადასტურება (სკ-ის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილი)

- ბ) კონტრაჰენტის თანხმობა (სკ-ის 77-ე მუხლი)
- გ) წვრილმანი შეცდომები (სკ-ის 78-ე მუხლი)
- დ) კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე (სკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი; შემთხვევა, როდესაც ფაქტობრივად გამოვლენილი ნება ნანდომი ნებისგან განსხვავდება, თუმცა უკეთეს პირობებში აყენებს შეცილებაზე უფლებამოსილ პირს)

II. სამართლებრივი შედეგები

1. შეცილებული გარიგების ან მისი ნაწილის ბათილობა მისი დადების მომენტიდან (*ex tunc*, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი, სკ-ის 62-ე მუხლი)
2. შეცილების განმახორციელებელი პირის ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე (სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილი)
 - ა) წინაპირობები
 - აა) ნამდვილი შეცილება
 - ბბ) აქცეპტანტის ნდობის არსებობა ოფერენტის მიერ გამოვლენილი ნების მიმართ (ნდობის ფაქტორი)
 - ბ) სამართლებრივი შედეგი: ნეგატიური ინტერესის ანაზღაურება, რომელიც შეზღუდულია პოზიტიური ინტერესით

კაზუსი 12. „ნამდვილი ღომი“

(შეცილება ნების გამოვლენის შინაარსში დაშვებული შეცდომის გამო, სკ-ის 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით)

კახელი დათო თავის ოჯახთან ერთად გადაწყვეტს, მოინახულოს სამეგრელოში ქალაქ მარტვილის განახლებული სამონასტრო კომპლექსი. იგი შაბათ დღეს გაემგზავრება მანქანით ოჯახთან ერთად და დაათვალიერებს სამონასტრო კომპლექსს. დათო აღფრთოვანდება ეკლესიისა და მიმდებარე ტერიტორიის სილამაზით. მას შემდეგ, რაც ფეხით მოივლიან მთლიან კომპლექსს და მოშივდებათ, დათო გადაწყვეტს, ოჯახი წაიყვანოს ადგილობრივ რესტორანში, რათა დააგემოვნონ მეგრული სამზარეულო. მარტვილში ისინი დასხდებიან ირმას რესტორან „სამეგრელოში“, რომელსაც გარედან ამშვენებს წარწერა – „ტრადიციული მეგრული კერძები“. მაგიდაზე დადებულ მენიუში დათო სხვა საჭმელებთან ერთად ამოიკითხავს კერძს „ნამდვილი ღომი“ – პორციის ფასი 5 ლარი. მას ძალიან გაუხარდება, რომ, როგორც იქნა, სამეგრელოში შეჭამს ნამდვილ, მეგრული წესით დამზადებულ ღომს. იგი ირმას შეუკვეთს სამ პორცია „ნამდვილ ღომს“ და იმედოვნებს, რომ უკვეთს ღომს, რომელიც მზადდება სიმინდის ღერღილისაგან. 15 წუთის შემდეგ ირმა სუფრაზე მოიტანს ღომს, რომელიც მოყვითალო ფერისაა. დათო გაოცდება და ჰკითხავს ოფიციანტს, რომ მას სურდა ღომის შეკვეთა, რომელიც თეთრი ფერისაა და სიმინდისაგან მზადდება. ირმა ეტყვის, რომ „ნამდვილი ღომი“ მზადდება მცენარე ღომის მარცვლისაგან, არის მოყვითალო ფერის და არაფერი აქვს საერთო სიმინდის ღერღილისგან დამზადებულ ღომთან. დათო აცხადებს, რომ მას არ შეუკვეთია „ყვითელი ღომი“ და არ აპირებს მის გასინჯვასაც კი, ვინაიდან ძალიან შია და „ექსპერიმენტის ჩატარების“ სურვილი არ აქვს. შესაბამისად, იგი არ აპირებს 15 ლარის გადახდას. ირმა აცხადებს, რომ დათოს ბრალია გაუგებრობა, ვინაიდან მან არ იცის, რომ „ნამდვილი ღომი“ მცენარე ღომის მარცვლისგან მზადდება და ითხოვს 15 ლარის გადახდას.

შეუძლია თუ არა ირმას, მოსთხოვოს დათოს სამი პორცია „ნამდვილი ღომის“ საფასურის, 15 ლარის გადახდა?

A. ირმას მოთხოვნა დათოს მიმართ ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე

სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ირმა შესაძლოა, დათოს მიმართ ჰქონდეს 15 ლარის ოდენობით შეკვეთილი ლომის საფასურის გადახდის მოთხოვნა. ნასყიდობის თანხის გადახდის მოთხოვნა წარმოიშობა მაშინ, როდესაც მხარეთა შორის დადებულია ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება. შესაბამისად, შემონმების საგანია მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებობა.

I. მოთხოვნის წარმოშობა

1. ხელშეკრულების სახე

უნდა აღინიშნოს, რომ რესტორანში გაფორმებული ხელშეკრულებები ვერ ჩაითვლება წმინდა სახის ნასყიდობის ხელშეკრულებებად. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს შერეული ტიპის ხელშეკრულებებთან.

საკითხის გაღრმავებისთვის: არსებობს ე.წ. შერეული ტიპის ხელშეკრულებები, რომლებიც, შინაარსის მიხედვით, სამოქალაქო კოდექსში მოწესრიგებულ არცერთ ხელშეკრულების სახეს არ ემსგავსებიან. როგორც აღვნიშნეთ, ასეთ ხელშეკრულებებს შერეული ტიპის ხელშეკრულებებს უწოდებენ და ისინი გამოირჩევიან იმით, რომ მათში შერწყმულია სხვადასხვა სახის ხელშეკრულება. მაგალითად, ჩვენს შემთხვევაში, რესტორანში დადებული ხელშეკრულება მოიცავს ნასყიდობის ხელშეკრულების (კერძის შექმნა), მომსახურების ხელშეკრულების (ოფიციალტის მომსახურება) და ქირავნობის ხელშეკრულების (მაგიდის, სკამების, თევზების, ჭიქებისა და ა.შ. გარკვეული დროით ქირავნობა) ნიშნებს. მაშინ, როდესაც ჩვენი დავალებაა შერეული ტიპის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მოთხოვნის შემონმება, შესაძლოა, რთული აღმოჩნდეს სწორი სამართლებრივი საფუძვლის შერჩევა. ამ შემთხვევაში არსებობს ორი შესაძლებლობა: 1) შეგვიძლია, შერეული ტიპის ხელშეკრულება შევაფასოთ მთლიანობაში და გამოვყოთ ხელშეკრულება, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია სხვა ხელშეკრულებების სახეებთან მიმართებით, ანუ რომლის ელემენტიც გადანონის სხვა ხელშეკრულებების ელემენტებს და რომელსაც ე.წ. „დომინირებული“ ადგილი უკავია მთლიან ხელშეკრულებაში. მაგალითად, რესტორნის შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულება უფრო მნიშვნელოვანია (დომინირებული) სხვა ხელშეკრულებებთან (მომსახურება, ქირავნობა) შედარებით; 2) მეორე შესაძლებლობის მიხედვით, ყველა ხელშეკრულების ნორმას ექცევა ყურადღება ცალ-ცალკე, თუმცა ანაზღაურების ზოგადი მოთხოვნის საფუძველი არის სკ-ის

316-ე მუხლი, რომელიც ზოგადად ადგენს, რომ ვალდებულების ძალით კრედიტორს შეუძლია, მოსთხოვოს მოვალეს ვალდებულების შესრულება.

ასეთი მსჯელობა კაზუსის ამოხსნისას უმნიშვნელოა. როგორც ნესი, ყოველთვის ჯობია პირველი შესაძლებლობის გამოყენება და მოკლე მითითება იმაზე, თუ როგორ „მივედით“ მოთხოვნის საფუძვლამდე.

თუმცა ყურადღება მიაქციეთ, რომ შერეული ტიპის ხელშეკრულებისას მოთხოვნის საფუძვლის პოვნა განსაკუთრებით პრობლემური შეიძლება იყოს ნივთის ნაკლის გამო პასუხისმგებლობის შემთხვევებში. ასეთ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ რომელი ზემოაღნიშნული შესაძლებლობის მიხედვით შევაფასებთ შერეული ტიპის ხელშეკრულებას. თუმცა ეს ვალდებულებითი სამართლის საგანია და სამოქალაქო სამართლის შესავალ ნაწილში ნაკლებად გვჭირდება.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რესტორანში დადებულ შერეული ტიპის ხელშეკრულებაში ნასყიდობის ხელშეკრულების ელემენტს უკავია დომინირებული მდგომარეობა და იგი გადანონის სხვა ხელშეკრულებათა ელემენტებს. შესაბამისად, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად ვიყენებთ ნასყიდობის ხელშეკრულების ნორმებს.

2. ხელშეკრულების დადება

ჩვენ ვიცით, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაში შედის ოფერენტისა და აქცეპტანტის ორი ურთიერთთანმხვედრი ნების გამოვლენის, ოფერტისა და აქცეპტის, შედეგად (იხ. სკ-ის 329-ე და მომდევნო მუხლები).

ა. ოფერტი

ოფერტი არის მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, რომელიც შეიცავს ხელშეკრულების ყველა მნიშვნელოვან ასპექტს. ჩვენს შემთხვევაში საკითხავია, თუ რომელი მხარის მიერ განხორციელდა ოფერტი:

აა) რესტორნის მენიუ

ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისკენ გამოვლენილ ოფერტად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს მაგიდაზე დადებული კერძების მენიუ, სხვა მეგრულ კერძებთან ერთად

მენიუში შემოთავაზებული იყო კერძი „ნამდვილი ღომი“ – პორცია 5 ლარი.

საკითხავია, სკ-ის 52-ე და 337-ე მუხლების გათვალისწინებით, რამდენად შეიძლება საშუალოდ გონიერი ადამიანის მიერ მაგიდაზე დადებული მენიუ აღქმულ იქნეს ოფერტად. თუ ეს ასე იქნებოდა, მაშინ რესტორნის მეპატრონეს ნებისმიერი პირის წინაშე წარმოემოზოდა სახელშეკრულებო ვალდებულება, რომელიც მის ოფერტს (შეთავაზებას) მიიღებდა. მაგალითად, ჩვენს შემთხვევაში, ეს გამოიწვევდა სახელშეკრულებო ბოჭვას ასევე მაშინ, როდესაც ირმას „ნამდვილი ლომის“ ინგრედიენტები არ ექნებოდა. თუმცა ნებისმიერმა გონიერმა ადამიანმა იცის, რომ არის შემთხვევები, როდესაც რესტორანში რომელიმე კერძის შეკვეთა ვერ ხერხდება, ვინაიდან ინგრედიენტების მარაგი ამონურულია და ამის შესახებ სტუმარს მხოლოდ შეკვეთის მიცემის შემდგომ ეცნობება ხოლმე. მაშასადამე, გონიერი ადამიანი მენიუში – „ნამდვილი ლომი“ – პორცია 5 ლარი – წაკითხვის შემდგომ მიხვდებოდა, რომ მოცემული იყო არა მბოჭავი შემოთავაზება (ოფერტი), არამედ მონვევა/მონოდება (სტუმრისთვის) ოფერტის გაკეთებაზე (*invitation ad offerendum*).

ბბ) დათოს შეკვეთა

ნასყიდობის ხელშეკრულების დასადებად გაკეთებული ოფერტი შესაძლოა მოცემული იყოს დათოს მიერ ირმასთვის მიცემული შეკვეთის სახით.

➤ ნების გამოვლენის ობიექტური შემადგენლობა

საკითხის გაღრმავებისთვის:

ნების გამოვლენის შემადგენლობა

ნების გამოვლენის შემადგენლობის წინაპირობები, მაშასადამე, ის წინაპირობები, რომელთა არსებობითაც დგინდება საერთოდ, მოცემულია თუ არა ნების გამოვლენა, კანონში არ არის მონესრიგებული. მხოლოდ ნების გამოვლენის ცნების განხილვის შედეგად ვადგენთ, რომ ნების გამოვლენა შედგება სუბიექტური (ნება) და ობიექტური (ნების გამოხატვა) ელემენტებისაგან (სუბიექტური და ობიექტური შემადგენლობა). გამომდინარე აქედან, ნების გამოვლენა არის სამართლებრივად მნიშვნელოვანი *ნების გამოხატვა*, რომელიც მიმართულია ერთ ან რამდენიმე ადრესატზე.

ნების გამოვლენის ობიექტური შემადგენლობა

ნების გამოვლენის ობიექტური შემადგენლობა მოიცავს ნების გამოვლენის იმ ელემენტებს, რომლებიც გარე სამყაროში აღიქმება. ობიექტური შემადგენლობა ჩვეულებრივ შემთხვევაში არის შინაგანად ჩამოყალიბებული (სუბიექტური) ნების გარე სამყაროში გამოხატვა. ამიტომ, კონკრეტულ შემთხვევაში, თუ რამდენად არის მოცემული ნების გამოვლენის ობიექტური

შემადგენლობა, უნდა შეფასდეს საშუალოდ გონიერი ადამიანის თვალსაწიერით, სკ-ის 52-ე და 337-ე მუხლების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ საშუალოდ გონიერ ადამიანს ობიექტურად გამოსატულ ნიშნებზე დაყრდნობით შეეძლო ევარაუდა, რომ ნების გამოვლენის სურდა ნების გამოხატვა, მაშინ ნების გამოვლენის ობიექტური შემადგენლობა არსებულად ჩაითვლება. ცალკეულ შემთხვევაში ყურადღება ექცევა შემადგენლობის შემდეგ ელემენტებს:

1. ნების ობიექტური გამოხატვა (ნების გამოვლენის ნიშნების არსებობა)

საშუალოდ გონიერ ნების გამოვლენის ადრესატს უნდა შეეძლოს იმის ვარაუდი, რომ ნების გამოვლენის სურს მოქმედება და ამ მიზნით იყენებს ნების გამოხატვის სხვადასხვა ფორმას (მაგ.: ხელის აწევა, ლაპარაკი, წერა). დუმილი, როგორც წესი, არ ითვლება გამოხატვის საშუალებად და, შესაბამისად, ვერ ჩაითვლება ნების გამოვლენად.

2. სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლის სურვილი უნდა იყოს შეცნობადი

საშუალოდ გონიერ ნების გამოვლენის ადრესატს უნდა შეეძლოს იმის ვარაუდი, რომ ნების გამოვლენის პირს სურს სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლა. ისეთ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ შემთხვევებში, როდესაც პირი კეთილგანწყობით რაიმე ურთიერთობაში შედის, მაგალითად, მეგობარს დაიმგზავრებს და ა.შ., არ არსებობს სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლის სურვილი. სამართლებრივ ბოჭვაში შესვლის სურვილი არ არსებობს მაშინაც, როდესაც სახეზეა ოფერტზე მონვევა (*invitatio ad offerendum*).

3. გარიგების შინაარსი უნდა იყოს შეცნობადი

სკ-ის 52-ე და 337-ე მუხლებზე დაყრდნობით უნდა დადგინდეს, თუ რომელი გარიგების ნიშნებს შეიცავს გამოვლენილი ნება, ანუ რომელი სახის გარიგების დადებას ისახავს მიზნად ნების გამოვლენი: ნასყიდობას, ქირავნობას, ჩუქებას და ა.შ. ამ დროს უნდა დადგინდეს, აგრეთვე, რამდენად შეიცავს გამოვლენილი ნება ამა თუ იმ ხელშეკრულების ყველა ნიშანს (*essentia negotii*). მაგალითად, გამონათქვამი „იყიდება მანქანა“ ვერ ჩაითვლება ოფერტად, ვინაიდან არ არის დაკონკრეტებული, რომელ მანქანაზეა საუბარი და, შესაბამისად, ოფერტი არ შეიცავს მითითებას ნასყიდობის ფასზე, რაც ნასყიდობის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ნიშანია. შედარებისთვის იხილეთ სკ-ის 53-ე მუხლი.

კაზუსის ამოხსნისას არ არის სავალდებულო ზემოაღნიშნული სამი საფეხურის დანვრილებით შემოწმება. როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში ნების გამოვლენის არსებობა განმარტების გზით, მესამე ნიშნის მიხედვით დგინდება. პირველ ორ ნიშანს („ნების ობიექტური გამოხატვა“ და „სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლის სურვილი“) მნიშვნელობა არ ენიჭება, ვინაიდან

ისინი, როგორც წესი, ყოველთვის მოცემულია კაზუსში. თუ კაზუსიდან პირდაპირ არ იკვეთება, რომ ისინი არაა სახეზე და საჭიროა მათზე მსჯელობა, მხოლოდ მაშინ არის მიზანშეწონილი მათი დაწვრილებით განხილვა. ჩვენს კაზუსშიც ნების ობიექტური გამოხატვა და სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლის სურვილი უპრობლემოდაა წარმოდგენილი.

მითითება: ნების გამოვლენის ობიექტური შემადგენლობის არსებობის შემოწმება ხდება ყოველთვის საშუალოდ გონიერი ადამიანის თვალსაზრისის მიხედვით, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, აქ დაისმის კითხვა შემდეგნაირად: ის ნიშნები, რომლებითაც პირმა გამოავლინა ნება, გონიერი ადამიანის მიერ შესაძლოა აღქმულ იქნეს ოფერტად? – თუ ჩვენ დავადგენთ, რომ გამოვლენის ნიშანი (ხელის აწევა, ნაწერი, ზეპირი გამონათქვამი) საშუალოდ გონიერი ადრესატის მიერ აღიქმებოდა ოფერტად, დავასკვნით, რომ სახეზეა ნების გამოვლენის ობიექტური შემადგენლობა. ყურადღება მიაქციეთ: ის გარემოება, რომ პირს სუბიექტურად სხვა რაიმის გამოხატვა სურდა, ნების გამოვლენის ობიექტური შემადგენლობისთვის უმნიშვნელოა, იგი ქმნის მხოლოდ შეცდომის შემადგენლობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნების გამოვლენის შინაარსის შემოწმებისას ვარკვევთ, გამოვლენილი ნიშნები საშუალოდ გონიერი ადრესატის მიერ როგორ აღიქმებოდა. ამ დროს ყურადღება ექცევა ასევე იმას, თუ რა ფაქტობრივ გარემოებებში მოხდა ნების გამოვლენა.

კაზუსიდან ვარკვევთ, რომ დათო ირმას უკვეთს „ნამდვილ ლომს“. სწორედ აქ დაისმის კითხვა: ნების გამოხატვის ნიშანი – „ნამდვილი ლომი“ – როგორ აღიქმება საშუალოდ გონიერი ადამიანის მიერ? ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ დათომ თავისი ნება გამოავლინა მარტივლში, ერთ-ერთ რესტორანში. სამეგრელოში, მარტვილში „ნამდვილ ლომში“ გულისხმობენ მხოლოდ მცენარე ლომის მარცვლებისგან დამზადებულ ლომს და არა „ჩვეულებრივ ლომს“, რომელიც სიმინდის ღერლილისაგან მზადდება. ამიტომ ამ სიტუაციაში ირმას ადგილას ნებისმიერი სხვა პირი დათოს ნების გამოხატვას გაიგებდა როგორც ოფერტს მცენარე ლომისგან „ნამდვილი ლომის“ დამზადების თაობაზე. ის ფაქტი, რომ დათოს სუბიექტური თვალსაზრისით სხვა რაიმეს შეკვეთა სურდა, უმნიშვნელოა ნების გამოვლენის ობიექტური შინაარსის განსაზღვრისათვის.

➤ ნების გამოვლენის სუბიექტური შემადგენლობა

საკითხის გაღრმავებისთვის:

ნების გამოვლენის სუბიექტური შემადგენლობა

ნების გამოვლენის სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია: **მოქმედების ნება, გამოვლენილის შეცნობა და გარიგების დადების ნება** (სქემა იხ. გვ. 30). ნების გამოვლენის ობიექტური შემადგენლობისგან განსხვავებით, სუბიექტური შემადგენლობის ფარგლებში ყურადღება ექცევა მხოლოდ ნების გამომვლენი პირის ნებას.

უნდა აღინიშნოს, რომ **მოქმედების ნება არის ნების გამოვლენის ნამდვილობის აუცილებელი პირობა**. ნების გამომვლენ პირს უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ ახორციელებს მოქმედებას. ეს ელემენტი, როგორც წესი, კაზუსებში უპრობლემოდ არის წარმოდგენილი. მოქმედების ნება არ არის წარმოდგენილი მაშინ, როდესაც პირი, მაგალითად, ძილში ან, გონებადაკარგული, რაიმე მოძრაობებს აკეთებს.

თუ რამდენად არის ნების გამოვლენის ნამდვილობის სავალდებულო წინაპირობა **პირის ცოდნა იმის შესახებ, რომ იგი ავლენს სამართლებრივად მნიშვნელოვან ნებას**, საკამათოა. იგი შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში, პრობლემური იყოს, თუმცა ჩვენს კაზუსში ცალსახად ჩანს, დათოს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ მის მიერ გამოვლენილი ნება სამართლებრივად მნიშვნელოვანი იყო.

გარიგების დადების ნება არ არის ნების გამოვლენის ნამდვილობის წინაპირობა. მასში იგულისხმება კონკრეტული გარიგების კონკრეტული შინაარსით დადების სურვილი (მაგ.: ნასყიდობა და არა ჩუქება, სიმინდის ღერლისგან დამზადებული ლომის ყიდვა და არა მცენარე ლომის მარცვლებისგან დამზადებულის და ა.შ.). იგი ქმნის მხოლოდ შეცილების საფუძველს სკ-ის 73-ე მუხლის „ა“ ან „ბ“ პუნქტების მიხედვით. თუმცა, როგორც ითქვა, გავლენას არ ახდენს ნების გამოვლენის ნამდვილობაზე.

ზემოაღნიშნული კლასიფიკაცია ჩვენს კაზუსთან მიმართებით ნიშნავს შემდეგს:

ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ **მოქმედების ნება**, დანარჩენი ორი ელემენტი უმნიშვნელოა. შეკვეთის მიცემისას დათოს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი მოქმედება და, შესაბამისად, მას ჰქონდა მოქმედების ნებაც (სურვილი). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დათოს გაცნობიერებული ჰქონდა ასევე, რომ მის მიერ გამოვლენილი ნება სამართლებრივად მნიშვნელოვანი იყო. შესაბამისად, სახეზეა ელემენტი „გამოვლენილის შეცნობა“. კონკრეტული გარიგების დადების ნება ნების გამოვლენის ნამდვილობისთვის უმნიშვნელოა. ის, რომ ნების გამოვლენისას დათო

ცდებოდა გარიგების შინაარსში, ნების გამოვლენის ნამდვილობის დამაბრ-კოლებელი წინაპირობა არ არის.

ზემოაღნიშნული სამი ელემენტი კაზუსის ამოხსნისას სტუდენტმა ზეპირად უნდა შეამოწმოს. არ არის მიზანშეწონილი ნების გამოვლენის სუბიექტური შემადგენლობის პრობლემატიზება, როდესაც სახეზეა მოქმედების ნება და პირს შეცნობილი აქვს გამოვლენილი ნების სამართლებრივი შედეგი. ზემოაღნიშნული დეფინიციების დაწერა არ მოეთხოვება სტუდენტს გამოცდაზე, მათი აქ მოხსენიება ემსახურება მხოლოდ ნების გამოვლენის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობების უკეთ გაგებას. მაგალითად, როდესაც სახეზეა შეცდომით ჩამოყალიბებული გარიგების დადების ნება (რაც ქმნის შეცილების საფუძველს), მაშინ შეგვიძლია, ძალიან მოკლედ დავადგინოთ, რომ მაინც არსებობს ნების გამოვლენის სუბიექტური შემადგენლობა (იხილეთ ქვემოთ).

დათოს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ სამართლებრივად მნიშვნელოვან ნებას ავლენდა, როდესაც იგი ირმას შეკვეთას აძლევდა. კონკრეტული გარიგების კონკრეტული შინაარსით დადების ნება, როგორც აღინიშნა, არ არის ნების გამოვლენის ნამდვილობის წინაპირობა, ამდენად, ის გარემოება, რომ დათო გამოვლენილი ნების ობიექტურ შინაარსში ცდებოდა, უმნიშვნელოა.

ბ. აქცეპტი

ირმას მიერ დათოს შეკვეთაზე დასტური შესაძლოა ჩაითვალოს აქცეპტად. ირმამ მიიღო დათოს შეკვეთა და შემდგომ მოიტანა სუფრაზე გამზადებული „ნამდვილი ღომი“, რაც ასევე ადასტურებს მის მიერ შეკვეთის (ოფერტის) მიღებას და მასზე აქცეპტს. მაშასადამე, სახეზეა ირმას აქცეპტი.

3. შედეგი – შეთანხმება

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მხარეთა შორის დაიდო სამი პორცია „ნამდვილი ღომის“ ნასყიდობის ხელშეკრულება. ირმას წარმოეშვა მოთხოვნის უფლება დათოს მიმართ 15 ლარის ოდენობით.

II. მოთხოვნის შეწყვეტა – ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების საფუძველზე

შესაძლოა, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ირმას მოთხოვნა დათოს მიმართ შეწყდა ხელშეკრულების ბათილობის გამო, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად. ბათილობის წინაპირობაა ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მიმართ გამოვლენილი ნების ნამდვილი შეცილება. შეცილება რომ ნამდვილი იყოს, სახეზე უნდა იყოს შეცილების საფუძველი და შეცილების განცხადება, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით.

საკითხის გაღრმავებისთვის: შეცილების განცხადება არის სამართლებრივი გარიგება, რომელიც შედგება ნების გამოვლენისგან. სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ ცალმხრივი გარიგების სამართლებრივი შედეგი გამოიხატება გამოვლენილი ნების გაბათილებით მისი გამოვლენის მომენტიდან. ვინაიდან შეცილებული ნების გამოვლენაც ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია, ხელშეკრულებაც ბათილდება მისი დადების მომენტიდან. სამართლებრივი გარიგების ცნებასთან დაკავშირებით იხ. კაზუსი 1.

1. შეცილების საფუძველი

პირველ რიგში, უნდა დავადგინოთ, არსებობს თუ არა შეცილების საფუძველი

ა. შეცდომა ნების გამოვლენის ნიშნებში (სკ-ის 73-ე მუხლის „ა“ პუნქტი)

შეცილების საფუძველად შესაძლოა განხილულ იქნეს შეცდომა ნების გამოვლენის ნიშნებში, სკ-ის 73-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად.³⁵ შეცდომა ნების გამოვლენის ნიშნებში სახეზეა მაშინ, როდესაც გამოვლენილი ნება არ შეიცავს იმ ნიშნებსა და შინაარსს, რომლებიც ნების გამომვლენს რეალურად სურდა, ანუ არ შეესაბამება გამომვლენის რეალურ ნება-სურვილს. როგორც წესი, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ნების გამომვლენი წერილობით ან ზეპირად (ე.წ. მექანიკურად) უშვებს შეცდომას. დათომ შეგნებულად გამოიყენა თავისი ნების გამოსახატავად ფრაზა „ნამდვილი

³⁵ შენიშვნა: შეცდომა ნების გამოვლენის ნიშნებში პირდაპირ არ არის დარეგულირებული კანონში. განმარტების შედეგად, იგი შესაძლებელია, მოაზრებულ იქნეს სკ-ის 73-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტში. ამასთან დაკავშირებით იხ. კაზუსი 13.

ლომი“, მას არ შეუღია დასახელება და არც სხვა გამოხატვის ნიშნის გამოყენებას აპირებდა ნების გამოსახატავად. მაშასადამე, იგი არ უშვებდა შეცდომას ნების გამოვლენის ნიშნებში, როდესაც აცხადებდა, რომ სურდა „ნამდვილი ლომის“ შეკვეთა.

**ბ. შეცდომა ნების გამოვლენის შინაარსში
(სკ-ის 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტი)**

შეცილების საფუძვლად შესაძლოა მოაზრებულ იქნეს ნების გამოვლენის შინაარსში დაშვებული შეცდომა, სკ-ის 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით. შინაარსში დაშვებული შეცდომის შემთხვევაში, ნების გამომვლენი პირი შეცდომას უშვებს ნების გამოვლენის ნიშნების ობიექტურ მნიშვნელობაში. გამოვლენილ ნიშანს (მაგ. „ნამდვილი ლომი“) იგი სუბიექტურად უსადაგებს სხვა მნიშვნელობას მაშინ, როდესაც ობიექტურად გამოყენებულ ნიშანს სულ სხვა მნიშვნელობა აქვს.

დათომ სრულიად გაცნობიერებულად უთხრა ირმას, რომ სურდა ნამდვილი ლომის“ შეკვეთა. ობიექტური თვალსაზრისით მან მისცა შეკვეთა „ნამდვილი ლომის“ დამზადებაზე, ანუ ლომის, რომელიც მზადდება მცენარე ლომის მარცვლებისგან, თუმცა იგი სუბიექტურად მიიჩნევდა, რომ აძლევდა შეკვეთას „ჩვეულებრივი ლომის“ დამზადების თაობაზე, რომელიც სიმინდის ღერლილისგან მზადდება. მაშასადამე, დათო შეცდომას უშვებდა მის მიერ გამოვლენილი ნების შინაარსში, სკ-ის 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად.

გ. შუალედური შედეგი – შეცილების საფუძველი

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წარმოდგენილია შეცილების საფუძველი – ნების გამოვლენის შინაარსში დაშვებული შეცდომა, სკ-ის 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით.

საკითხის გაღრმავებისთვის:

ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომისა და ნების გამოვლენის შინაარსში დაშვებული შეცდომის გამიჯვნა

იმისათვის, რომ გავგიმარტივდეს ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომისა და ნების გამოვლენის შინაარსში დაშვებული შეცდომის ერთმანეთისგან გამიჯვნა, შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი მეთოდი:

უნდა ჩავდგეთ ნების გამოვლენის ადრესატის პოზიციაში. წარმოვიდგინოთ, რომ პირს, რომელიც ნების გამოვლენისას შეცდომას უშვებს, ეკითხებიან კიდევ ერთხელ, თუ რასთან დაკავშირებით გამოხატა მან ნება.

მაგალითად, თუ ოფიციალტი იკითხავდა: გავიმეორებ შეკვეთას – თქვენ გსურთ სამი პორცია „ნამდვილი ღომი“, სამი ლიმონათი და ა.შ.,

1. იმ შემთხვევაში, თუ დათო უპასუხებდა: „დიახ, მინდა“, მაშინ სახეზეა ნების გამოვლენის შინაარსში დაშვებული შეცდომა, სკ-ის 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით. ჩვენს კაზუსში დათო მაინც უპასუხებდა: „კი, მე მინდა ნამდვილი ღომის შეკვეთა“, რადგან მას სუბიექტურად ეგონა, რომ „ნამდვილი ღომის“ შეკვეთით სიმინდის ლერძილისგან დამზადებულ ღომს უკვეთდა;

2. მაშინ, როდესაც პასუხი იქნებოდა: „უკაცრავად, შემეშალა, სხვა რამის შეკვეთა მსურდა“, სახეზეა ნების გამოვლენის ნიშანში დაშვებული შეცდომა.

მაგალითად: მწვრთნელ თემურს სურს, თავისი საფეხბურთო გუნდისთვის შეიძინოს 15 ცალი მაისური. იგი მალაზია „ჩემპიონს“ გაუგზავნის წერილობით შეკვეთას, რომელშიც შეეშლება და ჩაწერს 115 მაისურს. ამ შემთხვევაში თემურის მიმართ დაისმებოდა კითხვა: „თქვენ ნამდვილად გსურთ 115 მაისურის შეძენა?“. რა თქმა უნდა, თემური მიხვდებოდა თავის შეცდომას და უპასუხებდა: „არა, უკაცრავად, შემეშალა, მე 15 ცალის შეკვეთა მინდა“. ასეთ დროს საშუალოდ გონიერი ნების გამოვლენი პირი უცებ ხვდება თავის მექანიკურად დაშვებულ შეცდომას და აცხადებს, რომ ასეთი სახით არ სურდა ნების გამოვლენა.

2. შეცილების განცხადება, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად

სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, შეცილება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მეორე მხარის, მაშასადამე, ირმას მიმართ. შესაძლოა, დათოს განცხადება ირმას მიმართ თანხის არგადახდის თაობაზე მიჩნეულ იქნეს შეცილების განცხადებად, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების გაგებით. ჩვენ ვიცით, რომ შეცილების განცხადება არის მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა. როგორც ოფერტი და აქცეპტი, შეცილების განცხადებაც უნდა შეფასდეს საშუალოდ გონიერი სუბიექტის თვალსაწიერით, სკ-ის 52-ე და 337-ე მუხლების გათვალისწინებით. ეს კი გულისხმობს იმას, რომ შესაძლოა, შეცილების განცხადებაში სიტყვა „შეცილება“ საერთოდ არ იყოს ნახსენა.

ნები, მაგრამ, ობიექტური თვალსაზრისით, აშკარად გამოიხატოს შემცილებლის ნება, ხელშეკრულების კონკრეტული ფორმით მიუღებლობასთან, მის გაუქმებასთან დაკავშირებით. თუ ხელშეკრულებისაგან „თავის დაღწევის“ ნება აშკარად გამოვლენილია, იგი მიიჩნევა შეცილების განცხადებად, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების გაგებით. კაზუსის ფაბულის მიხედვით ვადგენთ, რომ დათომ უთხრა ირმას, მას არ შეუკვეთია „ყვითელი ლომი“ და არ აპირებს მის გასინჯვასაც კი, ვინაიდან ძალიან შია და „ექსპერიმენტის ჩატარების“ სურვილი არ აქვს. იგი ასევე აცხადებს, რომ არ აპირებს 15 ლარის გადახდას. მაშასადამე, სახეზეა დათოს შეცილების განცხადება ირმას მიმართ და იგი ნამდვილია სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების გაგებით.

3. შეცილების ვადა (სკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)

სკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, შეცილება შეცილებაზე უფლებამოსილი პირის მიერ უნდა გაცხადდეს შეცილების საფუძვლის შეტყობიდან ერთი თვის ვადაში. დათომ, მას შემდეგ, რაც შეიცნო თავისი შეცდომა, დაუყოვნებლივ განუცხადა ირმას, რომ არ სურდა „ნამდვილი ლომის“ დაგემოვნება და, შესაბამისად, უარს ამბობდა ნასყიდობის ხელშეკრულებაზე. ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაცულია სკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილის წინაპირობა: შეცილება განცხადებულ იქნა ერთი თვის ვადაში.

4. შედეგი – შეცილება

შედეგის სახით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დათოს მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების შეცილე-

A. დათოს მიერ ირმასთან დადებული ხელშეკრულების შეცილება

I. მოთხოვნის წარმოშობა (+) →

ხელშეკრულება დაიდო

ოფერტი (+) → დათოს შეკვეთა

აქცეპტი (+) → ირმას დასტური შეკვეთაზე

(მენიუ არ ითვლება ოფერტად, არამედ არის მონვევა ოფერტზე (invitatio ad offerendum))

II. მოთხოვნის შეწყვეტა ხელშეკრულების ბათილობის გამო საფუძველი – შეცილება:

➤ სკ-ის 73-ე მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით (-)

➤ სკ-ის 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით (+)

→ დათოს შეცდომა, გამოვლენილი ნიშანი „ნამდვილი ლომის“ ობიექტურ მნიშვნელობაში (შინაარსში)

➤ შეცილების განცხადება (+)

➤ შეცილების ვადა (+)

II. შედეგი: ხელშეკრულების ბათილობა მისი დადების მომენტიდან (+)

ბა ნამდვილია. შესაბამისად, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, ბათილია ირმასა და დათოს შორის დადებული სამი პორცია ღომის ნასყიდობის ხელშეკრულება მისი დადების მომენტიდან.

III. საბოლოო შედეგი

ირმას ვერ ექნება დათოს მიმართ სამი პორცია ღომის ნასყიდობის ფასის, 15 ლარის, გადახდის მოთხოვნა, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვინაიდან მოთხოვნა შეწყდა, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, ხელშეკრულების ბათილობის გამო.

სამახსოვრო!

- **შეცდომა ნების გამოვლენის ნიშნებში** სახეზეა მაშინ, როდესაც გამომვლენის ნება არ შეიცავს იმ ნიშნებსა და შინაარსს, რომლებიც ნების გამომვლენს რეალურად სურდა, ანუ არ შეესაბამება გამომვლენის რეალურ ნება-სურვილს.
- **ნების გამოვლენის შინაარსში დაშვებული შეცდომის** შემთხვევაში ნების გამომვლენი პირი შეცდომას უშვებს ნების გამოვლენის ნიშნების ობიექტურ მნიშვნელობაში. გამოვლენილ ნიშანს იგი სუბიექტურად უსადაგებს სხვა მნიშვნელობას მაშინ, როდესაც ობიექტურად გამოყენებულ ნიშანს სულ სხვა მნიშვნელობა აქვს.
- **შეცდომა არსებითია** მაშინ, როდესაც, შემთხვევის ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ პირი, რომელიც შეცდომით ავლენს ნებას, შემთხვევის ნამდვილი შემადგენლობის ცოდნის შემთხვევაში ნებას საერთოდ არ გამოავლენდა, ან – არა ასეთი სახით.

დავალება: შეამოწმეთ ირმას მოთხოვნა დათოს მიმართ 3 პორცია „ნამდვილი ღომის“ თანხის, 15 ლარის, ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მინიშნება: ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ იხილეთ მე-2 კაზუსის ამოხსნა.

სქემა: ნების გამოვლენის შემაღგენლობა	
<p><u>ნების გამოვლენის ობიექტური შემაღგენლობა</u></p> <p>ნების გამოვლენის ეს ელემენტები შეცნობადი უნდა იყოს ობიექტურად ანუ გარე სამყაროში</p>	<p><u>ნების გამოვლენის სუბიექტური შემაღგენლობა</u></p> <p>ნების გამოვლენის სუბიექტური ელემენტები ნების გამოვლენის სუბიექტში ყალიბდება და ქმნის მის ნამდვილ ნებას</p>
<p>1. ნების ობიექტური გამოხატვა (ნების გამოვლენის ნიშნების გამოყენება)</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გარე სამყაროში გამოხატვა ➤ კონკლუდენტური (გამონაკლისი, იხ. სკ-ის 335-ე მუხლი) 	<p>1. მოქმედების ნება</p> <p>მაშინ, როდესაც არ არის მოცემული მოქმედების ნება, ნება გამოვლენილად არ ითვლება! (მაგ. ძილში რაიმეს თქმა არ ჩაითვლება ნების გამოვლენად)</p>
<p>2. სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლის სურვილი უნდა იყოს შეცნობადი</p> <p>არ არსებობს, მაგ.:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ოფერტზე მონვევა ➤ კეთილგანწყობითი დაპირება, მეგობრული რჩევა და ა.შ. <p>თუმცა წარმოდგენილია</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ღვინის აუქციონის შემთხვევაში იხ. კაზუსი № 5 	<p>2. პირის ცოდნა მის მიერ გამოვლენილი ნების სამართლებრივი მნიშვნელობის შესახებ</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ზოგიერთ შემთხვევაში საკამათოა, რამდენად არის პირის მიერ თავისი გამოვლენილი ნების სამართლებრივი მნიშვნელობის არცოდნა ნების გამოვლენის ნამდვილობის დამაბრკოლებელი წინაპირობა. ➤ სკ-ის 50-ე მუხლის მიხედვით, გარიგებისა და ნების გამოვლენის სამართლებრივი წინაპირობაა ის, რომ ნების გამოვლენა უნდა ისწრაფოდეს სამართლებრივი შედეგის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ეს თუ ასე არაა, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ნება გამოვლენილად არ ითვლება მაშინ, როდესაც პირმა არ იცის თავისი ობიექტურად გამოვლენილი ნების სამართლებრივი მნიშვნელობის

	<p>შესახებ. იხილეთ კაზუსი № 5.</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია სკ-ის 57-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ანალოგიის წესით გამოყენებაც
<p>3. გარიგების შინაარსი უნდა იყოს შეცნობადი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ თუ რამდენად შეცნობადია გარიგების შინაარსი, უნდა განიმარტოს სკ-ის 52-ე და 337-ე მუხლებზე დაყრდნობით, მაგ.: ნასყიდობა, ქირავნობა, ჩუქება და ა.შ. 	<p style="text-align: center;">↔</p> <p>3. გარიგების დადების ნება</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ნების გამოვლენა მაინც ჩაითვლება ნამდვილად, თუ ეს ელემენტი არ არის სახეზე, თუმცა იგი იძლევა შეცილების საფუძველს.

კახუსი 13. ბულგაჰინცი მონადირე

(ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომა; ნაწილობრივი შეცდომა; ნაწილობრივი ბათილობა; ზიანის ანაზღაურება სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით)

მონადირე კახამ თავის ხუთ მეგობართან ერთად გადაწყვიტა, 20 აგვისტოდან 27 აგვისტოს ჩათვლით წასულიყო პალიასტომის ტბაზე, იხვევებზე სანადიროდ. მათ ერთად მოილაპარაკეს, რომ ფოთში მცხოვრებ ბერდიასგან ექირავათ ნავეები, რომლებითაც ტბაში შეცურავდნენ და ამგვარად ინადირებდნენ იხვევებზე. ვინაიდან ისინი ექვსნი მიდიოდნენ, კახამ გადაწყვიტა, რომ ექირავა ორი სამადგილიანი ნავი. ერთი ნავის ქირა მთელი კვირისათვის შეადგენდა 150 ლარს.

15 აგვისტოს კახამ ბერდიას ფაქსით გაუგზავნა შეკვეთა, რომელშიც შეცდომით მიუთითა, რომ ორის ნაცვლად სურს სამი სამადგილიანი ნავის შეკვეთა. შეკვეთის გაგზავნიდან მეორე დღეს, 16 აგვისტოს, მან ბერდიასგან ასევე ფაქსით მიიღო შეკვეთაზე დასტური.

მას შემდეგ, რაც კახა თავის მეგობრებთან ერთად ჩავიდა ფოთში ნავეების წამოსაღებად, ბერდიამ განუცხადა, რომ მას სამი ნავი აქვს ნაქირავები და, შესაბამისად, უნდა გადაუხადოს 450 ლარი. კახა აცხადებს, რომ მას მხოლოდ ორი სამადგილიანი ნავის შეკვეთა სურდა და ამიტომაც მხოლოდ ორი ნავის ქირას, ჯამში 300 ლარს, გადაიხდის. ბერდია აცხადებს, რომ 17 აგვისტოდან 20 აგვისტომდე პერიოდში (იხვევებზე ნადირობის ყველაზე აქტიური სეზონია) სხვა ჯგუფისგანაც მიიღო შეკვეთა, რაზეც კახას შეკვეთაზე დასტურის გამო უარის თქმა მოუწია. იგი ამბობს, რომ თავისუფლად შეეძლო მესამე ნავის მეორე ჯგუფისთვის მიქირავება, რომელსაც ნავის ქირაობა უფრო ხანგრძლივი პერიოდით, 20 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე პერიოდში (ორი კვირით) სურდა. მას ყველაზე მეტად აღიზიანებს ის, რომ ბერდიას უარის შემდეგ ამ ჯგუფმა მისი კონკურენტი ფირმისგან იქირავა ნავი და ის 27 აგვისტოს შემდგომ ამ ნავეებს ველარ გააქირავებს, ვინაიდან იხვევებზე ნადირობის სეზონი თითქმის დასრულებულია.

რის მოთხოვნა შეუძლია ბერდიას კახასგან?

A. ბერდიას მოთხოვნა კახას მიმართ 450 ლარის ოდენობით სამი ნავის ქირის გადახდის თაობაზე, სკ-ის 531-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე

სკ-ის 531-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბერდიას შესაძლოა, კახას მიმართ ჰქონდეს 450 ლარის ოდენობით სამი ნავის ქირის გადახდის მოთხოვნა. ქირის გადახდის მოთხოვნა წარმოიშობა მაშინ, როდესაც მხარეთა შორის დადებულია ნამდვილი ქირავნობის ხელშეკრულება. მაშასადამე, ჩვენი შემოწმების საგანია მხარეთა შორის ქირავნობის ხელშეკრულების და მისგან წარმოშობილი მოთხოვნის არსებობა.

I. მოთხოვნის წარმოშობა

1. ქირავნობის ნამდვილი ხელშეკრულება

როგორც აღინიშნა, სახელშეკრულებო მოთხოვნის (ანუ ქირის სახით 450 ლარის მოთხოვნის) წარმოშობისათვის აუცილებელია, რომ კახასა და ბერდიას შორის არსებობდეს ქირავნობის ნამდვილი ხელშეკრულება სამი ნავის ქირავნობის თაობაზე 20 აგვისტოდან 27 აგვისტომდე პერიოდისთვის.

ქირავნობის ხელშეკრულება ძალაში შედის ოფერენტისა და აქცეპტანტის ორი ურთიერთთანხვედრი ნების გამოვლენის, ოფერტისა და აქცეპტის შედეგად (იხ. სკ-ის 329-ე და მომდევნო მუხლები).

ა. ოფერტი

შესაძლოა, კახას წერილი, რომელიც მან 15 აგვისტოს ფაქსით გაუგზავნა ბერდიას, იყოს ოფერტი, სკ-ის 329-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით. ოფერტი არის ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, რომელიც უნდა შეიცავდეს ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას და ფორმულირებული იყოს ისე, რომ მისი მიღება შეიძლებოდეს უბრალო თანხმობით.

კახამ 15 აგვისტოს ბერდიას გაუგზავნა წერილი, სადაც მიუთითა, რომ სურდა სამი სამადგილიანი ნავის შეკვეთა ერთი კვირით, კერძოდ, 20 – 27 აგვისტოს პერიოდისთვის. ერთი ნავის ქირა ერთი კვირისათვის შეადგენს 150 ლარს. შესაბამისად, კახას წერილი მიუთითებს ქირავნობის ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე, იგი მიღებულ იქნა ბერდიას მიერ და წარმოადგენს სამართლებრივად ნამდვილ ოფერტს, სკ-ის 329-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით.

სკ-ის 52-ე და 337-ე მუხლების დებულებათა გათვალისწინებითაც, კახას მიერ გამოვლენილი ნება საშუალო გონიერი ადამიანის მიერ სხვანაირად არ აღიქმებოდა. ის ფაქტი, რომ კახას მხოლოდ ორი ნავის შეკვეთა სურდა, მისი ნების გამოვლენის შინაარსის განსაზღვრისათვის არარელევანტურია. მაშასადამე, სახეზეა კახას ნამდვილი ოფერტი, რომელიც მიზნად ისახავს სამი ნავის ერთი კვირით დაქირავებას.

ბ. აქცეპტი

შესაძლოა, ბერდიას დასტური კახას წერილზე იყოს აქცეპტი, სკ-ის 331-ე მუხლის გაგებით. აქცეპტი არის ოფერტზე მიმართული ცალმხრივი მიღება-სავალდებულო ნების გამოვლენა, თანხმობა. ფაბულაში ბერდია უპირობოდ ადასტურებს კახას შეთავაზებას, ანუ ოფერტს და თავის დასტურს ასევე ფაქსით უგზავნის ოფერენტს, რაც სამართლებრივად ნამდვილი აქცეპტია.

გ. შუალედური შედეგი

კახასა და ბერდიას მიერ გამოვლენილი ნამდვილი ნების (ოფერტისა და აქცეპტის) შედეგად, სკ-ის 531-ე მუხლის მიხედვით, მათ შორის დაიდო ქირავნობის ნამდვილი ხელშეკრულება სამი ნავის ქირავნობის თაობაზე. ქირავნობის პერიოდია 20 – 27 აგვისტო, ხოლო გადასახდელი თანხა, ანუ ქირა, შეადგენს 450 ლარს.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

შესაძლოა, მოთხოვნა შეწყდა ქირავნობის ხელშეკრულების ბათილობის გამო.

1. ქირავნობის ხელშეკრულების ბათილობა (სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შესაძლოა, მხარეებს შორის დადებული ქირავნობის ხელშეკრულება ბათილი იყოს მისი დადების მომენტიდან (*ex tunc*).

ამის წინაპირობა კი გამოვლენილი ნების სამართლებრივად ნამდვილი შეცილებეა. შეცილება რომ ნამდვილი იყოს, უნდა არსებობდეს შეცილების საფუძველი და შეცილებაზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელშეკრულების მეორე მხარისადმი შეცილების განცხადება (სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები).

ა. შეცილების საფუძველი (სკ-ის 72-ე მუხლი და 73-ე მუხლის „ა“ პუნქტი)

ამ შემთხვევაში შეცილების საფუძველად შესაძლოა განხილულ იქნეს **შეცდომა ნების გამოვლენის ნიშნებში**, სკ-ის 72-ე მუხლისა და 73-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად. ასეთი შეცდომა სახეზეა მაშინ, როდესაც გამოვლენილი ნება არ შეიცავს იმ ნიშნებსა და შინაარსს, რომლებიც ნების გამოვლენს რეალურად სურდა, ანუ არ შეესაბამება გამოვლენის რეალურ ნება-სურვილს. როგორც წესი, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ნების გამოვლენი წერილობით ან ზეპირად (ე.წ. მექანიკურად) შეცდომას უშვებს. კაზუსის ფაბულიდან გამომდინარეობს, რომ კახას მხოლოდ ორი ნავის დაქირავება სურდა. უყურადღებობის გამო, მან თავის შეთავაზებაში „ორი სამადგილიანი ნავის“ ნაცვლად „სამი სამადგილიანი ნავი“ მიუთითა. შესაბამისად, მის მიერ გამოვლენილი ნება არ ემთხვევა მის რეალურ სურვილს. ამრიგად, სახეზეა შეცდომა, სკ-ის 73-ე მუხლის „ა“ პუნქტის გაგებით.

საკითხის გაღრმავებისთვის: სკ-ის 73-ე მუხლის „ა“ პუნქტის ბუნდოვანი ფორმულირების გამო იურიდიულ ლიტერატურაში საკამათოდ მიიჩნევა, შემთხვევათა თუ რომელი ჯგუფები მოიაზრება ამ მონესრიგებაში. ლიტერატურაში გავრცელებული ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, 73-ე მუხლის „ა“ პუნქტი მოიაზრებს მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირი შეცდომას უშვებს გარიგების სახეობაში, მაგალითად, უნდა იჯარის ხელშეკრულების დადება და აფორმებს ქირავნობას და ა.შ.³⁶ ეს მიდგომა, ერთი მხრივ, გამართლებულია, ვინაიდან 73-ე მუხლის „ა“ პუნქტის ისტორიული წყარო შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართლის ნიგნის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი პუნქტია, რომელსაც სიტყვასიტყვით ემთხვევა ქართული ნორმა, ანესრიგებს გარიგების სახეში შეცდომის სახეს. შევიცარიულ სასამართლო პრაქტიკასა და ლიტერატურაში ეს ნორმა ამგვარადაა განმარტებული. თუმცა, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში წარმოდგენილი მეორე მოსაზრების თანახმად, 73-ე მუხლის „ა“ პუნქტის რეგულირება უნდა განიმარტოს ფართოდ და გავრცელდეს ასევე ე.წ. „ნაცდენის“ შემთხვევებზეც.³⁷ ეს ის შემთხვევებია, როდესაც პირი გაუცნობიერებელ (ე.წ. „მექანიკურ“) შეცდომას უშვებს, მაგალითად, უნდა 5 ცალი ნიგნის შეკვეთა და უკვეთს 15 ცალს; შეკვეთაში 100 ლარის ნაცვლად წერს 1000 ლარს და ა.შ.

³⁶ იხ. *ჭანტურია*, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, 370 („შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში“); *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი I, 1999, 224.

³⁷ იხ. *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, 324-ე და მომდევნო გვერდები.

იმის გათვალისწინებით, რომ სკ არ შეიცავს ზემოაღნიშნული შემთხვევის მონესრიგების ცალკე ნორმას, მიზანშეწონილია, 73-ე მუხლის „ა“ პუნქტის რეგულირება ფართოდ განიმარტოს და მასში იქნეს გათვალისწინებული „მექანიკური შეცდომების“ შემთხვევები. ნაკლებად სავარაუდოა ის, რომ კანონმდებელმა ამ შემთხვევების პირდაპირი დაურეგულირებლობით შეცდომის ამ სახის შეცილებაზე თქვა უარი.

მაშასადამე, ჩვენს შემთხვევაშიც გვექნებოდა კლასიკური გამოვლენის/გამოხატვის ნიშნებში შეცდომის შემთხვევა (ე.წ. „ნაცდენა“, „მექანიკური შეცდომა“ და ა.შ.), ვინაიდან კახას მხოლოდ ორი სამადგილიანი ნავის შეკვეთა სურდა და მექანიკური შეცდომის შედეგად სამი ნავი შეუკვეთა.

ბ. შეცილების განცხადება (სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება)

სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, შეცილება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მეორე მხარის, მაშასადამე, ბერდიას მიმართ. შეცილების განცხადება არის მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა. როგორც ოფერტი და აქცეპტი, შეცილების განცხადებაც უნდა შეფასდეს საშუალოდ გონიერი სუბიექტის თვალსაწიერით, სკ-ის 52-ე და 337-ე მუხლების გათვალისწინებით. ეს კი გულისხმობს იმას, რომ შესაძლოა, შეცილების განცხადებაში სიტყვა „შეცილება“ საერთოდ არ იყოს ნახსენები, მაგრამ, ობიექტური თვალსაზრისით, აშკარად გამოიხატოს შემცილებლის ნება, ხელშეკრულების კონკრეტული ფორმით მიუღებლობასთან, მის გაუქმებასთან დაკავშირებით. თუ ხელშეკრულებისაგან „თავის დაღწევის“ ნება აშკარად გამოვლენილია, აღნიშნული მიიჩნევა შეცილების განცხადებად, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების გაგებით.

მაშინ, როდესაც კახამ ბერდიას განუცხადა, რომ მას მხოლოდ ორი სამადგილიანი ნავის შეკვეთა სურდა და, შესაბამისად, მხოლოდ ორი ნავის ქირას გადაიხდის, მან ამით გამოხატა ნება, რომ მას აღარ სურს თავისი შეცდომით გამოვლენილი თავდაპირველი ნებით (ოფერტით) იყოს შებოჭილი. მაშასადამე, სახეზეა კახას შეცილების განცხადება ბერდიას მიმართ. სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების წინაპირობები სახეზეა.

გ. შეცილების ვადა, სკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

სკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, შეცილება შესაძლებელია განხორციელდეს შეცილების საფუძვლის შეტყობიდან ერთი თვის ვადა-

ში. კაზუსის მიხედვით, კახამ, მას შემდეგ, რაც შეიტყო თავისი შეცდომის შესახებ, დაუყოვნებლივ განაცხადა შეცილების თაობაზე. მაშასადამე, შეცილების ვადა დაცულია.

დ. ნაწილობრივი შეცილება?

როგორც აღინიშნა, შეცილების შედეგად ხელშეკრულება ბათილია მისი დადების მომენტიდან (სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ეს კი ნიშნავს იმას, რომ, როგორც წესი, ბათილდება მთლიანი ხელშეკრულება. თუმცა საგულისხმოა ის გარემოება, რომ კახას ორი ნავის ქირავნობა კვლავაც სურს, ანუ ამ ნაწილში მას სურს, დარჩეს ხელშეკრულების მხარედ. მაშასადამე, კახას შეცილება ეხება მის მიერ გამოვლენილი ნების ერთ კონკრეტულ ნაწილს, სახელდობრ, მესამე ნავის ქირავნობას.

შესაბამისად, ჩნდება კითხვა: არის თუ არა სამართლებრივად შესაძლებელი, რომ კახამ განახორციელოს თავისი ნების მხოლოდ ერთი ნაწილის შეცილება ისე, რომ სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით არ დადგეს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობა და ბათილობა შეეხოს მხოლოდ მის მიერ შეცდომით გამოვლენილი ნების ნაწილს? ამ კითხვაზე საპასუხოდ უნდა განვიხილოთ სკ-ის 62-ე მუხლის შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ნაწილობრივი ბათილობის შესაძლებლობას.

აა) გარიგების დაყოფადობა

სკ-ის 62-ე მუხლი აწესრიგებს გარიგების ნაწილობრივ ბათილობას. იმისათვის, რომ გარიგების მხოლოდ ნაწილი გახდეს ბათილი, აუცილებელია, თვითონ გარიგება იყოს დაყოფადი. მაშასადამე, კახას მიერ განცხადებული შეცილება უნდა ეხებოდეს დაყოფად გარიგებას. დაყოფადია გარიგება მაშინ, როდესაც მისი შინაარსი იმგვარი სახისაა, რომ შესაძლებელია მისი ცალკეული ნაწილების გარიგების ცალკე საგნად ქცევა.

კახამ და ბერდიამ დადეს ხელშეკრულება სამი ნავის ქირავნობის თაობაზე. ჩვეულებრივ, ასევე შესაძლებელი იყო ორ ნავზე დამოუკიდებელი ხელშეკრულების გაფორმება. მაშასადამე, კახასა და ბერდიას შორის დადებული ხელშეკრულება შეგვიძლია მივიჩნიოთ დაყოფად გარიგებად.

ვინაიდან კახას ოფერტი მიმართული იყო დაყოფადი გარიგების დადებაზე, მას შეუძლია განახორციელოს მხოლოდ ნაწილობრივი, ანუ შინაარსობრივად გამოყოფადი ნაწილის, შეცილება. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დასაშვებია კახას მიერ გამოვლენილი ნების ნაწილობრივი შეცილება, რომელიც ეხება შეცდომით შეკვეთილ მესამე ნავს.

ბბ) ნაწილობრივი შეცილების სამართლებრივი შედეგი

სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, ნაწილობრივი შეცილება იწვევს ქირავნობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილობას. ანუ წინამდებარე შემთხვევაში – მესამე ნავის ქირავნობის ნაწილში. საკითხავია, რა გავლენას ახდენს ნაწილობრივი ბათილობა კახასა და ბერდიას შორის ხელშეკრულების ძალაში დარჩენილ ნაწილზე ორი ნავის ქირავნობის შესახებ.

სკ-ის 62-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშეც.

კახასთან ხელშეკრულების დადების მომენტისათვის ბერდიამ ჯერ კიდევ არ იცოდა იმ ჯგუფის შესახებ, რომელსაც ნავების ქირავნობა უფრო ხანგრძლივი დროით სურდა. კაზუსის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კახას თავიდანვე ორი სამადგილიანი ნავის ქირავნობა რომ შეეთავაზებინა (ანუ შეცდომა არ დაეშვა ნების გამოვლენაში), ბერდია დასთანხმდებოდა. გამომდინარე აქედან, სკ-ის 62-ე მუხლის წინაპირობები სახეზეა და ხელშეკრულება ორი სამადგილიანი ნავის ქირავნობის ნაწილში ძალაში რჩება.

საკითხის გაღრმავებისთვის: მაშინ, როდესაც დაყოფად გარიგებაზე გამოვლენილი ნების შეცილება ხდება, კითხვა სხვა კუთხითაც შეიძლება დაისვას. შესაძლებელია კი ნების გამოვლენის შეცილება მთლიან გარიგებაზე გავრცელდეს და მისი ბათილობა გამოიწვიოს?

მაგალითი: ანას სურს, თავის უცხოელ სტუმრებს აჩუქოს მაცივარზე დასაკრავი სუვენირები თბილისის ხედებით. მას სურს 20 ცალის შეკვეთა, თუმცა შეეშლება და 20-ის ნაცვლად 40 ცალს შეუკვეთს. ანა ახდენს შეცდომით გამოვლენილი ნების შეცილებას, სკ-ის 72-ე მუხლისა და 73-ე მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ ანა 20 ცალი სუვენირის ყიდვას გადაიფიქრებს, რაც მას თავდაპირველად ნამდვილად უნდოდა, და შეეცდება, ნების გამოვლენაში დაშვებული თავისი შეცდომა გამოიყენოს, რათა მთლიანი გარიგების ბათილობას მიაღწიოს, შესაძლებელია თუ არა, მაღაზიამ ანას, მინიმუმ, 20 ცალი სუვენირის ფასის გადახდა მოსთხოვოს, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად?

უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ნების გამოვლენაში დაშვებული შეცდომა დაყოფადი გარიგების ერთ ნაწილს ეხება, მიზანშეწონილია, შეცილების განმცხადებელ პირს, კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით, მაინც მოუწიოს იმ ნაწილში ხელშეკრულების ბოჭვაში

დარჩენა, რომლის დადებაც რეალურად სურდა მას. ამ მაგალითის შემთხვევაში ანას თავისი ნების გამოვლენის შეცილება შეუძლია მხოლოდ შეცდომით შეკვეთილი 20 ცალი სუვენირის ნასყიდობის ნაწილში – 20 ცალი სუვენირის თანხა მან უნდა გადაუხადოს მალაზიას.

ე. შუალედური შედეგი – შეცილება

შუალედური შედეგის სახით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კახას მიერ ნაწილობრივი შეცილება ნამდვილია და, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, ხელშეკრულება ბათილია მესამე ნავის ქირავნობის ნაწილში. ორი ნავის ქირავნობის ნაწილში კი ხელშეკრულება ძალაში რჩება.

მაშასადამე, კახასა და ბერდიას შორის 20 აგვისტოდან 27 აგვისტომდე პერიოდში მოქმედებს ორი სამადგილიანი ნავის ქირავნობის ხელშეკრულება.

III. შედეგი

ბერდიას არ აქვს კახას მიმართ 450 ლარის ოდენობით სამი ნავის ქირის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 531-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მას შეუძლია, ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სკ-ის 531-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კახასგან მოითხოვოს მხოლოდ ორი სამადგილიანი ნავის ქირა 300 ლარის ოდენობით.

A. ბერდიასთან დადებული ხელშეკრულების შეცილება კახას მიერ

I. მოთხოვნის წარმოშობა (+) →

- კახას წერილი ბერდიას 3 ცალი სამადგილიანი ნავის ქირავნობაზე → ოფერტი (+)
- ბერდიას დასტური წერილზე → აქცეპტი (+)

II. მოთხოვნის შეწყვეტა

ხელშეკრულების ბათილობის გამო საფუძველი – შეცილება:

- სკ-ის 73-ე მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით (+)
- კახას მექანიკური შეცდომა ნების გამოხატვის ნიშანში (სამი ნავის შეკვეთა ორის ნაცვლად)
- შეცილების განცხადება (+)
- შეცილების ვადა (+)
- ❖ **ნაწილობრივი შეცილება (+)**
- გარიგების დაყოფადობა (+)
- სამართლებრივი შედეგი → გარიგების ნაწილობრივი ბათილობა

III. შედეგი: ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილობა მისი დადების მომენტიდან → ხელშეკრულება ძალაშია ორი ნავის ქირის (300ლ) გადახდის ნაწილში → შეცილების ერთი თვის ვადაში გაცხადების შემთხვევაში ხელშ. ბათილია სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად.

B. ბერდიას მოთხოვნა კახას მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების საფუძველზე

ბერდიას შესაძლოა ჰქონდეს კახას მიმართ ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის უფლება, სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების საფუძველზე. სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების წინაპირობების მიხედვით, სახეზე უნდა იყოს შეცილებული გარიგება და შეცდომა (შეცილების საფუძველი) გამოწვეული უნდა იყოს შეცილებაზე უფლებამოსილი პირის დაუდევრობით.

I. შეცდომა სკ-ის 72-ე მუხლისა და 73-ე მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით

იმისათვის, რომ სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით მოთხოვნილ იქნეს ზიანის ანაზღაურება, უნდა არსებობდეს ნამდვილი შეცილება. ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის შედეგად, მივედით დასკვნამდე, რომ კახას შეცილება, სკ-ის 72-ე მუხლისა და 73-ე მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით, ნამდვილი იყო.

II. შეცდომის აღრისატი

სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გამოვლენილი ნების შეცილების დროს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილია მეორე მხარე, რომელსაც ზიანი მიადგა. კახამ შეთავაზება სამი სამადგილიანი ნავის ქირავნობის თაობაზე წარუდგინა ბერდიას. შესაბამისად, ბერდია არის ზიანის ანაზღაურების შესაძლო მოთხოვნის მფლობელი.

III. ანაზღაურებადი ზიანი

სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება ისეთი ზიანი, რომელსაც მეორე მხარე განიცდის იმის გამო, რომ ნდობა ჰქონდა გამოვლენილი ნების მიმართ. სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, არ ანაზღაურდება იმაზე მეტი, რასაც მხარე მიიღებდა, გარიგება ნამდვილი რომ ყოფილიყო.³⁸

³⁸ *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 1999, 237.

საკითხის გაღრმავებისთვის: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნა შეცდომით დადებული გარიგების შემთხვევებისთვის მონესრიგებულია სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადებით. ანაზღაურებაზე ვალდებული პირია ის, ვინც ნების გამოვლენაში დაუშვა შეცდომა. ნორმა ასევე წინაპირობად აწესებს, რომ ნების გამოვლენისას დაშვებული შეცდომა პირის დაუდევრობით იყოს გამოწვეული. ამ შემთხვევაში, კანონმდებელს სურს, ხაზი გაუსვას, რომ პირის პასუხისმგებლობა დაკავშირებულია მის ბრალთან. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის შემთხვევაში არის ნების მიმღები პირი, ხოლო სხვა სახის ნების გამოვლენის შემთხვევაში, ნებისმიერი მესამე პირი (თუმცა საკამათოა მესამე პირის ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის უფლების არსებობა, ვინაიდან ეს კანონიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს). სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიზანია, დაიცვას პირი, რომელსაც გამოვლენილი ნების ნამდვილობის მიმართ ნდობა ჰქონდა და ეს ნდობა გამართლებული იყო. აღნიშნული კი გულისხმობს შემდეგს: ნორმის დაცვის სფეროში ვერ მოხვდება ის პირი, რომელმაც შეცილების საფუძველი იცოდა ან დაუდევრობის გამო არ იცოდა იგი. ამ შემთხვევაში ვერ იქნება მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურება.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრება ზღუდავს, სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, ანაზღაურებადი ზიანის ფარგლებს.³⁹ სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, ანაზღაურდება ის ზიანი, რომელიც მხარეს წარმოეშვა იმის შედეგად, რომ ენდო მეორე მხარის გამოვლენილი ნების ნამდვილობას. ანუ ანაზღაურდება ე.წ. „ნდობის გაუმართლებლობიდან წარმოშობილი ზიანი“ (ნეგატიური ინტერესი) და არა შეუსრულებლობის ზიანი. „ნდობის გაუმართლებლობიდან წარმოშობილი ზიანი“ გულისხმობს ზიანს, რომელიც მხარეს იმის შედეგად წარმოეშობა, რომ ენდო პარტნიორის წინადადებას და სამართლებრივად შეიბოჭა. ზიანის ანაზღაურებამ მას უნდა აღუდგინოს ის მდგომარეობა, რომელშიც იქნებოდა, საერთოდ რომ არ დაედო გარიგება.

იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ, თუ რა სახის ზიანი ანაზღაურდება, განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი: თიკოს სურს, ზაფხულის სეზონისთვის გიგასგან 1000 ლარად იქირაოს ბინა ბათუმში ერთი თვით. მას ბინის ქირაობა სურს ივლისის თვეში, თუმცა შეეშლება და შეცდომით მისწერს ივნისს. გიგა ქირავნობაზე დასტურს ფოსტით გამოუგზავნის. თიკო, როგორც კი შეამჩნევს თავის შეცდომას, იმწამსვე განუცხადებს გიგას შეცილებას.

³⁹ ზოიძე, იქვე.

გიგა თიკოსგან ითხოვს სატელეფონო და საფოსტო დანახარჯს, რომელიც თიკოსთან კომუნიკაციისას გასწია და 800 ლარს, რომელიც მან იმით იზარა-ლა, რომ სხვა დაინტერესებულ კლიენტს უარი უთხრა ივნისის თვეში ბინის მიქირავებაზე. ის კი გიგას 800 ლარს სთავაზობდა.

ამ შემთხვევაში სატელეფონო და საფოსტო ხარჯები (კომუნიკაციის ხარ-ჯები) მიეკუთვნება ნდობის გაუმართლებლობიდან წარმოშობილ ზიანს, რომელიც გიგამ იმიტომ გასწია, რომ ნდობა ჰქონდა თიკოს წინადადების სისწორისადმი. იგივე შეიძლება ითქვას 800 ლართან დაკავშირებითაც, რო-მელიც გიგამ იმიტომ დაკარგა, რომ მან თიკოსთან დადებული ხელშეკრუ-ლების გამო (ხელშეკრულების ნამდვილობისადმი ნდობა) უარი თქვა სხვა შემოთავაზებაზე.

სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, როგორც წესი, არ ანაზღაურდება შესრულების ინტერესი (ე.წ. პოზიტიური ინტე-რესი). აქ ზიანის ისეთ სახესთან გვაქვს საქმე, რომელსაც პირი განიცდის იმის შედეგად, რომ ხელშეკრულება არ სრულდება. შესრულების ინტერე-სის ანაზღაურება პირს აყენებს ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც იგი იქნე-ბოდა, ხელშეკრულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ზემოაღნიშნული მაგალითის შემთხვევაში შესრულების ინტერესი გიგასთვის იქნებოდა 1000 ლარი. ამიტომ შესაძლებელია, გაზიარებულ იქნეს გერმანულ სამართალში შემოთავაზებული მოსაზრება,⁴⁰ რომლის თანახმადაც, ნეგატიური ინტერე-სის ანაზღაურება შესაძლებელია შეუსრულებლობის შედეგად წარმოშობი-ლი ზიანის (პოზიტიური ინტერესის) ზღვრამდე. ეს პრაქტიკული თვალსაზ-რისით ნიშნავს შემდეგს: იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნულ მაგალითში სხვა კლიენტი გიგას 1200 ლარს შესთავაზებდა, ხოლო იგი უარს ეტყოდა იმის გამო, რომ თიკოსთან ჰქონდა უკვე ხელშეკრულება დადებული, შეგ-ვეძლო მიგვეჩნია, რომ 1200 ლარი მისი ზიანია, რომელიც მას წარმოეშვა იმიტომ, რომ თიკოს წინადადებას ენდო. თუმცა, რომ დავუკვირდეთ, თანხა 200 ლარით აჭარბებს გიგას შესრულების ინტერესს, ვინაიდან ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მას თიკოსგან მხოლოდ 1000 ლარის მოთხოვნა შეეძლებოდა. ამიტომ ამ შემთხვევაში გიგას აუნაზღაურდება მხოლოდ ნდო-ბის ინტერესი – 1000 ლარი. ზიანი არ გადააჭარბებს შესრულების ინტერესს – 1000 ლარს და არ ანაზღაურდება 1200 ლარი.

რა დასაბუთება უდევს საფუძვლად ზემოაღნიშნულ წესს: ზიანის ანაზღა-ურებაზე უფლებამოსილი პირი ნების გამოვლენის შეცდომების (გარიგების გა-ბათილების) შედეგად არ უნდა ჩადგეს იმაზე უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე ის იქნებოდა, გარიგება რომ საცილო არ გამხდარიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში,

⁴⁰ შდრ. Singer, in Staudinger, BGB – Neubearbeitung 2011, § 122, Rn. 15.

ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს შეცილების უფლების გამოყენება უფრო მეტად დააზიანებდა, ვიდრე ამ უფლების გამოყენებლობა, რაც უსამართლობა იქნებოდა. შესაბამისად, უსამართლობა იქნებოდა ისეთი ზიანის ანაზღაურება, რომელიც კონტრაჰენტის შესრულების ინტერესს სცდებოდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, ანაზღაურდება მხოლოდ ნეგატიური ინტერესი. შეცილების ადრესატს ზიანის ანაზღაურებამ უნდა აღუდგინოს ის მდგომარეობა, რომელშიც ის იქნებოდა, ნება რომ არ გამოვლენილიყო და ხელშეკრულება რომ არ დადებულიყო. კახას თავისი დაუდევრობის გამო შეცდომა რომ არ დაეშვა, ბერდია ნავს მიაქირავებდა სხვა ჯგუფს, რომელსაც ამ ერთი ნავის ქირავნობა სურდა 20 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე პერიოდში, ანუ ორი კვირით. ბერდია ამ გაქირავების შედეგად იშოვნოდა 300 ლარს. მაშასადამე, ბერდიას ზიანი ამ შემთხვევაში შეადგენს 300 ლარს.

თუმცა ჩვენ ზემოთ ვიმსჯელებთ, რომ სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, ანაზღაურებადი ზიანი შეზღუდულია შესრულების ინტერესის თანხის ოდენობით. ზიანის ოდენობის დადგენისას შეცილების ადრესატი უნდა ჩავაყენოთ ისეთ მდგომარეობაში, თითქოს შეცილებული ნება ნამდვილი იყო. წინამდებარე კაზუსში კახას რომ არ გამოეყენებინა შეცილების უფლება, მასა და ბერდიას შორის ძალაში დარჩებოდა ხელშეკრულება მესამე ნავის ერთი კვირით ქირაობის თაობაზე, რომლის საფუძველზეც ბერდია (კიდევ) 150 ლარს მიიღებდა. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ბერდიას შესრულების (პოზიტიური) ინტერესი 150 ლარია. ამრიგად, ბერდია ვერ მოითხოვს კახასგან ზიანის ანაზღაურებას 300 ლარის ოდენობით იმის გამო, რომ 2 კვირით ვერ გააქირავა მესამე ნავი სხვა ჯგუფზე. მას შეუძლია, კახასგან მოითხოვოს მხოლოდ 150 ლარი, ვინაიდან მისი მოთხოვნა პოზიტიური ინტერესის ოდენობით არის შეზღუდული.

B. ბერდიას მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა კახას მიმართ

I. მოთხოვნის წინაპირობები, სკ-ის 79, II

- ნამდვილი შეცილება (+)
- მფლობელი → შეცილების ადრესატი ბერდია (+)
- ანაზღაურებადი ზიანი 300 ლარი (-)
- ანაზღაურებადი ზიანი 150 ლარი (+)

შედეგი: ბერდიას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა კახას მიმართ, სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადებიდან გამომდინარე (+)

IV. შუალედური შედეგი

სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, ბერდიას უფლება აქვს, მოსთხოვოს კახას ზიანის ანაზღაურება მხოლოდ 150 ლარის ოდენობით.

V. საბოლოო შედეგი

ბერდიას შეუძლია, კახასგან მოითხოვოს ორი სამადგილიანი ნავის ქირის გადახდა 300 ლარის ოდენობით, სკ-ის 531-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე და ასევე ზიანის ანაზღაურება მესამე ნავისთვის 150 ლარის ოდენობით, სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების საფუძველზე (ანუ სულ 450 ლარი).

სამახსოვრო!

- იმისათვის, რომ გარიგების მხოლოდ ნაწილი გახდეს ბათილი, აუცილებელია, თვითონ გარიგება იყოს დაყოფადი, ხოლო დაყოფადია გარიგება მაშინ, როდესაც მისი შინაარსი იმგვარი სახისაა, რომ შესაძლებელია მისი ცალკეული ნაწილების გარიგების ცალკე საგნად ქცევა. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშეც.
- სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, ანაზღაურდება ის ზიანი, რომელიც მხარეს წარმოეშვა იმის შედეგად, რომ ენდო მეორე მხარის გამოვლენილი ნების ნამდვილობას. ანუ ანაზღაურდება ე.წ. „ნდობის გაუმართლებლობიდან წარმოშობილი ზიანი“ (ნეგატიური ინტერესი) და არა შეუსრულებლობის ზიანი (ე.წ. პოზიტიური ინტერესი).

კაზუსი 14. ბიზნესმენი კობა

(შეცილება ნების გამოვლენის შინაარსში დაშვებული შეცდომის გამო)

კობას, რომელიც თავისი ბიზნესსაქმეებით ძალიან დაკავებულია და ხშირ შემთხვევაში ყველაფერს ქაოსურად აკეთებს, სურს, თავისი ფირმის ინტერნეტპაკეტი შეცვალოს. მისი ინტერნეტპროვაიდერია ფირმა „სწრაფი ნეტი“. პაკეტის შეცვლა ნებისმიერ დროს შესაძლებელია უფასოდ, თუმცა დაკავშირებულია ფორმალობებთან. კობა ურეკავს პროვაიდერ ფირმას და სთხოვს თანამშრომელს, ყველაფერი მოამზადოს ხელმოსაწერად, რომ არ მოუწიოს ზედმეტი დროით დარჩენა „სწრაფი ნეტის“ ოფისში. თანამშრომელიც ჰპირდება მას, რომ გაამზადებს საჭირო დოკუმენტაციას ხელმოსაწერად. თანამშრომელი ტარიფის შეცვლის ფორმულარის ნაცვლად შეცდომით შეავსებს wi-fi-რუტერის შექმნის შესახებ ფორმულარს, რომელიც ძალიან ჰგავს ტარიფის შეცვლის ფორმულარს. ფორმულარში იგი შეიტანს კობას მონაცემებს. wi-fi-რუტერის ფასია 120 ლარი. ოდნავ მოგვიანებით კობა მივა „სწრაფი ნეტის“ ოფისში და ვინაიდან ეჩქარება, სწრაფად მოაწერს ხელს ყველა დოკუმენტს ისე, რომ მათ არც წაიკითხავს. კობა დარწმუნებულია, რომ ხელს აწერს ტარიფის შეცვლის საბუთებს.

მოგვიანებით „სწრაფი ნეტის“ გაყიდვების მენეჯერი ატყობინებს კობას, რომ მას შეუძლია უკვე ოფისიდან გაიტანოს შექმნილი რუტერი. კობა აცხადებს, რომ მას არანაირი რუტერი არ შეუკვებითა. იგი არ ეთანხმება ნასყიდობას და მას არანამდვილად მიიჩნევს. კობა დასძენს, რომ მას სურდა ტარიფის შეცვლა და არა რუტერის ყიდვა. მაშინ მენეჯერი უცხადებს კობას, რომ ყოველივე მისი ბრალია. საბუთების ხელმოწერისას იგი უნდა დაჰკვირვებოდა, თუ რას აწერდა ხელს. ბოლოს და ბოლოს მის წინააღმდეგ მოქმედებს „pacta sunt servanda-ს“ პრინციპი (ლათ. „ხელშეკრულება უნდა შესრულდეს“).

შეუძლია თუ არა „სწრაფი ნეტს“, მოსთხოვოს კობას რუტერის მიღება და თანხის გადახდა?

A. „სწრაფი ნეტის“ მოთხოვნა კობას მიმართ ნასყიდობის ნივთის მიღებისა და თანხის გადახდის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე

„სწრაფი ნეტის“ მოთხოვნა ნასყიდობის ნივთის მიღებისა და თანხის გადახდის თაობაზე შესაძლოა გამომდინარეობდეს სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან.

I. მოთხოვნის წარმოშობა

1. შეთანხმება, სკ-ის 477-ე მუხლის მიხედვით

სახელშეკრულებო მოთხოვნის (რუტერის მიღებისა და 120 ლარის გადახდის თაობაზე) წარმოშობისათვის აუცილებელია, რომ „სწრაფ ნეტისა“ და კობას შორის არსებობდეს ნასყიდობის ნამდვილი ხელშეკრულება რუტერის შეძენის თაობაზე.

ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაში შედის ოფერენტისა და აქცეპტანტის ორი ურთიერთთანმხვედრი ნების გამოვლენის, ოფერენტისა და აქცეპტანტის შედეგად (იხ. სკ-ის 329-ე და მომდევნო მუხლები).

ა. „სწრაფი ნეტის“ შეთავაზება

საკითხავია, ხომ არ შეიძლება ჩაითვალოს ოფერტად „სწრაფი ნეტის“ თანამშრომლის მიერ შეკვეთის ფორმულარის წარდგენა კობასთვის ხელმოსაწერად? ძირითად შემთხვევებში შეკვეთის ფორმულარის მომზადება და შევსება მიიჩნევა ოფერტზე მონვევად (*invitation ad offerendum*), ვინაიდან, როგორც წესი, მოლაპარაკების მხარეს, და ამ შემთხვევაში კობას, მხოლოდ ფორმულარში შევსებული მონაცემების გადამოწმების შემდგომ უყალიბდება სახელშეკრულებო ბოჭვის ნება, მანამდე ეს სურვილი სახეზე არაა. ფორმულარის წარდგენა ვერ ჩაითვლება რუტერის შეძენაზე ოფერტად.

ბ. კობას ოფერტი (შეთავაზება)

კობას მიერ ფორმულარზე ხელის მოწერა, სკ-ის 52-ე და 337-ე მუხლების დებულებებისა და ნების მიმღებთა ობიექტური ჰორიზონტის გათვალისწინებით, შესაძლოა, მიჩნეულ იქნეს ნების გამოვლენის ობიექტურ შემადგენლობად. ნების გამოხატვით სახეზეა ასევე კობას მოქმედებისა და გამოვლენის ნება, ამდენად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სახეზეა ნების გამოვლენის სუბიექტური შემადგენლობაც. ის გარემოება, რომ კობას არ

ჰქონდა გარიგების დადების (რუტერის შეძენის) სურვილი, არარელევანანტურია, ვინაიდან გარიგების დადების სურვილი არ არის ნების გამოვლენის განმსაზღვრელი ნიშანი.

გ. „სწრაფი ნეტის“ აქცეპტი (დასტური შეთავაზებაზე)

კობას ოფერტზე „სწრაფმა ნეტმა“ გააკეთა აქცეპტი ყველაზე გვიან მაშინ, როდესაც კობას გაყიდვების მენეჯერმა დაურეკა და უთხრა, ნაელო მის მიერ შეკვეთილი რუტერი.

2. შუალედური შედეგი

„სწრაფ ნეტსა“ და კობას შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება რუტერის შეძენის თაობაზე.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

1. ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობა

იმისათვის, რომ „სწრაფმა ნეტმა“ განახორციელოს მოთხოვნა კობას მიმართ, სახეზე უნდა იყოს მათ შორის დადებული ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება და ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა არ უნდა იყოს შეწყვეტილი. ამ შემთხვევაში, შესაძლოა იყოს კობას მიერ თავისი შეთავაზების შეცილება იმ შედეგით, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, მისი დადების მომენტიდან ბათილია. შესაბამისად, შესაძლოა, მოთხოვნა შეწყდა ნამდვილი შეცილების საფუძველზე.

2. შეცილების საფუძველი, სკ-ის 72-ე და 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტი

იმისათვის, რომ კობას მიერ განხორციელებული შეცილება ნამდვილად ჩაითვალოს, საჭიროა არსებობდეს ასევე ნამდვილი შეცილების საფუძველი. ამ შემთხვევაში შეცილების საფუძველად მოიაზრება შინაარსში დაშვებული შეცდომა, სკ-ის 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით. შინაარსში დაშვებული შეცდომა სახეზეა მაშინ, როდესაც ნების გამოვლენისას ობიექტურად გამოხატული ნება სუბიექტური ნებისგან განსხვავებას ავლენს და ეს პირისთვის შეუცნობადია. მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში, ნების გამომვლენი პირი იყენებს ნების გამოხატვის სასურველ ნიშნებს, თუმცა ამ ნიშნებს სხვა მნიშვნელობას ანიჭებს. ჩვენს შემთხვევაში პრობლემურია ის გარემოება, რომ კობამ შეკვეთის ფორმულარს ნაუკითხავად

მოაწერა ხელი. ამ შემთხვევაში ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ შემდეგი ორი შემთხვევა:

ა) ის, ვინც დოკუმენტს მისი შინაარსის გაცნობის გარეშე სრულიად გაცნობიერებულად აწერს ხელს, არ უშვებს შეცდომას, რადგან ის, ვინც საერთოდ არ დაფიქრდება, ხელშეკრულების რა შინაარსზე აწერს ხელს, შესაბამისად, არც აქვს მცდარი წარმოდგენა შინაარსის შესახებ. ასეთ შემთხვევაში შეცილება გამოირიცხება.

ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც ხელისმომწერ პირს დოკუმენტის შინაარსთან დაკავშირებით განსაზღვრული, თუმცა არასწორი, წარმოდგენა აქვს, სახეზეა პირის მიერ გამოხატულისა და ნაწილობრივ ერთმანეთისგან გადახვევა და შედეგად სახეზეა შინაარსში დაშვებული შეცდომა, სკ-ის 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად.

კობამ „სწრაფი ნეტის“ თანამშრომლის მიერ მისთვის წარდგენილ ფორმულარს შინაარსის გაცნობის გარეშე განზრახ კი არ მოაწერა ხელი, არამედ მას მიაჩნდა, რომ პაკეტის შეცვლის პირობას აწერდა ხელს. ეს შემთხვევა ზემოაღნიშნულ მეორე შემთხვევათა ჯგუფს მიეკუთვნება. მაშასადამე, სახეზეა შინაარსში დაშვებული შეცდომა. მას ეს შეცდომა შეცილების უფლებას აძლევს, ვინაიდან შეცდომა სკ-ის 72-ე მუხლის მიხედვით არსებითიც იყო. გარემოების ცოდნის შემთხვევაში, თუ კობას გაცნობიერებული ექნებოდა ფორმულარის შინაარსი, იგი არ მოაწერდა ხელს რუტერის შეძენის ფორმულარს.

მაშასადამე, სახეზეა შეცილების საფუძველი, სკ-ის 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად.

3. შეცილების განცხადება, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2

წინადადება

სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, სავალდებულოა შეცილებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მეორე მხარისადმი შეცილების განცხადება. შეცილების შესახებ განცხადება არის ნებისმიერი სახის განცხადება, საიდანაც ცალსახად ირკვევა, რომ გარიგება ნების გამოვლენაში დაშვებული შეცდომის გამო ძალაში არ უნდა დარჩეს. არ არის აუცილებელი, პირმა გამოიყენოს ფრაზა: „ვახდენ შეცილებას“. კაზუსის ფაბულის მიხედვით, კობა არ ეთანხმება ნასყიდობის ხელშეკრულებას და არ აპირებს რუტერის წამოღებას. ამით შესრულებულია სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების წინაპირობები, ანუ სახეზეა შეცილების განცხადება.

4. შეცილების ვადა, სკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

შეცილება მოხდა, სკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ერთი თვის ვადაში შეცილების საფუძვლის შეტყობიდან. უფრო მეტიც, კობამ იმნამსვე განუცხადა უარი რუტერის ნამოღებაზე.

5. შეცილების გამორიცხვა

შეცილება შესაძლოა გამორიცხული იყოს შეცილების უფლების მქონე პირის მიერ გარიგების დადასტურების (სკ-ის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილი), კონტრაჰენტის თანხმობის (სკ-ის 77-ე მუხლი), წვრილმანი შეცდომების (სკ-ის 78-ე მუხლი) ან კეთილსინდისიერების პრინციპის გამო. არცერთი ეს პირობა არ არის კაზუსში წარმოდგენილი.

6. შუალედური შედეგი

შუალედური შედეგის სახით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კობას მიერ განხორციელებული შეცილება ნამდვილია და ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით.

III. საბოლოო შედეგი

მაშასადამე, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან მოთხოვნა არ წარმოშობილა. „სწრაფ ნეტს“ არ შეუძლია მოსთხოვოს რუტერის წაღება და ნასყიდობის ფასის გადახდა.

A. „სწრაფი ნეტის“ მოთხოვნა რუტერის წაღებისა და ფასის გადახდის თაობაზე კობას მიმართ

I. მოთხოვნის წარმოშობა ხელშეკრულების დადებით (+)

- „სწრაფი ნეტის“ ოფერტი (-)
- კობას ოფერტი (+)
- „სწრაფი ნეტის“ აქცეპტი (+)

II. მოთხოვნის შეწყვეტა (+)

- ხელშეკრულების ბათილობა, სკ-ის 59, II (+)
 - შეცილების საფუძველი, სკ-ის 72, 73 „ბ“ (+)
 - შეცილების განცხადება (+)
 - შეცილების ვადა, სკ-ის 79, I (+)
 - შეცილების გამორიცხვა (-)

შედეგი: სწრაფი ნეტის მოთხოვნა კობას მიმართ, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე (-)

სამახსოვრო!

- უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისგან ორი შემთხვევა: პირველი, როდესაც პირი ტექსტს წაუკითხავად აწერს ხელს და საერთოდ არ აქვს წარმოდგენა დოკუმენტის შინაარსზე; ასეთ შემთხვევაში იგი არ უშვებს შეცდომას, ვინაიდან ის, ვინც საერთოდ არ დაფიქრდება, რა ხელშეკრულებაზე და

რა შინაარსზე აწერს ხელს, შესაბამისად, არც აქვს მცდარი წარმოდგენა შინაარსზე. ასეთ შემთხვევაში შეცილება გამოირიცხება.

- მეორე შემთხვევა გვაქვს, როდესაც ხელისმომწერ პირს დოკუმენტის შინაარსთან დაკავშირებით განსაზღვრული, თუმცა არასწორი, წარმოდგენა აქვს. ასეთ დროს სახეზეა პირის მიერ გამოვლენილი ნებისა და ნამდვილი ნების ურთიერთშეუსაბამობა, რაც ქმნის შეცილების საფუძველს, სკ-ის 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად (შინაარსში დაშვებული შეცდომა).

დავალება: კობამ დარეკა „სწრაფი ნეტის“ ოფისში და არასწორად ჩამოაყალიბა, თუ რომელი პაკეტის შექმნა სურდა, რის გამოც მის მიერ გამოვლენილი ნების საფუძველზე მოხდა ჯერ ფორმულარის, ხოლო შემდეგ უკვე ხელშეკრულების შედგენა და ხელმოწერა. კობას არ სურს ხელშეკრულების შესრულება. აქვს თუ არა მას შეცილების უფლება?

კაზუსი 15. ფიროსმანის გაუჩინარებული ნახატი

(შეცდომა თვისებრიობაში, სკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით; ნივთის ღირებულების განმსაზღვრელი თვისებრიობა; ვინდიკაცია)

საწყისი კაზუსი:

დედისერთა ნიკამ მშობლების გარდაცვალების შემდგომ მემკვიდრეობით მიიღო ზეთის საღებავებით შესრულებული რამდენიმე ნახატი, რომლებიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრით და მე-20 საუკუნის 1-ლი ნახევრით თარიღდება. ნახატები შესრულებულია ნაკლებად ცნობილი მხატვრების მიერ. ნიკას სურს, ერთ-ერთი ნახატი, რომელზეც გამოსახულია ძველი თბილისის პეიზაჟი, მიჰყიდოს ხელოვან თემურს. ვინაიდან ნახატი დიდი ზომისაა, ნიკა სთავაზობს თემურს, მივიდეს მასთან სახლში ნახატის სანახავად. თემურს ძალიან მოეწონა თბილისის პეიზაჟი და ნიკას შეუთანხმდა 10 000 ლარად მის შეძენაზე. შეთანხმების მიხედვით, თემურმა სურათი ერთი კვირის განმავლობაში უნდა წაიღოს და გადახდაც ამის შემდგომ განხორციელდება.

ნიკას კიდევ სურს სხვა ნახატების გაყიდვა და ამ მიზნით თავის სახლში მიიპატიჟებს ხელოვან ბესოს, რომელიც ასევე ნახატების ექსპერტია. ბესო დაათვალიერებს ნახატებს და მისი ყურადღება შეჩერდება სურათზე, რომელზეც გამოსახულია თბილისის პეიზაჟი. ამ ნახატის ქვედა ფენაში იგი ამოიცნობს ფიროსმანის გაუჩინარებულ ნახატს – „თბილისელი მიკიტნები“, რომელსაც უცნობმა მხატვარმა თბილისის პეიზაჟი გადაახატა. ფიროსმანის ნახატი „თბილისელი მიკიტნები“ მე-19 საუკუნის მიწურულით თარიღდება და, გადმოცემის მიხედვით, ის ფიროსმანმა თავის მეგობარ უცნობ მხატვარს აჩუქა, რომელმაც მასზე თბილისის პეიზაჟი გადაახატა. „თბილისელი მიკიტნების“ ფასი „თბილისის პეიზაჟს“ ხუთჯერ აჭარბებს.

ნიკა იმწამსვე ურეკავს თემურს და ეუბნება, რომ სიტუაცია შეიცვალა და გარიგება ისეთი სახით ვეღარ დარჩება ძალაში, როგორც სახითაც დაიდო. თემურმა განუცხადა, რომ ხელშეკრულება ხელშეკრულებაა და ითხოვს მისგან ნახატის გადმოცემას.

სამართლიანია თემურის მოთხოვნა?

მოდიფიკაცია 1:

„თბილისის პეიზაჟი“ არ არის გადახატული ნახატი და, შესაბამისად, ნახატის პირველი ფენაც არ ეკუთვნის ფიროსმანს. მას შემდეგ, რაც ნიკამ მიჰყიდა ნახატი თემურს, იგი აიღებს აუქციონის კატალოგს და ნახავს, რომ მსგავსი ნახატების საბაზრო ფასი არა 10 000 ლარია, არამედ 20 000 ლარი. მას უკვე ჰყავს 3 ხელოვანი, რომლებიც მზად არიან, მას ნახატში 20 000 ლარი გადაუხადონ. ნიკა ურეკავს თემურს და ეუბნება, რომ სიტუაცია შეიცვალა და იგი აღარ ყიდის ნახატს.

შეუძლია თემურს, ნიკას მოსთხოვოს ნახატის გადმოცემა?

მოდიფიკაცია 2:

ამ შემთხვევაში ნიკას თვითონ მიაქვს ნახატი თემურთან, საჩვენებლად. თემურს ძალიან მოეწონება ნახატი, ნიკას გადაუხდის 10 000 ლარს და ნახატს დაიტოვებს. წამოსვლიდან მცირე პერიოდის შემდგომ ნიკა გაიგებს, რომ ნახატის პირველი ფენა ფიროსმანის ცნობილი ნამუშევარია, ურეკავს თემურს და ეუბნება, რომ ხელშეკრულება ასეთი სახით ველარ დარჩება ძალაში.

შეუძლია ნიკას, თემურისგან ნივთის გადმოცემა მოითხოვოს?

A. სანყისი კაზუსი – თემურის მოთხოვნა ნიკას მიმართ ნახატის საკუთრებასა და მფლობელობაში გადმოცემის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით

თემურის მოთხოვნა ნიკას მიმართ ნივთის საკუთრებასა და მფლობელობაში გადმოცემის თაობაზე შესაძლოა გამომდინარეობდეს სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან.

I. მოთხოვნის წარმოშობა, ნასყიდობის ხელშეკრულება

იმისათვის, რომ თემურს ნიკას მიმართ ჰქონდეს ნახატის საკუთრებასა და მფლობელობაში გადმოცემაზე მოთხოვნა, საჭიროა, მათ შორის არსებობდეს ნასყიდობის ხელშეკრულება. კაზუსის ფაბულის მიხედვით, ნიკამ და თემურმა ნახატის ნასყიდობის თაობაზე გააფორმეს ხელშეკრულება, რომლითაც ნიკა იღებს ვალდებულებას, 10 000 ლარის სანაცვლოდ თემურს საკუთრებაში გადასცეს ნახატი „თბილისის პეიზაჟი“. მაშასადამე, სახეზეა მხარეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება. მაშასადამე, თემურსა და ნიკას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე თემურს წარმოეშვა მოთხოვნა ნახატის საკუთრებასა და მფლობელობაში გადმოცემის თაობაზე.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

1. ხელშეკრულების ბათილობა, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით?

მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, იგი შესაძლოა ბათილი იყოს, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, მისი დადების მომენტიდან. ბათილობის ეს შედეგი დგება მაშინ, როდესაც მხარე, და ჩვენს შემთხვევაში ნიკა, ხელშეკრულების დადებისკენ გამოვლენილ თავის ნებაზე შეცილებას განაცხადებს. შეცილების წინაპირობებია შეცილების საფუძვლისა და შეცილების განცხადების არსებობა.

2. შეცილების საფუძველი

მაშასადამე, პირველ რიგში, ვადგენთ, სახეზეა თუ არა შეცილების საფუძველი:

ა. შეცდომა ნების შინაარსში (სკ-ის 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტი)

შეცილების საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ გარიგების შინაარსში დაშვებული შეცდომა, სკ-ის 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით. გარიგების შინაარსში დაშვებული შეცდომა გვაქვს სახეზე მაშინ, როდესაც ნების გამომვლენ პირს სხვა წარმოდგენა აქვს მის მიერ გაცნობიერებულად გამოვლენილი ნების ნიშნების მნიშვნელობაზე. ამ შემთხვევაში ნიკამ გაცნობიერებულად გამოხატა ნება, რომ სურდა 10 000 ლარად გაეყიდა ნახატი „თბილისის პეიზაჟი“. თუმცა ნასყიდობის საგნის ობიექტური თვისებრიობა არ შეესაბამებოდა ნიკას წარმოდგენას, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ნიკას გამოვლენილი ნების ობიექტური მნიშვნელობა მისი სუბიექტური წარმოდგენისგან განსხვავებულია. როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური წარმოდგენით, ნიკას სურს, ნახატი „თბილისის პეიზაჟი“ 10 000 ლარად გაეყიდოს. მაშასადამე, იგი შეცდომას არ უშვებს მის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მიზნით გამოვლენილი ნების შინაარსში. ამგვარად, არ არის მოცემული ნების შინაარსში დაშვებული შეცდომა, სკ-ის 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით.

ბ. შეცდომა თვისებრიობაში (სკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

შეცილების საფუძვლად შესაძლოა მოიაზრებოდეს ნივთის ღირებულების (საბაზრო) განმსაზღვრელ თვისებრიობაში დაშვებული შეცდომა, სკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით.

სკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფარგლებში ნივთის თვისებებად მის ფიზიკური თვისებრიობის დამახასიათებელ ნიშნებთან ერთად მიიჩნევა, ასევე, ყველა ფაქტობრივი და სამართლებრივი ურთიერთობა, რომლებიც, მათი ხასიათიდან და ხანგრძლივობიდან გამომდინარე, საგნის მოხმარებასა და ფასზე ახდენენ გავლენას. ნახატის სიძველე და მისი ავტორი თავისთავად მიიჩნევა ნახატის მნიშვნელოვან თვისებრიობად. მაშასადამე, „თბილისის პეიზაჟის“ ქვეშ დახატული ფიროსმანის ნახატი „თბილისელი მიკიტნები“ არის ნახატის მნიშვნელოვანი თვისებრიობა.

გარდა ამისა, სკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თვისებრიობა მნიშვნელოვანი უნდა იყოს საგნის ღირებულების განსაზღვრისათვის. ეს გარემოება უნდა შეფასდეს კონკრეტული გარიგების მიხედვით. უნდა შემოწმდეს, ხომ არ არის მოცემული მხარეებს შორის გაფორმებული კონკლუდენტური ან სიტყვიერად გამოხატული შეთანხმება თვისებრიობაზე, ხოლო თუ დგინდება, რომ არ არის მოცემული მხარეთა ასეთი შეთანხმება, ყურადღება ექცევა ნივთის საბაზრო ღირებულებას.

საკითხის გაღრმავებისთვის: „ღირებულების განმსაზღვრელი თვისებრიობა“ სადავო ცნებაა. თუმცა კაზუსის ამოხსნისას ამ ცნების სადავობა მცირე მნიშვნელობისაა. ნივთის ღირებულების განსაზღვრის ობიექტური თეორიის მიხედვით, ყურადღება უნდა მიექცეს ნივთის საბაზრო ღირებულებას. ობიექტური თეორიისგან განსხვავებით, სუბიექტური თეორია მოითხოვს, რომ გარიგების საგნის ღირებულება შეფასდეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დამოუკიდებლად, ანუ ყურადღება ექცევა იმ ფაქტორს, თუ რამდენად მიიჩნეის ხელშეკრულების მხარეებმა ესა თუ ის თვისებრიობა რელევანტურად. თვისებრიობის ასეთი შეთანხმება შესაძლებელია კონკლუდენტურადაც იქნეს მიღწეული. მაშინ, როდესაც ასეთი შეთანხმება არ არის სახეზე, ყურადღება ექცევა ობიექტურ კრიტერიუმს და ნივთის ღირებულება განისაზღვრება საბაზრო შეხედულებით.

თუ კაზუსის სპეციფიკიდან არ გამომდინარეობს, კაზუსის ამოხსნისას სტუდენტს არ მოეთხოვება ნივთის ღირებულების განმსაზღვრელ სადავო თეორიებზე მსჯელობა. კონკრეტული კაზუსის შემთხვევაში რელევანტურია გარიგების შინაარსის შემოწმება და იმის დადგენა, რამდენად არის ნივთის ერთი თვისებრიობა მნიშვნელოვანი, ხოლო მეორე უმნიშვნელო. ხოლო თუ დადგინდება, რომ გარიგებიდან ასეთი რამ არ ირკვევა, მაშინ ნივთის ღირებულების შეფასებისას ყურადღება ექცევა მის საბაზრო ღირებულებას.

კაზუსის ფაბულის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ნახატის ავტორი და სიძველე ნიკასა და თემურს შორის დადებული ხელშეკრულების საგნის (ნახატის) ღირებულების განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი თვისებრიობაა, ვინაიდან ეს ორივე თვისებრიობა ნახატის ღირებულების განსაზღვრისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საბაზრო ფაქტორებია. ამგვარად, ნიკა უშვებდა შეცდომას ნახატის ღირებულების განმსაზღვრელ თვისებრიობაში, რამეთუ არ იცოდა, რომ ნახატის პირველი ფენა ფიროსმანს ეკუთვნოდა.

ასევე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ, იმ შემთხვევაში, თუ ნიკას ეცოდინებოდა ამ თვისებრიობის შესახებ, იგი ნახატს 10 000 ლარად არ გაყიდდა. მაშასადამე, შეცდომა ნახატის თვისებრიობაში ავლენს მიზეზობრივ კავშირს მის მიერ გამოვლენილ ნებასთან.

გ. შედეგი – შეცდომების საფუძველი

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახეზეა შეცდომა თვისებრიობაში, სკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. შეცდომა არსებითი იყო საგნის ღირებულების განსაზღვრისთვის.

3. შეცილების განცხადება, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება

სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, სავალდებულოა შეცილების მეორე მხარისათვის შეცილების განცხადება.

შეცილების განცხადებისთვის არ არის სავალდებულო, რომ შეცილების განმცხადებელმა პირმა მეორე მხარისადმი გამოვლენილ ნებაში მაინცდამაინც სიტყვა „შეცილება“ გამოიყენოს. საკმარისია, როდესაც იგი ხელშეკრულების მეორე მხარეს განუცხადებს, რომ ნების ნაკლის გამო არ სურს გარიგების შესრულება. ნიკამ განუცხადა თემურს, რომ, ვინაიდან შეიტყო ნახატის სხვა თვისებრიობის შესახებ, აღარ სურს, იყოს ხელშეკრულებით შებოჭილი. ამით მან გამოხატა ნება, რომ გაყიდული საგნის თვისებრიობაში დაშვებული შეცდომის გამო და, შესაბამისად, ნების ნაკლის გამო ხელშეკრულება ვეღარ განაგრძობს ძველი სახით მოქმედებას. მაშასადამე, სახეზეა ნიკას მიერ თემურის მიმართ განცხადებული შეცილება.

4. შეცილების ვადა, სკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

სკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, შეცილება უნდა განხორციელდეს შეცილების შესახებ საფუძვლის შეტყობიდან ერთი თვის ვადაში. ჩვენს შემთხვევაში შეცილების ვადა დაცულია, ვინაიდან ნიკამ, როგორც კი შეიტყო მის მიერ თვისებრიობაში დაშვებული შეცდომის შესახებ, დაურეკა თემურს და მის მიერ გამოვლენილი ნება საცილო გახდა. მაშასადამე, დაცულია სკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილის წინაპირობები.

5. შედეგი – შეცილება

ნიკას მიერ გაცხადებული ნების შეცილება ნამდვილია. გამომდინარე აქედან, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, ნიკასა და თემურს შორის ნახატის ნასყიდობის თაობაზე დადებული ხელშეკრულება ბათილია მისი დადების მომენტიდან.

A. თემურის მოთხოვნა ნიკას მიმართ ნახატის გადაცემის თაობაზე

I. მოთხოვნის წარმოშობა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებით (+)

II. მოთხოვნის შეწყვეტა (+)

- ხელშეკრულების ბათილობა, სკ-ის 59, II (+)
 - შეცილების საფუძველი (+)
 - შეცილების განცხადება (+)
 - შეცილების ვადა, სკ-ის 79, I (+)

შედეგი: თემურის მოთხოვნა ნიკას მიმართ, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე (-)

6. საბოლოო შედეგი

თემურს ვერ ექნება მოთხოვნა ნიკას მიმართ ნახატის საკუთრებასა და მფლობელობაში გადაცემის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით.

B. მოდიფიკაცია 1. – თემურის მოთხოვნა ნიკას მიმართ ნახატის საკუთრებასა და მფლობელობაში გადაცემის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად

თემურის მოთხოვნა ნიკას მიმართ ნახატის საკუთრებასა და მფლობელობაში გადაცემის თაობაზე შესაძლოა გამომდინარეობდეს სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან. ამისათვის საჭიროა, რომ არსებობდეს ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება.

I. მოთხოვნის წარმოშობა

1. ნასყიდობის ხელშეკრულება

ფაბულის მიხედვით დგინდება, რომ ნიკამ და თემურმა დადეს ხელშეკრულება ნახატის („თბილისის პეიზაჟი“) ნასყიდობის თაობაზე. ნასყიდობის თანხა შეადგენს 10 000 ლარს.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

1. ხელშეკრულების დადების მომენტიდან ბათილობა, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით?

სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, ნიკასა და თემურს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება შესაძლოა, ბათილი იყოს მისი დადების მომენტიდან. ბათილობის ეს შედეგი დგება მაშინ, როდესაც მხარე, და ჩვენს შემთხვევაში ნიკა, ხელშეკრულების დადებისთვის გამოვლენილ თავის ნებაზე შეცილებას განაცხადებს. შეცილების წინაპირობებია შეცილების საფუძვლისა და შეცილების განცხადების არსებობა.

2. შეცილების საფუძველი – შეცდომა თვისებრიობაში?

უპირველეს ყოვლისა, ვამოწმებთ, არსებობს თუ არა შეცილების საფუძველი. შეცილების საფუძვლად მოიაზრება ნიკას მიერ საგნის ღირებულების განმსაზღვრელ თვისებრიობაში დაშვებული შეცდომა, სკ-ის

74-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით.

სკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფარგლებში ნივთის თვისებებზე მისი ფიზიკური თვისებრიობის დამახასიათებელ ნიშნებთან ერთად მიიჩნევა ასევე ყველა ფაქტობრივი და სამართლებრივი ურთიერთობა, რომლებიც, მათი ხასიათიდან და ხანგრძლივობიდან გამომდინარე, საგნის მოხმარებასა და ფასზე ახდენენ გავლენას.⁴¹

კაზუსის მიხედვით, ნიკამ შეცდომა დაუშვა ნახატის სავარაუდო

ფასში, ვინაიდან მას არ ჰქონდა ნახატის საბაზრო ღირებულების შესახებ ინფორმაცია. გამომდინარე აქედან, საკითხავია, რამდენად შეიძლება, ნახატის ღირებულება მიჩნეულ იქნეს თვისებრიობად, სკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფარგლებში.

აქ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ნივთის ღირებულება შეფასებითი კატეგორიაა, რომელიც „ბაზრით“ დგინდება. ღირებულება ნივთს არ ახასიათებს ხანგრძლივი პერიოდით, ვინაიდან იგი დამოკიდებულია ღირებულების განმსაზღვრელ სხვადასხვა ფაქტორზე. აქედან გამომდინარე, ნივთის ღირებულება თავად ვერ იქნება ნივთის თვისებრიობა, არამედ იგი არის თვისებრიობის „სარკე“, ანუ იგი გამომდინარეობს თავად თვისებრიობიდან. ასევე ის გარემოება, რომ ღირებულებაზე ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ფასთა მუდმივი ცვალებადობა, გამოდგება იმის არგუმენტად, რომ ღირებულება ნივთის ხანგრძლივი დამახასიათებელი კატეგორია არ არის.

მაშასადამე, ნივთის ღირებულება ვერ ჩაითვლება ნივთის თვისებრიობად, სკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფარგლებში.

3. შედეგი – შეცილება

შეცილების საფუძველი არ არსებობს. ნიკას არ შეუძლია ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისთვის გამოვლენილი ნება საცილო გახადოს.

B. თემურის მოთხოვნა ნიკას მიმართ ნახატის გადაცემის თაობაზე

I. მოთხოვნის წარმოშობა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებით (+)

II. ხელშეკრულების ბათილობა, სკ-ის 59, II (-)

➤ შეცილების საფუძველი, შეცდომა თვისობრიობაში? (-)

შედეგი: თემურის მოთხოვნა ნიკას მიმართ, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე (+)

⁴¹ Kereselidze, AT des ZGB, 2005, 253, ციტირებული: *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, 331-332.

4. საბოლოო შედეგი

თემურს შეუძლია, ნიკას მოსთხოვოს ნახატის საკუთრებასა და მფლობელობაში გადაცემა, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით.

C. მოდიფიკაცია 2. – ნიკას მოთხოვნა თემურის მიმართ ნახატის გადაცემის თაობაზე, სკ-ის 172-ე მუხლის საფუძველზე

ნიკას შესაძლოა, თემურის მიმართ ჰქონდეს მოთხოვნა ნახატის გამომცემის თაობაზე, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით. სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის წინაპირობების მიხედვით, ნიკა უნდა იყოს ნახატის მესაკუთრე, ნახატი უნდა იყოს თემურის არაუფლებამოსილ მფლობელობაში.

I. ნიკას საკუთრების უფლება ნახატზე

იმისათვის, რომ ნიკამ თემურს მოსთხოვოს ნახატის გადმოცემა, იგი, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს ნახატის მესაკუთრე.

1. ნიკას მშობლების საკუთრების უფლება ნახატზე

კაზუსის მიხედვით, ნახატის თავდაპირველი მესაკუთრეები იყვნენ ნიკას მშობლები.

2. ნიკას მიერ ნახატზე საკუთრების უფლების შექმნა

ნიკა თავისი მშობლების ერთადერთი მემკვიდრეა. მაშასადამე, მან მშობლების გარდაცვალების შემდგომ, როგორც პირველი რიგის მემკვიდრემ, ნახატზე საკუთრება მოიპოვა, სკ-ის 1306-ე და 1336-ე მუხლების თანახმად.

3. ნიკას მიერ ნახატზე საკუთრების დაკარგვა

თუმცა ნიკამ შესაძლოა, ნახატზე საკუთრების უფლება დაკარგა, სა-მოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად. სკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი გარიგების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი (თუმცა, კანონის ტექსტი „ნამდვილი გარიგების“ ნაცვლად იყენებს „ნამდვილ უფლებას“).

ნიკამ ნახატი თემურს მიუტანა საჩვენებლად. იგი თემურს ძალიან მოეწონა და 10 000 ლარად შეიძინა. ნიკამ ნახატი დაუტოვა. შეგვიძლია

მივიჩნით, რომ ნიკა და თემური ამ მოქმედებების შედეგად კონკლუდენტურად შეთანხმდნენ საკუთრების გადაცემის თაობაზე. მაშასადამე, თემური გახდა ნახატის მესაკუთრე, სკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად.

4. ხელშეკრულების დადების მომენტიდან ბათილობა,

სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით?

სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, საკუთრების უფლების გადაცემა შესაძლოა, ბათილი იყოს სანყისი მომენტიდან. ამისათვის უნდა არსებობდეს შეცილების საფუძველი და მეორე მხარისადმი შეცილების განცხადება შეცილების ვადის დაცვით.

ა. შეცილების საფუძველი

შეცილების საფუძველად ამ შემთხვევაშიც შესაძლოა მოიაზრებოდეს ნივთის ღირებულების (საბაზრო) განმსაზღვრელ თვისებრიობაში დაშვებული შეცდომა, სკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა (იხ. A, I, 1, „ბ“), ნახატის 1-ლი ფენა, რომელიც ფიროსმანის მიერ არის შესრულებული, ნივთის ღირებულების განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი თვისებრიობაა. მაშასადამე, შეცდომაა თვისებრიობაში, რომელიც იძლევა შეცილების უფლებას.

თუმცა საკითხავია, რამდენად შეუძლია ნიკას, დაიბრუნოს ნახატი მაშინ, როდესაც იგი თემურის საკუთრებასა და მფლობელობაშია.

სკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იმისათვის, რომ საკუთრება მოძრავ ნივთზე გადავიდეს ერთი პირიდან მეორეზე, საჭიროა, არსებობდეს „ნამდვილი უფლება“ და ამ უფლების საფუძველზე ნივთის გადაცემა. ეს კი გულისხმობს იმას, რომ საკუთრების უფლების გადაცემისთვის საკმარისია ნამდვილი ვალდებულებითსამართლებრივი გარიგების არსებობა და ნივთის გადაცემა, სანივთოსამართლებრივი გარიგების დადება საკუთრების უფლების გადაცემაზე ზედმეტი და ის კანონით არ მოითხოვება.⁴² შესაბამისად, შეცილება ეხება მხოლოდ ერთ – ვალდებულებითსამართლებრივ გარიგებას და მისი გაბათილების შემთხვევაში მხარეებს წარმოეშობათ შესრულებულის უკან მოთხოვნის უფლება.

⁴² *თოთლაძე*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 5.07.2016, 186, მე-7 და შემდგომი ველები.

საკითხის გაღრმავებისთვის: ბოლო დროს დოქტრინაში ჩამოყალიბებული შეხედულებით,⁴³ ქართულ სამართალში უარყოფილია მოსაზრება **დაყოფისა და კაუზალობის პრინციპების** მოქმედების შესახებ. როგორც ცნობილია, დაყოფის პრინციპის მიხედვით, თითოეული გარიგება იყოფა კიდეც ორ გარიგებად – ვალდებულებით და სანივთო გარიგებად. ვალდებულებითსამართლებრივი გარიგებით მხარეები თანხმდებიან გარიგების ვალდებულებითსამართლებრივ მხარეზე. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობის ასეთი წესი მოქმედებს ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, თუმცა 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილი არ იძლევა ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას.

როგორც კაზუსშია წარმოდგენილი, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებით ნიკა ვალდებულია, თემურს მიჰყიდოს ნახატი. თუმცა ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ თემური ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებით ნახატის მესაკუთრე ხდება. იმისათვის, რომ თემური ნახატის მესაკუთრე გახდეს, სავალდებულოა, ნიკამ მფლობელობაში გადასცეს თემურს ნახატი. კაზუსიდანვე ირკვევა, რომ ნიკამ თვითონ მიუტანა თემურს ნახატი, რომელსაც იგი ძალიან მოეწონა და თანხის გადახდის სანაცვლოდ დაიტოვა.

რა სამართლებრივი შედეგები აქვს ყოველივე ზემოაღნიშნულს: იმ შემთხვევაში, როდესაც შეცილების შედეგად ბათილი გახდება ვალდებულებითსამართლებრივი გარიგება, ითვლება, რომ ბათილდება ასევე საკუთრების უფლების გადასვლაც. ჩვენი კაზუსისთვის ნიშნავს ეს შემდეგს: ვინაიდან ნიკას შეცილება ნამდვილია და ბათილია ნასყიდობის ხელშეკრულება, საკუთრების უფლება თემურისთვის წარმოშობილად არ ითვლება. მაშასადამე, თემური აღარ იქნება ნახატის მესაკუთრე, მიუხედავად იმისა, რომ ნახატი მასთან არის. ვინაიდან თემური მესაკუთრე აღარ არის, ნიკას შეუძლია, ნახატი ვინდიკაციით უკანონო მფლობელობიდან გამოითხოვოს, 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად. არსებობს ასევე მეორე ალტერნატივა: ამ შემთხვევაში შესაძლებელია ასევე უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება – სკ-ის 976-ე მუხლი განსაზღვრავს: „პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომკრედიტორს(მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში“. საკითხის ასეთი გადაწყვეტა მოგვიანია კრედიტორისთვის, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება უფრო ხელსაყრელი იყოს მისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ნივთი არაუფლებამოსილ პირთან აღარ არის, რადგანაც მან იგი გადაყიდა.

⁴³ იხ. იქვე.

მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თვისებრიობაში არის შეცდომა, ნიკას შეცილება ც გავრცელდა ვალდებულებითსამართლებრივ გარიგებაზე და გააუქმა ასევე თემურისთვის წარმოშობილი საკუთრების უფლება.

ბ. შეცილების განცხადება

სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, სავალდებულოა შეცილებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მეორე მხარისადმი შეცილების განცხადება. შეცილების შესახებ განცხადება არის ნებისმიერი სახის განცხადება, საიდანაც ცალსახად ირკვევა, რომ გარიგება ნების გამოვლენაში დაშვებული შეცდომის გამო ძალაში არ უნდა დარჩეს. კაზუსის ფაბულის მიხედვით, ნიკა როგორც კი გაიგებს, ნახატის პირველი ფენა ფიროსმანის ცნობილი ნამუშევარია, ურეკავს თემურს და ეუბნება, რომ ხელშეკრულება ასეთი სახით ველარ დარჩება ძალაში. ამით შესრულებულია სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების წინაპირობები, ანუ სახეზეა შეცილების განცხადება.

გ. შეცილების ვადა

სკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, შეცილება უნდა განხორციელდეს შეცილების შესახებ საფუძვლის შეტყობიდან ერთი თვის ვადაში. ჩვენს შემთხვევაში შეცილების ვადა დაცულია, ვინაიდან ნიკამ, როგორც კი შეიტყო მის მიერ თვისებრიობაში დაშვებული შეცდომის შესახებ, დაურეკა თემურს და მის მიერ გამოვლენილი ნება საცილო გახადა. მაშასადამე, დაცულია სკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილის წინაპირობები.

დ. შედეგი – ბათილობა

სახეზეა შეცილების საფუძველი. ნიკას შეცილება ნამდვილია და ხელშეკრულება ბათილია მისი დადების მომენტიდან, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად.

5. შედეგი – ნიკას საკუთრების უფლება ნახატზე

ნამდვილი შეცილების შედეგად გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან. ნიკა რჩება ნახატის მესაკუთრედ.

II. ნახატი, რომორც ნივთი, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით

სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ფარგლებში ნივთად შეიძლება გავიგოთ ყველა მოძრავი თუ უძრავი სხეულებრივი საგანი, რომელიც გადაცემადია. ნახატი არის სხეულებრივი საგანი, შესაბამისად, უდავოა, რომ ის არის „ნივთი“, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით.

III. თემურის მიერ ნივთის ფლობა

სკ-ის 155-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მფლობელი არის პირი, რომელიც ახორციელებს ფაქტობრივ ნებელობით ბატონობას ნივთზე. კაზუსის მიხედვით, თემურმა, მას შემდეგ, რაც მოეწონა ნახატი, ნიკას გადაუხადა 10 000 ლარი და ნახატი თავისთან დაიტოვა. ამით მან ფაქტობრივი და ნებელობითი ბატონობა მოიპოვა ნივთზე.

IV. არაუფლებამოსილი ფლობა

მართლზომიერი ფლობის შემთხვევაში, თემურს უფლება ექნებოდა, მიუხედავად სხვა წინაპირობების არსებობისა, ნახატი შეენარჩუნებინა. მართლზომიერ ფლობაზე უფლება შესაძლოა კანონიდან ან გარიგებიდან გამომდინარეობდეს. კაზუსის ტექსტში არ არის რაიმე გარემოება, რომელიც მიუთითებდა თემურის მიერ ნატახის მართლზომიერ ფლობაზე.

V. საბოლოო შედეგი

ნიკას აქვს თემურის მიმართ მოთხოვნა ნახატის გადმოცემის თაობაზე, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით.

C. ნიკას მოთხოვნა თემურის მიმართ ნახატის გადაცემის თაობაზე

I. ნიკას საკუთრების უფლება (+)

- ნიკას მშობლების საკუთრების უფლება (+)
- საკუთრების შექმნა ნიკას მიერ მემკვიდრეობით (+)
- ნიკას მიერ საკუთრების უფლების დაკარგვა ხელშეკრულების საფუძველზე (+)
- ხელშეკრულების ბათილობა, სკ-ის 59, II (+)

II. ნახატი – ნივთი? (+)

III. თემურის მიერ ნივთის ფლობა (+)

IV. არაუფლებამოსილი ფლობა (+)

შედეგი: ნიკას მოთხოვნა თემურის მიმართ, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე (+)

სამახსოვრო!

- ზემოაღნიშნულ კაზუსში განხილულია ნივთის თვისებრიობაში დაშვებული შეცდომის შემთხვევა. სკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფარგლებში ნივთის თვისებებად მის ფიზიკური თვისებრიობის დამახასიათებელ ნიშნებთან ერთად მიიჩნევა ასევე ყველა ფაქტობრივი და სამართლებრივი ურთიერთობა, რომლებიც მათი ხასიათიდან და ხანგრძლივობიდან გამომდინარე, საგნის მოხმარებასა და ფასზე ახდენენ გავლენას. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ღირებულების განმსაზღვრელი თვისებრიობა“ სადავო ცნებაა და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ და ობიექტურ (საბაზრო ღირებულება) ფაქტორებს.
- თავად ნივთის ღირებულება (ფასი) ვერ ჩაითვლება თვისებრიობად, ვინაიდან ღირებულება ნივთს არ ახასიათებს ხანგრძლივი პერიოდით, რადგან იგი დამოკიდებულია ღირებულების განმსაზღვრელ სხვადასხვა ფაქტორზე.
- კაზუსში მიმოხილულია ასევე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ეხება მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადასვლას. მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასვლისათვის, სკ-ის 186-ე მუხლის მიხედვით, საჭიროა, სახეზე იყოს ნამდვილი უფლება (უფლება, რომელიც გამომდინარეობს ნამდვილი ვალდებულებითსამართლებრივი გარიგებიდან) და ნივთის მფლობელობაში გადაცემა. შესაბამისად, შეცილებაც ვრცელდება ვალდებულებითსამართლებრივ გარიგებაზე და მისი გაბათილების შემთხვევაში მხარეებს წარმოეშობათ მიღებული უკან დაბრუნების ვალდებულება.

კაზუსი 16. „ფორდ-მუსტანგი GT“

(შეცდომა თვისებრიობაში, სკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით და შეცილების შესახებ ნორმების კონკურენცია ნაკლის პასუხისმგებლობის ნორმებთან)

ლევანს სურს, ნახმარი ავტომობილებით მოვაჭრე გუგასგან შეიძინოს სპორტული ავტომობილი. გუგას ავტოპარკის დათვალიერების შემდგომ იგი არჩევანს შეაჩერებს ორ ცალ 2008 წლის გამოშვება წითელ „ფორდ-მუსტანგ GT-ზე“, რომლებიც ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ამ ორიდან ლევანი აარჩევს ერთ-ერთს, რომლის დროებითი ნომერიც არის MUS1010 და რომლის ღირებულებაცაა 30 000 აშშ-ის დოლარი. გუგა ლევანს მიიპატიჟებს თავის ოფისში ხელშეკრულების დასადავად. ორივეს შეეშლება და ხელშეკრულებაში ნასყიდობის საგნად ჩაწერენ მეორე „ფორდ-მუსტანგ GT“-ს დროებით ნომერს – MUS1001, რომლის ფასი 35 000 აშშ-ის დოლარია. ხელშეკრულების დადების დროს ორივეს ეგონა, რომ ნასყიდობა ფორმდებოდა ლევანის მიერ მოწონებულ MUS1010 დროებითნომრიან „ფორდ-მუსტანგ GT“-ზე. ვინაიდან ლევანმა ბანკისგან უნდა აიღოს სესხი, რომლის დამტკიცებას დრო სჭირდება, ისინი თანხმდებიან, რომ ლევანი ერთი კვირის შემდგომ გამოივლის, ნაიყვანს მანქანას და გადაიხდის ფულს. მეორე დღეს ლევანს სახლში ესტუმრება თავისი მეგობარი ვახო, რომელიც მანქანების ხელოსანია. იგი ეტყვის ლევანს, რომ MUS1010 დროებითნომრიანი „ფორდ-მუსტანგი GT“ მძიმედ ნაავარიევი ჩამოვიდა ამერიკიდან და იმპორტიორმა ფირმამ იგი (მანქანა) მის სახელოსნოში შეაკეთა. იგი თავად მონაწილეობდა მანქანის გარემონტებაში. ერთი კვირის შემდგომ გუგა სთხოვს ლევანს MUS1010 დროებითნომრიანი მანქანის ნაყვანას და სანაცვლოდ 30 000 აშშ-ის დოლარის გადახდას. ლევანს არავითარ შემთხვევაში აღარ სურს მანქანის ნამოყვანა. იგი გაბრაზებულია, რომ გუგამ მას მანქანის ნაკლი დაუმალა. ლევანი აცხადებს, რომ არ იცოდა მანქანის ავარიის შესახებ და, ბუნებრივია, არ სურს ნაკლიანი მანქანის ყიდვა.

შეუძლია გუგას, ლევანისგან მოითხოვოს „ფორდ-მუსტანგ GT“-ს მიღება და სანაცვლოდ 30 000 აშშ-ის დოლარის გადახდა?

A. გუგას მოთხოვნა ლევანის მიმართ „ფორდ-მუსტანგი GT“-ს მიღებასა და სანაცვლოდ 30 000 აშშ-ის დოლარის გადახდაზე, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით

შესაძლოა, გუგას ჰქონდეს ლევანის მიმართ მოთხოვნა „ფორდ-მუსტანგი GT“-ს მიღებასა და სანაცვლოდ 30 000 აშშ-ის დოლარის გადახდის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით.

I. მოთხოვნის წარმოშობა

იმისათვის, რომ გუგას ჰქონდეს ლევანის მიმართ „მუსტანგი GT“-ს მიღებასა და სანაცვლოდ 30 000 აშშ-ის დოლარის გადახდაზე მოთხოვნა, უნდა არსებობდეს მათ შორის დადებული ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება.

ფაბულის მიხედვით ვადგენთ, რომ ლევანმა გუგას ავტოპარკში ორი ნითელი „ფორდ-მუსტანგი GT“-დან ამოარჩია ერთ-ერთი, დროებითონომრიანი MUS1010. მათ ხელშეკრულებაში შეცდომით ჩანერეს დროებითი ნომერი MUS1001, თუმცა ორივეს წარმოდგენით ნასყიდობა დაიდო „ფორდ-მუსტანგი GT“-ზე, რომლის ნომერიც არის MUS1010. მიუხედავად ამისა, მხარეთა ნების განმარტებით, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ხელშეკრულება დაიდო ლევანის მიერ შერჩეულ მანქანაზე და არა ხელშეკრულებაში განსაზღვრულზე (MUS1001), ვინაიდან მხარეთა ნების განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, სადაც უპირატესობა ენიჭება მხარეთა რეალურ ნებას და არამარტო სიტყვასიტყვით აზრს. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრინციპი *falsa demonstratio non nocet* (ლათ., *ხელშეკრულების საგნის არასწორი მითითება ხელშეკრულების არსს არ ცვლის*). ამ დროს ნების გამოვლენის ობიექტური შინაარსი არარელევანტურია და, შესაბამისად, მხარეთა ერთობლივად განსაზღვრულ მცდარ სახელწოდებას ყურადღება არ ექცევა (იხ. კაზუსი 9).

მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლევანმა და გუგამ დადეს ნასყიდობის ხელშეკრულება MUS1010 დროებითონომრიან „ფორდ-მუსტანგი GT“-ზე.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

1. შეთანხმების ნამდვილობა

კაზუსის მიხედვით, ლევანმა მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც შეიტყო მანქანის ნაკლის შესახებ, გუგას უარი განუცხადა მანქანის წამოყვანასა და ფასის გადახდაზე. მისი ეს მოქმედება შესაძლოა, შეფასდეს შეცილ-

ბად, რაც გამოიწვევდა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობას მისი დადების მომენტიდან (სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადება). ბათილობა კი, თავის მხრივ, მოთხოვნის შეწყვეტის საფუძველია.

2. შეცილების ადრესატის მიმართ შეცილების გაცხადება, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება

სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, სახეზე უნდა იყოს შეცილების გაცხადება ხელშეკრულების მეორე მხარისადმი. ლევანის განცხადება, რომ მას არავითარ შემთხვევაში აღარ სურს მანქანის წამოყვანა, შესაძლოა, შეფასდეს როგორც შეცილებაზე ნების გამოვლენა.

3. შეცილების საფუძველი

იმისათვის, რომ შეცილება ნამდვილი იყოს, შეცილების გაცხადების გარდა, სახეზე უნდა იყოს შეცილების საფუძველი:

ა) შესაძლოა, სახეზე იყოს შეცილება მოტყუებით დადებული გარიგების გამო, სკ-ის 81-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით. სკ-ის 81-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ, თუ პირი მოატყუეს გარიგების დადების მიზნით, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა. ნორმის ფორმულირებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახეზე უნდა იყოს განზრახვის ელემენტი, ანუ, ჩვენს შემთხვევაში, გუგა განზრახ უნდა მოქმედებდეს ლევანის მოტყუების მიზნით. განზრახ იმოქმედებდა გუგა, როდესაც მას ეცოდინებოდა მანქანის მძიმე ავარიის შესახებ და ამას დაუმაღავდა ლევანს, რათა ამ ინფორმაციას მისი ნების ჩამოყალიბებაზე გავლენა არ მოეხდინა. თუმცა კაზუსში არ ჩანს, რომ გუგამ იცოდა „ფორდ-მუსტანგი GT“-ს ავარიის შესახებ. შეიძლება, გუგამ, როგორც ამ საქმეში გამოცდილმა ბიზნესმენმა, დაუდევრობით (გაუფრთხილებლობით) არ იცოდა მანქანის ავარიის შესახებ, თუმცა ეს მაინც ვერ წარმოშობს შეცილებაზე უფლებას, სკ-ის 81-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით.

ბ) შეცილების საფუძველად შესაძლოა, ასევე განხილულ იქნეს ნივთის ღირებულების (საბაზრო) განმსაზღვრელ თვისებრიობაში დაშვებული შეცდომა, სკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. თუმცა აქ საკითხავია, რამდენად არის შესაძლებელი, ნასყიდობის ნივთის ნაკლის შემთხვევაში, სკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ნივთის ღირებულების (საბაზრო) განმსაზღვრელ თვისებრიობაში დაშვებული შეცდომის გამო

შეცილების განხორციელება. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ნივთის ნაკლი, ყოველთვის დაისმის შეკითხვა: დასაშვებია შეცილების შესახებ ნორმების გამოყენება და ამით ხელშეკრულების ბათილობის გამოწვევა, თუ უპირატესი გამოყენება ენიჭება ნასყიდობის სამართალში მოწესრიგებულ ნაკლის გამო პასუხისმგებლობის ნორმებს?

საკითხის გაღრმავებისათვის: შეცილებისა და ნაკლის გამო პასუხისმგებლობის ნორმების გამოყენებას სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი მოაქვს. შეცილების შედეგად ხელშეკრულება ბათილდება მისი დადების მომენტიდან და მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება, მიღებული შესრულებები ერთმანეთს უკან დაუბრუნონ. ნასყიდობის სპეციალური ნორმების თანახმად, ნივთის ნაკლის შემთხვევაში მყიდველი პირდაპირ ვერ მოშლის ხელშეკრულებას. მან გამყიდველს უნდა დაუთქვას დამატებითი შესრულებისთვის ვადა, ხოლო თუ ეს უკანასკნელი არ გამოასწორებს ნაკლს, ან არ მიაწვდის ახალ უნაკლო ნივთს, მხოლოდ ამის შემდგომ გავიდეს ხელშეკრულებიდან. გამყიდველის უფლება მეორე შესრულებაზე, ანუ იმაზე, რომ მას მიეცეს მეორე შანსი, ჯეროვნად შეასრულოს თავისი ვალდებულება, ვერ იმოქმედებდა, თუ მყიდველს მივცემდით უფლებას, ნივთის ნაკლი თვისებრიობაში დაშვებულ შეცდომად მიეჩნია და შეცილებით ბათილობა გამოენვია. ეს რომ ავიცილოთ თავიდან, გავრცელებული მოსაზრების თანახმად,⁴⁴ უნდა გამოირიცხოს ნასყიდობის ხელშეკრულების შეცილება ნასყიდობის ნივთში დაშვებული შეცდომის გამო მაშინ, როდესაც იგი, იმავდროულად, ნასყიდობის ნივთის ნაკლს ქმნის.

განსხვავდება ასევე ხანდაზმულობის ვადებიც. შეცილების ვადა ერთი თვეა, რომელიც აითვლება შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან. ხოლო ნასყიდობის საგნის ნაკლის გამო წარმოშობილ მოთხოვნებზე ვრცელდება სკ-ის 129-ე მუხლის 1-ლ ნაწილში განსაზღვრული სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა. თუმცა საკითხავია, რა მომენტიდან აითვლება 3 წელი. სკ-ის 130-ე მუხლის ზოგადი რეგულირების მიხედვით, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ ნასყიდობის სამართალში მოქმედებს ნივთის შემთხვევითი დაღუპვისა და გაუარესების რისკი, რაც გულისხმობს, რომ ნივთის დაღუპვის რისკი გადადის მყიდველზე მასზე ნივთის გადაცემის მომენტიდან. ეს გულისხმობს იმას, რომ

⁴⁴ დარჯანია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ტანტურია (რედ.), 2017, მუხ. 74, ველი 20-21.

მყიდველი ხდება პასუხისმგებელი ყველა სახის ნაკლზე, რომელიც გადაცემის მომენტიდან წარმოიშობა. ვინაიდან ნასყიდობის სამართალში არ არის დარეგულირებული ხანდაზმულობის სპეციალური ვადები, ნივთის ნაკლის გამო პასუხისმგებლობის შემთხვევებისთვის მიზანშეწონილია, სკ-ის 129-ე მუხლის 1-ლ ნაწილში განსაზღვრული სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა სკ-ის 482-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და სკ-ის 130-ე მუხლი ერთობლიობაში განიმარტოს იმგვარად, რომ ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა დაიწყოს ნივთის მყიდველზე გადაცემის მომენტიდან და არა იმ მომენტიდან, როდესაც მყიდველი შეიტყობს ნაკლის შესახებ. აღნიშნულის დასკვნის საფუძველს გვაძლევს სკ-ის 130-ე მუხლის ფორმულირებაც, რომელიც ამბობს, რომ ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. როგორც წესი, ნივთი მყიდველზე გადაცემით ხდება მისი ფაქტობრივი ბატონობის სფეროში. ეს კი მას აძლევს შესაძლებლობას, ნივთი დაწვრილებით გამოიკვლიოს. შესაბამისად, არ იქნებოდა სამართლიანი, მყიდველს (მოძრავი) ნივთი შეეძინა და, მაგ., 4 წლის შემდეგ წარედგინა სასამართლოში სარჩელი ნაკლის თაობაზე, იმ დასაბუთებით, რომ მან ნაკლი ნივთის მიღებიდან 1 წლის შემდეგ აღმოაჩინა, ხოლო 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყო მის მიერ ნაკლის აღმოჩენიდან. გარდა ამისა, საკითხს უნდა შევხედოთ გამყიდველის პოზიციიდანაც. გამყიდველს უნდა შეეძლოს, განსაზღვროს ის პერიოდი, რა პერიოდშიც მას შესაძლოა, მოუწიოს ნაკლის გამო პასუხისმგებლობა. უსამართლოა, მყიდველს დამატებით 3 წელი მიეცეს უფლებების რეალიზებისთვის იმ მომენტიდან, როდესაც იგი შეიტყობს ნაკლის შესახებ.

ზემოაღნიშნულ მსჯელობას ეწინააღმდეგება ასევე შეცილების ვადაც, რომელიც ადგენს, რომ მყიდველს შეუძლია, განახორციელოს შეცილება იმ მომენტიდან ერთი თვის განმავლობაში, როდესაც იგი შეიტყობს ნაკლის შესახებ. აზრს დაკარგავს ნაკლის გამო წარმოშობილი უფლებების განხორციელების ვადა – ნივთის გადაცემიდან 3 წლის განმავლობაში, თუ მყიდველს შესაძლებლობა ექნება, ნაკლის გამო პასუხისმგებლობის ნორმებს გვერდი აუაროს და შეცილებით ხანდაზმულობის ვადა „აღადგინოს“.

სამართლებრივი შედეგებისა და ვადების გარდა, საკითხავია ასევე, თუ რამდენად შეუძლია მოქმედება ნაკლის გამო წარმოშობილ უფლებებს ნასყიდობის ნივთის გადაცემამდე. როგორც წესი, დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლის, ფასის შემცირების, ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები, რომლებიც ნაკლის არსებობის გამო წარმოიშობა, მყიდველს შეუძლია, გამყიდველს წარუდგინოს მას შემდეგ, რაც იგი ნივთს მიიღებს. ამ მხრივ შეცილებასა და ნასყიდობის სამართალს შორის კონკურენცია არ წარმოიშობა.

თუმცა, თუ ნაკლი გამოუსწორებადია, ნაკლის გამო წარმოშობილი უფლებები მყიდველს ნივთის გადაცემამდეც უნდა მივანიჭოთ. როგორც წესი, გამყიდველს უნდა შეეძლოს, რისკის გადასვლამდე ნივთი შეცვალოს და ამით ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულება. გამოუსწორებადი ნაკლის შემთხვევაში არ შეიძლება მყიდველი ვაიძულოთ, რომ ნივთი მიიღოს და სანაცვლოდ ფული გადაიხადოს იმიტომ, რომ მოგვიანებით ნაკლის გამო თავისი უფლებების განხორციელება შეეძლოს. ჩვენს შემთხვევაში „ფორდ-მუსტანგი GT“-ს გამოუსწორებადი ნაკლი აქვს და ეს ნაკლი არსებობდა მყიდველზე (ლევანზე) რისკის გადასვლამდე.

მიუხედავად იმისა, შესაძლოა, გამონაკლისის სახით შეცილება დაშვებულ იქნეს, უნდა აღინიშნოს, რომ უნაკლო ნივთის მიწოდება, სკ-ის 487-ე მუხლის თანახმად, გამყიდველის ვალდებულებაა და ამ ვალდებულების დარღვევა იწვევს მყიდველის დამატებითი შესრულების მოთხოვნის, და არა შეცილების, უფლებას. კანონმდებლის მიზანია, მიაღწიოს ხელშეკრულების შესრულებას, რაც გულისხმობს, რომ არც დალუპვის რისკის გადასვლამდე და არც მის შემდგომ არ უნდა ჰქონდეს მყიდველს იმის უფლება, ნივთის თვისებრიობაში დაშვებული შეცდომის გამო, რომელიც იმავდროულად ნივთის ნაკლს ქმნის, ხელშეკრულება შეცილებით გააბათილოს.

4. შუალედური შედეგი

მაშასადამე, შეცილების შესახებ ნორმების გამოყენება გამოირიცხება, ვინაიდან უპირატესად მოქმედებს ნასყიდობის სამართალში მოწესრიგებული ნაკლის გამო პასუხისმგებლობის ნორმები.

5. ლევანის უარი ხელშეკრულების შესრულებაზე – ხელშეკრულებიდან გასვლა

როგორც აღინიშნა, ლევანი ვერ განახორციელებს შეცილების უფლებას, ვინაიდან ნასყიდობის საგნის ნაკლის შემთხვევაში გამოიყენება ნასყიდობის სამართალში მოცემული ნაკლის გამო პასუხისმგებლობის ნორმები:

სკ-ის 490-ე მუხლის თანახმად, თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს იგი საამისოდ აუცილებელ ვადაში. სკ-ის 382-ე მუხლი ადგენს, რომ გვაროვნული ნივთი არის ისეთი ნივთი, რომლის შეცვლაც შეიძლება. გვაროვნული ნივთის შემთხვევაში, გამყიდველი ყოველთვის ვალდებულია, შეასრულოს ვალდებულება, ანუ ნაკლიანი ნივთი შეცვალოს ახლით. თუმცა ყურადღება უნდა მიექცეს სკ-ის 381-ე მუხლს, რომე-

ლიც ადგენს, რომ, თუ ხელშეკრულების საგანია ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი, კრედიტორი არ არის ვალდებული, მიიღოს სხვა ნივთი, თუნდაც უფრო მაღალი ღირებულების მქონე.

ლევანმა გუგას ავტომობილების პარკში ამოირჩია MUS1010 დროებითნომრიანი „ფორდ-მუსტანგი GT“. შესაბამისად, საქმე ეხება ინდივიდუალურად განსაზღვრულ ნივთს. მაშასადამე, ლევანი არ არის ვალდებული, მიიღოს სხვა ნივთი, თუნდაც მეორე MUS1001 დროებითნომრიანი „ფორდ-მუსტანგი GT“, რომელიც შეთანხმებულზე 5000 აშშ-ის დოლარით ძვირია. გუგას

მიერ ნაკლის გამოსწორებაც შეუძლებელია, ვინაიდან ამ შემთხვევაში ნაკლი (მძიმე ავარია) თავისი ბუნებით გამოუსწორებადია. შესაბამისად, სკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გამოირიცხება დამატებით შესრულება, ვინაიდან მას ისედაც „არავითარი შედეგი არ ექნება“.

იმ შემთხვევაში, როდესაც გამოირიცხება მყიდველის მოთხოვნა დამატებით შესრულებაზე, მას რჩება ორი ალტერნატივა: მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ან ფასის შემცირება.⁴⁵ კაზუსიდან ჩანს, რომ ლევანს აღარ სურს მანქანის წამოყვანა და ფასის გადახდა. შესაბამისად, ეს შეიძლება ჩაითვალოს, სკ-ის 355-ე მუხლის მიხედვით, მეორე მხარისთვის ხელშეკრულებაზე უარის თქმის განცხადებად.

III. საბოლოო შედეგი

გუგა ვერ მოითხოვს ლევანისგან „ფორდ-მუსტანგი GT“-ს მიღებასა და სანაცვლოდ 30 000 აშშ-ის დოლარის გადახდას, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვინაიდან მოთხოვნა შეწყდა ხელშეკრულებიდან გასვლით, სკ-ის 405-ე, 352-ე და 355-ე მუხლების თანახმად.

A. გუგას მოთხოვნა ლევანის მიმართ „ფორდ-მუსტანგის“ მიღებისა და ფასის გადახდის თაობაზე

I. ნასყიდობის ხელშეკრულება MUS1010 დროებითნომრიანი „ფორდ-მუსტანგი GT“-ზე (+)

II. მოთხოვნის შეწყვეტა

- ბათილობა შეცილების გამო(-)
 - შეცილების ნორმების გამოყენების შესაძლებლობა (-)
- ხელშეკრულებაზე უარის თქმა, სკ-ის 355 (+)

შედეგი: გუგას მოთხოვნა ლევანის მიმართ, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე (-)

⁴⁵ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccg.ge, 28.03.2016, მუხ. 490, ველი 47.

სამახსოვრო!

- ზემოაღნიშნულ კაზუსში განხილულია ნივთის თვისებრიობაში დაშვებული შეცდომის საფუძველზე შეცილების უფლების კონკურენცია ნივთის ნაკლის პასუხისმგებლობის ნორმებთან. შეცილების უფლება, სკ-ის 74-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ყოველთვის გამოირიცხება მაშინ, როდესაც მყიდველი განაცხადებს პრეტენზიას ნივთის ნაკლის გამო, რაც დაკავშირებულია ნივთის თვისებრიობასთან. ამ წესისგან განსხვავებით, სკ-ის 74-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული, თვისებრიობაში დაშვებული შეცდომის გამო შეცილების უფლება უნარჩუნდება გამყიდველს (იხ., მაგალითად, კაზუსი 15, ფიროსმანის გაუჩინარებული ნახატი).

კაზუსი 17. ოდომეტრის არასწორი მაჩვენებელი

(მოტყუებით დადებული გარიგების შეცილება, სკ-ის 81-ე მუხლის მიხედვით; შესრულების კონდიქცია, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)

2012 წლის 1 ივლისს გიგამ ირაკლისგან იყიდა ნახმარი ავტომობილი. მოლაპარაკებების დროს გიგამ ირაკლის დაუმალა, რომ ავტომობილი ნაავარიევია და ძველი ნაავარიევი მოტორის ნაცვლად ჩაყენებული აქვს შედარებით ახალი მოტორი. მან ირაკლის ძველი მოტორის ოდომეტრის ნამდვილი მაჩვენებლის, 200 000 კმ-ის, ნაცვლად მიუთითა 100 000 კმ, იმ მიზნით, რომ იგი დაეყოლიებინა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე. ავტომობილის რეალური გარბენისა და ავარიის ფაქტის შესახებ ირაკლიმ შეიტყო 2013 წლის 2 ივლისს ნაცნობი ხელოსნისაგან, რომელსაც თვითონ გაურემონტებია ავტომობილი ავარიის შემდგომ. იგი ძალიან გაბრაზდა, თუმცა, ვინაიდან 2013 წლის 4 ივლისს საზღვარგარეთ მიფრინავდა, გადაწყვიტა, ჩამოსვლის შემდგომ შეხმიანებოდა გიგას და „მოეგვარებინა საქმე“. 2013 წლის 3 აგვისტოს იგი დაბრუნდა საზღვარგარეთიდან, დაურეკა გიგას და უთხრა, რომ უბრუნებს მანქანას და სურს გადახდელი ნასყიდობის თანხის უკან მიღება.

სამართლიანია ირაკლის მოთხოვნა?

A. ირაკლის მოთხოვნა გიგას მიმართ გადახდილი თანხის დაბრუნებაზე, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე (უსაფუძვლო გამდიდრება).

I. მოთხოვნის წარმოშობა

სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ირაკლის შესაძლოა, გუგას მიმართ ჰქონდეს გადახდილი თანხის უკან დაბრუნებაზე მოთხოვნა. სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მოთხოვნის წარმოშობისათვის სახეზე უნდა იყოს პირის მიერ მეორისათვის შესრულების მიზნით „რაიმის“ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადაცემა.

1. პირის მიერ შესრულების მიზნით რაიმის გადაცემა

როგორც აღინიშნა, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის წინაპირობაა, პირის მიერ მეორისათვის (ვითომკრედიტორი) შესრულების მიზნით „რაიმის“ გადაცემა. კაზუსის მიხედვით, ირაკლიმ გიგას გაცნობიერებულად, ნასყიდობის ხელშეკრულების შესრულების მიზნით, გადასცა თანხა. მაშასადამე, მოცემულია ირაკლის მიერ გიგასთვის თანხის გადაცემის ფაქტი.

2. ვითომკრედიტორის მიერ შესრულების მიღება

უნდა არსებობდეს ვითომკრედიტორის მიერ შესრულების მიღება. კაზუსიდან ირკვევა, რომ გიგამ მიიღო ირაკლის მიერ განხორციელებული შესრულება, ანუ გადახდილი თანხა და მასზე მოიპოვა საკუთრება და მფლობელობა. მაშასადამე, მან ამით მიიღო ქონებრივი სარგებელი.

3. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე

სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მოთხოვნის წარმოშობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა სამართლებრივი საფუძვლის არარსებობა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მხარის მიერ განხორციელებულ შესრულებას სამართლებრივი საფუძველი არ აქვს. სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ასეთ შემთხვევებზე მოიხსენიებს გარიგების ბათილობას ან სხვა საფუძველს, რის გამოც ვალდებულება არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შემდგომში შეწყდება. გამომდინარე აქედან, საკითხავია, შეიძინა გიგასა და ირაკლის შორის დადებულმა ნასყიდობის ხელშეკრულებამ სამართლებრივი ძალა (ანუ წარმოიშვა მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობა)? და თუ ეს ასეა,

ხომ არ არის იგი ბათილი მისი დადების მომენტიდან ირაკლის მიერ განხორციელებული შეცილების გამო?

ა. ნასყიდობის ხელშეკრულება

ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაში შედის ოფერენტისა და აქცეპტანტის ორი ურთიერთთანხვედრი ნების გამოვლენის, ოფერენტისა და აქცეპტის შედეგად (იხ. სკ-ის 329-ე და მომდევნო მუხლები). კაზუსიდან უპრობლემოდ ვადგენთ, რომ გიგამ და ირაკლიმ 2012 წლის 1 ივლისს დადეს ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება ნახმარ ავტომობილზე.

ბ. ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა

სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შესაძლოა, გიგასა და ირაკლის შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილი იყოს მისი დადების მომენტიდან (*ex tunc*).

ამის წინაპირობა კი არის გამოვლენილი ნების სამართლებრივად ნამდვილი შეცილება. შეცილება რომ ნამდვილი იყოს, უნდა არსებობდეს შეცილების საფუძველი და შეცილებაზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელშეკრულების მეორე მხარისადმი შეცილების განცხადება (სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები).

გ. შეცილების საფუძველი (მოტყუებით დადებული გარიგება, სკ-ის 81-ე მუხლის მიხედვით)

ირაკლის მიერ განხორციელებული შეცილების საფუძველი შესაძლოა იყოს მოტყუებით დადებული გარიგება, სკ-ის 81-ე მუხლის მიხედვით. განვიხილოთ მოტყუებით დადებული გარიგების შეცილების წინაპირობები:

აა. მოტყუების მიზნით განხორციელებული ქმედება

სკ-ის 81-ე მუხლის წინაპირობების მიხედვით, უნდა არსებობდეს ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ მეორის მოტყუების მიზნით განხორციელებული ქმედება. მოტყუების მიზნით განხორციელებული ქმედება არის ნებისმიერი მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც მიზნად ისახავს მხარისთვის მცდარი ფაქტების ან ინფორმაციის მიწოდებას, შექმნას ან დამალვას. ამგვარად, ეს შესაძლებელია მოხდეს როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. ოდომეტრის მაჩვენებლის არასწორი მითითებით, გიგამ ამკარად მოატყუა ირაკლი, რამეთუ იგი მოქმედებდა განზრახვით, დაეყოლიებინა ირაკლი ხელშეკრულების დადებაზე. გარდა ამისა, გიგამ

დაუმალა ირაკლის მანქანის ავარია. ამ დროს საკითხავია, იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი სპეციალურად არ ჰკითხავს გამყიდველს ავარიის ან მსგავსი დეფექტის შესახებ, მაინც ეკისრება გამყიდველს ვალდებულება, მიანოდოს მყიდველს ინფორმაცია ავარიის შესახებ? კეთილსინდისიერების პრინციპის (სკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი) თანახმად და საბაზრო შეხედულების გათვალისწინებით, ასეთი ვალდებულება მაშინ ეკისრება გამყიდველს, როდესაც ცალსახაა, რომ დამალულ ფაქტებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებათ და ზეგავლენას მოახდენენ ხელშეკრულების მხარის ნების ჩამოყალიბებაზე.⁴⁶ ამ პრინციპს განამტკიცებს სკ-ის 81-ე მუხლის 1-ლი და მე-2 წინადადებაც. პირს უფლება აქვს, საცილო გახადოს გარიგება, თუ მეორე მხარემ მას დაუმალა ისეთი გარემოებები, რომელთა გამჟღავნების შემთხვევაში ის გარიგებას არ დადებდა. გამჟღავნების ვალდებულება კი არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა მხარე ამას ელოდებოდა კეთილსინდისიერად.

ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გიგას ეკისრებოდა ვალდებულება, ირაკლისთვის მიენოებინა ინფორმაცია ავტომობილის ავარიის შესახებ. ვინაიდან მან დამალა ინფორმაცია, სახეზე გვაქვს ვალდებულების დარღვევა, რომელიც შესაძლებელია შეფასდეს უმოქმედობით განხორციელებულ მოტყუებად.

მნიშვნელოვანი გარემოების დამალვად შესაძლოა მივიჩნიოთ ასევე მოტორის შეცვლის შეუტყობინებლობა. კეთილსინდისიერების პრინციპის მიხედვით და საბაზრო შეხედულების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გიგას ეკისრებოდა შეცვლილი მოტორის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. თუმცა შეცვლილი მოტორი ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა ჩაითვალოს მანქანის ღირებულების გაზრდად და არა შემცირებად, რამაც შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ გამყიდველს არ ეკისრება გამჟღავნების ვალდებულება, ვინაიდან ეს ფაქტი მყიდველისთვის, ეკონომიკური თვალსაზრისით, უარყოფითი შედეგის მომტანი არ არის. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ საბაზრო შეხედულებას, შეცვლილი მოტორი მანქანის შეძენისას არის მნიშვნელოვანი გარემოება, რამაც შესაძლოა, გავლენა მოახდინოს მყიდველის ნების ჩამოყალიბებაზე. მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გიგას მიერ მოტორის შეცვლის ფაქტის დამალვაც უმოქმედობით ჩადენილი მოტყუებაა.

⁴⁶ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 28.03.2016, მუხ. 490, ველი 47.

ბბ. მოტყუების მიზნით განხორციელებული ქმედების

მართლსაწინააღმდეგობა

მოტყუების მიზნით განხორციელებული ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო. მოტყუება მაშინ არის მართლსაწინააღმდეგო, როდესაც იგი ეწინააღმდეგება მართლწესრიგს. კაზუსში არ არის რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც გიგას მოტყუების ფაქტს გაამართლებდა, მაშასადამე, ვასკვნით, რომ მოტყუება მართლსაწინააღმდეგოა.

საკითხის გაღრმავებისთვის: გერმანიის სამართლის სისტემა იცნობს შემთხვევებს, როდესაც მოტყუება არ არის მართლსაწინააღმდეგო (მართლზომიერია). ასეთ შემთხვევებში მხარეს ენიჭება ე.წ. „უფლება, მოიტყუოს“. ასეთი შემთხვევებია, მაგალითად, შრომითი ხელშეკრულების დადებამდე გასაუბრებაზე ფეხმძიმობასთან,⁴⁷ სექსუალურ ორიენტაციასთან, რელიგიურ მრწამსთან დაკავშირებით დასმული შეკითხვები. იმ შემთხვევაში, თუ პირი დამსაქმებელს ამ კითხვებზე არასწორ პასუხს გასცემს ანუ მოატყუებს, დამსაქმებელი მოგვიანებით ვერ მოითხოვს ხელშეკრულების ბათილობას მოტყუების გამო, ვინაიდან დასაქმებულის ტყუილი მართლზომიერი იყო.

გგ. მცდარი წარმოდგენა

გარდა ზემოაღნიშნული წინაპირობებისა, უნდა არსებობდეს შეცილებაზე უფლებამოსილი პირის მცდარი წარმოდგენა, რომელიც მას ნასყიდობის საგანზე არასწორი მონაცემების მიწოდების შედეგად შეექმნა. გიგას მიერ ავტომობილის შესახებ არასწორი მონაცემის მიწოდებით ირაკლის არასწორი წარმოდგენა შეექმნა მანქანის მიერ გავლილი კილომეტრაჟის შესახებ, ხოლო ავარიისა და მოტორის შეცვლის ფაქტის დამალვამ იგი შეიყვანა შეცდომაში. მაშასადამე, სახეზეა ირაკლის მცდარი წარმოდგენა ნასყიდობის საგნის შესახებ.

დდ. მიზეზობრივი კავშირი მოტყუებასა და მცდარ წარმოდგენას

შორის

სახეზე უნდა იყოს ასევე მიზეზობრივი კავშირი მოტყუებასა და პირის მცდარ წარმოდგენას შორის. მიზეზობრივი კავშირის განმარტებას მოტყუებით დადებული გარიგებებისთვის იძლევა სკ-ის 81-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება („ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა“). ნორმის ფორმულირების გათვალისწინ-

⁴⁷ იხ. მაგ. *Sowka*, Die Frage nach der Schwangerschaft, NZA 1994, 967.

ნებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, თუ გიგა ირაკლის არ მოატყუებდა, ირაკლის არ შეექმნებოდა მცდარი წარმოდგენა და არ დადებდა გარიგებას. კაზუსიდან გამომდინარეობს, რომ გიგას მიერ ირაკლისადმი მიწოდებულმა მცდარმა ინფორმაციამ გარბენის შესახებ და მოტორის შეცვლისა და ავარიის ფაქტის დამალვამ ზეგავლენა მოახდინა ირაკლის ნების ფორმირებაზე. მაშასადამე, სახეზეა მიზეზობრივი კავშირი მოტყუებასა და მცდარ წარმოდგენას შორის.

ეე. განზრახ მოქმედება

სკ-ის 81-ე მუხლის თანახმად, პირი მოტყუების მომენტში უნდა მოქმედებდეს განზრახვით. საკითხის განსჯისას მნიშვნელოვანია განზრახვის ელემენტი და არა ის, თუ რა მიზნით მოქმედებდა პირი მოტყუების დროს (სკ-ის 82-ე მუხლი). გიგა მოქმედებდა განზრახ, რამეთუ მან გარემოებების შესახებ ინფორმაცია შეგნებულად არასწორად მიაწოდა ირაკლის.

დ. შეცილების ვადა, სკ-ის 84-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

სკ-ის 84-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოტყუებით დადებული გარიგების შემთხვევაში შეცილება უნდა განხორციელდეს შეცილების შესახებ საფუძვლის შეტყობიდან ერთი წლის განმავლობაში. ირაკლიმ მოტყუების ფაქტის შესახებ შეიტყო ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის შემდგომ. ამრიგად, ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადის დენაც დაიწყო შეტყობის მომენტიდან. ერთი თვის შემდგომ, როცა იგი ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან, დაურეკა გიგას და გამოვლენილი ნება საცილო გახადა. მაშასადამე, დაცულია სკ-ის 84-ე მუხლის 1-ლი ნაწილის წინაპირობები.

ე. შეცილების განცხადება, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება

სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, სავალდებულოა მეორე მხარისათვის შეცილების განცხადება.

შეცილების განცხადებისთვის არ არის სავალდებულო, რომ შეცილების განმცხადებელმა პირმა მეორე მხარისადმი გამოვლენილ ნებაში მაინცდამაინც სიტყვა „შეცილება“ გამოიყენოს. საკმარისია, როდესაც იგი ხელშეკრულების მეორე მხარეს განუცხადებს, რომ ნების ნაკლის გამო არ სურს გარიგების შესრულება. ირაკლიმ განუცხადა გიგას, რომ, ვინაიდან შეიტყო მოტყუების შესახებ, აღარ სურს, იყოს ხელშეკრულებით შებოჭილი, უნდა მანქანის დაბრუნება და გადახდილი თანხის უკან

მიღება. მაშასადამე, სახეზეა ირაკლის მიერ გიგას მიმართ შეცილების განცხადება.

ვ. შეცილების გამორიცხვა

83-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მოტყუებით დადებული გარიგების შეცილება გამორიცხულია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების ორივე მხარე მოტყუებით მოქმედებს. კაზუსიდან არ ვლინდება რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც მიგვანიშნებდა, რომ ირაკლიმ იცოდა გიგას მიერ მისი მოტყუების ფაქტი. თვითონ ირაკლი კეთილსინდისიერად მოქმედებდა. მაშასადამე, არ არსებობს შეცილების გამორიცხვის რაიმე საფუძველი.

ზ. შუალედური შედეგი

მოტყუებით დადებული გარიგების შეცილება ნამდვილია. სკ-ის 81-ე და მომდევნო მუხლების წინაპირობები დაცულია. მაშასადამე, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გიგასა და ირაკლის შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია დადების მომენტიდან.

ვინაიდან გიგასა და ირაკლის შორის დადებული ხელშეკრულება ბათილია, მაშასადამე, სახეზეა სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის წინაპირობა. ირაკლის მიერ გიგასთვის თანხის გადაცემას არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი.

II. სამართლებრივი შედეგი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიგას ეკისრება ირაკლისადმი თანხის ანაზღაურების ვალ-

A. ირაკლის მოთხოვნა გიგას მიმართ თანხის დაბრუნებაზე

I. მოთხოვნის წარმოშობა, უსაფუძვლო გამდიდრება, სკ-ის 976, I, „ა“ (+)

- შესრულების მიზნით ნივთის გადაცემა(+)
- ვითომკრედიტორის მიერ შესრულების მიღება (+)
- უსაფუძვლოდ?
 - ნასყიდობის ხელშეკრულება (+)
 - ხელშეკრულების ბათილობა, სკ-ის 59, II (+)
 - შეცილების საფუძველი, სკ-ის 81 (+)
 - შეცილების განცხადება (+)
 - შეცილების ვადა (+)
 - შეცილების გამორიცხვა (-)

შედეგი: ირაკლის მოთხოვნა გიგას მიმართ თანხის უკან დაბრუნების თაობაზე, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე (+)

დებულება, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით. სკ-ის 980-ე მუხლის მიხედვით, თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს მანქანის გადაცემის სანაცვლოდ და ერთდროულად. მოთხოვნის შეწყვეტის საფუძველი კაზუსიდან არ იკვეთება და, ამასთანავე, მოთხოვნა განხორციელებადია.

სამახსოვრო!

- მოტყუების მიზნით განხორციელებული ქმედება არის ნებისმიერი მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც მიზნად ისახავს მხარისთვის მცდარი ფაქტების ან ინფორმაციის მიწოდებას, შექმნას ან დამალვას. მოტყუება შესაძლებელია როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. უმოქმედობით მოტყუებად ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც, კეთილსინდისიერების პრინციპისა და საბაზრო შეხედულების გათვალისწინებით, ცალსახაა, რომ დამალულ ფაქტებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებათ და ზეგავლენას მოახდენენ ხელშეკრულების მხარის ნების ჩამოყალიბებაზე.

კაზუსი 18. მოტყუებული თავდები

(მესამე პირის მიერ მოტყუებით დადებული გარიგების შეცილება, სკ-ის 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით; მესამე პირის ცნება)

გიორგის სურს, სს ბანკი „კაპიტალისგან“ აიღოს სესხი. იმისათვის, რომ სესხი დაუმტკიცდეს, ბანკი გიორგის მოსთხოვს თავდებობის წარდგენას. გიორგი თავდებობის გაცემის თხოვნით მიმართავს ინდმენარმე გვანცას, რომელიც ანაზღაურების სანაცვლოდ გასცემს მსგავს თავდებობებს. გვანცა მოსთხოვს გიორგის მისი ქონების სრულ აღწერას, რათა დარწმუნდეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მის მაგივრად მოუწევს სესხის გადახდა, შემდგომ მისი ქონებიდან ამოიღოს დანაკლისი. გიორგი გვანცას წარუდგენს თავისი ქონების აღწერას.

გიორგის მიერ ბანკთან დადებულ სესხის ხელშეკრულებაში გვანცა მოხსენიებულ იქნება თავდებად, რაზეც გვანცა მოაწერს ხელს. მას შემდეგ, რაც გიორგი ვერ დაფარავს სესხს, ბანკი მოთხოვნას გიორგისთან ერთად წარუდგენს გვანცასაც. გვანცა უარს აცხადებს თანხის გადახდაზე, ვინაიდან, მისი განცხადებით, მან შეცდომა დაუშვა გიორგის ქონებრივი აქტივების შეფასებისას, რადგან გიორგიმ გაყალბებული დოკუმენტაცია წარუდგინა.

შეუძლია ბანკს, მოსთხოვოს გვანცას სესხის თანხის გადახდა?

A. ბანკის მოთხოვნა გვანცას მიმართ სესხის დაბრუნებაზე, სკ-ის 891-ე მუხლის თანახმად

ბანკს შესაძლოა, გვანცას მიმართ ჰქონდეს სესხის დაბრუნებაზე მოთხოვნის უფლება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ნამდვილი თავდებობის ხელშეკრულება.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ბანკსა და გვანცას შორის დაიდო თავდებობის ხელშეკრულება, რომლითაც გვანცამ იკისრა გიორგის სესხის უზრუნველყოფა. კაზუსიდან არ იკვეთება რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც თავდებობის ხელშეკრულების დადებას ეჭვქვეშ დააყენებდა. სესხის ხელშეკრულებაში გვანცა დაფიქსირდა თავდებად, რაზეც მან მოანერა ხელი. მაშასადამე, სკ-ის 891-ე მუხლისა და სკ-ის 892-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნები დაცულია.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

1. თავდებობის ხელშეკრულების ბათილობა, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადება

შესაძლოა, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, თავდებობის ხელშეკრულება ბათილი იყოს მისი დადების მომენტიდან. საწყისი მომენტიდან ხელშეკრულების ბათილობა გვექნებოდა სახეზე, თუ გვანცა თავდებობის ხელშეკრულების დადებისკენ გამოვლენილ თავის ნებაზე შეცილებას განაცხადებს. მაშასადამე, უნდა არსებობდეს შეცილების საფუძველი და მხარისათვის შეცილების განცხადება.

ა. შეცილების განცხადება (სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება)

სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, სავალდებულოა შეცილების მეორე მხარისათვის განცხადება. შეცილების განცხადებისთვის არ არის სავალდებულო, რომ შეცილების განმცხადებელმა პირმა მეორე მხარისადმი გამოვლენილ ნებაში მაინცდამაინც სიტყვა „შეცილება“ გამოიყენოს. საკმარისია, როდესაც იგი ხელშეკრულების მეორე მხარეს განუცხადებს, რომ ნების ნაკლის გამო არ სურს გარიგების შესრულება. გადახდაზე უარის განცხადება გვანცას მიერ შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს შეცილების განცხადებად.

ბ. შეცილების საფუძველი – განზრახ მოტყუება (სკ-ის 81-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)

კაზუსიდან ვადგენთ: გვანცა იმ მიზეზით აცხადებს უარს თანხის გადახდაზე, რომ მან დაუშვა შეცდომა გიორგის ქონების შეფასებისას. მაშასადამე, შესაძლოა იყო გიორგის მიერ გვანცას მოტყუების ფაქტი. გამომდინარე აქედან, შეცილების საფუძველად შესაძლოა მოაზრებულ იქნეს შეცილება მოტყუებით დადებული გარიგების გამო, სკ-ის 81-ე მუხლის მიხედვით. ამ მუხლის ობიექტური შემადგენლობის წინაპირობებია: მოტყუების ფაქტი, მეორე მხარის მცდარი წარმოდგენა, მცდარი წარმოდგენის საფუძველზე ნების გამოვლენა და მიზეზობრიობა მოტყუების ფაქტსა და ნების გამოვლენას შორის. სუბიექტური შემადგენლობის კუთხით, სახეზე უნდა იყოს განზრახვა, ანუ ერთი პირი მეორეს უნდა ატყუებდეს განზრახ.

განზრახ მოტყუების ფაქტი შესაძლოა არსებობდეს გიორგის მიერ გვანცასთვის წარდგენილი განცხადების სახით, როდესაც მან მიუთითა, რომ იგი ფლობს კრედიტუნარიან ქონებას. განზრახ მოტყუება სახეზეა მაშინ, როდესაც პირმა იცის, რომ მის მიერ გაცემული ინფორმაცია მცდარია და ამ ინფორმაციით იყოლიებს მეორე მხარეს ხელშეკრულების დადებაზე. როგორც წესი, ამ შემთხვევაში არაპირდაპირი განზრახვაც საკმარისია.

საკითხის გაღრმავებისთვის: სკ-ის 81-ე მუხლის შემადგენლობისთვის საკმარისად უნდა ჩაითვალოს ასევე ის შემთხვევა, როდესაც პირი მოტყუებისას არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებს, ანუ „სიტყვებს ჰაერში ისვრის“ იმისათვის, რომ დაიყოლიოს მეორე მხარე ხელშეკრულების დადებაზე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მან ზუსტად არ იცის, რომ მის მიერ გაცემული ინფორმაცია მცდარია, თუმცა ითვალისწინებს, რომ შესაძლოა, ეს ასე იყოს. ასეთი შემთხვევები პრაქტიკაში ხშირია, როდესაც გამყიდველი ცდილობს, მყიდველი რამენაირად დაითანხმოს შეძენაზე და პროდუქციის შესახებ გადაუმონმებელ ინფორმაციას აწვდის. თუმცა მოტყუებად არ ჩაითვლება გამყიდველის მიერ თავისი პროდუქციის ქება, რომლითაც იგი მიზნად ისახავს, გაზარდოს პროდუქციის ფასი. ასეთი სახის რეკლამა, რომელსაც არ უდევს მოტყუების განზრახვა, ვერ ჩაითვლება არაკეთილსინდისიერ მოქმედებად.⁴⁸

⁴⁸ ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 1999, 240.

როგორც კაზუსიდან ირკვევა, გიორგიმ გვანცას მიაწოდა ინფორმაცია, რომ იგი საკმარისი ქონების მფლობელი იყო, რაც სინამდვილეში ასე არ აღმოჩნდა. მასასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გიორგიმ განზრახ მოატყუა გვანცა, რითაც გვანცას მცდარი წარმოდგენა შეექმნა და დასთანხმდა თავდებობაზე. რომ არა მოტყუების ფაქტი, გვანცა არ დაუდგებოდა გიორგის თავდებად. მასასადამე, არსებობს ასევე მიზეზობრიობა მოტყუების ფაქტსა და ნების გამოვლენას შორის.

გ. მოტყუება მესამე პირის მიერ (სკ-ის 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)

ჩვენს შემთხვევაში დასაფიქრებელია ის გარემოება, რომ ბანკი (შეცილების ადრესატი), რომლის მიმართაც სურს გვანცას შეცილების განხორციელება, არ მოქმედებდა მოტყუებით. თუკი იარსებებდა პირთა იდენტიფიკაცია, მაშინ ეს ნაკლებად პრობლემური იქნებოდა.

სკ-ის 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მესამე პირის მიერ მოტყუების შემთხვევაში, შეცილების საფუძველი სახეზეა მაშინ, როდესაც მოტყუების შესახებ იცოდა ან უნდა სცოდნოდა იმ პირს, რომელიც სარგებელს იღებს ამ გარიგებიდან.

აა. მესამე პირი, სკ-ის 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით

ამრიგად, უნდა გავარკვიოთ, თუ ვინ იგულისხმება მესამე პირში, სკ-ის 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით. რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის მხოლოდ იმის თქმა, რომ მესამე პირია ყველა ის, ვინც ნების გამომვლენი და ნების ადრესატი არაა. აქ, უმეტესწილად, საქმე ეხება იმას, თუ რამდენად შესაძლოა, ნების გამოვლენის (კეთილსინდისიერ) ადრესატს შეერაცხოს (რომელიც) მესამე პირის მოტყუებითი ქმედება.

სკ-ის 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მესამე პირი არის მხოლოდ გარიგებაში არამონაწილე პირი. მესამე პირად არ ითვლება ის პირი, რომელიც ნების გამოვლენის ადრესატის მხარეს დგას და ხელშეკრულების დადებაზე მისი მხრიდან მოქმედებს, სხვანაირად რომ ვთქვათ, მესამე პირი არ არის ის, ვინც არც ნების გამომვლენის (ოფერენტის) და არც ნების გამოვლენის ადრესატის (აქცეპტანტის) „ბანაკში“ იმყოფება⁴⁹ (ე.წ. ბანაკის თეორია).⁵⁰

⁴⁹ ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 1999, 243.

⁵⁰ გერმანულ სამართალში მესამე პირის იდენტიფიკაციისთვის მოქმედებს ე.წ. ბანაკის თეორია (Lagertheorie) Schwab/Löhnig, Einführung ins Zivilrecht, 19. Aufl. Rn 638 ff.

საკითხის გაღრმავებისთვის: სკ-ის 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით, მესამე პირები არ არიან ნების გამოვლენის ადრესატის რწმუნებულები, ნდობით აღჭურვილი პირები, დამხმარე პირები. ამ პირების მოქმედებისთვის ნების გამოვლენის ადრესატი პირდაპირ აგებს პასუხს, სკ-ის 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილის წინაპირობების გარეშე. იგივე წესი მოქმედებს მაშინ, როდესაც ნების გამოვლენის ადრესატის ურთიერთობა მატყუარა მხარესთან ისეთი მჭიდროა, რომ ისინი მოტყუებული მხარის წინაშე ერთ ეკონომიკურ ერთობად გამოდიან.⁵¹ თუმცა მაკლერი, რომელიც ხელშეკრულების დადებისას მხოლოდ როგორც შუამავალი ისე მოქმედებდა, სკ-ის 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით, ჩაითვლება მესამე პირად.⁵²

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხავია, გიორგი მოქმედებდა თუ არა ბანკის მხარეს და მის ინტერესებში. კაზუსიდან ვადგენთ, რომ როგორც გიორგი, ასევე ბანკი სხვადასხვა მხარეს დგანან და განსხვავებული ინტერესები აქვთ. მანამ, სანამ ბანკი უშუალოდ არ გასცემს სესხს, არ აქვს ინტერესი თავდების მიმართ. თავდები მისთვის უზრუნველყოფაა და არა უშუალო ფინანსური ინტერესი. რაც შეეხება გიორგის, იგი მოქმედებს საკუთარი ინტერესით, როდესაც იგი თავდებობის მოპოვებას ცდილობს.

მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გიორგი არის მესამე პირი, სკ-ის 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით.

ბ. მოტყუების ფაქტის ცოდნა ან გაუფრთხილებლობით არცოდნა

სკ-ის 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, გვანცას შეცილება ბანკის მიმართ მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ბანკმა გიორგის განზრახ მოტყუების ფაქტი იცოდა. კაზუსიდან კი ჩანს, რომ ბანკმა მოტყუების ფაქტის შესახებ არაფერი იცოდა. მაშასადამე, გამოირიცხება შეცილების შესაძლებლობა, სკ-ის 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით.

შენიშვნა: შესაძლოა, სხვანაირად ყოფილიყო საქმე, თუ ბანკი გასცემდა სესხს, ხოლო შემდგომ შეიტყობდა, რომ გიორგი არასტაბილური გადაამხდელია და მხოლოდ ამის შემდგომ მოითხოვდა გიორგისგან თავდებობას.

⁵¹ დებულება დამკვიდრებულია გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში, იხ. BGHZ, 33, 302; 47, 224.

⁵² ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 1999, 243.

ამ შემთხვევაში ბანკს არაპირდაპირ ეცოდინებოდა, რომ გიორგიმ დიდი ალბათობით მოტყუებით მოიპოვა თავდებობა, ვინაიდან კრედიტუუნარო იყო (თუმცა ეს მსჯელობაც შესაძლოა, საკამათო იყოს).

საკითხის გაღრმავებისთვის: სკ-ის 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ფორმულირების მიხედვით, შეცილების უფლება აქვს დაინტერესებულ პირს მხოლოდ მაშინ, როდესაც მესამე პირის მიერ მოტყუების ფაქტი იცის იმ პირმა, რომელიც სარგებელს იღებს გარიგებიდან. ამ შემთხვევაში გასაზიარებელია ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ფორმულირება „სარგებელს იღებს გარიგებიდან“ არ არის შეცილების დამატებითი წინაპირობა და მას მხოლოდ (ისევე როგორც გერმანულ სამართალში) შეცილების ადრესატის იდენტიფიცირების დატვირთვა აქვს.⁵³

III. საბოლოო შედეგი

საბოლოო შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეცილება დაუშვებელია და თავდებობის ხელშეკრულება ძალაში რჩება. ბანკის მოთხოვნა გვანცას მიმართ სესხის გადახდაზე განაგრძობს მოქმედებას. ფაბულა არ შეიცავს არანაირ მითითებას ისეთ გარემოებაზე, რაც შესაძლოა, მეტყველებდეს მოთხოვნის შეწყვეტაზე. ფაბულა ასევე არ შეიცავს არანაირ მითითებას ისეთ გარემოებაზე, რაც შესაძლოა, მეტყველებდეს მოთხოვნის განუხორციელებლობაზე. შესაბამისად, მოთხოვნა განხორციელებადია.

A. ბანკის მოთხოვნა გვანცას მიმართ სესხის დაბრუნებაზე

I. მოთხოვნის წარმოშობა, თავდებობის ხელშეკრულება (+)

II. მოთხოვნის შეწყვეტა (-)

➤ ხელშეკრულობის ბათილობა, სკ-ის 59, II (+)

○ მოტყუება, სკ-ის 81, I (-)

▪ განზრახი ტყუილი (+)

▪ პრობლემა: მესამე პირის მიერ

• გიორგი – მესამე პირი? (+)

• ბანკის მიერ მოტყუების ფაქტის ცოდნა (-)

შედეგი: ბანკის მოთხოვნა გვანცას მიმართ სესხის დაბრუნებაზე, სკ-ის 891-ე მუხლის თანახმად (+)

⁵³ იხ. *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, 347.

სამახსოვრო!

- სკ-ის 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მესამე პირი არის მხოლოდ ის პირი, რომელიც საცილო გარიგების დადებაში არ მონაწილეობდა. მესამე პირად არ ითვლება ასევე ის პირი, რომელიც გარიგების დადებისას ნების გამოვლენის ადრესატის მხარეს დგას და ხელშეკრულების დადებაზე მისი მხრიდან მოქმედებს (მაგ.: წარმომადგენელი, დამხმარე და ა.შ.). მესამე პირი არ არის ის, ვინც არც ნების გამომვლენის (ოფერენტის) და არც ნების გამოვლენის ადრესატის (აქცეპტანტის) „ბანაკში“ არ იმყოფება.

კაზუსი 19. ხელმოცარული არიკო

(შეცდომა გარიგების სამართლებრივ შედეგში, შეცილების უფლება, სკ-ის 75-ე მუხლის მიხედვით)

არიკო დადებს გურამთან ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც იგი გურამს მიჰყიდის თავის სახლს „მთელი უძრავ-მოძრავი ქონებით“. „უძრავ-მოძრავ ქონებაში“ იგი გულისხმობდა სახლს მიწის ნაკვეთით და სახლთან მყარად დაკავშირებულ ნივთებს, მაგალითად: სამზარეულოს, შხაპის კაბინას და ა.შ., თუმცა არა ისეთ ნივთებს, რომელთა მოცილებაც შესაძლებელია, მაგალითად: სკამებს, მაგიდებს და ა.შ. გურამი მას სთხოვს, სახლის ავეჯით გადაცემას. არიკო უარს აცხადებს ასეთი პირობით ხელშეკრულების შესრულებაზე.

შეუძლია თუ არა გურამს, მოსთხოვოს არიკოს სახლის საკუთრებაში გადაცემა?

გაგრძელება:

მოგვიანებით არიკომ ტონისთან ნოტარიულად დადო ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, მან ტონისგან შეიძინა მიწის ნაკვეთი, მასზე მდებარე სახლით 350 000 აშშ-ის დოლარად. სახლი გაქირავებულია და მასში ქირით ცხოვრობს აკაკის ოჯახი. მას შემდეგ, რაც არიკომ საკუთრება დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში, მან მოსთხოვა აკაკის, რომ დაეცალა სახლი, ვინაიდან სახლი მას ეკუთვნოდა და თვითონ სურდა იქ ცხოვრება. აკაკიმ მიმართა თავის ადვოკატს, რომელმაც წერილობით შეატყობინა არიკოს, რომ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ტონისა და აკაკის შორის არსებობდა, განაგრძობს მოქმედებას მასა და აკაკის შორის. არიკოს არ სჯერა ამის. იგი აცხადებს, რომ სახლს არავითარ შემთხვევაში არ შეიძენდა, მას რომ ეს წინასწარ სცოდნოდა. იმ შემთხვევაში, თუ აკაკის ადვოკატი მართალია, მაშინ მას სურს ხელშეკრულების შეცილება.

შეუძლია არიკოს, აკაკისგან მოითხოვოს სახლის გადმოცემა?

შეუძლია არიკოს, მოითხოვოს ტონისთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა და გადახდილი თანხის უკან დაბრუნება?

A. გურამის მოთხოვნა აჩიკოს მიმართ სახლის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით (1-ლი ნაწილი)

გურამს შესაძლოა, ჰქონდეს აჩიკოს მიმართ მოთხოვნა, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სახლის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. ამისათვის საჭიროა, რომ მოთხოვნა წარმოიშვას, რომელიც არ უნდა იყოს შეწყვეტილი და მისი განხორციელებადობაც ეჭვქვეშ არ უნდა დგებოდეს.

I. მოთხოვნის წარმოშობა – ნასყიდობის ხელშეკრულება

კაზუსიდან დგინდება, რომ აჩიკოსა და გურამს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება სახლის შექენასთან დაკავშირებით. ამგვარად, ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობა მხარეთა შორის პრობლემური არ არის. საკითხავია, რამდენად აქვს უფლება აჩიკოს, საცილო გახადოს ნასყიდობის დადებისკენ გამოვლენილი თავისი ნება. აჩიკოს ამის უფლება ექნებოდა მაშინ, თუ სახეზე იქნებოდა შეცილების საფუძველი და ხელშეკრულების მეორე მხარისადმი შეცილების განსაზღვრულ ვადაში განცხადება.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

1. შეცილების საფუძველი – შეცდომა გამოვლენილი ნების შინაარსში (სკ-ის 73-ე მუხლის „ა“ პუნქტი) თუ შეცდომა უფლებაში (სკ-ის 75-ე მუხლი)?

იმისათვის, რომ აჩიკომ შეძლოს თავისი ნების შეცილება, უნდა იყოს შეცილების საფუძველი. აჩიკომ ნების გამოვლენისას შეცდომა დაუშვა ფრაზის – „მთელი უძრავ-მოძრავი ქონებით“ – გამოყენებისას. მან ამ ფრაზაში მოიაზრა მხოლოდ სახლთან მყარად დაკავშირებული ნივთები, თუმცა არ გულისხმობდა იმ ნივთებს, რომელთა მოშორებაც მარტივად შეიძლება. ამგვარად, აჩიკოს დაშვებული შეცდომა არ არის მექანიკური, მას არ შეშლია სიტყვა, რომელიც უნდა გამოეყენებინა ნების გამოსახატავად, არამედ იგი მხოლოდ ამ ფრაზის და, შესაბამისად, მის მიერ გამოხატულ ნების შინაარსში ცდებოდა. მაშასადამე, ამ შემთხვევაში შეცილების საფუძველად მოიაზრება არა შეცდომა ნების გამოვლენაში, სკ-ის 72-ე მუხლისა და 73-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად (შდრ. იხ. მე-3 კაზუსი), არამედ შინაარსში დაშვებული შეცდომა, სკ-ის 72-ე მუხლისა და 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი შეცდომას უშვებ-

და მის მიერ გამოყენებული ფრაზის („მთელი უძრავ-მოძრავი ქონებით“) სამართლებრივ შედეგში.

გარიგების სამართლებრივ შედეგში დაშვებული ყველა შეცდომა არ შეიძლება იქნეს მიჩნეული შინაარსობრივ შეცდომად და, შესაბამისად, შეცდომების საფუძვლად. შინაარსობრივი შეცდომაა, როდესაც სამართლებრივი შედეგი, რომელიც შეცდომის მიზეზი გახდა, ნების გამოვლენის შინაარსი იყო. მაშასადამე, ასეთ შემთხვევებში საქმე უნდა ეხებოდეს ისეთ სამართლებრივ შედეგს, რომლის დადგომასაც ისახავს მიზნად გამოვლენილი ნების შინაარსი. კერძოდ, შინაარსობრივი შეცდომა არ იქნება სახეზე, როდესაც საქმე ეხება ისეთ სამართლებრივ შედეგს, რომელიც გამოხატული ნებისგან დამოუკიდებელია, თუმცა სამართლებრივად უკავშირდება დადებულ გარიგებას. ეს შეზღუდვა მნიშვნელოვანია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეცდომების შესაძლებლობას ფართოდ გაეხსნებოდა კარი და საფრთხეს შეუქმნიდა სამართლებრივ ნესრიგს. გამონათქვამი „მთელი უძრავ-მოძრავი ქონებით“ შინაარსში დაშვებულ შეცდომასთან ერთად ქმნის სამართლებრივ შედეგში შეცდომას. მოძრავი ნივთების გადაცემა, სხვა მყარად ჩაშენებულ საგნებთან ერთად, არის მის მიერ გამოხატული ნების პირდაპირი სამართლებრივი შედეგი. მაშასადამე, სკ-ის 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით, სახეზეა შინაარსში დაშვებული შეცდომა და, შესაბამისად, არსებობს შეცდომების საფუძველიც.

საკითხის გაღრმავებისთვის: ზემოაღნიშნული მსჯელობა ნორმის სახით მოცემულია სკ-ის 75-ე მუხლში, სადაც გარიგების სამართლებრივ შედეგში დაშვებულ შეცდომას „უფლებაში შეცდომა“ ეწოდება. ნორმის მიხედვით, „შეცდომა უფლებაში არსებითი მნიშვნელობისაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი გარიგების დადებისას ერთადერთი და მთავარი საფუძველი იყო“. ლიტერატურაში გამოთქმული ერთი მოსაზრების მიხედვით, სკ-ის 75-ე მუხლში მოწესრიგებულ „შეცდომა უფლებაში“ იგულისხმება გარიგების სამართლებრივ შედეგებში შეცდომა.⁵⁴ ამ მოსაზრების მიხედვით, შესაძლებელია, ზოგჯერ შინაარსში დაშვებული შეცდომა ემთხვეოდეს სამართლებრივ შედეგებში დაშვებულ შეცდომას, თუმცა ავტორი სამართლებრივად მნიშვნელოვნად მიიჩნევს მათ ერთმანეთისგან გამიჯვნას.⁵⁵ ლიტერატურაში გავრცელებული მეორე მოსაზრების მიხედვით, სკ-ის 75-ე მუხლის რეგულირება ზედმეტია, ვინაიდან, თუ ამ ნორმაში მოვიაზრებთ შეცდომას „საგნის ძირითად თვისებებში“, იგი სკ-ის 74-ე მუხლის მოწესრიგების საგანია, ხოლო თუ

⁵⁴ იხ. *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 1999, 231.

⁵⁵ იხ. *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 1999, 232.

დავეყრდნობით პირველი ავტორის მოსაზრებას და მივიჩნევთ, რომ სკ-ის 75-ე მუხლის მოწესრიგება ეხება სამართლებრივ შედეგებში შეცდომას, მაშინ „ასეთი შეცდომა არაარსებითია და არ საჭიროებს მოწესრიგებას არსებითი შეცდომით დადებულ გარიგებებთან ურთიერთკავშირში“.⁵⁶

შედეგის სახით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამართლებრივ შედეგში დაშვებული შეცდომა შესაძლებელია მოვიაზროთ როგორც სკ-ის 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტში, ასევე, სკ-ის 75-ე მუხლში. იმ შემთხვევაში, როდესაც გამოვიყენებთ სკ-ის 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტს, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ შინაარსობრივი შეცდომა არის მოცემული მაშინ, როდესაც სამართლებრივი შედეგი, რომელიც შეცდომის მიზეზი გახდა, ნების გამოვლენის შინაარსი იყო. იმავეს იმეორებს სკ-ის 75-ე მუხლიც. მაშასადამე, კანონმდებელს სურდა, დაეზუსტებინა, რომ უფლებაში (იმავე გარიგების სამართლებრივ შედეგში) შეცდომა მაშინ არის არსებითი, როდესაც იგი ნების გამოვლენის (იმავე უფლების) შინაარსი იყო. ამ კუთხით უნდა განიმარტოს სკ-ის 75-ე მუხლის ფორმულირება – „ერთადერთი და მთავარი საფუძველი იყო“. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ, კაზუსის ამოხსნისას, სამართლებრივ შედეგში დაშვებული შეცდომა სკ-ის 72-ე მუხლსა და 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტში მოვიაზრეთ, შესაძლებელი იქნებოდა სკ-ის 75-ე მუხლის გამოყენებაც, ვინაიდან ორივე ნორმას ერთი და იმავე შედეგისკენ მივყავართ.

A. აჩიკოს მიერ გურამთან დადებული ხელშეკრულების შეცვლა

- I. შეცილების საფუძველი, სკ-ის 73-ე მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით**
- სამართლებრივ შედეგში შეცდომა = შინაარსში დაშვებულ შეცდომას, როდესაც შეცდომის შინაარსი გამოვლენილი ნების საგანია
 - **ნების შინაარსში შეცდომა (-)**, როდესაც შეცდომა უკავშირდება იმ სამართლებრივ შედეგს, რომელიც, პირის მიერ გამოვლენილი ნებისგან დამოუკიდებლად, მას კანონით უკავშირდება
 - **შეცდომა ფრაზაში „მთელი უძრავ-მოძრავი ქონებით“** → შინაარსში შეცდომა (+)
 - შესაძლებელია სკ-ის 75-ე მუხლის გამოყენება (+)

II. შედეგი: შეცილების საფუძველი (+)

შეცილების ვადაში განცხადების შემთხვევაში ხელშეკრულება ბათილია, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად

⁵⁶ იხ. *კერესელიძე, უზოგადესი ცნებები*, 2009, 333.

2. შეცილების განცხადება და შეცილების ვადა

სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, შეცილების განცხადება უნდა მოხდეს ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ. სკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, შეცილების ვადა შეადგენს შეცილების საფუძვლის შეტყობიდან ერთ თვეს. მას შემდეგ, რაც აჩიკომ აღმოაჩინა, რომ დაუშვა შეცდომა, მან უმაღვე უარი განუცხადა გურამს სახლის საკუთრებაში გადაცემაზე.

III. საბოლოო შედეგი

აჩიკოს მიერ განხორციელებული შეცილება ნამდვილია. შესაბამისად, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია მისი დადების მომენტიდან.

B. აჩიკოს მოთხოვნა აკაკის მიმართ სახლის გადმოცემის თაობაზე, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე (მეორე ნაწილი)

აჩიკოს შესაძლოა, აკაკის მიმართ ჰქონდეს სახლის გადმოცემაზე მოთხოვნის უფლება, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით. ამ მოთხოვნის განხორციელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ვინდიკაციის შემადგენლობა, ანუ სახეზეა 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ფაქტობრივი წინაპირობები. მაშასადამე, ნორმის წინაპირობების მიხედვით, აჩიკო უნდა იყოს სახლის მესაკუთრე და აკაკის მიერ სახლის ფლობის უფლება უნდა იყოს არამართლზომიერი, რაც გულისხმობს, რომ მისი ფლობის უფლება არ უნდა იყოს უპირატესი აჩიკოს მიერ სახლის ფლობის უფლებასთან მიმართებით.

I. მოთხოვნის წარმოშობა

1. სახლზე საკუთრების უფლება

კაზუსის მიხედვით ვადგენთ, რომ სახლის თავდაპირველი მესაკუთრე იყო ტონი. სკ-ის 183-ე მუხლის შესაბამისად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ნასყიდობის ხელშეკრულების ნოტარიულად გაფორმებით და მოგვიანებით საჯარო რეესტრში საკუთრების რეგისტრაციით, აჩიკომ

მოიპოვა საკუთრება სახლზე. კაზუსიდან არ ჩანს რაიმე გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა აჩიკოს მიერ სახლზე საკუთრების შექმნის ნამდვილობას. მაშასადამე, აჩიკო სახლის მესაკუთრეა.

2. მფლობელობა

გარდა ზემოაღნიშნული წინაპირობებისა, სახლი უნდა იმყოფებოდეს მოთხოვნის ადრესატის მფლობელობაში. სკ-ის 155-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მფლობელი არის პირი, რომელიც ახორციელებს ფაქტობრივ ნებელობით ბატონობას ნივთზე. აკაკის ნაქირავები აქვს სახლი და ის თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს იქ. გამომდინარე აქედან, იგი ახორციელებს სახლზე ფაქტობრივ ნებელობით ბატონობას. მაშასადამე, იგი სახლის მფლობელია.

3. მფლობელობის უფლება

სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის წინაპირობების გათვალისწინებით, საკითხავია, რამდენად არის აკაკის და მისი ოჯახის მიერ სახლის ფლობა მართლზომიერი. თუ ფლობა არამართლზომიერია, მაშინ მან აჩიკოს უნდა გადასცეს სახლი მფლობელობაში.

ა. მფლობელობის უფლება ტონის მიმართ

ჩვენ ვიცით, რომ თავდაპირველ მესაკუთრე ტონისა და აკაკის შორის არსებობდა ქირავნობის ხელშეკრულება (სკ-ის 531-ე მუხლი). ვინაიდან აკაკის ტონისგან ნაქირავები ჰქონდა სახლი, სკ-ის 531-ე მუხლის თანახმად, აკაკის გადაცემული ჰქონდა სახლი სარგებლობაში. შესაბამისად, მისი მფლობელობა მართლზომიერი იყო სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებითაც.

ბ. მფლობელობის უფლება აჩიკოს მიმართ

მფლობელობის მართლზომიერებასთან დაკავშირებით, გასარკვევია, თუ რამდენად მოქმედებს აჩიკოს მიმართ იმ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები, რომლებიც აკაკისა და ტონის შორის არსებობდა.

მფლობელობის მავალდებულებელი უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების მხარის სახელშეკრულებო ან კანონისმიერ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებთან, როგორც წესი, მოქმედებს მხოლოდ ამ უფლებების წარმომშობ მხარეებს შორის. ეს გამომ-

დინარეობს ვალდებულებითი ურთიერთობის რელატიურობიდან.

თუმცა ამ წესიდან გამონაკლისს შეიცავს სკ-ის 572-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, თუ გამქირავებელი გაქირავებულ ნივთს მესამე პირზე გაასხვისებს დამქირავებლისათვის მისი გადაცემის შემდეგ, შემძენი იკავებს გამქირავებლის ადგილს და მასზე გადადის ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები. როგორც ვხედავთ, ეს ნორმა გამონაკლისია ზოგადი დანაწესიდან, რომ უფლებები და მოვალეობები მხოლოდ ვალდებულებითი ურთიერთობის მხარეებს შორის წარმოიშობა. როგორც ვხედავთ, ქირავნობის ობიექტის შემძენი იკავებს გამქირავებლის ადგილს.

მასზე გადადის ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები.

მაშასადამე, ახალ მესაკუთრესთან მიმართებით ქირავნობის ხელშეკრულება ძალაში რჩება და, შესაბამისად, მას ანიჭებს მართლზომიერ ფლობაზე უფლებას, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით.

4. შედეგი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის მოცემული ვინდიკაციის შემადგენლობა. აკაკის აქვს სახლის უპირატესი ფლობის უფლება და მისი ფლობა მართლზომიერია, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით. აჩიკოს ვერ ექნება აკაკის მიმართ სახლის გადმოცემაზე მოთხოვნის უფლება, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით. ფაბულა არ შეიცავს არანაირ მითითებას ისეთ გარემოებაზე, რაც შესაძლოა, მეტყველებდეს მოთხოვნის შეწყვეტაზე; ფაბულა ასევე არ შეიცავს არანაირ მითითებას ისეთ გარემოებაზე, რაც შესაძლოა, მეტყველებდეს მოთხოვნის განუხორციელებლობაზე. შესაბამისად, მოთხოვნა განხორციელებადია.

B. აჩიკოს მოთხოვნა აკაკის მიმართ სახლის გადმოცემის თაობაზე, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე

I. ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შედეგად აჩიკო გახდა სახლის მესაკუთრე

II. აკაკი სახლის მფლობელია

III. აკაკის მიერ ფლობის მართლზომიერება

- ქირავნობის ხელშეკრულების მიხედვით (-) (ვალდებულებითი ურთიერთობის რელატიურობა)
- სკ-ის 572-ე მუხლის მიხედვით (+)

IV. შედეგი: მფლობელობა მართლზომიერია (+) → ვინდიკაციური მოთხოვნა (-)

ც. აჩიკოს მოთხოვნა ტონის მიმართ გადახდილი თანხის დაბრუნებაზე, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის საფუძველზე (უსაფუძვლო გამდიდრება)

სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, აჩიკოს შესაძლოა, ტონის მიმართ ჰქონდეს გადახდილი თანხის უკან დაბრუნებაზე მოთხოვნის უფლება იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ განხორციელებულ შესრულებას სამართლებრივი საფუძველი არ ექნებოდა. სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მოთხოვნის წარმოშობისათვის სახეზე უნდა იყოს ერთი პირის მიერ მეორისათვის შესრულების მიზნით „რაიმის“ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადაცემა.

I. მოთხოვნის წარმოშობა

1. პირის მიერ შესრულების მიზნით რაიმის გადაცემა

როგორც აღინიშნა, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის წინაპირობაა ერთი პირის მიერ მეორისათვის (ვითომკრედიტორი) შესრულების მიზნით „რაიმის“ გადაცემა. კაზუსის მიხედვით, აჩიკომ ტონის გაცნობიერებულად, ნასყიდობის ხელშეკრულების შესრულების მიზნით, გადასცა თანხა 350 000 აშშ-ის დოლარის ოდენობით. მაშასადამე, მოცემულია აჩიკოს მიერ ტონისთვის შესრულების მიზნით თანხის გადაცემის ფაქტი.

2. ვითომკრედიტორის მიერ შესრულების მიღება

გარდა ზემოაღნიშნული წინაპირობისა, უნდა იყოს ვითომკრედიტორის მიერ შესრულების მიღება. კაზუსიდან ირკვევა, რომ ტონიმ მიიღო აჩიკოს შესრულება, ანუ გადახდილი თანხა და მასზე მოიპოვა საკუთრება და მფლობელობა. მაშასადამე, მიღების შედეგად მისი ქონებრივი აქტივი გაიზარდა.

3. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე

სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მოთხოვნის წარმოშობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა სამართლებრივი საფუძვლის არარსებობა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მხარის მიერ განხორციელებულ შესრულებას სამართლებრივი საფუძველი არ აქვს. სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტი ასეთ შემთხვევებზე მოიხსენიებს გარიგების ბათილობას ან სხვა საფუძველს, რის

გამოც ვალდებულება არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შემდგომში შეწყდება. გამომდინარე აქედან, საკითხავია, შეიძინა აჩიკოსა და ტონის შორის გაფორმებულმა ნასყიდობის ხელშეკრულებამ სამართლებრივი ძალა (ანუ წარმოიშვა მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობა)? და თუ ეს ასეა, ხომ არ არის ხელშეკრულება ბათილი მისი დადების მომენტიდან აჩიკოს მიერ განხორციელებული შეცილების გამო? იმისათვის, რომ ხელშეკრულება შეცილების შედეგად ბათილი გახდეს, საჭიროა, არსებობდეს შეცილების საფუძველი და ხელშეკრულების მხარისადმი შეცილების დადგენილ ვადაში განცხადება.

ა. შეცილების საფუძველი

შეცილების საფუძველად ამ შემთხვევაში შესაძლოა განხილულ იქნეს შინაარსში დაშვებული შეცდომა, სკ-ის 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით. აჩიკოს შეცდომით ეგონა, რომ ქირავნობისმიერი ურთიერთობა, რომელიც აკაკის ჰქონდა ტონისთან, ავტომატურად არ გადავიდოდა სახლის ახალ მესაკუთრეზე. მაშასადამე, იგი შეცდა სახლის შეძენის სამართლებრივ შედეგში. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამართლებრივ შედეგში დაშვებული შეცდომა შესაძლოა, განხილულ იქნეს შეცილების საფუძველად მაშინ, როდესაც იგი, იმავდროულად, გამოვლენილი ნების შინაარსში შეცდომას ქმნის. ეს ის შემთხვევებია, როდესაც სამართლებრივი შედეგი, რომელშიც პირი ცდება, უშუალოდ გამოვლენილი ნების საგანია. შეცილების საფუძველად ვერ იქნება მიჩნეული ისეთ სამართლებრივ შედეგში შეცდომა, რომელსაც, გამოვლენილი ნებისგან დამოუკიდებლად, კანონი უკავშირებს გამოვლენილ ნებას ან ისეთი სამართლებრივი შედეგი, რომელიც ხელშეკრულების ფართო განმარტების გზით შეიძლება დადგინდეს.

C. აჩიკოს მოთხოვნა ტონის მიმართ თანხის დაბრუნებაზე

I. მოთხოვნის წარმოშობა, უსაფუძვლო გამდიდრება, სკ-ის 976, I, „ა“ (+)

- შესრულების მიზნით ნივთის გადაცემა(+)
- ვითომკრედიტორის მიერ შესრულების მიღება (+)
- უსაფუძვლოდ?
 - ნასყიდობის ხელშეკრულება (+)
 - ხელშეკრულების ბათილობა, სკ-ის 59, II (-)
 - შეცილების საფუძველი, სკ-ის 75 (-)

შედეგი: აჩიკოს მოთხოვნა ტონის მიმართ თანხის უკან დაბრუნების თაობაზე, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე (-)

ის ფაქტი, რომ აჩიკომ არ იცოდა სკ-ის 572-ე მუხლის სამართლებრივი დანაწესი და ცდებოდა თავისი გამოვლენილი ნების შინაარსში, უმნიშვნელოა, ვინაიდან ეს სამართლებრივი შედეგი მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად დგება.

იგივე შედეგამდე მივალთ, თუ სამართლებრივ შედეგში შეცდომას, სკ-ის 75-ე მუხლის ფარგლებში, უფლებაში შეცდომად განვიხილავთ. სკ-ის 75-ე მუხლის მიხედვით, უფლებაში შეცდომა მხოლოდ მაშინ არის არსებული, როდესაც იგი გარიგების დადებისას ერთადერთი და მთავარი საფუძველი იყო. სკ-ის 75-ე მუხლიც იმეორებს იმ სამართლებრივ დათქმას, რომ სამართლებრივ შედეგში შეცდომა მხოლოდ მაშინ არის არსებითი, როდესაც იგი გამოვლენილი ნების საგანი იყო.

მაშასადამე, არ არსებობს შეცილების საფუძველი და, შესაბამისად, აჩიკოს შეცილება არ არის სამართლებრივად ნამდვილი.

II. შედეგი

შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აჩიკოსა და ტონის შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილია. სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, აჩიკოს ვერ წარმოეშობა ტონის მიმართ გადახდილი თანხის უკან დაბრუნებაზე მოთხოვნის უფლება, ვინაიდან ნასყიდობის თანხის (350 000 აშშ-ის დოლარი) გადახდა განხორციელდა სამართლებრივი საფუძველით.

სამახსოვრო!

სამართლებრივ შედეგში დაშვებული შეცდომა შესაძლოა, განხილულ იქნეს შეცილების საფუძველად მაშინ, როდესაც იგი იმავდროულად გამოვლენილი ნების შინაარსში შეცდომას იწვევს. შეცილების საფუძველად ვერ იქნება მიჩნეული ისეთ სამართლებრივ შედეგში შეცდომა, რომელსაც, გამოვლენილი ნებისგან დამოუკიდებლად, კანონი უკავშირებს გამოვლენილ ნებას ან ისეთი სამართლებრივი შედეგი, რომელიც ხელშეკრულების ფართო განმარტების გზით შეიძლება დადგინდეს.

კაზუსი 20. ავარია

(შეცილება იძულებით დადებული გარიგების გამო, სკ-ის 85-ე მუხლის მიხედვით)

ქ. თბილისში მცხოვრებ ლუკასა და საბას მცხეთასთან ახლოს მოუხდებოდათ ავარია. ვინაიდან ისინი ერთმანეთს ადანაშაულებდნენ, ლუკამ გადაწყვიტა, რომ ყველაფერი „კანონის მიხედვით“ გაერკვიათ და ამოიღო მობილური პატრულისთვის შემთხვევის შესატყობინებლად. თუმცა მას ეშინოდა, რომ შესაძლოა, იგი აღმოჩენილიყო მტყუანი და დაკისრებოდა გამონვეული ზიანის ანაზღაურება. ამიტომ „ჭკუა იხმარა“ და დაემუქრა საბას, ელიარებინა ბრალი და ეკისრა გამონვეული ზიანის ანაზღაურება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაურეკავდა პატრულს და ეს საბასთვის უარეს შედეგს გამოიწვევდა, რადგან მოუწევდა ჯარიმისა და საჯარიმოზე გადაყვანის თანხების გადახდაც. საბასთვის ამ წელს ეს უკვე მეორე ავარია იყო და მას ჩამორთმეული ჰქონდა მართვის მოწმობა. შესაბამისად, მას არ სურდა სამართალდამცავ ორგანოებთან „საქმის დაჭერა“, რაც მის სოლიდურ დაჯარიმებას გამოიწვევდა. ამიტომ იგი დასთანხმდა ლუკას ბრალის აღიარებაზე, რის შემდგომაც მათ შეადგინეს ხელწერილი, სადაც საბა ცნობდა ავარიაში ბრალს და თანხმობას აცხადებდა გამონვეული ზიანის ანაზღაურებაზე. იმავე დღეს, საღამოს, საბასთან სტუმრად მივა მეგობარი გელა, რომელსაც საბა მოუყვა მომხდარი ავარიის შესახებ. გელა ეტყვის, რომ იგი ავარიასთან მიმართებით მართალია, და არ არის ანაზღაურებაზე ვალდებული, პირიქით, ლუკამ უნდა აუნაზღაუროს მას ზიანი. საბა დაურეკავს ლუკას და ეტყვის, რომ არ აპირებს ავარიით გამონვეული ზიანის ანაზღაურებას.

შეუძლია თუ არა ლუკას, საბასგან მოითხოვოს ავარიით გამონვეული ზიანის ანაზღაურება?

A. ლუკას მოთხოვნა საბას მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სკ-ის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 341-ე მუხლის მიხედვით

ლუკას მოთხოვნა საბას მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე შესაძლოა, გამომდინარეობდეს სკ-ის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 341-ე მუხლიდან, თუ მათ შორის არსებობდა ნამდვილი სამართლებრივი ურთიერთობა.

I. მოთხოვნის წარმოშობა

იმისათვის, რომ ლუკას შეეძლოს საბას მიმართ მოთხოვნის განხორციელება, მათ შორის უნდა არსებობდეს ნამდვილი სამართლებრივი ურთიერთობა. როგორც კაზუსიდან ირკვევა, საბა დაეთანხმა ლუკას და გააფორმა ხელწერილი, რითაც იკისრა ლუკასთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მაშასადამე, ამ შემთხვევაში შესაძლოა, სახეზე იყოს ვალის არსებობის აღიარება, სკ-ის 341-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით.

საკითხის გაღრმავებისთვის: სკ-ის 341-ე მუხლი ეხება ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცალკე აღებული ეს ნორმა ვერ ქმნის მოთხოვნის საფუძველს. იგი არეგულირებს ვალის აღიარების ხელშეკრულების ფორმას. აქედან გამომდინარე, მოთხოვნის საფუძვლად გამოყენებულ უნდა იქნეს ზოგადი ნორმა – სკ-ის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ზოგადი რეგულირება, რომლის მიხედვითაც, ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, კრედიტორი უფლებამოსილია, მოვალეს მოსთხოვოს შესრულების განხორციელება ან შესრულებისგან თავის შეკავება. სკ-ის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილი არის უნივერსალური მოთხოვნის საფუძველი ყველა ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობისთვის.

1. ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულება

როგორც აღინიშნა, ვალის აღიარების ხელშეკრულება დარეგულირებულია სკ-ის 341-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, რომლის მიხედვითაც ვალის აღიარების ნამდვილობის სავალდებულო წინაპირობებია მხარეთა მიერ ნების გამოვლენა და ნების გამოვლენის წერილობითი სახით გაფორმება.

ა. მხარეთა შეთანხმება

კაზუსიდან უპრობლემოდ ირკვევა, რომ ლუკა და საბა შეთანხმდნენ ვალის არსებობის აღიარებაზე. კერძოდ, საბამ აღიარა, რომ მიუძღოდა ბრალი ავარიაში და იკისრა ლუკასთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ბ. წერილობითი ფორმა

ვალის აღიარება მხარეთა მიერ დაიდო წერილობითი ფორმით. მაშასადამე, სკ-ის 341-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნა ვალის აღიარების წერილობითი სახით გაფორმების თაობაზე დაცულია.

II. მოთხოვნის უწყვეტა

შესაძლოა, მოთხოვნა შეწყდა ვალის აღიარების ხელშეკრულების ბათილობის გამო.

1. ვალის აღიარების ხელშეკრულების ბათილობა, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით

სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შესაძლოა, მხარეებს შორის გაფორმებული ვალის აღიარების ხელშეკრულება ბათილი იყოს მისი დადების მომენტიდან (*ex tunc*). ეს შედეგი კი დგება მაშინ, როდესაც მხარე გამოვლენილ ნებას საცილოდ გახდის და ეს შეცილება სამართლებრივად ნამდვილი იქნება. შეცილება რომ ნამდვილი იყოს, უნდა არსებობდეს შეცილების საფუძველი და შეცილებაზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელშეკრულების მეორე მხარისადმი შეცილების განსაზღვრულ ვადაში განცხადება (სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები). მაშასადამე, გასარკვევია, ხომ არ მოხდა საბას მიერ ვალის აღიარების ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილი ნების ნამდვილი შეცილება.

ა. შეცილების საფუძველი (სკ-ის 85-ე მუხლი)

ამ შემთხვევაში, შეცილების საფუძველად შესაძლოა განხილულ იქნეს სკ-ის 85-ე მუხლი, რომელიც უფლებამოსილ პირს უფლებას ანიჭებს, განაცხადოს შეცილება მაშინ, როდესაც იგი ძალადობით ან მუქარით დაითანხმეს გარიგების დადებაზე. სკ-ის 85-ე მუხლის წინაპირობაა, რომ სახეზე უნდა იყოს იძულება, რომელიც იქნება მართლსაწინააღმდეგო.

აა. მუქარა

მაშასადამე, სკ-ის 85-ე მუხლის 1-ლი წინაპირობის მიხედვით, სახეზე უნდა იყოს ერთი მხარის მიერ მეორის ხელშეკრულების დადებაზე დაყოლიება იძულებით (მუქარით ან ძალადობით). ჩვენს შემთხვევაში, გასარკვევია, ხომ არ იყო ლუკას მხრიდან საბას მიმართ გამოყენებული იძულება, რამაც გამოიწვია საბას ხელშეკრულების დადებაზე დაყოლიება. სკ-ის 86-ე მუხლის 1-ლ ნაწილში მოცემულია იძულების დეფინიცია, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ ისეთი სახის იძულება იწვევს ხელშეკრულების ბათილობას, „რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია, გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება“. საფრთხეში მოიაზრება ნებისმიერი უარყოფითი შედეგი, რომელიც მას პიროვნულად ან მის ქონებას შესაძლოა შეეხოს. უარყოფითი შედეგი შესაძლოა, მიმართული იყოს როგორც მუქარის ადრესატის, ასევე მისი ახლობლების მიმართ (იხ. სკ-ის 87-ე მუხლი). მუქარაში იგულისხმება მხარისათვის სამომავლოდ უარყოფითი შედეგის გამოწვევა, რომელზეც მუქარის განმარტოვებელი პირი აცხადებს, რომ მას იგი ხელეწიფება. მუქარის შედეგად მუქარის ადრესატი უნდა იმყოფებოდეს ისეთ მდგომარეობაში, რომ იგი თვლიდეს, ხელშეკრულების დადებაზე ნების გამოვლენა მისთვის ყველაზე ნაკლები უარყოფითი შედეგის მომტანი იქნება.

კაზუსიდან ვარკვევთ, რომ ლუკას მიერ საბას მიმართ განცხადება, თუ არ აღიარებს ვალს, გამოიძახებს პატრულს და ყველაფერს „კანონის მიხედვით გაარკვევს“, საბას მდგომარეობას უმძიმებს. ლუკა აცხადებს, რომ მას მართლა ხელეწიფება საბასთვის ამ „უარყოფითი შედეგის“ გამოწვევა და ეს მართლაც ასეა, ვინაიდან მას აქვს მობილური, რომლითაც შეუძლია, დარეკოს და გამოიძახოს პატრული. საბას არსებული მდგომარეობა აიძულებს, გააფორმოს ვალის აღიარების ხელშეკრულება, ვიდრე „საქმე დაიჭიროს“ სამართალდამცავებთან, რაც მისთვის უფრო ცუდი შედეგის მომტანი იქნება. მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახეზეა ლუკას მიერ საბას ხელშეკრულების დადებაზე იძულება მუქარით.

ბბ. მუქარის მართლსაწინააღმდეგობა

გარდა იმისა, რომ უნდა იყოს მუქარა, სკ-ის 85-ე მუხლის წინაპირობებისთვის აუცილებელია, მუქარა იყოს მართლსაწინააღმდეგო. ამ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგობის დეფინიციას ეხება სკ-ის 88-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს, რომ იძულებად არ ჩაითვლება ისეთი მოქმედე-

ბები, „რომლებიც არ ხორციელდება არც მართლსაწინააღმდეგო მიზნით და არც მართლსაწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საშუალება და მიზანი არ შეესაბამება ერთმანეთს“. მაშასადამე, იძულების (მუქარის) მართლსაწინააღმდეგოობის შეფასება ხდება გამოყენებული საშუალებით, მიზნითა და საშუალებისა და მიზნის ურთიერთმიმართებით.

ჩვენს შემთხვევაში ცალსახად ჩანს, რომ არც მუქარის მიზანი (საბას მიმართ ანაზღაურების მოთხოვნის უზრუნველყოფა) და არც საშუალება (პატრულის გამოძახება) არ არის მართლსაწინააღმდეგო. საკითხავია, ხომ არ არის მუქარის საშუალებისა და მიზნის ურთიერთმიმართება, ანუ საშუალება – მიზნის თანაფარდობა – შეუსაბამო? სამართლებრივად დაშვებული საშუალებით (სასამართლოში სარჩელის შეტანა, პროკურატურაში განცხადების წარდგენა და ა.შ.) მუქარისას, როგორც წესი, მართლსაწინააღმდეგოობა გამოირიცხება მაშინ, როდესაც მუქარის განმახორციელებელ პირს გამიზნული შედეგის მისაღწევად სამართლებრივი მოთხოვნა აქვს. სიტუაციას არ ცვლის ის გარემოება და მუქარა არ ითვლება მართლსაწინააღმდეგოდ, თუ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, ან იგი მუქარის მომენტში მხარისათვის უცნობია. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია ის, თუ რამდენად აქვს მუქარის განმახორციელებელ პირს გამიზნული შედეგის მიღწევის ლეგიტიმური ინტერესი და, რამდენად ჩაითვლება მუქარა, კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით, მიზნის მიღწევის შესაბამის (გამართლებულ) საშუალებად. ჩვენს შემთხვევაში ლუკას არ ჰქონდა სამართლებრივი მოთხოვნა საბას მიმართ ვალის აღიარების თაობაზე, თუმცა მას სჯეროდა, რომ მისი უფლებების უზრუნველყოფის ერთადერთი საშუალება ეს იყო. ეს შეიძლება ბოლომდე არ ჩაითვალოს საკმარისად მისი ვალის აღი-

A. ლუკას მოთხოვნა საბას მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე

I. მოთხოვნის წარმოშობა (+)

- ვალის აღიარების ხელშეკრულება (+)
 - მხარეთა შეთანხმება (+)
 - წერილობითი ფორმა (+)

II. მოთხოვნის შეწყვეტა (-)

- ხელშეკრულების ბათილობა, სკ-ის 59, II (-)
 - შეცილების საფუძველი, სკ-ის 85 (-)
 - მუქარა (+)
 - მართლსაწინააღმდეგოობა (-)

შედეგი: ლუკას მოთხოვნა საბას მიმართ ზიანის ანაზღაურებაზე, სკ-ის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე (-)

არების თაობაზე ლეგიტიმური ინტერესის არსებობის მისაჩვენად (თუმცა საკამათოა). მაგრამ ლუკამაც არ იცოდა ბოლომდე, თუ ვის მიუძღოდა ბრალი ავარიაში. საკითხის გარკვევა კი პოლიციის გარეშე შეუძლებელი იყო და, მაშასადამე, მუქარა კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებითაც გამართლებული იყო მიზნის მისაღწევად. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მუქარა არ იყო მართლსაწინააღმდეგო.

გგ. შუალედური შედეგი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს შეცილების საფუძველი, სკ-ის 85-ე მუხლის თანახმად და ვალის აღიარების ხელშეკრულება ძალაში რჩება. ვინაიდან არ არსებობს შეცილების საფუძველი, აღარ გადავდივართ შეცილების დამატებითი წინაპირობების (შეცილების განცხადება, ვადა და ა.შ.) შემოწმებაზე, არამედ ვასკვნით, რომ ძალაში რჩება სკ-ის 431-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ფარგლებში დადებული ვალის აღიარების ხელშეკრულება.

III. საბოლოო შედეგი

საბოლოო შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლუკას აქვს საბას მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის უფლება, სკ-ის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, ვინაიდან მისი მოთხოვნა გამომდინარეობს სკ-ის 431-ე მუხლის მიხედვით დადებული ვალის აღიარების ხელშეკრულებიდან. კაზუსიდან არ იკვეთება რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც მიგვანიშნებდა ლუკას მოთხოვნის შეწყვეტაზე ან განხორციელების შეუძლებლობაზე. მაშასადამე, მოთხოვნა განაგრძობს არსებობას და იგი განხორციელდება.

სამასწავლებლო:

85-ე მუხლის მიზნებისათვის, გარდა იმისა, რომ სახეზე უნდა იყოს მუქარა, ის, ამასთანავე, უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო. მუქარა არაა მართლსაწინააღმდეგო, თუ ის არ ხორციელდება არც მართლსაწინააღმდეგო მიზნით და არც მართლსაწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საშუალება და მიზანი არ შეესაბამება ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საშუალება და მიზანი უნდა შეფასდეს ცალ-ცალკე და ამასთანავე ერთობლიობაში, რომ დადგინდეს, რამდენად მართლსაწინააღმდეგოა მუქარა.

შეცდომის საფუძვლების სისტემა	
სკ-ის 73-ე მუხლის „ა“ პუნქტი	<ul style="list-style-type: none"> ➤ გარიგების სახეში (ტიპში) დაშვებული შეცდომა ➤ ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომა
სკ-ის 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტი	➤ შინაარსში დაშვებული შეცდომა
სკ-ის 73-ე მუხლის „გ“ პუნქტი	➤ გარიგების საფუძვლებში დაშვებული შეცდომა
სკ-ის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილი	➤ კონტრაჰენტის პიროვნებაში დაშვებული შეცდომა
სკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილი	➤ საგნის ძირითად თვისებებში დაშვებული შეცდომა
სკ-ის 75-ე მუხლი	➤ შეცდომა უფლებაში (სამართლებრივ შედეგში)
სკ-ის 76-ე მუხლი	➤ შეცდომა გარიგების მოტივში
სკ-ის 81-ე მუხლის 1-ლი ნაწილი	➤ მოტყუებით დადებული გარიგება (მოქმედებით)
სკ-ის 81-ე მუხლის მე-2 ნაწილი	➤ მოტყუებით დადებული გარიგება (უმოქმედობით)
სკ-ის 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილი	➤ მოტყუება მესამე პირის მხრიდან
სკ-ის 85-ე მუხლი	➤ იძულებით დადებული გარიგება

კაზუსი 21. იუბილარი ირაკლი

(წარმომადგენლობის საფუძვლები; შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე წარმომადგენელი)

საწყისი კაზუსი:

ირაკლი დაბადების დღეზე ეპატიჟება მეგობრებს და სურს, წვეულე-ბაზე ყველაფერი იდეალურად იყოს. მეგობრების მოსვლამდე უკვე ორი-ოდე საათი იყო დარჩენილი, როცა ირაკლის გაახსენდა, რომ ღვინის ყიდვა დაავიწყდა. რადგან დრო ბევრი აღარაა და სხვა საქმეებიც ბევრი აქვს, ირაკლიმ დაურეკა თავის მეგობარ ნიკას, რომელიც ასევე დაპატიჟებულია დაბადების დღეზე და სთხოვა, რაც შეიძლება ადრე მოსულიყო და გამოეყოლებინა 15 ბოთლი „რქანიტელი“, გადასახდელი თანხა კი მის ანგარიშზე ჩაენერა. ირაკლი დარწმუნებულია, რომ ერთი ბოთლის ფასი 20 ლარზე მეტი არ იქნება.

ნიკამ მაღაზიაში ღვინის ბოთლები გამყიდველის დახლზე დააწყო და გამყიდველს უთხრა, რომ ბოთლები მისი მეგობრისთვის, ირაკლისთვის ამოარჩია და საფასურიც მის ანგარიშზე ჩაენერა. გამყიდველმა თავი დაუქნია და ბოთლები, რომელთაგან თითო 25 ლარი ღირს, ირაკლის ანგარიშზე ჩაენერა.

როცა ნიკამ ღვინის ბოთლები ირაკლის გადასცა და მან ფასი ნაიკითხა, 25 ლარი ამ ღვინისთვის ექვირა და, გაბრაზებული, მაღაზიაში წავიდა ბოთლების უკან დასაბრუნებლად. უკან დაბრუნებაზე გამყიდველმა უარი უთხრა.

შეუძლია გამყიდველს, მოითხოვოს ირაკლისაგან ღვინის საფასურის გადახდა?

მოდულიკაცია:

ირაკლიმ თავის 17 წლის ძმისშვილ ნიკას სთხოვა, ეყიდა 15 ბოთლი ღვინო და გააფრთხილა, რომ თითო ბოთლში 20 ლარზე მეტი არ გადაეხადა. მაღაზიაში აღმოჩნდა, რომ „რქანიტელი“ 25 ლარი ღირს. მიუხედავად ამისა, ნიკამ მაინც იყიდა ღვინო და გამყიდველს ირაკლის ანგარიშზე ჩაენერინა.

შეუძლია თუ არა გამყიდველს, მოითხოვოს ღვინის საფასურის გადახდა ირაკლისაგან ან ნიკასგან?

A. საწყისი კაზუსი – გამყიდველის მოთხოვნა ირაკლისაგან ღვინის საფასურის გადახდის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

გამყიდველს შესაძლოა ჰქონდეს ირაკლისაგან ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა წარმოიშვას, არ იყოს შეწყვეტილი და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა – ნასყიდობის ხელშეკრულება

ეს მოთხოვნა მხარეთა შორის ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობას ეფუძნება. ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაში შედის ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენით – ოფერტითა და აქცეპტით.

1. ოფერტი

ნიკამ გამყიდველის დახლზე დააწყო 25 ლარად ღირებული 15 ბოთლი „რქანითელი“. ამგვარი კონკლუდენტური მოქმედებით გაკეთებულ შეთავაზებაში ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობა იკვეთება. შესაბამისად, სახეზეა ოფერტი.

ა. ირაკლის მიერ?

თუმცა ეს ოფერტი არა უშუალოდ ირაკლის, არამედ ნიკას მიერ განხორციელდა.

ბ. წარმომადგენლობა

სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ნიკას მიერ გამოვლენილი ნება სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ ირაკლისათვის, თუკი ნიკა, სკ-ის 103-ე და შემდგომი მუხლების მიხედვით, არის ირაკლის წარმომადგენელი.

აა. საკუთარი ნების გამოვლენა ნიკას მიერ

ამისათვის საჭიროა, რომ ნიკამ საკუთარი ნება გამოავლინოს და არ იყოს მხოლოდ სხვისი ნების გადამტანი. ამ საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ობიექტური დამკვირვებლის თვალსაწიერი.

შენიშვნა: სწორედ ამგვარად იმიჯნება ერთმანეთისაგან წარმომადგენლობა და ნების გადატანა. წარმომადგენელი საკუთარ ნებას ავლენს, მაშინ, როცა ნების გადამტანი მხოლოდ სხვის ნებას ატყობინებს ადრესატს. ამგვარად, წარმომადგენლობისას ნების ფორმირება წარმომადგენლის პიროვნებაში ხდება (და უფლებებსა და მოვალეობებს მხოლოდ წარმომადგენელი პირისათვის წარმოშობს). ნების გადამტანის ფუნქცია კი მხოლოდ იმ ნების ადრესატამდე მიწოდებაა, რომელიც თავად გარიგების მხარის პიროვნებაში ჩამოყალიბდა. წარმომადგენლობისა და ნების გადატანის გამიჯვნისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ აღიქვამდა ნებას ობიექტური დამკვირვებელი.

მართალია, ნიკას ირაკლიმ სთხოვა, განსაზღვრული ღვინის განსაზღვრული რაოდენობა ეყიდა, მაგრამ ნიკამ გამყიდველს განუცხადა, რომ ბოთლები მისი მეგობრისათვის „ამოარჩია“. ამდენად, ობიექტური დამკვირვებელი ამ მოცემულობიდან დაასკვნის, რომ ნიკამ, და არა ირაკლიმ, მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, თუ რომელი ბოთლები მიეტანა დახლამდე. შესაბამისად, ნიკამ საკუთარი ნება გამოავლინა.

ბბ. მოქმედება სხვისი სახელით

გარდა ამისა, სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ნიკას უნდა ემოქმედა სხვისი (წარმომადგენლის) სახელით. ნიკამ გამყიდველს განუცხადა, რომ ღვინო ირაკლისთვის ამოარჩია და საფასურიც მის ანგარიშზე ჩაენერა. ამდენად, გამყიდველისათვის ნათელი იყო, რომ გარიგება არა ნიკას, არამედ ირაკლის სახელით იდებოდა.

გგ. უფლებამოსილების ფარგლებში

სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, ამის გარდა, მოითხოვს, რომ წარმომადგენელი უფლებამოსილების ფარგლებში დებდეს გარიგებას.

შენიშვნა: სკ-ის 103-ე მუხლის თანახმად, წარმომადგენლის უფლებამოსილება შეიძლება გამომდინარეობდეს კანონიდან, ან წარმოიშვას დავალების (მინდობილობის) საფუძველზე. კანონის საფუძველზე წარმომადგენლის უფლებამოსილების მინიჭების მაგალითებია: სკ-ის 35-ე მუხლი, 1293-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. გარიგების საფუძველზე მინიჭებულ წარმომადგენლობით უფლებამოსილებას სკ-ის 107-ე მუხლი *რწმუნებულებას* უწოდებს და მისი მინიჭების წესს ადგენს.

(1) რწმუნებულება

ამ შემთხვევაში სახეზე არაა კანონისმიერი წარმომადგენლობა. ამიტომ გასარკვევია, აქვს თუ არა ნიკას წარმომადგენლობითი უფლებამოსილება (რწმუნებულება) გარიგების საფუძველზე. სკ-ის 107-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, უფლებამოსილების (რწმუნებულების) მიცემა ხდება რწმუნებულის ან იმ მესამე პირის მიმართ ნების გამოვლენით, რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა.

წარმოდგენილ შემთხვევაში, ცხადადაა სახეზე სკ-ის 107-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი ალტერნატივა, რამდენადაც ირაკლიმ ნიკას (რწმუნებულს) დაავალა ღვინის ყიდვა.

(2) მოქმედება რწმუნებულების ფარგლებში

გარდა ამისა, სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, წარმომადგენელი მისთვის მიცემული უფლებამოსილების (რწმუნებულების) ფარგლებში უნდა მოქმედებდეს. ირაკლიმ ნიკას განუსაზღვრა საყიდელი ღვინის სახეობა და რაოდენობა, ხოლო ფასი არ უხსენებია. ნიკამ ირაკლისთვის სასურველი ღვინო მის მიერვე განსაზღვრული რაოდენობით შეიძინა. რადგან ირაკლის ნიკასთვის მაქსიმალური ფასი არ განუსაზღვრავს, მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს იმ ფაქტს, რომ შეძენილი ღვინის ფასმა ირაკლის მოლოდინი არ გაამართლა. ამდენად, ნიკა მოქმედებდა რწმუნებულების ფარგლებში.

შუალედური დასკვნა: ნიკამ გასცა ოფერტი, რომელიც, სკ-ის 104-ე მუხლის თანახმად, სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს ირაკლისათვის.

2. აქცეპტი

გამყიდველი დასთანხმდა ნიკას ოფერტს და თანხა ირაკლის ანგარიშზე ჩანერა. ამდენად, გამყიდველის აქცეპტიც სახეზეა.

A. გამყიდველის მოთხოვნა ირაკლის მიმართ ფასის გადახდის თაობაზე

I. ნასყიდობის ხელშეკრულება (+)

- ოფერტი (+)
 - ირაკლის მიერ (-)
 - წარმომადგენლობა ნიკას მიერ (+)
 - საკუთარი ნების გამოვლენა (+)
 - მოქმედება სხვისი სახელით (+)
 - უფლებამოსილების სფეროში (+)
 - აქცეპტი (+)

შედეგი: გამყიდველის მოთხოვნა ირაკლის მიმართ, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე (+)

შუალედური დასკვნა: ირაკლისა და გამყიდველს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, სკ-ის 477-ე მუხლის საფუძველზე.

II. მოთხოვნის შეწყვეტა და განხორციელება

კაზუსის ფაბულიდან არ იკვეთება მოთხოვნის შეწყვეტის ან განუხორციელებლობის გარემოებები, შესაბამისად, მოთხოვნა არსებობს და განხორციელებადია.

საბოლოო შედეგი: გამყიდველს შეუძლია, მოითხოვოს ირაკლისაგან ღვის ფასის გადახდა, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

B. მოდიფიკაცია – გამყიდველის მოთხოვნა ირაკლის მიმართ ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე

გამყიდველს შესაძლოა ჰქონდეს ირაკლისაგან ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა წარმოიშვას, არ იყოს შეწყვეტილი და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა – ნასყიდობის ხელშეკრულება

ეს მოთხოვნა მხარეთა შორის ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობას ეფუძნება. ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაში შედის ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენით – ოფერტითა და აქცეპტით.

1. ოფერტი და აქცეპტი

ნიკამ გამყიდველის დახლზე დაანყო 25 ლარად ღირებული 15 ბოთლი „რქანითელი“. ამგვარი კონკლუდენტური მოქმედებით გაკეთებულ შეთავაზებაში ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობა იკვეთება. გამყიდველი დასთანხმდა ნიკას და თანხა ირაკლის ანგარიშზე ჩაწერა. ამდენად, შინაარსობრივად ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა სახეზეა.

2. ირაკლის მიერ?

თუმცა ეს ოფერტი არა უშუალოდ ირაკლის, არამედ ნიკას მიერ განხორციელდა.

3. წარმომადგენლობა

სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ნიკას მიერ გამოვლენილი ნება სამართლებრივ შედეგებს შესაძლოა წარმოშობდეს მხოლოდ ირაკლისათვის, თუკი ნიკა სკ-ის 103-ე და შემდგომი მუხლების მიხედვით არის ირაკლის წარმომადგენელი.

ა. საკუთარი ნების გამოვლენა ნიკას მიერ

ამისათვის საჭიროა, რომ ნიკამ საკუთარი ნება გამოავლინოს და არ იყოს მხოლოდ სხვისი ნების გადამტანი. ამ საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ობიექტური დამკვირვებლის თვალსაზრისი. ნიკამ გამყიდველს განუცხადა, რომ ბოთლები მისი მეგობრისათვის „ამოარჩია“. ამდენად, ობიექტური დამკვირვებელი ამ მოცემულობიდან დაასკვნის, რომ ნიკამ, და არა ირაკლიმ, მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, თუ რომელი ბოთლები მიეტანა დახლამდე. შესაბამისად, ნიკამ საკუთარი ნება გამოავლინა.

ბ. მოქმედება წარმოდგენილის სახელით

გარდა ამისა, სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ნიკას უნდა ემოქმედა წარმოდგენილის სახელით. ნიკამ გამყიდველს განუცხადა, რომ ღვინო ირაკლისთვის ამოარჩია და საფასურიც მის ანგარიშზე ჩაენერა. ამდენად, გამყიდველისათვის ნათელი იყო, რომ გარიგება არა ნიკას, არამედ ირაკლის სახელით იდებოდა.

გ. შეზღუდულქმედუნარიანი წარმომადგენელი

პრობლემური შეიძლება იყოს ნიკას შეზღუდული ქმედუნარიანობა. ნიკა 17 წლისაა და, სკ-ის მე-14 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა. თუმცა, სკ-ის 105-ე მუხლის მიხედვით, დადებულ გარიგებას ხელს არ უშლის წარმომადგენლის შეზღუდული ქმედუნარიანობა. ამდენად, ნიკას შეზღუდული ქმედუნარიანობა არ აფერხებს მის მიერ გამოვლენილი ოფერტის ნამდვილობას.

შენიშვნა: სკ-ის მე-14 და შემდგომი მუხლებით არასრულწლოვნებისათვის დანესებული შეზღუდვების მიზანი მათ მიერ გამოვლენილი ნების არასასურველი შედეგებისაგან მათივე დაცვაა. წარმომადგენლობის შემთხვევაში კი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე წარმომადგენლის მიერ გამოვლენილი

ნება სამართლებრივ შედეგებს იწვევს არა მისთვის, არამედ წარმოდგენილი პირისათვის.⁵⁷

ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისი, როცა წარმომადგენელი თავისი ქმედების გამო აგებს პასუხს, მონესრიგებულია სკ-ის 113-ე მუხლში. თუმცა 113-ე მუხლის მე-3 ნაწილი ასეთი პასუხისმგებლობისაგანაც თავისუფლებს არასრულწლოვანს.

დ. უფლებამოსილების ფარგლებში

სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, ამის გარდა, მოითხოვს, რომ წარმომადგენელი უფლებამოსილების ფარგლებში დებდეს გარიგებას.

აა. რწმუნებულება

ამ შემთხვევაში სახეზე არაა კანონისმიერი წარმომადგენლობა. ამიტომ გასარკვევია, აქვს თუ არა ნიკას წარმომადგენლობითი უფლებამოსილება (რწმუნებულება) გარიგების საფუძველზე. სკ-ის 107-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, უფლებამოსილების (რწმუნებულების) მიცემა ხდება რწმუნებულის ან იმ მესამე პირის მიმართ ნების გამოვლენით, რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა. ირაკლიმ ნიკას დაავალა 15 ბოთლი „რქანითელის“ ყიდვა, მაქსიმუმ 25 ლარად თითო ბოთლი.

ბბ. რწმუნებულების ნამდვილობა

საკითხავია, რამდენადაა ირაკლის მიერ გაცემული რწმუნებულება ნამდვილი.

(1) ნების მისვლა

რწმუნებულების გაცემა მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა, ასე რომ, მისი ნამდვილობისათვის, სკ-ის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საჭიროა, გაცხადებული ნება მის ადრესატს მიუვიდეს. ამ შემთხვევაში, საქმე ეხება თანმყოფ პირებს. თანმყოფი პირის მიმართ გაცხადებული ნება მისულია, როცა ადრესატი მას გააცნობიერებს. ნიკამ ირაკლის მიერ გაცხადებული ნება რწმუნებულების შესახებ გააცნობიერა, შესაბამისად, ზოგადი ნორმების თანახმად, ნება მისულად უნდა ჩაითვალოს.

⁵⁷ ჟანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 431.

(2) ნიკას შეზღუდული ქმედუნარიანობა

საკითხავია, ხომ არ ცვლის ვითარებას ის ფაქტი, რომ ნიკა არასრულწლოვანია. იგი 17 წლისაა და სკ-ის მე-14 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, შეზღუდულქმედუნარიანად ითვლება. შეზღუდული ქმედუნარიანი ადრესატის მიმართ გამოვლენილი ნება ნამდვილია, როცა იგი მის კანონიერ წარმომადგენელს მიუფა. ამ შემთხვევაში, კანონიერ წარმომადგენელთან ნების მისვლა არ მომხდარა.

ნების გამოვლენა შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიმართ

სკ-ის 63-ე მუხლში საუბარია არასრულწლოვნის მიერ დადებულ ხელშეკრულებაზე, რომელსაც ნამდვილად აქცევს მშობლის წინასწარი თანხმობა ან შემდგომი მოწონება. სკ-ის 66-ე მუხლი კი ეხება არასრულწლოვნის მიერ დადებულ ცალმხრივ გარიგებას, რომელიც ბათილია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე. თუმცა სკ ცალკე ნორმას არ შეიცავს იმ შემთხვევის მოსაწესრიგებლად, როცა შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი არა ნების გამოვლენი, არამედ ნების გამოვლენის ადრესატია.

ასეთ შემთხვევებში, ერთი მხრივ, არსებობს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის სამართლებრივი დაცვის ინტერესი. კერძოდ, გაუმართლებელი იქნება, მისთვის არასასურველი სამართლებრივი შედეგები წარმოიშვას მაშინ, როცა გარიგებისა და მისი შედეგების არსებობის შესახებ კანონიერმა წარმომადგენელმა არ იცის. ამიტომ არასრულწლოვნის მიმართ გამოვლენილი მიღებასავალდებულო ნების ნამდვილობისათვის აუცილებელი პირობა უნდა იყოს კანონიერი წარმომადგენლის მიერ ამ ნების შინაარსის გაცნობიერება (ან, სულ მცირე, კანონიერი წარმომადგენლისათვის გაცნობიერების შესაძლებლობის მიცემა). არასრულწლოვნის ასეთი დაცვის აუცილებლობა არ არსებობს მაშინ, როცა იგი მის მიმართ დადებული ცალმხრივი გარიგებით მხოლოდ სარგებელს იღებს (შდრ. სკ-ის 63-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

მეორე მხრივ, სამართლებრივ დაცვას საჭიროებს თავად ნების გამოვლენიც. კერძოდ, არ იქნება გამართლებული კანონიერი წარმომადგენლის თანხმობისა და მოწონების ინსტიტუტის გაუაზრებლად გავრცელება შეზღუდულქმედუნარიანი პირის მიმართ ნების გამოვლენის შემთხვევებში. თანხმობა და მოწონება თავის თავში გულისხმობს კანონიერი წარმომადგენლის ნეგატიურ უფლებას, არ დასთანხმდეს გარიგების ნამდვილობას. ეს კი ნების გამოვლენის ადრესატის კანონიერ წარმომადგენელს უფლებას მისცემდა, უარი ეთქვა ნების მიღებაზე, რაც, თავისთავად, აზრს დაუკარგავდა ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის არსს და გაუმართლებლად

შეზღუდავდა ნების გამომვლენს. მაგალითად, მას, ფაქტობრივად, კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისასაც კი, წაერთმეოდა საშუალება, მოეშალა შეზღუდულქმედუნარიანთან დადებული ხელშეკრულება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე.

გარდა ამისა, მოწონებისა და თანხმობის ინსტიტუტის არსიც წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი პირის ნების ნამდვილად ქცევაა და არა მესამე პირების ნებისა. ქმედუნარიანი პირის მიერ გამოვლენილი ნება არ შეიძლება დაექვემდებაროს ამ ვაგებით მოწონებას ან თანხმობას.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, გაზიარებულ იქნეს გერმანული კანონმდებლობის მიდგომა,⁵⁸ რომლის მიხედვითაც, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიმართ გამოვლენილი ნება ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი **კანონიერ წარმომადგენელს მიუვა**, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი მხოლოდ სარგებელს იღებს.

თუმცა ნების მისვლა კანონიერ წარმომადგენელთან შეიძლება ზედმეტი იყოს, თუკი გამოვლენილი ნება ნიკასთვის მხოლოდ სარგებლის მომტანია. ამდენად, საკითხავია, იღებს თუ არა ნიკა მისთვის მიცემული წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მხოლოდ სარგებელს.

სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგებით სამართლებრივი შედეგები წარმოეშობა არა წარმომადგენელს, არამედ მის მიერ წარმოდგენილ პირს. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭებით არასრულწლოვანს ეძლევა უფლება, საკუთარი ქმედებით სხვისი უფლებები და მოვალეობები წარმოშვას. ეს კი აფართოებს მის სამართლებრივი მოქმედების არეს. მაშინაც კი, როცა არასრულწლოვანი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე მოქმედებს, სკ-ის 113-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე, იგი პასუხს არ აგებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოქმედებდა თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. ამდენად, არასრულწლოვნის პასუხისმგებლობის საფრთხე წარმომადგენლობისას, ფაქტობრივად, არ არსებობს და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება უნდა ჩაითვალოს არასრულწლოვნისათვის მხოლოდ სარგებლის მომტან გარიგებად.

აქედან გამომდინარე, რწმუნებულების ნამდვილობისათვის საჭირო არ იყო წარმომადგენელთან მისვლა. ამდენად, ნიკაზე გაცემული რწმუნებულება ნამდვილია.

⁵⁸ იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 131-ე პარაგრაფი.

გგ. მოქმედება რწმუნებულების ფარგლებში

საკითხავია, მოქმედებდა თუ არა ნიკა მისთვის მიცემული რწმუნებულების ფარგლებში, სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად. ირაკლიმ ნიკას განუსაზღვრა მაქსიმალური ფასი – 20 ლარი თითო ბოთლი ღვინისათვის. მიუხედავად ამისა, ნიკამ ღვინის თითო ბოთლში 25 ლარი გადაიხადა. შესაბამისად, იგი მოქმედებდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე.

ე. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებული გარიგების სამართლებრივი შედეგი

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით დადებული გარიგების ნამდვილობა, სკ-ის 111-ე მუხლის თანახმად, დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე. თანხმობაში აქ შემდგომი მონონება უნდა ვიგულისხმოთ. ამგვარ მონონებაზე ირაკლიმ უარი განაცხადა. ამდენად, ირაკლისა და გამყიდველს შორის ნამდვილი ხელშეკრულება არ დადებულა.

საბოლოო შედეგი: გამყიდველს არ აქვს ირაკლისაგან ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

ბ. გამყიდველის მოთხოვნა ირაკლის მიმართ ფასის გადახდის თაობაზე

ი. ნასყიდობის ხელშეკრულება (+)

- ოფერტი (+)
- ირაკლის მიერ (-)
- წარმომადგენლობა (-)
 - საკუთარი ნების გამოვლენა (+)
 - სხვისი სახელით (+)
 - უფლებამოსილების ფარგლებში (-)
 - არასრულწლოვანზე გაცემული რწმუნებულების ნამდვილობა (+)
 - რწმუნებულების ფარგლებში (-)
 - წარმომადგენლის მონონება (-)

შედეგი: გამყიდველის მოთხოვნა ირაკლის მიმართ, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე (-)

ც. მოდიფიკაცია – გამყიდველის მოთხოვნა ნიკას მიმართ ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე

გამყიდველს შესაძლოა, ჰქონდეს ნიკასაგან ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა წარმოიშვას, არ იყოს შეწყვეტილი და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა – ნასყიდობის ხელშეკრულება

ამისათვის საჭიროა, მხარეთა შორის დადებული იყოს ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება. ნიკამ, მართალია, გამყიდველს შესთავაზა ოფერტი ნასყიდობის ხელშეკრულების თაობაზე, მაგრამ მოქმედებდა სხვისი სახელით (იხ. ზემოთ, B, I, 1, 2). ამდენად, სახეზე არაა ნიკას ოფერტი, რომელიც უშუალოდ მისთვის წარმოშობდა სამართლებრივ შედეგებს.

შედეგი: გამყიდველს არ აქვს ნიკასგან ფასის გადახდის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

D. მოდიფიკაცია – გამყიდველის მოთხოვნა ნიკას მიმართ ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე, სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან და 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე

გამყიდველს შესაძლოა, ჰქონდეს ნიკას მიმართ ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან და სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა წარმოიშვას, არ იყოს შეწყვეტილი და იყოს განხორციელებადი.

II. მოთხოვნის წარმოშობა

ამ მოთხოვნის წარმოშობისათვის, სულ მცირე, საჭიროა, სახეზე იყოს 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილის წინაპირობები, კერძოდ, მოქმედება წარმომადგენლის უფლებამოსილების გარეშე, წარმოდგენილი პირის უარი მონონებაზე და პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობა.

1. მოქმედება წარმომადგენლის უფლებამოსილების გარეშე

ნიკა მოქმედებდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე (იხ. ზემოთ, B, I, 3, დ, გგ.).

2. წარმოდგენილი პირის მოწონების არარსებობა

წარმოდგენილმა პირმა, ირაკლიმ, უარი თქვა ნიკას მიერ დადებული ხელშეკრულების მოწონებაზე (იხ. ზემოთ, B, I, 3, ე.).

3. პასუხისმგებლობის გამორიცხვა

სკ-ის 113-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, წარმომადგენელი პასუხს არ აგებს, როცა ქმედუნარიანობა შეზღუდული ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი მოქმედებდა თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

ნიკა, სკ-ის მე-14 მუხლის მიხედვით, არის შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე. კაზუსის ფაბულიდან არ იკვეთება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა ნიკას მოქმედებაზე. ამდენად, სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაწესებული პასუხისმგებლობა გამოირიცხება ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე.

შედეგი: გამყიდველს არ აქვს ნიკასგან ფასის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან და 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

D. გამყიდველის მოთხოვნა ნიკას მიმართ ფასის გადახდის თაობაზე

I. მოქმედება უფლებამოსილების გარეშე (+)

II. წარმომადგენლის მოწონების არარსებობა (+)

III. პასუხისმგებლობის გამორიცხვა (+)

შედეგი: გამყიდველის მოთხოვნა ნიკას მიმართ სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან და 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე (-)

სამახსოვრო!

- წარმომადგენელი გარიგების დადებისას ავლენს საკუთარ ნებას, მოქმედებს წარმოდგენილი პირის სახელით და მის მიერ მიცემული უფლებამოსილების ფარგლებში. წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ წარმოდგენილი პირისათვის.
- შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიმართ გამოვლენილი ნება ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი კანონიერ წარმომადგენელს მიუვა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი მხოლოდ სარგებელს იღებს.

სქემა: წარმომადგენლობა (სკ-ის 103-ე და შემდგომი მუხლები)

1. ხელშეკრულების მხარეს, რომლისთვისაც სამართლებრივი შედეგები უნდა წარმოიშვას, თავად უშუალოდ არ გამოუვლენია საკუთარი ნება.
2. წარმომადგენელმა უნდა გამოავლინოს საკუთარი ნება:
 - გამიჯვნა ნების გადატანისაგან – ნების გადამტანს მხოლოდ სხვისი ნება გადააქვს, ხოლო წარმომადგენლის შემთხვევაში ნების ჩამოყალიბება წარმომადგენლის პიროვნებაში ხდება.
3. წარმომადგენელი გარიგებას დებს წარმოდგენილის სახელით:
 - მხედველობაში უნდა მივიღოთ ობიექტური დამკვირვებლის კრიტერიუმი: არის თუ არა ობიექტური დამკვირვებლისათვის ნათლად აღქმადი, რომ წარმომადგენელი სხვისი სახელით მოქმედებს.
4. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში:
 - არსებობს თუ არა წარმომადგენლის უფლებამოსილება?
 - კანონის საფუძველზე
 - გარიგების საფუძველზე (რწმუნებულება)
 - წარმომადგენელი მოქმედებდა უფლებამოსილების ფარგლებში?
 - წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვა, სკ-ის 114-ე მუხლით (საკუთარ თავთან დადებული გარიგება)
 - წარმომადგენლის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და მისი შედეგები
5. თუკი წარმომადგენელი წარმომადგენლის უფლებამოსილების გარეშე მოქმედებდა:
 - წარმომადგენლის უფლებამოსილების გარეშე მოქმედების სამართლებრივი შედეგები, სკ-ის 111-113-ე მუხლები.

კაზუსი 22. საქორწილო ძორძი

(წარმომადგენლობაზე მითითების პრინციპი; გამონაკლისი წარმომადგენლობაზე მითითების პრინციპიდან)

ნინოს აქვს ქორწილი. მან თავის უახლოეს მეგობარს, თათიას, სთხოვა, რომ ტორტზე ეზრუნა. თათიამ თბილისის საუკეთესო საკონდიტროში შეიძინა ტორტი, თავისი გემოვნებით. კონდიტერი და თათია თანხის მოგვიანებით, ორი კვირაში, გადახდაზე შეთანხმდნენ.

როცა თათიამ სამი კვირის შემდეგ კიდევ ერთხელ შეიარა იმავე საკონდიტროში ნამცხვრის საყიდლად, კონდიტერმა მას ტორტის საფასურის გადახდის შესახებ გაახსენა. თუმცა თათიამ უარი უთხრა გადახდაზე, რადგან ტორტი რეალურად ნინომ შეიძინა. ბოლოს და ბოლოს ქორწილი ხომ ნინოს ჰქონდა!

შეუძლია თუ არა კონდიტერს, მოითხოვოს თათიასგან ტორტის საფასურის გადახდა?

A. კონდიტერის მოთხოვნა თათიასაგან ტორტის საფასურის გადახდის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე

კონდიტერს შესაძლოა, ჰქონდეს თათიასაგან ტორტის საფასურის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა წარმოიშვას, არ იყოს შეწყვეტილი და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა – ნასყიდობის ხელშეკრულება

ეს მოთხოვნა მხარეთა შორის ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობას ეფუძნება. ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაში შედის ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენით – ოფერტითა და აქცეპტით.

1. ოფერტი და აქცეპტი

კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, საკამათო არაა, რომ მხარეები ნასყიდობის ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე ურთიერთმფარავი ნებით შეთანხმდნენ, მათ შორის ფასის გადახდის დროსთან დაკავშირებითაც.

2. ხელშეკრულების მხარე, წარმომადგენელი

საკითხავია, არის თუ არა თათია ხელშეკრულების მხარე. იმ შემთხვევაში, თუ თათია ნინოს წარმომადგენელია, სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დადებული გარიგება უფლებებსა და მოვალეობებს მხოლოდ ნინოსთვის წარმოშობს. ამდენად, გასარკვევია, ჩაითვლება თუ არა ამ შემთხვევაში თათია ნინოს წარმომადგენლად.

ა. საკუთარი ნების გამოვლენა თათიას მიერ

ამისათვის საჭიროა, რომ თათიამ საკუთარი ნება გამოავლინოს და არ იყოს მხოლოდ სხვისი ნების გადამტანი. ამ საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ობიექტური დამკვირვებლის თვალსაწიერი. ჩვენს შემთხვევაში, თათიამ ტორტი თავისი გემოვნებით შეარჩია. ტორტის შერჩევის პროცესი ყოველ ობიექტურ დამკვირვებელს ეჭვგარეშე აფიქრებინებდა, რომ სწორედ თათიამ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, თუ რომელი ტორტი შეეძინა. ამდენად, თათიამ საკუთარი ნება გამოავლინა.

ბ. მოქმედება სხვისი სახელით

გარდა ამისა, სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თათიას უნდა ემოქმედა წარმოდგენილი პირის სახელით; კერძოდ, მას უნდა მი-

ეთითებინა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის, თუ ვის წარმოადგენდა იგი.

აა. წარმომადგენლობაზე მითითება

სკ-ის 104-ე მუხლიდან გამომდინარე, წარმომადგენლობაზე მითითების საჭიროება არ გულისხმობს აუცილებლად სიტყვიერ მითითებას. საკმარისია, თუკი შექმნილი ვითარებიდან ცალსახად იკვეთება, რომ ხელშეკრულება სხვა პირის სახელით იდება. ეს საკითხიც ობიექტური დამკვირვებლის თვალსაწიერიდან უნდა შეფასდეს. ამ შემთხვევაში, თათიას ტორტის შექმნისას არანაირი მითითება არ გაუკეთებია ხელშეკრულების რეალურ მხარესთან დაკავშირებით. გარდა ამისა, კაზუსის ფაბულაში არ ჩანს არანაირი გარემოება, რაც გვაფიქრებინებდა, რომ კონდიტერისათვის ცნობილი იყო ნინოს ქორწილის შესახებ. ამდენად, ობიექტური დამკვირვებლის თვალში ნინო სხვისი სახელით არ მოქმედებდა. შესაბამისად, სკ-ის 104-ე მუხლით გათვალისწინებულ წარმომადგენლობაზე მითითების პრინციპი დაცული არაა.

ბბ. გამონაკლისი წარმომადგენლობაზე მითითების პრინციპიდან?

გამონაკლისი წარმომადგენლობაზე მითითების პრინციპიდან

წარმომადგენლობაზე მითითების პრინციპიდან გამონაკლისს აწესებს სკ-ის 104-ე მუხლის მე-3 ნაწილი. კერძოდ, 1-ლი წინადადების თანახმად, თუ გარიგების დადებისას წარმომადგენელი არ მიუთითებს თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე, მაშინ გარიგება მაინც უშუალოდ წარმოდგენილი პირისათვის წარმოშობს შედეგებს, თუკი მეორე მხარეს უნდა ევარაუდა წარმომადგენლობის შესახებ. ეს ის შემთხვევებია, როცა შექმნილი ვითარებიდან, წინარე ცოდნიდან თუ დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ნათელია, რომ პირი სხვისი სახელით დებს გარიგებას.⁵⁹

სკ-ის 104-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, წარმომადგენლობაზე მითითება აგრეთვე საჭირო არაა, როცა მეორე მხარისათვის სულ ერთია, ვისთან დადებს გარიგებას.⁶⁰ ეს ყოველდღიური ცხოვრების ისეთ წვრილმან გარიგებებს ეხება, როცა მხარეები ნაკისრ ვალდებულებებს მაშინვე ასრულებენ.⁶¹

⁵⁹ *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 104, 281.

⁶⁰ *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 432.

⁶¹ *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 429, სქოლიო 605.

მაგალითი: „ა“-მ „ბ“-ს სთხოვა, მისთვის მალაზიაში ეყიდა რომელიმე სახეობის პური. „ბ“ მალაზიაში ყიდულობს პურს, მაგრამ გამყიდველს არაფერს ეუბნება წარმომადგენლობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ წარმომადგენლობაზე მითითების პრინციპი დაცული არაა, ხელშეკრულება მაინც „ა“-სა და გამყიდველს შორის იდება, რადგან ეს ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანი გარიგებაა და მეორე გამყიდველისთვის სულ ერთია, ვინ იქნება ხელშეკრულების მხარე. გარდა ამისა, თავად „ა“-ს ინტერესშია, რომ სწორედ ის იყოს მხარე, რათა, საჭიროების შემთხვევაში, შეძლოს, მაგ., ნივთის ნაკლის გამო წარმოშობილი უფლებების თავად განხორციელება.

საკითხავია, ხომ არაა სახეზე სკ-ის 104-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული გამონაკლისი, რომლის მიხედვითაც, წარმომადგენლობაზე მითითება საჭირო არაა, თუკი მეორე მხარისთვის სულ ერთია, ვისთან დებს ხელშეკრულებას. ეს მაშინ ხდება, როდესაც საქმე ეხება ყოველდღიური ცხოვრების წვრილმან გარიგებას, როცა მხარეები ნაკისრ ვალდებულებებს მაშინვე ასრულებენ. ამ შემთხვევაში, შესაძლოა ტორტის ყიდვა ჩავთვალოთ ყოველდღიური ცხოვრების გარიგებად, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, მხარეებს ნაკისრი ვალდებულებები მაშინვე არ შეუსრულებიათ. პირიქით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ტორტის საფასური ორ კვირაში იქნებოდა გადახდილი. ასეთ დროს მეორე მხარისათვის სულ ერთი არაა, ვისთან დებს გარიგებას; პირიქით, მისი ინტერესია, იცოდეს, თუ ვის უნდა მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება დათქმული ვადის გასვლის შემდეგ. შესაბამისად, საქმე არ გვაქვს სკ-ის 104-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ გამონაკლისთან.

A. კონდიტერის მოთხოვნა თათიასაგან ფასის გადახდის თაობაზე

I. ნასყიდობის ხელშეკრულება (+)

- ოფერტი და აქცეპტი (+)
- თათია – წარმომადგენელი? (-)
 - საკუთარი ნების გამოვლენა (+)
 - მოქმედება სხვისი სახელით (-)
 - მითითება წარმომადგენლობაზე (-)
 - გამონაკლისი, სკ-ის 104, III (-)

შედეგი: კონდიტერის მოთხოვნა თათიასაგან, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე (+)

გგ. შუალედური დასკვნა

თათია არ მოქმედებდა სხვისი სახელით, სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად. ამდენად, იგი ვერ ჩაითვლება ნინოს წარმომადგენლად. შედეგად, მის მიერ დადებულმა გარიგებამ სამართლებრივი შედეგი წარმოშვა არა ნინოსთვის, არამედ, თავად თათიასთვის. ამდენად, ხელშეკრულების მხარეები არიან თათია და კონდიტერი.

3. შედეგი – ხელშეკრულება თათიასა და კონდიტერს შორის

თათიასა და კონდიტერს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება ტორტზე, სკ-ის 477-ე მუხლის მიხედვით. შესაბამისად, მოთხოვნა წარმოიშვა.

II. მოთხოვნის შეწყვეტა და განხორციელება

კაზუსის ფაბულიდან არ იკვეთება მოთხოვნის შეწყვეტის ან განხორციელების შემაფერხებელი გარემოებები. შესაბამისად, მოთხოვნა არსებობს და განხორციელებადია.

III. საბოლოო შედეგი

კონდიტერს შეუძლია, მოითხოვოს თათიასაგან ტორტის საფასურის გადახდა, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

სამახსოვრო!

- იმისათვის, რომ წარმომადგენლის მიერ დადებულმა გარიგებამ სამართლებრივი შედეგი წარმოშვას წარმოდგენილი პირისათვის, წარმომადგენელმა გარიგების მეორე მხარეს უნდა მიუთითოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესახებ (წარმომადგენლობაზე მითითების პრინციპი).
- წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე მითითება საჭირო არაა მაშინ, როცა შექმნილი ვითარებიდან აშკარაა, რომ პირი სხვისი სახელით მოქმედებს და მეორე მხარეს უნდა ევარაუდა წარმომადგენლობა; აგრეთვე, როცა გარიგების მეორე მხარისათვის სულ ერთია, ვისთან დებს გარიგებას (ყოველდღიური წვრილმანი გარიგებები).

დავალება: შეამოწმეთ, რა მოთხოვნა შეიძლება ჰქონდეს თათიას ნინოს მიმართ?

კაზუსი 23. იშვიათი გამოცემები

(აქცეპტის ვადა; ელექტრონული ნების გამოვლენის მისვლა; შუამავლის შეცდომა სკ-ის მე-80 მუხლის მიხედვით; ნების გადამტანის მიერ განზრახ არასწორი შეტყობინება)

საწყისი კაზუსი:

პენსიაში გასულმა ადვოკატმა ლევანმა გადაწყვიტა იშვიათი იურიდიული გამოცემების შეგროვება. ლევანის ახალი გატაცების შესახებ შეიტყო მისმა ნაცნობმა გურამმა, რომელსაც თავისი ბიბლიოგრაფიული იშვიათობების კოლექციის გაყიდვა სურს. გურამმა ლევანს 30 მარტს გაუგზავნა წერილი, რომლითაც სთავაზობდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილისა და თინათინ წერეთლის XX საუკუნის 1-ლი ნახევრის უიშვიათეს გამოცემებს, შესაბამისად, 500 და 400 ლარად. წერილის კონვერტზე გურამმა, ყოველი შემთხვევისათვის, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტაც მიანერა.

ლევანმა, რომელმაც წერილი 1 აპრილს მიიღო, გარკვეული ყოყმანის შემდეგ, 3 აპრილს გადაწყვიტა „ანდრონიკაშვილის“ ყიდვა. რადგან იმავე დღეს ერთი კვირით საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა დასასვენებლად, საჩქაროდ სცადა გურამთან ტელეფონით დაკავშირება, მაგრამ ვერ შეძლო. ამიტომ თავის 21 წლის ძმისშვილ სანდროს სთხოვა, ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიენერა გურამისათვის, რომ თანახმა იყო, „ანდრონიკაშვილი“ შეეძინა 500 ლარად. „კომპიუტერში განაფულმა“ სანდრომ გურამის ელექტრონულ ფოსტაზე იმავე დღეს გაგზავნა შეტყობინება, რომელშიც ეწერა, რომ ლევანი ყიდულობდა „ანდრონიკაშვილს“ 500 ლარად. რამდენიმე წუთის შემდეგ ეს წერილი გურამის ელ. ფოსტის მიღებული შეტყობინებების სიაში აღმოჩნდა.

გურამმა ელ. ფოსტა 13 აპრილს შეამოწმა და ნახა სანდროს შეტყობინება. თუმცა ამასობაში მან გადაიფიქრა თავისი კოლექციის გაყიდვა. ამიტომ გურამმა დაურეკა ლევანს და უთხრა, რომ მისი პასუხი უკვე დაგვიანებულია და წიგნების გაყიდვას აღარ აპირებს. აღშფოთებული ლევანი ანდრონიკაშვილის იშვიათი გამოცემის გადაცემას ითხოვს.

შეუძლია თუ არა ლევანს, მოითხოვოს გურამისაგან ლუარსაბ ანდრონიკაშვილის წიგნის გადაცემა?

მოდიფიკაცია 1:

სანდრომ კარგად ვერ გაიგო ბიძამისის თხოვნა. ელ. ფოსტის წერისას მას აღარ ახსოვდა, რომელი ავტორის წიგნზე და რა თანხაზე იყო საუბარი, ამიტომ ჩაიხედა გურამის წერილში და ამოიკითხა ავტორები *ანდრონიკაშვილი* და *წერეთელი*. გურამთან გაგზავნილ შეტყობინებაშიც მან ეს ორი ავტორი მიუთითა შესაბამის ფასად – 900 ლარად. როცა გურამმა ლევანს ორივე წიგნი გამოუგზავნა და 900 ლარი მოსთხოვა, ლევანმა გურამს განუცხადა, რომ მას მხოლოდ „ანდრონიკაშვილი“ სურდა და თინათინ წერეთლის წიგნის არც მიღებას და არც თანხის გადახდას არ აპირებდა.

შეუძლია თუ არა გურამს, მოითხოვოს ლევანისაგან ან სანდროსგან თინათინ წერეთლის წიგნის საფასურის, 400 ლარის გადახდა?

მოდიფიკაცია 2:

სანდრომ, რომელსაც ბიძამისის „უაზრო ახირებისა“ არ ესმის, გადაწყვიტა, გაეხუმროს მას და გურამს მისწერა, რომ ლევანი ორივე წიგნს ყიდულობდა. როცა გურამმა ლევანს წიგნები მიუტანა, ლევანმა განუცხადა, რომ მას მხოლოდ „ანდრონიკაშვილი“ სურდა.

შეუძლია თუ არა გურამს, მოითხოვოს ლევანისაგან ან სანდროსგან თინათინ წერეთლის წიგნის საფასურის, 400 ლარის გადახდა?

A. სანყისი კაზუსი – ლევანის მოთხოვნა გურამის მიმართ ანდრონიკაშვილის გამოცემის გადაცემის თაობაზე, სკ-ის 447-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად

ლევანს შესაძლოა, ჰქონდეს გურამისაგან ანდრონიკაშვილის წიგნის გადაცემის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა წარმოიშვას, არ შეწყდეს და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა – ნასყიდობის ხელშეკრულება

მოთხოვნის წარმოშობისათვის საჭიროა, ლევანსა და გურამს შორის დადებული იყოს ნასყიდობის ნამდვილი ხელშეკრულება, სკ-ის 477-ე მუხლის შესაბამისად. ნასყიდობის ხელშეკრულება იდება ორი ურთიერთმფარავი ნების – ოფერტისა და აქცეპტის – გამოვლენით.

1. ოფერტი

ოფერტი არის მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, რომელშიც ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობა იმგვარადაა განსაზღვრული, რომ მასზე უპირობო თანხმობა ხელშეკრულებას წარმოშობს.

წარმოდგენილ შემთხვევაში გურამის წერილი შეიცავდა ნასყიდობის ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას: საგანს (წიგნი), ფასს (500 ლარი) და მხარეებს. ეს წერილი მეორე მხარეს – ლევანს მიუვიდა 1 აპრილს, შესაბამისად, გურამის ოფერტი სახეზეა.

2. აქცეპტი

საკითხავია, არის თუ არა სახეზე ასევე ლევანის აქცეპტი. აქცეპტიც მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა, რომლის ნამდვილობაც მეორე მხარესთან მის მისვლაზე დამოკიდებულია. ამ შემთხვევაში განსახილველია, რამდენად წარმოდგენდა გურამისათვის 3 აპრილს გაგზავნილი შეტყობინება ლევანის აქცეპტს. შინაარსობრივად ეს შეტყობინება იყო ოფერტთან თანმხვედრი.

ა. ნების გაცხადება ლევანის მიერ

იქიდან გამომდინარე, რომ შეტყობინება არა უშუალოდ ლევანმა, არამედ სანდრომ გაგზავნა თავისი ანგარიშიდან, საკითხავია, საქმე გვაქვს ლევანის ნების გამოვლენასთან თუ სანდროს ნების გამოვლენასთან?

ბ. სანდრო, როგორც ნების გადამტანი

სანდროს მიერ საკუთარი ნების გამოვლენასთან გვექნებოდა საქმე, ის რომ ლევანის წარმომადგენელი ყოფილიყო, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სანდრომ მხოლოდ სხვისი ნება გადასცა ადრესატს, გამოვლენილი ნება ლევანის ნებად უნდა მივიჩნიოთ.

ამ საკითხის გადასაწყვეტად ობიექტური დამკვირვებლის თვალსაწიერია გასათვალისწინებელი. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ობიექტური დამკვირვებლის აღქმას, თუ რამდენად აქვს ნების უშუალოდ გამცხადებელს გადაწყვეტილებაზე ბატონობის უფლება და შესაძლებლობა.

სანდრომ შეტყობინებაში მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ლევანი „ანდრონიკაშვილს“ ყიდულობდა. ამ შეტყობინებიდან ობიექტური დამკვირვებელი დაასკვნია, რომ სანდრომ მხოლოდ სხვისი ნება მიანოდა ადრესატს და არა საკუთარი გადაწყვეტილება. ამდენად, სანდრო მხოლოდ ლევანის ნების გადამტანია. შესაბამისად, აქცეპტი ლევანმა განაცხადა.

გ. დროული აქცეპტი

თუმცა საკითხავია, იყო თუ არა ეს აქცეპტი დაგვიანებული, სკ-ის 330-ე და შემდგომი მუხლების შესაბამისად.

აა. შესაბამისი ნორმები აქცეპტის დროულობის განსასაზღვრავად

საკითხავია, რომელი ნორმებით უნდა ვიხელმძღვანელოთ აქცეპტის დროულობის განსაზღვრისას.

უპირველესად, მხედველობაშია მისაღები სკ-ის 331-ე მუხლი, რომლის თანახმადაც ოფერენტს შეუძლია, აქცეპტისათვის (სიტყვიერად ან კონკლუდენტურად) განსაზღვროს ვადა და აქცეპტიც სწორედ ამ ვადაში უნდა განხორციელდეს. თუმცა ამ შემთხვევაში ოფერენტს, გურამს, ასეთი ვადა არ განუსაზღვრავს. შესაბამისად, ეს მუხლი ვერ იქნება გამოყენებული.

თუკი აქცეპტის ვადა, სკ-ის 331-ე მუხლის შესაბამისად, განსაზღვრული არაა, აქცეპტის დროულობის დასადგენად საჭირო ხდება სკ-ის 330-ე მუხლით გათვალისწინებული თანმყოფი (1-ლი ნაწილი) და არა-თანმყოფი (მე-2 ნაწილი) პირების მიმართ გაკეთებული ოფერტის გამიჯვნა.

ოფერტი თანმყოფი და არათანმყოფი პირების მიმართ

ოფერტს მბოჭავი ხასიათი აქვს: ოფერტის მეორე მხარესთან მისვლის შემდეგ ოფერენტი ვალდებულია, დაელოდოს მეორე მხარის პასუხს და თანხმობის შემთხვევაში არ შეუძლია, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე იმ მოტივით, რომ მან ამასობაში გადაიფიქრა ხელშეკრულების დადება.⁶² ოფერტის მბოჭავი ხასიათი მეორე მხარის კანონიერ ნდობას იცავს და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას ემსახურება. თუმცა, მეორე მხრივ, ოფერენტის შეუსაბამოდ ხანგრძლივი ვადით შებოჭვა მის ინტერესებსაც არათანაზომიერად შეზღუდავდა და სამოქალაქო ბრუნვასაც გაართულებდა.

ამიტომ სკ აწესებს ვადას, რომლის ფარგლებშიც უნდა გაკეთდეს აქცეპტი. ამ ვადის გასვლის შემდეგ გაკეთებული აქცეპტის შემთხვევაში, ოფერენტი აღარაა შებოჭილი და შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულების დადებაზე – სკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ოფერტზე დაგვიანებით გაკეთებული აქცეპტი მიიჩნევა ახალ ოფერტად, რომელზეც თავდაპირველ ოფერენტს დადებითი ან უარყოფითი პასუხის უფლება რჩება.

სკ-ის 330-ე მუხლი ოფერტზე პასუხისათვის განსხვავებულ ვადებს აწესებს თანმყოფი და არათანმყოფი პირების მიმართ გაკეთებული ოფერტის შემთხვევებში. **არათანმყოფი პირისათვის გაკეთებული ოფერტი**, ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შეიძლება, მხოლოდ იმ დრომდე იქნეს მიღებული, რა დროშიც ოფერტის მიმცემს, ჩვეულებრივ, შეუძლია დაელოდოს პასუხს. ამდენად, ოფერტის მიღების ვადა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში არსებული გარემოებების საფუძველზე გონივრულად უნდა შეფასდეს (ამასთან დაკავშირებით, იხ. აქვე, ქვემოთ, ბბ.).

რაც შეეხება **თანმყოფი პირისთვის გაკეთებულ ოფერტს**, სკ-ის 330-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პასუხი მაშინვე უნდა იქნეს მიღებული. ამასთან, თანმყოფ პირად მიჩნევისათვის გადამწყვეტი არაა პირთა ფიზიკური სიახლოვე; თანმყოფად უნდა ჩაითვალოს ის პირი, რომელთანაც პირისპირ დამყარებულია ინტერაქტიული დიალოგი.⁶³ მაგალითად, ასეთია სატელეფონო საუბარი, ვიდეოკონფერენცია, ანდა ინტერნეტში ე.წ. ჩატიის საშუალებით საუბარი, როდესაც გაგზავნილი ვერბალური თუ ტექსტური შეტყობინების მიღება და გაცნობიერება ადრესატის მიერ იმავე მომენტში ხდება.

⁶² ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 329, 122.

⁶³ იქვე, მუხ. 330, 128.

ამის საპირისპიროდ, არათანმყოფ პირთან გაკეთებულ ოფერტად უნდა ჩაითვალოს, თუნდაც, ფიზიკურად თანმყოფი პირისათვის კონვერტში ჩადებული წერილის პირადად გადაცემაც, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ წერილს ადრესატი მოგვიანებით გაეცნობა; ამავე თვალსაზრისით, სკ-ის 330-ე მუხლის მე-2 ნაწილი უნდა გავრცელდეს ავტომოპასუხის საშუალებით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით გაგზავნილ ოფერტზეც, რადგან ინტერაქტიული პირისპირ საუბარი ასეთ დროს არ ხდება.⁶⁴

გურამის ოფერტი ლევანმა კონვერტში მოთავსებული წერილის სახით მიიღო. ამდენად, ლევანი არათანმყოფ პირად უნდა ჩაითვალოს და აქცეპტის ვადის განსაზღვრისას უნდა ვიხელმძღვანელოთ არა სკ-ის 330-ე მუხლის 1-ლი, არამედ ამავე მუხლის მეორე ნაწილით, რომლის მიხედვითაც ოფერტი შეიძლება მხოლოდ იმ დრომდე იქნეს მიღებული, რა დროშიც ოფერტის მიმცემს, ჩვეულებრივ, შეუძლია დაელოდოს პასუხს.

ბბ. აქცეპტის ვადის გამოთვლა, სკ-ის 330-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით

ამდენად, საკითხავია, ჩვეულებრივ, როდემდე შეიძლება ჰქონოდა გურამს ლევანის პასუხის მოლოდინი. ამ კითხვაზე პასუხისათვის გასათვალისწინებელია (1) ოფერტის შემუშავებისა და ადრესატამდე მიწოდებისთვის საჭირო დრო, (2) ხელშეკრულების ტიპიდან და მოცულობიდან გამომდინარე, მისი გაცნობიერებისა და პასუხის მოფიქრებისათვის საჭირო დრო და (3) საპასუხო შეტყობინების ადრესატამდე მისვლისათვის საჭირო დრო.⁶⁵

მითითება: სკ-ის 330-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიზნებისათვის მნიშვნელოვანი არაა, ფაქტობრივად, რა დრო დასჭირდა ოფერტის ადრესატამდე მისვლას, მასზე პასუხის მოფიქრებასა და საპასუხო შეტყობინების მიწოდებას. გადამწყვეტი აქ არის ოფერენტის თვალსაწიერი: ჩვეულებრივ ვითარებაში, ყველაზე გვიან როდისთვის იყო მის მიერ პასუხის მიღება მოსალოდნელი. თუკი მან პასუხი მისთვის მოსალოდნელ დროში მიიღო, ვადა დაცულად ჩაითვლება.

გურამმა წერილი 30 მარტს გაგზავნა. როგორც წესი, დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე, უბრალო წერილი ადრესატამდე გაგზავნი-

⁶⁴ იქვე, მუხ. 330, 129-130.

⁶⁵ იქვე, მუხ. 330, 132.

დან არაუგვიანეს ორი დღის ფარგლებში აღწევს. ამიტომ ოფერტის მიწოდებისათვის ორი დღე უნდა გავითვალისწინოთ.

საკითხავია, იგივე დრო უნდა მივიღოთ თუ არა მხედველობაში საპასუხო შეტყობინებისათვის. რეალურად ლევანმა ელექტრონული ფოსტით უპასუხა, რაც გაცილებით სწრაფია, ვიდრე წერილი. თუმცა სკ-ის 330-ე მუხლის მე-2 აბზაცისათვის მნიშვნელოვანია მოლოდინი მხოლოდ ოფერტის თვალსაწიერით. რადგან გურამმა ოფერტი უბრალო წერილით გაგზავნა, მას უნდა ჰქონოდა მოლოდინი, რომ საპასუხო შეტყობინებასაც წერილის სახით მიიღებდა. ამდენად, საპასუხო შეტყობინებისთვისაც ორი დღეა გასათვალისწინებელი.

გარდა ამისა, ისეთი ხელშეკრულების დასადებად, რომელიც ასეთი ძვირადღირებული წიგნების შექენას ეხება, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თანაზომიერი მოსაფიქრებელი ვადა. ხელშეკრულების ფასიდან გამომდინარე, ეს ორი დღე მაინც უნდა ყოფილიყო.

ამდენად, საბოლოოდ, ვადა წერილის გაგზავნიდან (30 მარტი) 6 დღით უნდა განისაზღვროს. სკ-ის 122-ე მუხლისა და სკ-ის 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ეს ვადა 5 აპრილს, დღის ბოლოს გავიდოდა.

გგ. აქცეპტის ვადის დაცულობა

ვინაიდან აქცეპტი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა, აქცეპტის ვადის დაცულობისათვის საჭიროა, რომ იგი ოფერენტს მიუვიდეს ვადის ფარგლებში, ე.ი. 5 აპრილამდე. მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა მისულად ითვლება, როდესაც იგი ადრესატის ძალაუფლების სფეროში მოხვდება და ადრესატის მიერ მისი შინაარსის გაცნობა მოსალოდნელია.

სანდრომ ელ. ფოსტა 3 აპრილს გაგზავნა. ამავე დღეს შეტყობინება გურამის ელ. ფოსტის მიღებულ შეტყობინებათა სიას დაემატა. მიღებული შეტყობინებების სია, ე. წ. „ინბოქსი“, არის ანგარიშის მფლობელის ძალაუფლების სფერო.

საკითხავია, როდის იყო გურამის მიერ შეტყობინების წაკითხვა მოსალოდნელი. საქართველოში ელექტრონული ფოსტა საკმაოდ აქტიურად გამოიყენება საკომუნიკაციოდ. მართალია, გარკვეულ წრეებში იგი ჯერ კიდევ არაა პოპულარული, მაგრამ ვინც თავის საკონტაქტო ინფორმაციაში ელექტრონულ ფოსტასაც უთითებს, როგორც წესი, მიღებულ შეტყობინებებსაც რეგულარულად უნდა ამოწმებდეს. რეგულარული შემოწმება კი, როგორც წესი, დღეში ერთხელ ან, სულ მცირე, ორ დღეში ერთხელ შემოწმებას მაინც გულისხმობს. გურამმა ლევანისთვის გაგზავნილ კონ-

ვერტს ელ. ფოსტის მისამართიც მიაწერა, ამდენად, მოსალოდნელი იყო, რომ იგი მიღებულ წერილს იმავე დღეს თუ არა, 5 აპრილის დღის ბოლომდე მაინც გაეცნობოდა.

შესაბამისად, აქცეპტი მისულია ვადის დაცვით.

შუალედური დასკვნა: ლევანსა და გურამს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება. მოთხოვნა წარმოიშვა.

II. მოთხოვნის შეწყვეტა და განხორციელება

მოთხოვნის შეწყვეტის ან განხორციელების შემაფერხებელი გარემოებები კაზუსის ფაბულიდან არ იკვეთება. შესაბამისად, მოთხოვნა არსებობს და განხორციელებადია.

III. შედეგი

ლევანსა და გურამს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება. ლევანს აქვს გურამისაგან ლუარსაბ ანდრონიკაშვილის იშვიათი გამოცემის გადაცემის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე.

<p>A. ლევანის მოთხოვნა გურამისაგან ნივთის გადაცემის თაობაზე</p> <p>I. ნასყიდობის ხელშეკრულება (+)</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ოფერტი (+) ➤ აქცეპტი (+) <ul style="list-style-type: none"> ○ უშუალოდ ლევანის მიერ (-) ○ სანდროს საშუალებით (ნების გადამტანი) (+) ○ დროული აქცეპტი (+) <p>შედეგი: ლევანის მოთხოვნა გურამის მიმართ, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე (+)</p>
--

B. მოდიფიკაცია 1 – გურამის მოთხოვნა ლევანისაგან ფასის გადახდის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე

გურამს შესაძლოა, ჰქონდეს ლევანისაგან თინათინ წერეთლის წიგნის საფასურის გადახდის მოთხოვნის უფლება 400 ლარის ოდენობით, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა წარმოიშვას, არ შეწყდეს და იყოს განხორციელებადი.

1. მოთხოვნის წარმოშობა – ნასყიდობის ხელშეკრულება

მოთხოვნის წარმოშობისათვის საჭიროა, მხარეთა შორის დადებული იყოს ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება. ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაში შედის ურთიერთმფარავი ოფერტითა და აქცეპტით.

1. ოფერტი

გურამის ოფერტი სახეზეა, რამდენადაც მან წერილი გაუგზავნა ლევანს, რომელშიც სთავაზობდა თინათინ წერეთლის წიგნს 400 ლარად.

2. აქცეპტი

საკითხავია, სახეზეა თუ არა ლევანის აქცეპტი.

ა. ლევანის ნების გაცხადება

ლევანმა სანდროს სთხოვა, მიეწერა გურამისათვის. თავად ლევანი უშუალოდ არ დაკავშირებია გურამს. ასე რომ, უშუალოდ ლევანს ნება არ განუცხადებია.

ბ. სანდროს მიერ გაცხადებული ნების შერაცხვა

სანდრომ, როგორც ნების გადამტანმა, გურამს მისწერა, რომ ლევანი ყიდულობდა წერეთლის წიგნს. საკითხავია, სანდროს, როგორც ნების გადამტანის, მიერ (შეცდომით) გაცხადებული ეს ნება შეერაცხება თუ არა ლევანს, როგორც საკუთარი ნება.

სკ-ის მე-80 მუხლი ადგენს, რომ შუამავლის მიერ დაშვებული შეცდომით გამოვლენილი ნება შესაძლოა, საცილო გახდეს. რადგან საცილო გარიგება ითვლება ნამდვილად, სანამ შეცილება არ მოხდება და შეცილების უფლება მხოლოდ ნების გამომვლენს აქვს, მე-80 მუხლიდან არაპირდაპირ გამომდინარეობს, რომ შუამავლის მიერ დაშვებული შეცდომით დადებული გარიგება ნების გამომვლენს შეერაცხება, როგორც საკუთარი.

ამდენად, სახეზეა ლევანის ნების გამოვლენა – აქცეპტი.

3. შუალედური დასკვნა – ნასყიდობის ხელშეკრულება

ლევანსა და გურამს შორის თავდაპირველად ძალაში შევიდა ნასყიდობის ხელშეკრულება თინათინ წერეთლის წიგნზე 400 ლარად.

II. ხელშეკრულების გათილობა შეცილების გამო

ეს ხელშეკრულება შესაძლოა, ბათილი იყოს მისი დადების მომენტიდან, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე. ამისათვის საჭიროა, რომ ლევანს ხელშეკრულების დადებისაკენ მიმართული თავისი ნების გამოვლენა საცილოდ გაეხადა კანონით გათვალისწინებული საფუძველით.

1. შეცილების საფუძველი

სკ-ის მე-80 მუხლის მიხედვით, ნების გამოვლენა, რომელიც არასწორად იქნა შეტყობინებული შუამავლად გამოყენებული პირის მიერ, შეიძლება საცილო გახდეს იმავე პირობებით, როგორც სკ-ის 73-ე მუხლის მიხედვით შეცდომით დადებული გარიგება.

ამ შემთხვევაში ლევანის ნება სანდრომ ადრესატს შეატყობინა შეცდომით. ლევანს არ სურდა იმ ნების გამოვლენა, რომელიც მისმა ნების გადამტანმა განაცხადა. ეს არის ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომა და, სკ-ის 73-ე მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით, ითვლება არსებით შეცდომად, რომელიც, სკ-ის 72-ე მუხლის მიხედვით, იძლევა შეცილების უფლებას.

2. შეცილების განცხადება ვადის დაცვით

გარდა ამისა, შეცილების ნამდვილობისათვის, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საჭიროა, რომ შემცილებელმა მეორე მხარეს მიუთითოს შეცილებაზე და დაიცვას ამისთვის განსაზღვრული ვადა. ლევანმა გურამს განუცხადა, რომ არ სურდა წერეთლის წიგნის ყიდვა, რადგან მას თავიდანვე არ ჰქონდა ამ გარიგების დადების ნება. ამდენად, შეცილების განცხადება სახეზეა.

შეცდომით დადებული გარიგების შეცილების ვადა, სკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად,

B. გურამის მოთხოვნა ლევანისაგან ფასის გადახდის თაობაზე

I. ნასყიდობის ხელშეკრულება (+)

- ოფერტი (+)
- აქცეპტი (+)
 - უშუალოდ ლევანის მიერ (-)
 - სანდროს საშუალებით (ნების გადამტანი) (+)
 - სანდროს შეცდომის შერაცხვა ლევანისათვის (+)

I. ბათილობა შეცილების გამო (+)

- საფუძველი, სკ-ის 80, 73, 72 (+)
- შეცილების განცხადება ვადის დაცვით (+)

შედეგი: გურამის მოთხოვნა ლევანის მიმართ, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე (-)

ერთი თვეა. ლევანმა გარიგება საცილო გახადა, როგორც კი მან შუამავლის მიერ დაშვებული შეცდომის შესახებ შეიტყო. ამდენად, შეცილება ვადის დაცვით მოხდა.

3. შედეგი – ხელშეკრულების ბათილობა

ლევანმა სკ-ის 72-ე მუხლის, 73-ე მუხლის „ა“ პუნქტისა და მე-80 მუხლის საფუძველზე საცილო გახადა აქცეპტი, რის გამოც ხელშეკრულება მისი დადების მომენტიდან ბათილია, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

III. შედეგი

გურამს არ აქვს ლევანისაგან ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

C. მოდიფიკაცია 1 – გურამის მოთხოვნა სანდროს მიმართ ნასყიდობის ფასის მოთხოვნის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე

გურამს შესაძლოა ჰქონდეს სანდროსაგან ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა წარმოიშვას, არ იყოს შეწყვეტილი და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა – ნასყიდობის ხელშეკრულება

მოთხოვნის წარმოშობისათვის საჭიროა, გურამსა და სანდროს შორის დადებული იყოს ნასყიდობის ხელშეკრულება. ერთი მხრივ, საეჭვოა გურამის ოფერტის არსებობა, რადგან გურამმა წერილი არა სანდროს, არამედ ლევანს გაუგზავნა. გარდა ამისა, ყველა შემთხვევაში, სანდრო საკუთარ ნებას არ აცხადებდა, მას მხოლოდ ლევანის ნება გადაჰქონდა. აქედან გამომდინარე, აქცეპტისა და ოფერტის არარსებობის გამო, მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულება არ დადებულა.

II. შედეგი

გურამს არ აქვს სანდროსაგან ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლიდან გამომდინარე.

D. მოდიფიკაცია 1 – გურამის მოთხოვნა სანდროსაგან ფასის გადახდის თაობაზე, სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ანალოგიისა და 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე

გურამს შესაძლოა, ჰქონდეს სანდროსაგან ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 113-ე მუხლის ანალოგიისა და სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა წარმოიშვას, არ შეწყდეს და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ამ შემთხვევაში, საკითხავია, შეიძლება თუ არა, მოთხოვნა წარმოიშვას სკ-ის 113-ე მუხლის საფუძველზე, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილთან ერთობლიობაში.

1. სკ-ის 113-ე მუხლის პირდაპირი გამოყენება

საკითხავია, შესაძლებელია თუ არა წარმოდგენილ შემთხვევაში სკ-ის 113-ე მუხლის პირდაპირ გამოყენება. 113-ე მუხლის როგორც სისტემური, ისე სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ იგი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლის შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული. თუმცა სანდრო ობიექტური დამკვირვებლის თვალში მოქმედებდა არა როგორც წარმომადგენელი, არამედ როგორც სხვისი ნების გადამტანი (იხ. ზემოთ). შესაბამისად, სკ-ის 113-ე მუხლის პირდაპირი გამოყენება გამორიცხულია.

2. სკ-ის 113-ე მუხლის ანალოგია

სკ-ის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ ურთიერთობა არაა მონესრიგებული კანონით, იგი უნდა გადაწყდეს იმ ნორმებით, რომლებიც ყველაზე მსგავს ურთიერთობას არეგულირებს. საკითხავია, შეიძლება თუ არა სკ-ის 113-ე მუხლის ანალოგიით გამოყენება ნების გადამტანის მიერ დაშვებული შეცდომის დროს.

კანონის ანალოგია

კანონის ანალოგია ეწოდება ნორმის მოქმედების ფარგლების გაფართოებას და მის მიერ გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის გავრცელებას სხვა, მსგავს სამართლებრივ ურთიერთობებზეც.⁶⁶ კანონის ანალოგიით გამოსაყენებლად საჭიროა სამი წინაპირობის არსებობა:

1. უპირველესად, საჭიროა, ურთიერთობა კანონით პირდაპირ არ იყოს გათვალისწინებული.
2. გარდა ამისა, კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებლობა არ უნდა იყოს „გეგმური“ – კანონმდებელი ზოგ შემთხვევაში განზრახ ამბობს უარს გარკვეული ურთიერთობის სპეციალურ მონესრიგებაზე.
3. და ბოლოს, ანალოგიით გამოსაყენებელი ნორმით დაცული ინტერესები თანმხვედრი უნდა იყოს წარმოდგენილ შემთხვევაში მოსაწესრიგებელი ურთიერთობისა მონაწილეთა ინტერესებთან.

ა. კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობა

ანალოგიის გამოყენებისათვის, უპირველესად, საჭიროა, რომ ესა თუ ის ურთიერთობა კანონით პირდაპირ არ იყოს გათვალისწინებული. ნების გადამტანის პასუხისმგებლობას მის მიერ დაშვებული შეცდომისას კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ეს წინაპირობა შესრულებულია.

ბ. კანონის არაგეგმური ნაკლი

საკითხავია, კანონის ეს ნაკლი არის თუ არა გეგმური. შესაძლოა, კანონმდებელი სპეციალურად ამბობდეს უარს ნების გადამტანის პასუხისმგებლობაზე მესამე პირთა (ხელშეკრულების მხარის, აქ გურამის) წინაშე.

წარმომადგენლობის შემთხვევაში, წარმომადგენლის მიერ უფლებამოსილების გარეშე დადებული გარიგება ნამდვილი ხდება წარმოდგენილი პირის თანხმობით, სხვა შემთხვევაში კი პასუხს წარმომადგენელი აგებს. ნების გადატანისას დაშვებული შეცდომით დადებული გარიგების ბედი განსხვავებულად წყდება: ასეთი გარიგება ნამდვილად ითვლება, ვიდრე მას საცილოდ არ გახდის გარიგების მხარე. ამდენად, კანონმდებელმა შეცდომის რისკი ერთ შემთხვევაში წარმომადგენელს დააკისრა, ხოლო მეორე შემთხვევაში – თავად გარიგების მხარეს. წარმომადგენლის გაზრდილი პასუხისმგებლობა (ნების გადამტანთან შედარებით) ეფუძნება იმ ფაქტს, რომ იგი საკუთარ ნებას ავლენს, ხოლო ნების გადამტანი მხოლოდ სხვის ნებას იუწყება.

⁶⁶ ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 76-79.

წარმომადგენლობასა და ნების გადატანას შორის ამ განსხვავების გამო, სავარაუდოა, რომ კანონმდებელმა სპეციალურად (გეგმურად) თქვა უარი ნების გადამტანის პასუხისმგებლობაზე წარმომადგენლის მსგავსად.

გ. შედეგი – ანალოგია

შესაბამისად, ამ შემთხვევაში სკ-ის 113-ე მუხლის ანალოგიით გამოყენება დაუშვებელია.

II. საბოლოო შედეგი

მოთხოვნა ვერ წარმოიშობა დასახელებული საფუძვლით. გურამს არ აქვს სანდროსგან ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 113-ე მუხლის ანალოგიისა და 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

E. მოდიფიკაცია 2 – გურამის მოთხოვნა ლევანისაგან ფასის გადახდის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე

გურამს შესაძლოა, ჰქონდეს ლევანისაგან თინათინ წერეთლის წიგნის საფასურის გადახდის მოთხოვნის უფლება 400 ლარის ოდენობით, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა იყოს წარმოშობილი, არ იყოს შეწყვეტილი და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა – ნასყიდობის ხელშეკრულება

ამისათვის საჭიროა, მხარეთა შორის დადებული იყოს ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება. ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაში შედის ურთიერთმფარავი ოფერტითა და აქცეპტით.

1. ოფერტი

გურამის ოფერტი სახეზეა, რამდენადაც მან წერილი გაუგზავნა ლევანს, რომელშიც სთავაზობდა თინათინ წერეთლის გამოცემას 400 ლარად.

D. გურამის მოთხოვნა

სანდროსაგან ფასის გადახდის თაობაზე

I. სკ-ის 113-ე მუხლი (-)

II. სკ-ის 113-ე მუხლის ანალოგია (-)

➤ კანონით გაუთვალისწინებელი (+)

➤ კანონის არაგეგმური ნაკლი (-)

შედეგი: გურამის მოთხოვნა სანდროს მიმართ მიმართ, სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ანალოგიითა და 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე (-)

2. აქცეპტი

საკითხავია, სახეზეა თუ არა ლევანის აქცეპტი.

ა. ლევანის ნების გამოვლენა

ლევანს ნება უშუალოდ არ გამოუვლენია. სანდრომ მისი მითითება, რომ მხოლოდ ანდრონიკაშვილის შეძენაზე განეცხადებინა თანხმობა, განზრახ უგულბებელყო და გურამს წერეთლის წიგნის ყიდვაზეც განუცხადა თანხმობა.

ბ. სანდროს საშუალებით გაცხადებული ნების შერაცხვა

საკითხავია, შეერაცხება თუ არა ლევანს სანდროს საშუალებით გაცხადებული ნება, როგორც საკუთარი ნების გამოვლენა. ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა იმის გარკვევა, გავრცელდება თუ არა სკ-ის მე-80 მუხლი ნების გადამტანის მიერ განზრახ არასწორად შეტყობინების შემთხვევებზეც. ეს საკითხი შეიძლება იყოს სადავო.

გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სკ-ის მე-80 მუხლი ვინროდ უნდა განიმარტოს და გავრცელდეს მხოლოდ შუამავლის მიერ დაშვებული შეცდომის გაუცნობიერებელ შემთხვევებზე. ამ მოსაზრების თანახმად, ამგვარად დადებული გარიგება უნდა იყოს არა საცილო, არამედ მერყევად ბათილი და მასზე ანალოგიით უნდა გავრცელდეს სკ-ის 111-ე და შემდგომი მუხლები. ამ შეხედულების გაზიარების შემთხვევაში, გურამსა და ლევანს შორის ნასყიდობის ნამდვილი ხელშეკრულება დადებული არ იქნება.

შესაძლებელია, აგრეთვე, საპირისპირო მოსაზრების განვითარებაც, რომლის მიხედვითაც, მე-80 მუხლი ფართოდ უნდა განიმარტოს და მოიცვას შუამავლის მიერ განზრახ არასწორი შეტყობინების შემთხვევებიც. ეს მოსაზრება სკ-ის მე-80 მუხლის სიტყვასიტყვით განმარტებას შეიძლება დაემყაროს, რამდენადაც ნორმაში საუბარია არა შუამავლის შეცდომაზე, არამედ მის მიერ არასწორად მიწოდებულ შეტყობინებაზე. ამ შეხედულების გაზიარების შემთხვევაში, სანდროს განზრახ არასწორი შეტყობინება ლევანს შეერაცხებოდა და ლევანსა და გურამს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება იქნებოდა დადებული.

მეორე მოსაზრება არასწორი შეტყობინების რისკს მთლიანად ნების გამოვლენს აკისრებს. პირველი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ განზრახ არასწორი შეტყობინების შემთხვევაში, შუამავალი, ფაქტობრივად, აღარაა სხვისი ნების გადამტანი. მის მიერ განზრახ

არასწორად მიწოდებული შეტყობინების შინაარსი, ფაქტობრივად, მისი საკუთარი ნებაა, რომელიც მის პიროვნებაში ჩამოყალიბდა. ასეთი შუამავლობის შემთხვევაში უცხო ნების გადატანა მხოლოდ მოჩვენებითია. ნების გადამტანის მიერ განზრახ არასწორი შეტყობინების რისკი, ვინაიდან საქმე, ფაქტობრივად, საკუთარი ნების გამოვლენას ეხება, ძირითადად, უტოლდება წარმომადგენლის მიერ უფლებამოსილების გარეშე გარიგების დადების რისკს. აქედან გამომდინარე, ასეთ შემთხვევებში გამოყენებულ უნდა იქნეს არა სკ-ის მე-80 მუხლი, არამედ 111-ე და შემდგომი მუხლები, ანალოგიის წესით.

ამდენად, სანდროს მიერ გაცხადებული ნება მერყევად ბათილია და, სკ-ის 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, ნამდვილობისათვის საჭიროა ლევანის მიერ მისი მოწონება. ლევანს ხელშეკრულება არ მოუწონებია. შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია.

II. შედეგი

გურამს არ აქვს ლევანისაგან ფასის გადახდის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

F. მოდიფიკაცია 2 – გურამის მოთხოვნა სანდროსგან ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე

გურამს შესაძლოა, ჰქონდეს სანდროსაგან ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

I. ნასყიდობის ხელშეკრულება

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა იყოს წარმომობილი, კერძოდ, გურამსა და სანდროს შორის დადებული იყოს ნასყიდობის ხელშეკრულება. ერთი

E. გურამის მოთხოვნა ლევანისაგან ფასის გადახდის თაობაზე

I. ნასყიდობის ხელშეკრულება (+)

- ოფერტი (+)
- აქცეპტი (-)
 - უშუალოდ ლევანის მიერ (-)
 - სანდროს საშუალებით (ნების გადამტანი) (+)
 - სანდროს განზრახ არასწორი შეტყობინების შერაცხვა ლევანისათვის (-)

შედეგი: გურამის მოთხოვნა ლევანის მიმართ, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე (-)

მხრივ, საექვოა გურამის ოფერტის არსებობა, რადგან გურამმა წერილი არა სანდროს, არამედ ლევანს გაუგზავნა, თუმცა, ყველა შემთხვევაში, საჭიროა აქცეპტის არსებობაც. ამ შემთხვევაში, სანდრომ, მართალია, ბიძამისის ნება განზრახ ჩაანაცვლა საკუთარით, მაგრამ ობიექტური დამკვირვებლისათვის ეს აღქმადი არ იყო. ობიექტური დამკვირვებლის თვალში იგი მაინც სხვისი ნების გადამტანად რჩება. ამდენად, მისი აქცეპტი სახეზე არაა. ნასყიდობის ხელშეკრულება გურამსა და სანდროს შორის არ დადებულია.

II. შედეგი

გურამს არ აქვს სანდროსაგან ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლიდან გამომდინარე.

G. მოდიფიკაცია 2 – გურამის მოთხოვნა სანდროსაგან ნასყიდობის ფასის გადანდის თაობაზე, სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ანალოგიისა და 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე

გურამს შესაძლოა, ჰქონდეს სანდროსაგან ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 113-ე მუხლის ანალოგიისა და სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა წარმოიშვას, არ შეწყდეს და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ამ შემთხვევაში, საკითხავია, შეიძლება თუ არა, მოთხოვნა წარმოიშვას სკ-ის 113-ე მუხლის საფუძველზე, სკ 477-ე მუხლის მე-2 ნაწილთან ერთობლიობაში.

1. 113-ე მუხლის გამოყენება ანალოგიით

რადგან 113-ე მუხლის პირდაპირ გამოყენება შეუძლებელია, საკითხავია, შესაძლებელია თუ არა ამ ნორმის გამოყენება ანალოგიით ნების გადამტანის მიერ განზრახ მცდარი შეტყობინების შემთხვევაში.

ა. კანონის არაგეგმური ნაკლი

გასარკვევია, არის თუ არა წარმოდგენილი ურთიერთობა კანონით გაუთვალისწინებელი და რამდენად „არაგეგმურია“ კანონმდებლის „დუ-

მილი“. როგორც აღინიშნა, მე-80 მუხლი არ მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როცა ნების გადამტანი განზრახ არასწორად ატყობინებს ადრესატს (იხ. ზემოთ). ამდენად, კანონის საფუძველზე ვერ დადგინდება, რა ფორმითა და რა ფარგლებში აგებს პასუხს ნების გადამტანი ან ნების გამომვლენი მესამე პირთა წინაშე. შესაბამისად, კანონის არაგვემური ნაკლი სახეზეა.

ბ. ინტერესთა თანხვედრა

გარდა ამისა, ანალოგიით გამოსაყენებელი ნორმით დაცული ინტერესები უნდა იყოს წარმოდგენილ ურთიერთობაში მონაწილე პირთა ინტერესებთან თანხვედრი. 113-ე მუხლით დაცულია ადრესატის კანონიერი ნდობა, რომ გარიგებას დებს მეორე (წარმოდგენილ) მხარესთან. ასეთივე ნდობა არსებობს ნების გადამტანის მიერ განზრახ არასწორი შეტყობინებისას. შესაბამისია, აგრეთვე, ნების გამომვლენისა (ნების გადატანისას) და წარმოდგენილი პირის ინტერესები; კერძოდ, ორივე მათგანის ინტერესია, არ შევიდეს ძალაში მათი მავალდებულებელი გარიგება. და ბოლოს, განზრახ არასწორი შეტყობინების მიმწოდებელი შუამავალი ისევე არაა სამართლებრივი დაცვის ღირსი, როგორც განზრახ უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენელი (სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ამდენად, ანალოგიით გამოსაყენებელ ნორმით დაცულ ინტერესებთან თანხვედრა სახეზეა.

გ. შედეგი – ანალოგია

სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ანალოგიის წესით გამოყენება წარმოდგენილ შემთხვევაში გამართლებულია.

2. სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილის წინაპირობები

სანდრომ გურამს ლევანის სახელით განზრახ მიაწოდა ისეთი შეტყობინება, რომლის შინაარსსაც ლევანის ნება არ მოიცავდა. ლევანს ეს შეტყობინება, სკ-ის

გ. გურამის მოთხოვნა სანდროსაგან ფასის გადახდის თაობაზე

I. სკ-ის 113-ე მუხლი (-)

II. სკ-ის 113-ე მუხლის ანალოგია (+)

- კანონით გაუთვალისწინებელი (+)
- კანონის არაგვემური ნაკლი (+)
- ინტერესთა თანხვედრა (+)

III. სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილის წინაპირობები (+)

შედეგი: გურამის მოთხოვნა სანდროს მიმართ, სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ანალოგიითა და 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე (+)

111-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, არ მოუწონებია. შესაბამისად, სახეზეა სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ყველა წინაპირობა: უფლება-მოსილების არარსებობა, ამისი ცოდნა და წარმოდგენილი პირის მიერ მონონებაზე უარი.

II. მოთხოვნის შეწყვეტა და განხორციელება

კაზუსის ფაბულიდან არ იკვეთება მოთხოვნის შეწყვეტისა და განხორციელების შემაფერხებელი გარემოებები. შესაბამისად, მოთხოვნა არსებობს და განხორციელებადია.

III. შედეგი

გურამს აქვს სანდროსაგან ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ანალოგიისა და სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

სამახსოვრო!

- ოფერტზე აქცეპტი გონივრულ ვადაში უნდა გაკეთდეს. თანმყოფი პირისათვის გაკეთებული აქცეპტი მაშინვე უნდა იქნეს მიღებული (აქცეპტირებული), ხოლო არათანმყოფი პირისთვის გაკეთებული ოფერტი – მხოლოდ იმ დრომდე, რა დროშიც ოფერტის მიმცემი, ჩვეულებრივ, შეიძლება დაელოდოს პასუხს. დაგვიანებით გაკეთებული აქცეპტი მიიჩნევა ახალ ოფერტად და თავდაპირველ ოფერენტს შეუძლია, მიიღოს ან არ მიიღოს იგი.
- ნების გადამტანის (შუამავლის) მიერ დაშვებული შეცდომა ნების გამომვლენს შეერაცხება. გარიგება ასეთ შემთხვევაში საცილოა (სკ-ის მე-80 მუხლი). თუკი შუამავალი განზრახ არასწორად შეატყობინებს გარიგების მეორე მხარეს, გაბატონებული მოსაზრებით, გამოყენებული უნდა იქნეს არა მე-80, არამედ სკ-ის 111-ე და შემდგომი მუხლების ანალოგია, შესაბამისად, დადებული გარიგება არა საცილო, არამედ მერყევად ბათილი ხდება.

კაზუსი 24. დანინაურებული ლადო

(მოჩვენებითი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, სკ-ის 108-ე მუხლის მიხედვით)

ავეჯით მოვაჭრე ნოდარმა თებერვალში თავისთან დაასაქმა ლადო. ლადოს ფუნქციებში შედიოდა ავეჯით მოვაჭრე სხვა დიდ ორგანიზაციებთან დაკავშირება და მათგან საჭირო საქონლის შეძენა. ნოდარმა ავეჯით მოვაჭრე ყველა იმ პირს, რომელთაც თებერვლის მდგომარეობით ამგვარი საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა მასთან, ელექტრონული ფოსტის საშუალებით აცნობა, რომ შესყიდვებს ლადო გაუძღვებოდა. ასეთი შეტყობინება, სხვებთან ერთად, გაეგზავნა ლაშასაც.

რამდენიმე თვეში, აგვისტოს ბოლოს, ნოდარმა ლადო თავდაუზოგავი და პროფესიონალური მუშაობის გამო დაანინაურა და უფრო მაღალ თანამდებობაზე დანიშნა. ამჯერად მას მნიშვნელოვანი შიდა საორგანიზაციო საქმეების გაძღოლა ევალებოდა და უშუალო კონტაქტი კლიენტებსა და მომწოდებლებთან აღარ ექნებოდა. ლადოს თანამდებობის შეცვლა ნოდარს პარტნიორებისათვის არ შეუტყობინებია.

თანამდებობის შეცვლის შემდეგ ლადომ სექტემბერში დაურეკა ლაშას და უთხრა, რომ ნოდარისთვის დივნის შეძენა სურდა 2000 ლარად. ლაშა დასთანხმდა. როცა ლაშამ ნოდარისაგან 2000 ლარის გადახდა მოითხოვა, მან უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ლადოს შესყიდვის უფლება უკვე აღარ ჰქონდა.

შეუძლია თუ არა ლაშას, მოითხოვოს ნოდარისგან თანხის გადახდა?

A. ლაშას მოთხოვნა ნოდარისაგან ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად

ლაშას შესაძლოა ჰქონდეს ნოდარისაგან დივინის ფასის გადახდის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა წარმოიშვას, არ შეწყდეს და იყოს განხორციელებადი. მოთხოვნის წარმოშობისათვის ნოდარსა და ლაშას შორის დადებული უნდა იყოს ნასყიდობის ხელშეკრულება. ნასყიდობის ხელშეკრულების დასადებად საჭიროა მხარეთა მიერ ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა – ოფერტი და აქცეპტი.

I. ოფერტი

ოფერტი ხელშეკრულების დადებისაკენ მიმართული მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა, რომელშიც ხელშეკრულების არსებითი პირობები იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ მასზე უპირობო თანხმობა ნამდვილ ხელშეკრულებას წარმოშობს.

1. ნოდარის ოფერტი

ნოდარს არ გამოუვლენია ხელშეკრულების დადებისაკენ მიმართული ნება. შესაბამისად, უშუალოდ მისი ოფერტი სახეზე არაა.

2. წარმომადგენლობა

სამაგიეროდ, ხელშეკრულების დადებისაკენ მიმართული ნება გამოავლინა ლადომ, როდესაც ლაშას დაურეკა და 2000 ლარად ღირებული დივანი შეუკვეთა. ეს ოფერტი შესაძლოა, სამართლებრივ შედეგებს წარმოშობდეს მხოლოდ ნოდარისთვის, თუკი სახეზეა წარმომადგენლობა, სკ-ის 103-ე და შემდგომი მუხლების შესაბამისად.

ა. საკუთარი ნების გამოვლენა

ამისათვის, უპირველესად, საჭიროა, რომ ლაშას თვალსაწიერიდან ლადოს მიერ გამოვლენილი ნება აღიქმებოდეს როგორც საკუთარი ნების გამოვლენა და არა მხოლოდ უცხო ნების გადატანა. ლაშა ლადოს იცნობდა როგორც წარმომადგენელს, რომელიც უძღვებოდა შესყიდვებს. აქედან გამომდინარე, ლადოს ოფერტიც აღქმული იქნებოდა როგორც ლადოს მიერ საკუთარი ნების გამოვლენა.

ბ. მოქმედება სხვისი სახელით

გარდა ამისა, ლადო მოქმედებდა მარნმუნებლის – ნოდარის სახელით. მან ლაშას სიტყვიერად უთხრა, რომ დივანს ნოდარისთვის ყიდულობდა.

გ. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

გარდა ამისა, საჭიროა, რომ ლადო მოქმედებდეს მისთვის მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში.

აა. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიცემა

სკ-ის 107-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, უფლებამოსილების (რწმუნებულების) მიცემა ხდება რწმუნებულის ან იმ მესამე პირის მიმართ ნების გამოვლენით, რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა. ნოდარმა იმ პირებს, რომლებთანაც ლადოს საქმიანი ურთიერთობა უნდა დაემყარებინა, ელექტრონული ფოსტით შეტყობინება გაუგზავნა და ლადო გააცნო როგორც წარმომადგენელი.

გარდა ამისა, ლადოს დანიშვნა შესყიდვების სპეციალისტის თანამდებობაზე უკვე კონკლუდენტურად ნიშნავს ლადოსთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიცემას. აქედან გამომდინარე, ლადოს არა მხოლოდ იმ პირთა წინაშე აქვს ნოდარის წარდგენის უფლება, რომლებსაც წერილი მიუვიდათ, არამედ, ზოგადად, ნებისმიერი მიმწოდებლის წინაშე.

ბბ. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტა

თუმცა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შესაძლოა, შეწყვეტილიყოს აგვისტოს ბოლოს ლადოს თანამდებობის შეცვლით, სკ-ის 109-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყდება იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც გაიცა უფლებამოსილება, ხოლო „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, უფლებამოსილების გამცემ პირს თავისუფლად შეუძლია მისი გაუქმება. როდესაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველი შრომითი ურთიერთობაა, უფლებამოსილების ვადა სწორედ ამ ურთიერთობის ვადას შეესაბამება. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, უფლებამოსილებაც ქარწყდება. ამ შემთხვევაში, მართალია, ლადოსა და ნოდარს შორის არსებული შრომითი ურთიერთობა არ შეწყვეტილა, მაგრამ პირობები არსებითად შეიცვალა. კერძოდ, მესამე პირებთან ურთიერთობა და ხელშეკრულებების დადება აღარ შედიოდა ლადოს საქმიანობის სფეროში. თანამდებობრივი ცვლილება უნდა ჩაითვალოს ნოდარის მიერ კონკლუდენტურად ლადოს-

თვის მიცემული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაუქმებად. ის ფაქტი, რომ ლადოს ახალი თანამდებობა უფრო მაღალია, ვიდრე წინა, არ ცვლის სამართლებრივ შედეგს: გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში აქვს არა თანამდებობრივ იერარქიას, არამედ თანამდებობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს. შესაბამისად, აგვისტოს ბოლოდან ლადოს აღარ ჰქონდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

გგ. მოჩვენებითი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

შესაძლოა, ლადოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მოჩვენებით კვლავ არსებობდა ლაშას წინაშე, სკ-ის 108-ე მუხლის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე.

(1) უფლებამოსილების გაუქმების შესახებ შეტყობინება

მოჩვენებითი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობისათვის, სკ-ის 108-ე მუხლის მიხედვით, აუცილებელი წინაპირობაა, რომ უფლებამოსილების გაუქმების შესახებ შეტყობინება არ იყოს გაგზავნილი მესამე პირისათვის. აქ თავისთავად იგულისხმება ის მესამე პირი, რომელსაც მარწმუნებელმა წარუდგინა რწმუნებული (სკ-ის 107-ე მუხლის 1-ლი წინადადების მე-2 ალტერნატივა), რადგან სწორედ ასეთი პირის ნდობაა დაცული 108-ე მუხლით. ამიტომ, უპირველესად, უნდა შემოწმდეს, წარუდგინა თუ არა ნოდარმა ლაშას თავისი რწმუნებული ლადო, სკ-ის 107-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 ალტერნატივის შესაბამისად. ნოდარმა ლაშას ელექტრონული ფოსტით გაუგზავნა შეტყობინება, რომ ლადო მისი წარმომადგენელი იქნებოდა, შესაბამისად, ეს წინაპირობა დაცულია.

გარდა ამისა, 108-ე მუხლის თანახმად, როგორც უკვე აღინიშნა, ასეთი პირისათვის არ უნდა იყოს შეტყობინება გაგზავნილი უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე. ნოდარს ლაშასთვის არ შეუტყობინებია ლაშას თანამდებობის შეცვლის შესახებ. შესაბამისად, 108-ე მუხლის ეს წინაპირობაც დაცულია.

(2) არ იცოდნენ და არც შეიძლება სცოდნოდათ

გარდა ამისა, 108-ე მუხლის მე-2 წინადადების თანახმად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირის მიმართ არ განაგრძობს არსებობას, თუკი მხარეებმა ხელშეკრულების დადებისას ამის შესახებ იცოდნენ, ან უნდა სცოდნოდათ. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა მესამე პირმა წინასწარვე იცის, რომ უფლებამოსილება წარმომადგენელს

კონკრეტული ვადის გასვლის შემდეგ უწყდება. ლაშამ არ იცოდა, რომ ლადოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეუწყდა. ამის შესახებ მას არც შეიძლება სცოდნოდა. ამდენად, ეს წინაპირობაც დაცულია.

(3) სამართლებრივი შედეგი

სკ-ის 108-ე მუხლის მე-2 წინადადების თანახმად, ასეთ შემთხვევაში უფლებამოსილების გაუქმება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირთა მიმართ. ე. ი. ლაშას მიმართ ლადოს კვლავ აქვს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

დდ. წარმომადგენლობითი

უფლებამოსილების ფარგლები

და ბოლოს, საკითხავია, მოქმედებდა თუ არა ლადო თავისი (მოჩვენებითი) უფლებამოსილების ფარგლებში. მისი უფლებამოსილება მოიცავდა ავეჯის შექმნას მომწოდებლებისაგან. მან ლაშას დივანი შეუკვეთა. აქედან გამომდინარე, იგი მოქმედებდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში.

3. შედეგი – წარმომადგენლობა

ლადოს მიერ ნოდარის წარმომადგენლობა ნამდვილია. შესაბამისად, ლადოს მიერ გამოვლენილი ნება – ოფერტი – სამართლებრივ შედეგებს, სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, წარმოშობს მხოლოდ ნოდარისთვის.

A. ლაშას მოთხოვნა ნოდარისაგან ფასის გადახდის თაობაზე

I. ნასყიდობის ხელშეკრულება (+)

- ნოდარის ოფერტი (+)
 - უშუალოდ ნოდარის მიერ (-)
 - წარმომადგენლის საშუალებით (+)
 - საკუთარი ნების გამოვლენა (+)
 - სხვისი სახელით (+)
 - უფლებამოსილების ფარგლებში (+)
 - უფლებამოსილების მიცემა (+)
 - უფლებამოსილების შეწყვეტა (+)
 - მოჩვენებითი უფლებამოსილება (+)

შედეგი: ლაშას მოთხოვნა ნოდარის მიმართ, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე (+)

II. აქცეპტი

ლაშამ ოფერტს აქცეპტით უპასუხა.

III. მოთხოვნის შეწყვეტა და განხორციელება

ფაბულიდან არ იკვეთება მოთხოვნის შეწყვეტის ან განხორციელების შემაფერხებელი გარემოებები. შესაბამისად, მოთხოვნა არსებობს და განხორციელებადია.

IV. საკოლომ შედეგი

ნოდარსა და ლაშას შორის დაიდო ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება. აქედან გამომდინარე, ლაშას აქვს ნოდარისაგან ნასყიდობის ფასის, 2000 ლარის, გადახდის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

სამახსოვრო:

- თუ წარმომადგენლობით უფლებამოსილებაში შევიდა ცვლილებები ან უფლებამოსილება გაუქმდა, მარწმუნებელმა ეს უნდა აცნობოს იმ მესამე პირებს, რომლებსაც მარწმუნებელმა თავისი რწმუნებული წარუდგინა. წინააღმდეგ შემთხვევაში, უფლებამოსილება ამ მესამე პირთა წინაშე უცვლელად განაგრძობს არსებობას.

დავალება: შეამოწმეთ, რა მოთხოვნა შეიძლება ჰქონდეს ნოდარს ლადოს მიმართ?

კაზუსი 25. განსაკუთრებული ფასდაკლება

(შიდა და გარე ურთიერთობის გამიჯვნა წარმომადგენლობისას; წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება)

ლიას სურს ბინის ყიდვა სამშენებლო კომპანია „არსუკიდის“ მიერ აშენებულ საცხოვრებელში. გაყიდვების მენეჯერ ზურასთან საუბრისა და ბინის დათვალეერების შემდეგ ლიამ საბოლოო გადაწყვეტილებაც მიიღო და ხელშეკრულების სტანდარტული ფორმის შევსება დაიწყო. ხელშეკრულებაში მითითებული ფასის, 100 000 აშშ-ის დოლარის, დანახვისას ლიამ უკმაყოფილოდ გადახედა ზურას. ზურას, რომელსაც სამშენებლო კომპანიისაგან გენერალური მინდობილობა ჰქონდა, არ სურდა კლიენტის დაკარგვა. ამიტომ ლიას უთხრა, რომ ამ ფასის შემცირების ხერხები არსებობს, კერძოდ, მართალია, „არსუკიდეს“, როგორც წესი, ფასდაკლებები საერთოდ არ აქვს ხოლმე, მაგრამ მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, გამონაკლისის სახით, ფასს 20% აკლდება, შვილების დაბადების მონმობების წარდგენა ამისთვის საკმარისი იქნებოდა. გულდანწყვეტილმა ლიამ უარის ნიშნად თავი გააქნია. ზურამ ეშმაკურად თვალი ჩაუკრა და უთხრა: „არა უშავს, თუკი ადგილზე არ გაქვთ დაბადების მონმობები, მე ხომ ისინი უკვე ვნახე, ასე არაა?!“ ზურამ ხელშეკრულებაში ლიას მრავალშვილიანი ოჯახისათვის ფასდაკლების შესახებ ახალი პუნქტი ჩაამატა, სადაც სულ გადასახდელ თანხად 80 000 აშშ-ის დოლარი მიუთითა. ხელშეკრულებას ხელი ლიამ და ზურამ მოაწერეს. ორი კვირის შემდეგ ლია უკვე ბინის ჩასაბარებლად უნდა მისულიყო კომპანია „არსუკიდის“ ოფისში.

კომპანია „არსუკიდის“ დირექტორი ვაჟა დააეჭვა იმ ფაქტმა, რომ ბოლო დროს მათ მიერ აშენებულ საცხოვრებელში ბინებს, ძირითადად, მრავალშვილიანი ოჯახები ყიდულობდნენ. ამიტომ გადაწყვიტა კონტროლის გამკაცრება. დათქმულ შეხვედრამდე ერთი დღით ადრე მან ლიას დაურეკა და შეახსენა, რომ ბინის ჩაბარებისას თან ჰქონოდა შვილების დაბადების მონმობები. ლიამ ეს ზარი უბრალო ფორმალობად მიიჩნია და აღშფოთდა, როცა მეორე დღეს ვაჟამ საბუთების წარმოუდგენლობის გამო ბინის გადაცემაზე უარი განუცხადა.

შეუძლია თუ არა ლიას, მოითხოვოს ბინის გადაცემა სამშენებლო კომპანია „არსუკიდისაგან“ ან ზურასგან?

A. ლიას მოთხოვნა „არსუკიძისაგან“ ბინის გადაცემის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად

ლიას შესაძლოა ჰქონდეს სამშენებლო კომპანია „არსუკიძისაგან“ ბინის გადაცემის მოთხოვნა, სკ-ის 477-ე მუხლის შესაბამისად.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა იყოს წარმოშობილი, არ იყოს შეწყვეტილი და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა – ნასყიდობის ხელშეკრულება

მოთხოვნის წარმოშობისათვის საჭიროა, ლიასა და „არსუკიძეს“ შორის დადებული იყოს ნასყიდობის ნამდვილი ხელშეკრულება, სკ-ის 477-ე მუხლის შესაბამისად. ნასყიდობის ხელშეკრულება იდება ორი ურთიერთმფარავი ნების – ოფერტისა და აქცეპტის – გამოვლენით.

1. ოფერტი და აქცეპტი

ოფერტი და აქცეპტი თანმხვედრი ნების გამოვლენებია, რომლითაც ხელშეკრულების მხარეები არსებით პირობებზე თანხმდებიან. ასეთ შემთხვევაში ლიასა და ზურას მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება წარმოადგენდა. უშუალოდ კომპანია „არსუკიძეს“ არ გამოუვლენია და ვერც გამოავლენდა ოფერტს ან აქცეპტს, ვინაიდან იგი იურიდიული პირია. ამისათვის საჭირო იყო წარმომადგენელი.

2. წარმომადგენლობა ზურას მიერ

საკითხავია, მოქმედებდა თუ არა ზურა, როგორც წარმომადგენელი, სკ-ის 103-ე და შემდგომი მუხლების შესაბამისად?

ა. ზურას მიერ საკუთარი ნების გამოვლენა

ზურას კომპანიისაგან მინიჭებული ჰქონდა გენერალური მინდობილობა, იყო გაყიდვების მენეჯერი და ოფერტის გამოვლენისას აშკარად საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად მოქმედებდა. ამდენად, ზურა საკუთარ ნებას ავლენდა და არ იყო მხოლოდ უცხო ნების გადამტანი.

ბ. მოქმედება მარწმუნებლის სახელით

ზურა ცალსახად მოქმედებდა მარწმუნებლის – „არსუკიძის“ – სახელით, სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

გ. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

საკითხავია, მოქმედებდა თუ არა ზურა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

აა. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება

კაზუსში აღნიშნულია, რომ ზურას ჰქონდა სამშენებლო კომპანიისაგან მიცემული გენერალური მინდობილობა. გარდა ამისა, მისი თანამდებობიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ობიექტური მესამე პირისათვის იგი კომპანიის წარმომადგენლად აღიქმებოდა. ამდენად, სახეზეა რწმუნებულება, სკ-ის 107-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

ბბ. მოქმედება რწმუნებულების ფარგლებში

გასარკვევია, ამ კონკრეტული გარიგების დადებისას მოქმედებდა თუ არა ზურა თავისი რწმუნებულების ფარგლებში. ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ზურამ ლიას ფასი დაუკლო, მიუხედავად იმისა, რომ ლია არ იყო მრავალშვილიანი და „არსუკიძე“ სხვაგვარი ფასდაკლების აქციები არ ჰქონდა. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ზურას გენერალური მინდობილობა ჰქონდა. ასეთი მინდობილობა (რწმუნებულება), როგორც წესი, არაა შეზღუდული კონკრეტული სახის გარიგებებით და ნებისმიერი გარიგების დადების უფლებას მოიცავს მარწმუნებლის სახელით. მათ შორის, ზურას გენერალური მინდობილობა ანიჭებს იმის უფლებას, რომ დაუშვას გამონაკლისები და თავად განსაზღვროს, კომპანიის სახელით ვისთვის გამოიყენოს ფასდაკლების აქცია.

ამდენად, ზურა მოქმედებდა თავისი გენერალური მინდობილობის, ე.ი. რწმუნებულების, ფარგლებში და მისი წარმომადგენლობა ნამდვილია.

შიდა და გარე ურთიერთობის გამიჯვნა წარმომადგენლობისას

წარმომადგენლობისას მკვეთრ ზღვარს ავლებენ ე.წ. შიდა და გარე ურთიერთობას შორის.⁶⁷ რწმუნებულების ფარგლებში მოქმედების შემონიშნისას მონმდება მხოლოდ მესამე პირებთან ურთიერთობისას (გარე ურთიერთობა) რწმუნებულის უფლებამოსილების ფარგლები. რწმუნებულების ფარგლები მოიცავს იმ გარიგებებს, რომელთა დადების შესაძლებლობასაც მიცემული უფლებამოსილება იძლევა. თუკი წარმომადგენელი ამ ფარგლებში დებს

⁶⁷ *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 434.

გარიგებას, წარმომადგენლობა ნამდვილი იქნება, მიუხედავად წარმომადგენელსა და რწმუნებულს შორის არსებული შეთანხმებებისა და მითითებებისა. ამდენად, რწმუნებულსა და მარწმუნებელს შორის არსებული შიდა ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა დამოუკიდებელია გარე ურთიერთობისაგან.

მაგალითი: „ა“-მ თავის თანამშრომელ „ბ“-ს, რომელსაც გენერალური მინდობილობა აქვს მინიჭებული, დაავალა, შეეძინა ნითელი სალებავი. „ბ“-მ მწვანე სალებავი იყიდა. ამდენად, მან უფროსის მითითება დაარღვია. მიუხედავად ამისა, „ბ“-ს მიერ „ა“-ს სახელით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება მაინც ნამდვილი იქნება, ვინაიდან მისი გენერალური მინდობილობა ასეთი გარიგების დადების შესაძლებლობასაც იძლეოდა. შიდა ურთიერთობაში არსებული მითითებების დარღვევა წარმომადგენელსა და მარწმუნებელს შორის არსებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე მოწესრიგდება.

ასეთი მიდგომა გამართლებულია, ვინაიდან იგი ემყარება გარე ურთიერთობაში მესამე პირთა ინტერესების დაცვასა და სამოქალაქო ბრუნვის ზოგად სტაბილურობას. მესამე პირთათვის მნიშვნელოვანია, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება რაც შეიძლება ნათლად იყოს განსაზღვრული და არ იყოს დამოკიდებული შიდა ურთიერთობაში არსებულ შეთანხმებებზე, რომლებიც, როგორც წესი, მესამე პირის მიერ აღქმადი არცაა.

შიდა და გარე ურთიერთობის გამიჯვნის გამო, განსხვავებული შედეგები დგება წარმომადგენლის მიერ დარღვევის შემთხვევებში, იმის მიხედვით, ეს დარღვევა შიდა ურთიერთობაშია თუ გარეში. თუკი წარმომადგენელი თავის უფლებამოსილებას გადააჭარბებს (გარე ურთიერთობა), მოქმედებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებული გარიგების შესახებ ნორმები, სკ-ის 111-ე და შემდგომი მუხლების შესაბამისად. ასეთ დროს დადებული გარიგება მერყევად ბათილია და წარმომადგენელს პასუხისმგებლობა უშუალოდ მესამე პირის წინაშე შეიძლება დაეკისროს. თუკი წარმომადგენელი დაარღვევს მხოლოდ შიდა ურთიერთობაში არსებულ (ტიპურ ვალდებულებითსამართლებრივ) ვალდებულებებს, მესამე პირთან დადებული გარიგება ნამდვილია. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, წარმომადგენლის მიერ დარღვეული ვალდებულების გამო იგი პასუხს უკვე წარმომადგენლის (რწმუნებულის) წინაშე აგებს. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს არასასურველი გარიგების დადებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

დ. წარმომადგენლის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება

საკითხავია, ეს დასკვნა ხომ არ უნდა იქნეს უარყოფილი წარმომადგენლის მიერ მისი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო.

წარმომადგენლის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება

შიდა და გარე ურთიერთობათა გამიჯვნა იწვევს იმას, რომ წარმომადგენელს შეუძლია, ნამდვილად აქციოს მარწმუნებლის სახელით დადებული ისეთი გარიგებაც, რომლის დადების უფლებაც შიდა ურთიერთობაში არსებული მითითებების გამო წარმომადგენელს არ ჰქონდა. აქედან გამომდინარე, მარწმუნებელია იმ რისკის მატარებელი, რომ წარმომადგენელი მისთვის საზიანოდ არ გამოიყენებს მინიჭებულ უფლებამოსილებას (იხ. ზემოთ). ეს გამართლებულია იმდენად, რამდენადაც მარწმუნებელი თავის წარმომადგენელს თავად არჩევს.

ამ ზოგადი წესიდან, გამონაკლისის სახით, მარწმუნებლის დაცვა წარმომადგენლის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაგან მხოლოდ ორ შემთხვევაში ხდება. ესენია: *ფარული შეთანხმებისა* და ე.წ. *სხვა აშკარა ბოროტად გამოყენების შემთხვევები*.⁶⁸

ეს შემთხვევები კანონით მონესრიგებული არაა, ამიტომ ცალკეული დეტალები სადავოა.

აა. ფარული შეთანხმება

საკითხავია, ხომ არაა სახეზე ფარული შეთანხმების შემთხვევა. ასეთ შემთხვევაში წარმომადგენლის საშუალებით დადებული გარიგება ბათილი იქნებოდა, სკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე, როგორც საჯარო წესრიგისა და ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო.

ფარული შეთანხმება

ფართოდაა აღიარებული ე.წ. ფარული შეთანხმების გამო გარიგების ბათილობა. კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როცა წარმომადგენელი და მესამე პირი **მარწმუნებლისათვის ზიანის მიყენების** მიზნით განზრახ ფარულად შეთანხმდებიან.⁶⁹

მაგალითი: კოლექციონერი „ა“ არის მესაკუთრე ძვირადღირებული ნახატი-სა, რომელსაც მისმა შურიანმა კონკურენტმა „ბ“-მ დიდი ხანია, თვალი დაადგა. თუმცა „ა“ უარს ამბობს ნახატის გაყიდვაზე.

⁶⁸ Schäfer, Beck OK BGB, 39. Aufl., § 167, Rn. 46.

⁶⁹ იქვე, Rn. 47.

ამიტომ „ბ“-მ სოლიდური თანხის სანაცვლოდ მოისყიდა „ა“-ს წარმომადგენელი „გ“, რომელსაც გენერალური მინდობილობა ჰქონდა. „გ“-მ, რომელმაც თავისთვისაც კარგი სარგებელი ნახა, „ბ“-ს იაფად მიჰყიდა ნახატი.

ასეთი ფარული შეთანხმებით დადებული გარიგება, რომელიც მესამე პირისათვის ზიანის განზრახ მიყენებას ისახავს მიზნად, ითვლება ზნეობის სანინაალმდეგოდ და, სკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე, ბათილია.

ამისათვის საჭიროა ზურასა და ლიას შორის არსებული განზრახი ფარული შეთანხმება, რომლის მიზანიც კომპანიისათვის ზიანის მიყენება იქნებოდა.

ზურამ ლიას ეშმაკური თვალის ჩაკვრით უთხრა, რომ დაბადების მონობები უკვე ნახაი ჰქონდა. ეს თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ ზურამ იცოდა, ლია არ იყო მრავალშვილიანი. ლიამ ზურას ეს ქმედება ხელმონწერით მოიწონა. ამდენად, მათი შეთანხმება სახეზეა.

თუმცა საკითხავია, ამოდრავებდათ თუ არა მხარეებს კომპანია „არსუკიდისათვის“ ზიანის მიყენების მიზანი. მართალია, ორივე მათგანმა კარგად იცოდა, რომ ამგვარად კომპანია 100 000 დოლარის ნაცვლად 80 000 დოლარს მიიღებდა, მაგრამ კაზუსის ფაბულიდან არ იკვეთება ზიანის მიყენების მოტივი. კერძოდ, კაზუსის მიხედვით, ზურას კლიენტის დაკარგვა არ სურდა და ამიტომ შესთავაზა ფასდაკლება. აქ შეიძლება ზურას გამოუცდებლობის დანახვა ვაჭრობის საქმეში, თუმცა მისი წინასწარ განზრახული მიზანი კომპანიისათვის ზიანის მიყენებისა ანდა კომპანიის ხარჯზე რაიმე პირადი სარგებლის მიღებისა, არ იკვეთება. აგრეთვე, ასეთი მიზნით არ მოქმედებდა ლიაც, რომელიც, უბრალოდ, დასთანხმდა მისთვის ხელსაყრელ შემოთავაზებას (უფლებამოსილი პირის მიერ).

ამდენად, ფარული შეთანხმების წინაპირობები არაა დაკმაყოფილებული და ამ საფუძველით გარიგება ვერ გახდება ბათილი.

ბბ. წარმომადგენლობის სხვაგვარი ბოროტად გამოყენება

საკითხავია, ხომ არაა სახეზე წარმომადგენლობის სხვაგვარი ბოროტად გამოყენების შემთხვევა, რაც გარიგების ბათილობას გამოიწვევდა.

ბოროტად გამოყენების სხვა შემთხვევები

საზოგადოდ, აღიარებულია, რომ არსებობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სხვა შემთხვევებიც, რომლებიც გარიგების ბათილობას განაპირობებენ. ეს ის შემთხვევებია, როცა წარმომადგენელი თავისი უფლებამოსილების გამოყენებისას შიდა ურთიერთობაში დანესებულ ზღვარს გადასცდება და მესამე პირი არაკეთილსინდისიერია. თუმცა საკამათოა, თუ რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს, ერთი მხრივ, მესამე პირის და, მეორე მხრივ, წარმომადგენლის პიროვნებები.

1. წინაპირობები მესამე პირისათვის

ცალსახადაა აღიარებული, რომ ბოროტად გამოყენებასთან, სულ მცირე, მაშინ გვაქვს საქმე, როცა მესამე პირმა დანამდვილებით იცის შიდა ურთიერთობაში არსებული ვალდებულების დარღვევის შესახებ. ასეთ დროს მესამე პირის ინტერესები სამართლებრივი დაცვის ღირსი აღარაა.

საკამათოა შემთხვევა, როცა მესამე პირმა შიდა ურთიერთობის ვალდებულების დარღვევის შესახებ არ იცის უხეში გაუფრთხილებლობის გამო. ასეთ დროს გარიგების ბათილობის აღიარება, ფაქტობრივად, ნიშნავს, რომ მესამე პირს დაეკისრებოდა ვალდებულება, წარმომადგენელსა და მარწმუნებელს შორის არსებული შიდა ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია მოიძიოს. არადა სწორედ ასეთი ვალდებულებისაგან მესამე პირთა დაცვაა შიდა და გარე ურთიერთობის გამიჯვნის მიზანი. ამიტომ ეს მოსაზრება ნაკლებად გასაზიარებელია.

მეორე მხრივ, პრაქტიკაში სირთულეებს წარმოშობს ის, რომ მესამე პირის ცოდნა, როგორც ობიექტური ფაქტი, ძალიან რთული სამტკიცებელია. ამიტომ განვითარდა შუალედური პოზიცია, რომლის თანახმადაც ბათილობის გამომწვევი ბოროტად გამოყენების შემთხვევები მაშინაა სახეზე, როცა წარმომადგენლის მიერ შიდა ურთიერთობის დარღვევა ობიექტური დამკვირვებლისათვის ცალსახად და ნათლად აღქმადია. ასეთ შემთხვევებში დასაშვებია ფიქცია, რომ მესამე პირმა იცის დარღვევის შესახებ.⁷⁰

2. წინაპირობები წარმომადგენლისათვის

ცალსახა პასუხი არ არსებობს კითხვაზე – აუცილებელია თუ არა თავად წარმომადგენლის მიერ საკუთარი დარღვევის გაცნობიერება ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო გაუცნობიერებლობა იმისთვის, რომ გარიგება ბათილად ჩაითვალოს? ასეთი წინაპირობის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბოროტად გამოყენების საკითხის გარკვევა მხოლოდ მესამე პირსა და მარწმუნებელს შორის რისკის გადანაწილებისთვისაა

⁷⁰ იქვე, Rn. 48, 49.

მნიშვნელოვანი.⁷¹ წარმომადგენლის მიერ დარღვევის გაცნობიერება მხოლოდ შიდა ურთიერთობისთვისაა რელევანტური (მაგალითად, იმის გასარკვევად, უნდა აუნაზღაუროს თუ არა წარმომადგენელმა მარწმუნებელს ზიანი).

(1) წინაპირობები

ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, გარიგების ბათილობის საფუძველია აგრეთვე წარმომადგენლის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ისეთი შემთხვევები, როცა მესამე პირმა იცის წარმომადგენლის მიერ შიდა ურთიერთობაში არსებული ვალდებულების დარღვევის შესახებ, ანდა ასეთი დარღვევა ობიექტური დამკვირვებლისათვის ცალსახად და ნათლად აღქმადია.

ამ შემთხვევაში, ზურამ პირდაპირ მიუთითა ლიას, რომ ფასდაკლებები, ზოგადად, კომპანია „არსუკიდის“ არ ჰქონდა. თვალის ემპაკური ჩაკვრითა და შემდეგ იმაზე მითითებით, რომ მან მოწმობები უკვე ნახა, ზურამ, აგრეთვე, ნათლად გააკეთა მინიშნება იმაზე, რომ იგი არ მოქმედებდა კომპანია „არსუკიდის“ შიდა წესების შესაბამისად. ობიექტური დამკვირვებლისათვის მარტივად აღქმადი იქნებოდა, რომ ზურამ კომპანიის შიდა ურთიერთობაში არსებული წესები დაარღვია.

ზურამაც, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ არღვევდა ამ წესებს. ამდენად, ლიტერატურაში არსებული კამათი იმასთან დაკავშირებით, აუცილებელია თუ არა, წარმომადგენელსაც ჰქონდეს გაცნობიერებული დარღვევა, აქ მნიშვნელოვანი არაა.

შესაბამისად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინაპირობები სახეზეა.

A. ლიას მოთხოვნა „არსუკიდის“ მიმართ ბინის გადაცემის თაობაზე

I. ნასყიდობის ხელშეკრულება (+)

- ოფერტი და აქცეპტი (+)
- წარმომადგენლობა ზურას მიერ (+)
 - საკუთარი ნების გამოვლენა (+)
 - მარწმუნებლის სახელით (+)
 - უფლებამოსილების ფარგლებში (+)
- უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (+)
 - ფარული შეთანხმება? (-)
 - სხვაგვარად ბოროტად გამოყენება (+)

შედეგი: ლიას მოთხოვნა „არსუკიდისაგან“, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე (-)

⁷¹ იქვე, Rn. 50.

(2) სამართლებრივი შედეგი

საკითხავია, რა სამართლებრივ შედეგს იწვევს ბოროტად გამოყენების ასეთი სახე. სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ასეთი შემთხვევა შედეგობრივად უნდა გაუთანაბრდეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებულ გარიგებას, სკ-ის 111-ე და შემდგომი მუხლების შესაბამისად.

ამდენად, ამ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს სკ-ის 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის მიხედვითაც გარიგება მერყევად ბათილია და მისი ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე. მარწმუნებლის თანხმობა ამ შემთხვევაში სახეზე არაა. უფრო მეტიც, ვაჟამ, რომელიც კომპანიის დირექტორია და, სკ-ის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, აგრეთვე არის წარმომადგენელი, სიტყვიერადაც განაცხადა უარი ამ გარიგებაზე.

II. შეჯამი

ლიასა და კომპანია „არსუკიძეს“ შორის არ დადებულია ნასყიდობის ნამდვილი ხელშეკრულება. ლიას არ აქვს კომპანიისაგან ბინის გადაცემის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად.

B. ლიას მოთხოვნა ზურასგან ბინის გადაცემის თაობაზე, სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად

ლიას შესაძლოა, ჰქონდეს ზურასგან ბინის გადაცემის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან და 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა წარმოიშვას, არ შეწყდეს და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა

საკითხავია, წარმოიშობა თუ არა მოთხოვნა სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილთან ერთობლიობაში. ამისათვის, სულ მცირე, საჭიროა, სახეზე იყოს სკ-ის 113-ე მუხლის წინაპირობები:

1. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე მოქმედება

სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამისათვის საჭიროა, რომ ზურა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე მოქმედებდეს. ვინაიდან ზურას ჰქონდა გენერალური მინდობილობა, მას ჰქონდა ამ გარიგების დადების უფლებამოსილება. შესაბამისად, იგი რწმუნებულების ფარგლებში მოქმედებდა (იხ. ზემოთ).

თუმცა, შესაძლოა, წარმოდგენილ შემთხვევაზე ანალოგიით გავრცელდეს სკ-ის 113-ე მუხლი. ზურამ ლიასთან ხელშეკრულების დადებისას წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა (იხ. ზემოთ). წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სამართლებრივი შედეგი, აღიარებული მიდგომის თანახმად, იგივეა, რაც სკ-ის 111-ე და შემდგომი მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

ამდენად, დასაშვებია სკ-ის 113-ე მუხლის ანალოგიით გამოყენება.

2. მარწმუნებლის მოწონება

საჭიროა, აგრეთვე, რომ მარწმუნებელმა არ მოიწონოს დადებული გარიგება. ამ შემთხვევაში მარწმუნებლის თანხმობა სახეზე არაა (იხ. ზემოთ).

3. პასუხისმგებლობის გამორიცხვა

წარმომადგენლის პასუხისმგებლობა, სკ-ის 113-ე მუხლის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, გამოირიცხება, თუკი მეორე მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ. ზურას მიერ ლიასთვის გაკეთებული მითითებებისა და მინიშნებების საფუძველზე ობიექტური დამკვირვებლისთვის ცხადი იქნებოდა, რომ ზურა შიდა ურთიერთობაში არსებულ წესრიგს არღვევდა. შესაბამისად, ლიას უნდა სცოდნოდა ამ ნაკლის შესახებ (იხ. ზემოთ). ამდენად, სკ-ის 113-ე მუხლის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადების წინაპირობები სახეზეა.

B. ლიას მოთხოვნა ზურასგან ბინის გადაცემის თაობაზე

I. წარმომადგენლობითი

უფლებამოსილების გარეშე (-)

II. 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ანალოგია (+)

III. მარწმუნებლის მოწონება (-)

IV. წარმომადგენლის

პასუხისმგებლობის გამორიცხვა, სკ-ის 113, III (+)

შედეგი: ლიას მოთხოვნა ზურასგან, სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან და 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე (-)

II. შედეგი

ლიას არ აქვს ზურასგან ბინის გადაცემის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად.

სამასსოვრო!

- წარმომადგენლობისას ერთმანეთისაგან იმიჯნება ე. წ. შიდა და გარე ურთიერთობა. რწმუნებულების ფარგლები მოიცავს იმ გარიგებებს, რომელთა დადების შესაძლებლობასაც მიცემული უფლებამოსილება იძლევა მესამე პირებთან (გარე ურთიერთობა). თუკი წარმომადგენელი ამ ფარგლებში დებს გარიგებას, წარმომადგენლობა ნამდვილი იქნება, მიუხედავად წარმომადგენელსა და რწმუნებულს შორის არსებული შეთანხმებებისა და მითითებებისა, რომლებიც, როგორც წესი, მესამე პირთათვის არაა ცნობილი (შიდა ურთიერთობა).
- წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებული გარიგება სახეზეა, თუ პირი ასეთ გარიგებას დებს მარწმუნებლის ნებისგან დამოუკიდებლად. ასეთი შემთხვევა კი შეიძლება იყოს როგორც კონკრეტულ ქმედებაზე უფლების განხორციელების დაუშვებლობა, ისე უფლებამოსილების გადაჭარბება. თუნდაც მას მიაჩნდეს, რომ იგი მარწმუნებლის სასარგებლოდ მოქმედებს, მას შეიძლება დაეკისროს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უფლებამოსილების გარეშე მოქმედებისთვის (სკ-ის 113-ე მუხლის ფარგლებში).
- წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება მერყევად ბათილია, როცა წარმომადგენელი, მართალია, მოქმედებს უფლებამოსილების ფარგლებში, მაგრამ ბოროტად იყენებს ამ უფლებამოსილებას. მაგალითად, როცა წარმომადგენელი და გარიგების მეორე მხარე წარმომადგენლისათვის ზიანის მიყენების მიზნით განზრახ ფარულად შეთანხმდებიან, ანდა როცა წარმომადგენელი გასცდება შიდა ურთიერთობაში დანესებულ ზღვარს და ეს გარიგების მეორე მხარისათვისაც ცნობილია (ანდა ცნობილი უნდა ყოფილიყო).

კაზუსი 26. არაკვალიფიციური ასისტენტი

(გარიგების დასადებად უკვე გამოყენებული რწმუნებულების შეცილება)

ავტომობილების კოლექციონერ პეტრეს დატვირთული გრაფიკის გამო დრო აღარ რჩება, რომ ბათუმში XX საუკუნის პირველი ნახევრის ავტომობილების საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვას დაესწროს. ამიტომ მან გამოფენის კატალოგი წინასწარ დაათვალიერა და თავის ასისტენტ ვანოს დაავალა, კარგად შეემოწმებინა და შემდეგ შეეძინა „მერსედესის“ მარკის რომელიმე ადრეული მოდელი 100 000 ამერიკული დოლარის ფარგლებში. პეტრე დარწმუნებულია, რომ ვანო XX საუკუნის პირველი ნახევრის ავტომობილების სპეციალისტია და სწორედ ამიტომ დაასაქმა იგი თავისთან. სინამდვილეში ვანოს სპეციალობა საავიაციო მანქანათმშენებლობაა, თუმცა პეტრეს ეს დეტალი გამოეპარა ვანოს ავტობიოგრაფიის დაუდევრად გადაკითხვის გამო.

ვანო ბათუმში გამართულ გამოფენას დაესწრო და მოეწონა „მერსედესის“ მარკის ერთ-ერთი მოდელი, რომელიც გამოფენაზე ზურას ჰქონდა წარმოდგენილი. ვანომ ზურას აუხსნა, რომ პეტრეს ასისტენტი იყო და მისი სახელით სურდა ამ ავტომობილის შეძენა. ზურა დასთანხმდა და ავტომობილი 80 000 დოლარად გაყიდა.

ამასობაში პეტრეს თბილისში მნიშვნელოვანი შეხვედრები ჰქონდა. ერთ-ერთ შეხვედრაზე ერთ-ერთი კოლეგა პეტრეს მოუყვა, თუ როგორი განბილებულია თავისი ასისტენტის არასრული კვალიფიკაციით გამოწვეული წარუმატებლობებით. შეშფოთებულმა პეტრემ კიდევ ერთხელ დანვრილებით გადაიკითხა ვანოს ავტობიოგრაფია და აღმოაჩინა, რომ იგი სხვა სპეციალობისაა. იმედგაცრუებულმა, ვანოს განუცხადა, რომ, მისი „არასრული კვალიფიკაციის“ გამო, ბათუმში ზურასთან ხელშეკრულების დასადებად მიცემული რწმუნებულება „ნამდვილი შეცდომაა“, ამიტომ საფასურის გადახდას არ აპირებს.

შეუძლია თუ არა ზურას, მოითხოვოს პეტრესგან ავტომობილის საფასურის გადახდა?

A. ზურას მოთხოვნა პეტრესგან ავტომობილის საფასურის გადახდის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად

ზურას შესაძლოა, ჰქონდეს პეტრესაგან 80 000 აშშ-ის დოლარის ოდენობით ავტომობილის საფასურის გადახდის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა წარმოიშვას, არ შეწყდეს და იყოს განხორციელებადი. მოთხოვნის წარმოშობისათვის აუცილებელია, მხარეთა შორის არსებობდეს ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც ძალაში ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენით – ოფერტითა და აქცეპტით შედის.

I. ოფერტი

ოფერტი ხელშეკრულების დადებისაკენ მიმართული მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა, რომელიც შეიცავს ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას და მასზე უპირობო თანხმობა ხელშეკრულებას წარმოშობს.

1. პეტრეს ოფერტი

პეტრეს თავად არ გამოუვლენია ხელშეკრულების დადებისაკენ უშუალოდ მიმართული ნება. ამდენად, პეტრეს ოფერტი სახეზე არაა.

2. ვანო, როგორც პეტრეს წარმომადგენელი

ხელშეკრულების დადებისაკენ მიმართული ნება გამოავლინა ვანომ, როცა ზურას შესთავაზა ავტომობილის ყიდვა. შესაძლოა, ეს ოფერტი სამართლებრივ შედეგებს წარმოშობდეს მხოლოდ პეტრესთვის. ამისათვის საჭიროა, ვანო მოქმედებდეს როგორც პეტრეს წარმომადგენელი, სკ-ის 103-ე და შემდგომი მუხლების შესაბამისად.

ა. საკუთარი ნების გამოვლენა

ვანოს წარმომადგენლობისათვის, უპირველესად, საჭირო იყო, მას გამოევლინა საკუთარი ნება და არა უცხო ნება. ვანომ საყიდელი მანქანა თავად ამოარჩია და მოლაპარაკებაც თავად გამართა ზურასთან. აქედან გამომდინარე, ვანომ საკუთარი ნება გამოავლინა.

ბ. მოქმედება სხვისი სახელით

ვანომ ზურას პირდაპირ მიუთითა, რომ ავტომობილს პეტრესთვის ყიდულობდა, ასე რომ, იგი სხვისი სახელით მოქმედებდა.

გ. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

გარდა ამისა, საჭიროა, რომ ვანო მოქმედებდეს მისთვის მიცემული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში.

აა. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიცემა

წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიეცა თუ არა პეტრემ ვანოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გარიგების საფუძველზე. პეტრემ ვანოს დაავალა, ბათუმში ეყიდა „მერსედესის“ მარკის ავტომობილი 100 000 აშშ-ის დოლარის ფარგლებში. ეს დავალება არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ანუ რწმუნებულების მიცემა, სკ-ის 107-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი ალტერნატივის მიხედვით.

თუმცა საკითხავია, ხომ არ გააუქმა პეტრემ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება უკუძალით, რის გამოც ვანოს მიერ ბათუმში ხელშეკრულების დადება უფლებამოსილების გარეშე მოქმედებად ჩაითვლებოდა.

ბბ. რწმუნებულების გაუქმება

პეტრეს განცხადებაში, რომ რწმუნებულების მიცემა „ნამდვილი შეცდომაა“, შეიძლება დავინახოთ რწმუნებულების გაუქმება, სკ-ის 109-ე მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად. თუმცა პრობლემურია ის გარემოება, რომ ვანომ ეს რწმუნებულება უკვე გამოიყენა; სკ-ის 109-ე მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული რწმუნებულების გაუქმება კი მიმართულია მომავლისაკენ (ex nunc) და არ გააჩნია უკუძალა (ex tunc). ასე რომ, ამ ნორმით ვერ მოხდება უკვე გამოყენებული რწმუნებულების გაუქმება.

გგ. რწმუნებულების მიცემის შეცვლა

რწმუნებულების მიცემა, როგორც გარიგება, შესაძლოა, საცილო გაეხადა პეტრეს, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რაც რწმუნებულების ბათილობას გამოიწვევდა მისი გაცემის მომენტიდან.

(1) შეცვლების დასაშვებობა

შენიშვნა: ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ რწმუნებულება, რომელიც ჯერ არ გამოყენებულა და რწმუნებულება, რომელიც წარმომადგენელმა უკვე გამოიყენა გარიგების დასადავად. ჯერ კიდევ გამოუყენებელი რწმუნებულების შეცვლება, როგორც გარიგებისა, შესაძლებელია ზოგადი ნორმებით. თუმცა, როგორც წესი, ეს საჭირო არაა, რადგან სკ-ის 109-ე მუხლის „გ“ პუნქტი რწმუნებულების ex nunc გაუქმების შესაძლებლობას უპრობლემოდ იძლევა.

იმის გათვალისწინებით, რომ რწმუნებულება ვანომ უკვე გამოიყენა ხელშეკრულების დასადავად, საკითხავია, საერთოდ დასაშვებია თუ არა პეტრეს მიერ მიცემული რწმუნებულების შეცილება? – ეს საკითხი სადავოა.

შენიშვნა: რწმუნებულების მიცემა არის გარიგება, ამიტომ მისი შეცილება ზოგადი წესების შესაბამისად შესაძლებელია. თუმცა ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ შეცილება გაუმართლებელ შედეგებს იწვევს, როცა რწმუნებულება უკვე გამოყენებულია გარიგების დასადავად. ასეთ დროს მკვლევართა ერთი ნაწილი შეცილების შესაძლებლობას უპირობოდ გამოირიცხავს.⁷²

კერძოდ, ამ მოსაზრების მიმდევრები განმარტავენ, რომ შეცილების შემთხვევაში რწმუნებულება გაცემის მომენტიდან ბათილად ითვლება (*ex tunc*). შესაბამისად, წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება ითვლება უფლებამოსილების გარეშე დადებულად და იწვევს სკ-ის 111-ე და შემდგომი მუხლების შესაბამის შედეგებს. ხელშეკრულების მხარეს (მესამე პირს) მოთხოვნა წარმოემოხა წარმომადგენლის მიმართ, 113-ე მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილის საფუძველზე, ხოლო წარმომადგენელს, რაკი შეცილება მის წინაშე ხდება, შეუძლია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მარწმუნებლისაგან, სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე. ამგვარი სამართლებრივი შედეგის დადგომისას მესამე პირს ვერანაირი მოთხოვნა ვერ ექნება მარწმუნებლის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ იგი კეთილსინდისიერი იყო და ხელშეკრულების დადებისას მეორე მხარედ სწორედ მარწმუნებელს მიიჩნევდა (და არა წარმომადგენელს). მესამე პირი ხდება წარმომადგენლის გადახდისუუნარობის რისკის მატარებელი, ხოლო, თუ წარმომადგენელი შეზღუდულქმედუნარიანია, მისი პასუხისმგებლობა სკ-ის 113-ე მუხლის მე-3 ნაწილითაც გამოირიცხება და მესამე პირი სრულიად დაუცველი რჩება.

ამ ყველაფრის მიუხედავად, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, რწმუნებულების შეცილება მაშინაც შეიძლება, როცა იგი წარმომადგენელმა უკვე გამოიყენა.⁷³ ამის მიზეზი ისაა, რომ არ არსებობს კანონის ნორმა, რომელიც შეცილებას ასეთ დროს პირდაპირ გამოირიცხავდა. ცალკეულ შემთხვევებში დამდგარი გაუმართლებელი სამართლებრივი შედეგის გამო შეცილების შესაძლებლობის გენერალურად მოსპობა მიზანშეწონილი არაა. გაუმართლებელ

⁷² MüKo/Schubert, BGB, 7. Aufl., § 167, Rn. 46 შემდგომი მითითებებით; Schäfer, Beck OK BGB, 39. Aufl., § 167, Rn. 55 შემდგომი მითითებებით; Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 38. Aufl., Rn. 573, 574.

⁷³ MüKo/Schubert, BGB, 7. Aufl., § 167, Rn. 47; Schäfer, Beck OK BGB, 39. Aufl., § 167, Rn. 55, 56.

შედეგებზე მაშინ უნდა იქნეს პრობლემა დასმული და, შესაბამისად, გადაწყვეტილი, როცა ასეთი შედეგები რეალურად იქნეს თავს.

ამ ყველაფრის ფონზე გასაკვირი არაა, რომ შეცილების შესაძლებლობის მომხრეებიც ყველა საკითხში ვერ თანხმდებიან. განსაკუთრებით საკამათოა, ვის წინაშე უნდა მოხდეს შეცილება და როგორ უნდა გადაწყდეს ზიანის ანაზღაურების საკითხი ცალკეულ შემთხვევებში (იხ. ქვემოთ).

შეცილების შემთხვევაში, რწმუნებულება მისი გაცემის მომენტიდან ბათილად ჩაითვლებოდა, ვანოს მიერ ზურასთან დადებული ხელშეკრულება კი, შესაბამისად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებულად. შედეგად, ზურას პეტრეს მიმართ არ ექნებოდა მოთხოვნა. გასათვალისწინებელია, რომ კანონი არ გამორიცხავს ასეთი შეცილების შესაძლებლობას. პირიქით, შეცილების შესახებ ზოგადი ნორმები ნებისმიერი გარიგების მიმართ მოქმედებს. შესაბამისად, მესამე პირის ინტერესების დაცვა უნდა მოხდეს სხვაგვარად და არა შეცილების შესაძლებლობის გამორიცხვით.

აქედან გამომდინარე, უკვე გამოყენებული რწმუნებულების შეცილება დასაშვებია.

(2) შეცილების საფუძველი

შეცილების ნამდვილობისათვის, უპირველესად, უნდა არსებობდეს შეცილების საფუძველი. ვინაიდან პეტრემ დაუშვა შეცდომა ვანოს კვალიფიკაციაში, განსახილველია შეცდომა, როგორც შეცილების საფუძველი. სკ-ის 72-ე მუხლის თანახმად, გარიგება შეიძლება საცილო გახდეს, თუ ნების გამოვლენა მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე. სკ-ის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 ალტერნატივის თანახმად კი, შეცდომა კონტრაქტის პიროვნების მიმართ მაშინ ითვლება არსებითად, როცა მისი პირადი თვისებების გათვალისწინება გარიგების დადების მთავარი საფუძველია.

(ა) შეცდომა პირის თვისებებში

უპირველესად, გასარკვევია, რამდენადაა სახეზე შეცდომა პირის თვისებებში. პირის თვისებებად უნდა ჩაითვალოს მისი ის მახასიათებლები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული კონტრაქტის პიროვნებასთან და უშუალო კავშირშია გარიგების შინაარსთან. პირის თვისებად, ამ გაგებით, უნდა ჩაითვალოს ასევე მისი განათლება და სპეციალობა, როცა, გარიგების შინაარსიდან გამომდინარე, ეს მოთხოვნები მნიშვნელოვანია.

პეტრემ შეცდომა დაუშვა ვანოს კვალიფიკაციაში. შესაბამისად, პირის თვისებებში შეცდომა სახეზეა.

(ბ) არსებითი შეცდომა

ეს შეცდომა უნდა იყოს არსებითი, ე. ი. მისი გათვალისწინება გარიგების დადების მთავარი საფუძველი უნდა იყოს (სკ-ის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ეს საკითხი უნდა შეფასდეს სამოქალაქო ბრუნვის გათვალისწინებით. კერძოდ, XX საუკუნის ავტომობილის თვისებებისა და ხარისხის შესამოწმებლად სპეციალური ცოდნა საჭიროა. უნდა დავასკვნათ, რომ ასეთი ძვირადღირებული და ისტორიული ავტომობილის შესაძენად რწმუნებულების გაცემისას ერთ-ერთი მთავარი გასათვალისწინებელი საფუძველი სწორედ წარმომადგენლის კვალიფიკაცია იქნებოდა.

(გ) მიზეზობრივი კავშირი

გარდა ამისა, საჭიროა, არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი შეცდომა-სა და დადებულ გარიგებას შორის. მიზეზობრივი კავშირი სახეზეა, თუკი გარიგება არ დაიდებოდა, რომ არა შეცდომა. ამ შემთხვევაში, რაკი შეცდომა გარიგების დადების მთავარი საფუძველი იყო (იხ. ზემოთ), მიზეზობრივი კავშირი ცალსახაა.

(დ) შედეგი – შეცილების საფუძველი

შესაბამისად, შეცილების საფუძველი სახეზეა, სკ-ის 72-ე მუხლისა და სკ-ის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 ალტერნატივის შესაბამისად.

(3) შეცილების განცხადება, შეცილების ადრესატი

პეტრემ ვანოს განუცხადა, რომ მისთვის რწმუნებულების მიცემა შეცდომა იყო. საკითხავია, არის თუ არა ვანო შეცილების ადრესატი. სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, შეცილება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ. აღიარებულია, რომ აქ იგულისხმება არა მხოლოდ ხელშეკრულების, არამედ, ზოგადად (მათ შორის ცალმხრივი), გარიგების მეორე მხარე.

თუმცა ამ შემთხვევაში საკითხავია, ვინ უნდა მივიჩნიოთ „მეორე მხარედ“. რადგან რწმუნებულება ვანოს მიცა, ერთი მხრივ, სწორედ ის უნდა ჩაითვალოს გარიგების „მეორე მხარედ“, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ რწმუნებულების შეცილებით არა მხოლოდ თავად რწმუნებულება ბათილდება, არამედ მის საფუძველზე დადებული გარიგებაც, სკ-ის 111-ე

მუხლის თანახმად, მერყევად ბათილი ხდება. ასე რომ, ამ შეცდომებით პეტრესა და ზურას შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებაც კარგავს ნამდვილობას. შესაბამისად, „მეორე მხარე“, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით, შესაძლოა, მესამე პირიც (ამ შემთხვევაში ზურა) იყოს.

უკვე გამოყენებული რწმუნებულების შეცდომა

საკითხი, თუ ვინაა უკვე გამოყენებული რწმუნებულების შეცდომების ადრესატი, სადავოა. საკამათო არაა მხოლოდ ერთი: ყველა თანხმდება, რომ სამართლებრივად დაცული უნდა იყოს კეთილსინდისიერი მესამე პირის ნდობა რწმუნებულების ნამდვილობის შესახებ. მას უშუალოდ მარწმუნებლისაგან უნდა ჰქონდეს მოთხოვნა. სადავო სწორედ ამ შედეგამდე მისვლის გზებია.⁷⁴

ერთი შეხედულების თანახმად, შეცდომების ადრესატად მიჩნეული უნდა იქნეს მესამე პირი, რათა სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მესამე პირს ჰქონდეს მარწმუნებლისაგან გარიგების ბათილობის გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ფაქტობრივად, ასეთი შეცდომა სამართლებრივად წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგების შეცდომების იდენტიურია. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, ჩვენს შემთხვევაში, პეტრეს შეცდომა ზურას წინაშე უნდა განეცხადებინა, შეცდომა ვანოს წინაშე საკმარისი არ იქნებოდა.

გაბატონებული მოსაზრება ერთმანეთისაგან მიჯნავს შემთხვევებს, როცა რწმუნებულება გაიცა (1) წარმომადგენლის მიმართ ნების გამოვლენით და (2) მესამე პირის მიმართ ნების გამოვლენით (სკ-ის 107-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ორი ალტერნატივა).⁷⁵ ამ მოსაზრების თანახმად, შეცდომა სწორედ იმ პირის მიმართ უნდა იქნეს განცხადებული, ვის მიმართაც გამოვლენილ იქნა ნება რწმუნებულების გაცემის შესახებ. თუკი ეს მესამე პირია, მას კვლავ რჩება მარწმუნებლისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, ხოლო, როცა შეცდომა წარმომადგენლის მიმართ უნდა განხორციელდეს, სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილი ანალოგიურად შეიძლება იქნეს გამოყენებული და მესამე პირი მაინც დაცული რჩება.

ერთი მოსაზრების თანახმად, შეცდომა მესამე პირის მიმართ უნდა განხორციელდეს, რათა მას არ დაანვეს ზედმეტი რისკი და ჰქონდეს ხელშეკრულების მეორე მხარისაგან (მარწმუნებლისაგან) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საშუალება.

⁷⁴ MüKo/Schubert, BGB, 7. Aufl., § 167, Rn. 48, 49.

⁷⁵ Schäfer, Beck OK BGB, 39. Aufl., § 167, Rn. 57.

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ იგი, ფაქტობრივად, აღწერს წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგების შეცილებას და არა თავად რწმუნებულების მიცემის შესახებ გარიგების შეცილებას. რწმუნებულების მიცემა წარმომადგენლის მიერ მესამე პირთან დადებული ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებელი ცალმხრივი გარიგებაა, რომელსაც ჰყავს თავისი ადრესატი. სწორედ მის მიმართ უნდა მოხდეს შეცილება. გარდა ამისა, მესამე პირის ნდობა რწმუნებულების ნამდვილობის შესახებ სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის ანალოგიური გამოყენებითაც შეიძლება იქნეს დაცული.

აქედან გამომდინარე, რწმუნებულების შეცილება უნდა მოხდეს იმ პირის მიმართ, რომლის მიმართაც მოხდა რწმუნებულების მიცემის შესახებ ნების გამოვლენა.

პეტრემ რწმუნებულება ვანოს მისცა, შესაბამისად, მის წინაშე უნდა მომხდარიყო შეცილების განცხადებაც. ამდენად, შეცილების განცხადება სწორი ადრესატის მიმართ მოხდა.

(4) შეცილების ვადა

გარდა ამისა, შეცილების განცხადება პეტრეს ვადის დაცვით უნდა განეხორციელებინა. სკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, შეცდომით დადებული გარიგების შეცილების ვადა ერთი თვეა. პეტრემ გარიგება საცილო გახადა, როგორც კი შეიტყო შეცდომის შესახებ. ვადის დარღვევა კაზუსის ფაბულიდან არ იკვეთება. ამდენად, სკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ვადა დაცულია.

დდ. შუალედური დასკვნა

პეტრემ ვანოსთვის მიცემული რწმუნებულება საცილო გახადა, სკ-ის 72-ე მუხლისა და 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე,

A. ზურას მოთხოვნა პეტრესგან ფასის გადახდის თაობაზე

I. ნასყიდობის ხელშეკრულება (-)

- უშუალოდ პეტრეს ოფერტი (-)
- ვანო, როგორც წარმომადგენელი (+)
 - საკუთარი ნების გამოვლენა (+)
 - სხვისი სახელით (+)
 - უფლებამოსილების ფარგლებში (-)
 - რწმუნებულების მიცემა (+)
 - რწმუნებულების გაუქმება (-)
 - რწმუნებულების მიცემის შეცილება (+)

შედეგი: ზურას მოთხოვნა პეტრეს მიმართ, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე (-)

რის გამოც რწმუნებულება, სკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ბათილია მისი მიცემის მომენტიდან (ex tunc). შესაბამისად, ბათუმში ხელშეკრულების დადებისას ვანო მოქმედებდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე.

3. უფლებამოსილების გარეშე მოქმედების სამართლებრივი შედეგი

უფლებამოსილების გარეშე მოქმედების გამო, სკ-ის 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მის მიერ დადებული გარიგება ითვლება მერყევად ბათილად და მისი ნამდვილობა მარწმუნებლის მოწონებაზეა დამოკიდებული. მარწმუნებელმა პეტრემ ხელშეკრულება არ მოიწონა. შესაბამისად, ხელშეკრულება ბათილია.

II. შედეგი

პეტრესა და ზურას შორის არ დადებულა ნასყიდობის ნამდვილი ხელშეკრულება. ზურას არ აქვს პეტრესგან ავტომობილის საფასურის გადახდის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

სამახსოვრო!

გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, რწმუნებულების შეცილება შესაძლებელია მაშინაც, როცა მარწმუნებელმა იგი უკვე გამოიყენა გარიგების დასადავად. რწმუნებულების შეცილება ხდება მარწმუნებლის მიერ იმ პირის წინაშე, რომლის მიმართაც მარწმუნებელმა რწმუნებულების მიცემის ნება გამოავლინა – ე.ი. წარმომადგენლის ან მესამე პირის მიმართ (სკ-ის 107-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ორი ალტერნატივა). გარიგების დასადავად უკვე გამოყენებული რწმუნებულების შეცილება შედეგად იწვევს რწმუნებულების ბათილობას, რაც, თავის მხრივ, წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგების (მერყევად) ბათილობას განაპირობებს. მესამე პირს, რომელსაც გარიგების ნამდვილობის მიმართ კანონიერი ნდობა ჰქონდა, რჩება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მარწმუნებლისაგან.

კახუნი 27. პინკ ფლოიდის ალბომები

(წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგების შეცილება მარწმუნებლის მიერ; ნების გამოვლენის ნაკლი წარმომადგენლობისას, სკ-ის 106-ე მუხლი)

ვერიკოს მუსიკალური მალაზია აქვს, სადაც თანამედროვე ცნობილი მუსიკოსების ალბომები იყიდება. კლიენტთა უფრო ფართო წრის დაინტერესების მიზნით მან გადაწყვიტა, 60-70-იანი წლების კლასიკური როკ-მუსიკაც შეეთავაზებინა მყიდველისათვის. ინტერნეტში ძიების შედეგად ვერიკომ მიაგნო მუსიკალური ალბომების კოლექციონერ ოთარს, რომელიც თავის მდიდარ კოლექციას ყიდდა. ვერიკომ გადაწყვიტა, მისგან ეყიდა პინკ ფლოიდის ყველა ალბომი, მაგრამ, რადგან დრო ვერ გამონახა, ოთართან თავისი თანამშრომელი ელენე გაგზავნა. ვერიკომ მიუთითა, რომ ალბომები გულისყურით შეემონებინა და არ ეყიდა, თუკი ისინი შელახული იქნებოდა. თუმცა გაუცნობიერებლად, პინკ ფლოიდის ნაცვლად, შეცდომით, პინკის ალბომების ყიდვა დაავალა ელენეს.

ოთართან მისულმა ელენემ ოთარს განუცხადა, რომ ვერიკოს წარმომადგენელი იყო, პინკის ალბომები მოითხოვა, კარგად შეამონმა, ოთარს ფასზეც შეუთანხმდა და მალაზიაში წამოიღო. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ვერიკომ პინკ ფლოიდის ალბომები მოიკითხა, გაკვირვებულმა ელენემ თაროზე დაწყობილ პინკის ალბომებზე მიუთითა.

ვერიკომ სასწრაფოდ დაურეკა ოთარს და განუცხადა, რომ პინკის ალბომები შეცდომით იყიდა და ოთარს შეეძლო, უკან წაეღო, თუმცა ოთარს არ სურს გაყიდულის უკან დაბრუნება და საფასურის გადახდას ითხოვს ვერიკოსგან.

სამართლიანია ოთარის მოთხოვნა?

A. ოთარის მოთხოვნა ვერიკოს მიმართ ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე

ოთარს შესაძლოა ჰქონდეს ვერიკოსაგან ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა წარმოიშვას, არ შეწყდეს და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა – ნასყიდობის ხელშეკრულება

მოთხოვნის წარმოშობისათვის საჭიროა, ოთარსა და ვერიკოს შორის დადებული იყოს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შედის ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენით, ოფერტიტა და აქცეპტით.

1. ვერიკოს ოფერტი

თავად ვერიკოს არ გამოუვლენია უშუალოდ ხელშეკრულების დადებისაკენ მიმართული ნება.

2. წარმომადგენლობა ელენეს მიერ

ოთარს ელენე შეუთანხმდა პინკის ალბომების შექმნაზე. ეს შეთანხმება წარმომადგენს ურთიერთმფარავ ნების გამოვლენებს, ოფერტსა და აქცეპტს. ელენეს მიერ გამოვლენილი ნება, სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, შესაძლოა, სამართლებრივ შედეგებს წარმოშობდეს მხოლოდ ვერიკოსთვის, თუკი ელენე მოქმედებდა როგორც წარმომადგენელი.

ა. საკუთარი ნების გამოვლენა

ამისათვის საჭიროა, ელენეს გამოვევლინა საკუთარი ნება და არ ყოფილიყო, უბრალოდ, უცხო ნების გადამტანი. ელენემ ოთარის ალბომები გულისყურით შეამონმა და ფასზეც შეუთანხმდა. ელენეს ამ მოქმედებებიდან გამომდინარე, ობიექტური დამკვირვებელი დაასკვნის, რომ საბოლოო გადაწყვეტილება სწორედ ელენემ მიიღო და მის მიერ გამოვლენილი ნება სწორედ მის პიროვნებაში ჩამოყალიბდა. ამდენად, ელენემ საკუთარი ნება გამოავლინა.

ბ. მოქმედება სხვისი სახელით

ელენემ მიუთითა, რომ სხვისი სახელით მოქმედებდა.

გ. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

გარდა ამისა, ელენე მოქმედებდა ვერიკოს მიერ მისთვის სიტყვიერად მიცემული დავალების ფარგლებში. შესაბამისად, მისი მოქმედება სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებშია მოქცეული.

აქედან გამომდინარე, ელენე უნდა ჩაითვალოს ვერიკოს წარმომადგენლად და მის მიერ დადებული გარიგება, სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, უნდა შეერაცხოს ვერიკოს.

3. შუალედური დასკვნა

ვერიკოსა და ოთარს შორის პინკის ალბომებზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაში შევიდა.

II. ხელშეკრულების გათიქობა და დების მომენტიდან

თუმცა ეს ხელშეკრულება შეიძლება გამხდარიყო ბათილი მისი დადების მომენტიდან, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, თუკი ვერიკო ხელშეკრულების მეორე მხარეს კანონით გათვალისწინებული საფუძვლით შეეცილებოდა.

1. შეცილების განცხადება

შეცილება ოთარის მიმართ ვერიკომ განაცხადა. საკითხავია, შეეძლო თუ არა ვერიკოს შეცილების განცხადების გაკეთება. სკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, შეცილების უფლება აქვს დაინტერესებულ პირს. როგორც წესი, შეცილებით დაინტერესებული პირი ისაა, ვინც მისი დადების ნება გამოავლინა. ამ შემთხვევაში ასეთია ელენე. თუმცა, სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება მხოლოდ წარმოდგენილი პირისათვის წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. შეცილების უფლებაც ერთ-ერთი სამართლებრივი შედეგია და, ამ ნორმის თანახმად, ისიც წარმოდგენილი პირისთვის (მარწმუნებლისთვის) წარმოიშობა. გარდა ამისა, გარიგების გაბათილების ინტერესი მხოლოდ სწორედ იმ პირს შეიძლება ჰქონდეს, რომლისთვისაც იგი სამართლებრივ შედეგებს ანესებს.

აქედან გამომდინარე, რადგან წარმომადგენლობა ნამდვილია (იხ. ზემოთ), ვერიკოს ჰქონდა შეცილების განცხადების უფლება.

2. შეცილების საფუძველი

საკითხავია, არის თუ არა სახეზე შეცილების საფუძველი. ამ შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ შეცდომა. ვერიკომ ელენესთან საუბრისას დაუშვა მექანიკური შეცდომა და გაუცნობიერებლად პინკ ფლოიდის ნაცვლად პინკი თქვა. ეს არის ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომა, რომელიც, სკ-ის 73-ე მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით, ითვლება არსებით შეცდომად და იძლევა შეცილების უფლებას, სკ-ის 72-ე მუხლის საფუძველზე.

თუმცა საკითხავია, შეცილებისას რამდენად უნდა იქნეს გათვალისწინებული მარნმუნებლის მიერ დაშვებული შეცდომა მაშინ, როცა უშუალოდ გარიგების დადებისაკენ მიმართული ნების გამოვლენა, სკ-ის 103-ე და შემდგომი მუხლების შესაბამისად, წარმომადგენლის მიერ ხდება.

ა. სკ-ის 106-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

სკ-ის 106-ე მუხლის 1-ლი ნაწილი განსაზღვრავს, რომ ნების გამოვლენის ნაკლის გამო გარიგების საცილობისას გადამწყვეტია წარმომადგენლის ნება. ამ შემთხვევაში, შეცდომა მხოლოდ მარნმუნებელმა დაუშვა და არა წარმომადგენელმა. ელენეს მიერ გამოვლენილი ნება, სკ-ის 106-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით, უნაკლოა და, ამდენად, ეს ნორმა გამოორიცხავს შეცილების შესაძლებლობას.

ბ. სკ-ის 106-ე მუხლის მე-2 ნაწილი

საკითხავია, ხომ არაა სახეზე სკ-ის 106-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევა, რომლის მიხედვითაც, თუ ნების გამოვლენის ნაკლი წარმოდგენილი პირის მიერ წინასწარ განსაზღვრულ გარემოებებს შეეხება და ეს ნაკლი წარმოდგენილი პირისაგან მომდინარეობს, შეცილება მაინც შესაძლებელია.

აა. წინასწარ განსაზღვრული გარემოება

ამდენად, გასარკვევია, უკავშირდება თუ არა ნების ნაკლი მარნმუნებლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ გარემოებას. ნების ნაკლი ამ შემთხვევაში უკავშირდება იმ ფაქტს, რომ პინკ ფლოიდის ალბომების ყიდვის ნაცვლად პინკის ალბომების ყიდვის ნება გამოვლინდა. თუ რომელი შემსრულებლის ალბომი უნდა ეყიდა წარმომადგენელს, წინასწარ იყო განსაზღვრული ვერიკოს მიერ და ელენეს არ ჰქონდა შემსრულებლის თავად არჩევის უფლებამოსილება. ამდენად, შეცდომა წინასწარ განსაზღვრულ

გარემოებას ეხება და სკ-ის 106-ე მუხლის მე-2 ნაწილის ეს პირობა დაცულია.

ბბ. წარმოდგენილი პირისაგან მომდინარე ნაკლი

გარდა ამისა, აღნიშნული ნების ნაკლი უნდა მომდინარეობდეს წარმოდგენილის პიროვნებისაგან. ამ შემთხვევაში, ელენეს შეცდომა არ დაუშვია. მის მიერ გამოვლენილი ნების ნაკლი უშუალოდ ვერიკოს მიერ დაშვებულმა შეცდომამ გამოიწვია. შესაბამისად, ნაკლი წარმოდგენილი პირისაგან მომდინარეობს.

გგ. შუალედური დასკვნა

შესაბამისად, შეცილება შესაძლებელია. სახეზეა შეცილების საფუძველი, სკ-ის 72-ე მუხლისა და 73-ე მუხლის „ა“ პუნქტიდან გამომდინარე.

3. შეცილების ვადა

ვერიკომ შეცილება მაშინვე განახორციელა, როგორც კი შეიტყო შეცდომის შესახებ. ამდენად, სკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შეცილების ერთთვიანი ვადა დაცულია.

4. ხელშეკრულების ბათილობა

სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადებიდან გამომდინარე, ვერიკოსა და ოთარს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება შეცილების გამო ბათილია მისი დადების მომენტიდან.

III. საბოლოო შედეგი

ოთარს არ აქვს ვერიკოსგან პინკის ალბომების ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

A. ოთარის მოთხოვნა ვერიკოსგან ფასის გადახდის თაობაზე

I. ნასყიდობის ხელშეკრულება (+)

- უშუალოდ ვერიკოს ოფერტი (-)
- ელენეს წარმომადგენლობა (+)
 - საკუთარი ნების გამოვლენა (+)
 - მოქმედება სხვისი სახელით (+)
 - წარმომადგენლობითი უფლებამოსილება (+)

II. ხელშეკრულების ბათილობა(+)

- შეცილების განცხადება (+)
- შეცილების საფუძველი (+)
 - სკ, 106, I (-)
 - სკ, 106, II (+)
- შეცილების ვადა (+)

შედეგი: ოთარის მოთხოვნა ვერიკოს მიმართ, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე (-)

სამახსოვრო!

წარმოდგენილ პირს აქვს უფლება, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას საცილო გახადოს წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება. თუმცა, თუ გარიგება საცილო ხდება ნების გამოვლენის ნაკლის გამო, გადამწყვეტია წარმომადგენლის ნება (მაგ., წარმომადგენლის და არა მარწმუნებლის მიერ დაშვებული შეცდომა). თუმცა, თუ მარწმუნებელი წარმომადგენლს შეცდომით განუსაზღვრავს სამოქმედო არეალს და წარმომადგენელი ამ ფარგლებში იმოქმედებს, საცილოობისას მარწმუნებლის ნების ნაკლს მიენიჭება უპირატესობა.

კახუნი 28. „ნაღდი“ ქართული ქათამი

(წარმომადგენელი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე; წარმომადგენლის მიერ შეცილების უფლება; შეცილება მესამე პირის მხრიდან მოტყუების გამო; შეცილება წარმომადგენლის შეცდომის გამო)

ირაკლის ცხოველთა ფერმა აქვს და სურს, მეკვერცხული ქათმებიც მოაშენოს. მან თავისი სურვილი თანაშემწე გიორგის გაუმხილა და სთხოვა, ეყიდა იტალიური თეთრი ლეგჰორნის ჯიშის 100 მეკვერცხული ქათამი.

გიორგიმ რამდენიმედღიანი ძებნის შემდეგ მიაგნო დათოს, რომელიც სხვადასხვა ჯიშის ფრინველებს ყიდდა. დათოსთან მისულ გიორგის შემთხვევით შეხვდა იქ მყოფი გელა, რომელსაც აგრეთვე ფრინველების ყიდვა სურდა თავისი მეფრინველეობის ფერმისათვის. გელამ გიორგის გაანდო, რომ ლეგჰორნის ჯიშის ქათამი „არაფრად არ ვარგა“, გაცილებით უკეთესია „ნაღდი“ ქართული ქათამი, რომელიც უფრო მეტ კვერცხსაც დებს და უფრო გემრიელიცაა. სინამდვილეში ქართული ქათამი სახორცე ჯიშია და არა მეკვერცხული: წელიწადში მხოლოდ 80-ამდე კვერცხს დებს, მაშინ, როცა ლეგჰორნის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 250-ს აღემატება. გელამ ეს კარგად იცის, მაგრამ სურს, თავის კონკურენტ ირაკლის ხელი შეუშალოს.

გიორგის ჭკუაში დაუჯდა გელას „რჩევა“ და იმ იმედით, რომ თავის უფროსს თავს მოაწონებდა, დათოსგან მართლაც 100 ქართული ქათამი იყიდა. დათოც, რომელსაც გელასა და გიორგის საუბარი არ მოუსმენია, კმაყოფილი დარჩა სარფიანი ვაჭრობით.

როცა გიორგიმ ირაკლის ქათმები მიუყვანა, გაბრაზებულმა ირაკლიმ მოსთხოვა, სასწრაფოდ უკან დაებრუნებინა „უვარგისი“ ფრინველები და ლეგჰორნის ჯიშის ქათმები წამოეყვანა. გულდანყვეტილი გიორგი ისევ მიადგა დათოს, მაგრამ დათომ უარი უთხრა შეცვლაზე და მოითხოვა ქართული ქათმების საფასურის გადახდა ირაკლისგან ან გიორგისგან.

სამართლიანია თუ არა დათოს მოთხოვნა?

A. დათოს მოთხოვნა ირაკლის მიმართ საფასურის გადახდის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე

დათოს შეიძლება ჰქონდეს ირაკლისაგან ქათმების საფასურის გადახდის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, დათოს მოთხოვნა წარმოიშვას, არ შეწყდეს და იყოს განხორციელებადი. მოთხოვნის წარმოშობისთვის კი საჭიროა, დათოსა და ირაკლის შორის დადებული იყოს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც ძალაში ოფერტისა და აქცეპტის განცხადებით შედის.

I. ოფერტი

ირაკლის თავად არ განუცხადებია ოფერტი.

II. წარმომადგენლობა გიორგის მიერ

სამაგიეროდ, ქართული ქათმის შეძენისაკენ მიმართული ოფერტი განცხადდა გიორგიმ დათოს წინაშე. ამ ოფერტს დათომ აქცეპტით უპასუხა. საკითხავია, ეს ოფერტი შეერაცხება თუ არა ირაკლის, სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად. ამისათვის დაცული უნდა იყოს ამ მუხლის წინაპირობები.

1. საკუთარი ნების გამოვლენა

გიორგიმ დათოს წინაშე საკუთარი ნება გამოავლინა.

2. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

საკითხავია, მოქმედებდა თუ არა გიორგი უფლებამოსილების ფარგლებში. ირაკლიმ მას რწმუნებულება მხოლოდ ლეგჰორნის შესაძენად მისცა, სკ-ის 107-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი ალტერნატივის შესაბამისად. გიორგის უფლებამოსილება არ მოიცავდა სხვა ჯიშის ქათმების ყიდვას.

<p>A. დათოს მოთხოვნა ირაკლისგან ფასის გადახდის თაობაზე</p> <p>I. ნასყიდობის ხელშეკრულება (-)</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ უშუალოდ ირაკლის ოფერტი (-) ➤ გიორგის წარმომადგენლობა (-) <ul style="list-style-type: none"> ○ საკუთარი ნების გამოვლენა (+) ○ უფლებამოსილების ფარგლებში (-) ○ მარწმუნებლის მიერ მონონება (-) <p>შედეგი: დათოს მოთხოვნა ირაკლის მიმართ, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე (-)</p>
--

3. მოქმედება უფლებამოსილების გარეშე

ასე რომ, გიორგი მოქმედებდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე. სკ-ის 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მის მიერ დადებული გარიგება მერყევად ბათილია და მისი ნამდვილობისათვის საჭიროა მარწმუნებლის მიერ მონონება.

4. მონონება მარწმუნებლის მიერ

ირაკლიმ არ მოიწონა დადებული ხელშეკრულება, შესაბამისად, ხელშეკრულება ირაკლისა და დათოს შორის შეუქცევადად ბათილი გახდა.

III. შედეგი

დათოს არ შეუძლია მოითხოვოს ირაკლისაგან საფასურის გადახდა, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

B. დათოს მოთხოვნა გიორგისაგან საფასურის გადახდის თაობაზე, სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან და სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე

დათოს შეიძლება ჰქონდეს გიორგისაგან საფასურის გადახდის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან და სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა წარმოიშვას, არ იყოს შეწყვეტილი და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა

იმისათვის, რომ მოთხოვნა წარმოიშვას, უპირველესად, სახეზე უნდა იყოს სკ-ის 113-ე მუხლის წინაპირობები.

1. მოქმედება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე

სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილის აუცილებელი წინაპირობაა, რომ გიორგი უფლებამოსილების გარეშე მოქმედებდეს. გიორგი მოქმედებდა როგორც წარმომადგენელი, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე (იხ. ზემოთ).

2. წარმომადგენლობის ნაკლის ცოდნა

გიორგიმ იცოდა, რომ მოქმედებდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე. შესაბამისად, სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენება შესაძლებელია.

შენიშვნა: თუ წარმომადგენელმა არ იცის წარმომადგენლობის ნაკლის შესახებ, გამოიყენება სკ-ის 113-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

3. წარმომადგენლის პასუხისმგებლობის გამორიცხვა (სკ-ის 113, 3)

დათომ არ იცოდა, რომ გიორგი უფლებამოსილების გარეშე მოქმედებდა და არც შეიძლება სცოდნოდა. შესაბამისად, გიორგის პასუხისმგებლობა ვერ გამოირიცხება, სკ-ის 113-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე.

4. შუალედური დასკვნა

შესაბამისად, დათოს, ნესით, უფლება აქვს, სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე, მოითხოვოს გიორგისაგან 477-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ნასყიდობის ფასის გადახდა.

II. ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა შეცილების გამო

თუმცა საკითხავია, ხომ არაა ნასყიდობის ხელშეკრულება მისი დადების მომენტიდან ბათილი შეცილების გამო, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად. აქ განსახილველია შეცილება გიორგის მიერ.

1. გიორგის მიერ შეცილების დასაშვებობა

საკითხავია, რამდენადაა შესაძლებელი, რომ წარმომადგენელმა საცილო გახადოს ხელშეკრულების დადებისკენ მიმართული ნების გამოვლენა (ოფერტი), როცა იგი პასუხს აგებს, სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე. შეცილების შესაძლებლობა საეჭვოა მაშინ, როცა წარმომადგენელი, ამ ნორმის მე-2 ალტერნატივის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურებაზეა პასუხისმგებელი და ხელშეკრულების მხარედ არ იქცევა.

თუმცა აღიარებულია, რომ, როცა წარმომადგენლობის ნაკლის დროს მესამე პირი წარმომადგენლისაგან ვალდებულების შესრულებას ითხოვს, სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი ალტერნატივიდან გამომდინარე,

წარმომადგენლის სამართლებრივი მდგომარეობა უტოლდება ხელშეკრულების მხარის სამართლებრივ მდგომარეობას.

შენიშვნა: როცა მესამე პირი შესრულებას ითხოვს (და არა ზიანის ანაზღაურებას), მან, თავის მხრივ, წარმომადგენლის მიმართ პასუხი უნდა აგოს ისე, როგორც აგებდა პასუხს მარწმუნებელთან ნამდვილი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, ასეთ შემთხვევებში წარმომადგენელს აქვს, მაგალითად, საპასუხო შესრულების მოთხოვნის უფლება მესამე პირისაგან, რადგან წარმომადგენელი, ფაქტობრივად, ხელშეკრულების მხარედ იქცა.

რადგან წარმომადგენელი, როგორც წესი, საკუთარ ნებას ავლენს, გაუმართლებელი იქნებოდა, სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ფარგლებში, შეცილების შესაძლებლობის მოსპობა. აქედან გამომდინარე, გიორგის მიერ თავისი ნების შეცილება დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ.

2. შეცილების განცხადება

გიორგიმ შეცილების განცხადება განახორციელა, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებისა და მე-3 ნაწილის შესაბამისად.

3. შეცილების საფუძველი

გარდა ამისა, საჭიროა, სახეზე იყოს შეცილების საფუძველი.

ა. მოტყუება

შეცილების საფუძველი შესაძლოა იყოს მოტყუება, სკ-ის 81-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად. ამისათვის საჭიროა, გიორგი მოეტყუებინათ გარიგების დადების მიზნით და ტყუილი მიზეზობრივ კავშირში იყოს გარიგების დადებასთან.

აა. ტყუილი

უპირველესი პირობა თავად ტყუილის ფაქტია. ტყუილი არის პირისათვის განზრახ არასწორი წარმოდგენის შექმნა. გელამ გიორგის განზრახ არასწორი წარმოდგენა შეუქმნა ქათმის ჯიშებზე. ტყუილის ფაქტი სახეზეა.

ბბ. გარიგების დადების მიზნით

გარდა ამისა, ტყუილი გარიგების დადების მიზნით უნდა იყოს ნათქვამი. გელას მიზანი კონკურენტისათვის ხელის შეშლა იყო, შესაბამისად, მას სურდა, კონკურენტს არახელსაყრელი გარიგება დაედო. ამდენად, გარიგების დადების მიზანიც სახეზეა.

გგ. მესამე პირის მიერ

საკითხავია, რა სამართლებრივი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს იმ ფაქტს, რომ ტყუილი არა გარიგების მეორე მხარემ, არამედ მესამე პირმა თქვა. სკ-ის 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მესამე პირის მხრიდან მოტყუებისას შეიძლება გარიგების ბათილობის მოთხოვნა, თუ მოტყუების შესახებ იცოდა, ან უნდა სცოდნოდა იმ პირს, რომელიც გარიგებით სარგებელს იღებდა.

(1) გელა, როგორც მესამე პირი

საკითხავია, შეიძლება თუ არა, გელა მიჩნეულ იქნეს მესამე პირად, სკ-ის 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით. აღიარებულა, რომ ამ მუხლის მიზნებისათვის მესამე პირად არ ითვლება ის პირი, რომელიც იმდენად ახლოსაა გარიგების მეორე მხარესთან, რომ ტყუილი მხოლოდ მისი ინტერესების სასარგებლოდ თქვა. ასეთ დროს ტყუილი გარიგების მხარეს შეერაცხება.

გელა არ იყო დათოს წარმომადგენელი, სკ-ის 103-ე და შემდგომი მუხლების მიხედვით. მას არც რაიმე ახლო ურთიერთობა ჰქონდა დათოსთან, რაც გვაფიქრებინებდა, რომ გელამ ტყუილი მხოლოდ დათოს ინტერესებისათვის თქვა. გელამ ტყუილი საკუთარი ინტერესების გამო თქვა და არა იმიტომ, რომ სურდა, დათოს ხელსაყრელი გარიგება დაედო. ამდენად, გელა უნდა ჩაითვალოს მესამე პირად.

(2) მოტყუების შესახებ დათოს ცოდნა

დათოს არ მოუსმენია გელასა და გიორგის საუბარი. შესაბამისად, მან არ იცოდა ტყუილის შესახებ. იგი გაუფრთხილებლადაც არ მოქმედებდა, ამდენად, არც შეიძლება სცოდნოდა ტყუილის ფაქტი. აქედან გამომდინარე, სკ-ის 81-ე და 83-ე მუხლების საფუძველზე შეცილება ვერ მოხდება.

ბ. შეცდომა

შეცილების საფუძველი აქ შეიძლება იყოს აგრეთვე შეცდომა. სკ-ის 72-ე მუხლის შესაბამისად, გარიგების შეცილება შეიძლება, თუკი მისი გამოვლენა არსებითი შეცდომის საფუძველზე მოხდა. გიორგიმ შეცდომით მიიჩნია, რომ ქართული ქათამი მეკვერცხული ჯიშია. საკითხავია, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს ასეთი შეცდომა არსებითად.

აა. შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში

საკითხავია, გიორგის მიერ დაშვებული შეცდომა რამდენად შეიძლება განვიხილოთ შეცდომად საგნის ძირითად თვისებაში, ვინაიდან მას ეგონა, რომ ქართული ქათამი უფრო მეტ კვერცხს დებდა წელიწადში, ვიდრე ლეგჰორნი. სკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საგნის ძირითად თვისებაში დაშვებული შეცდომა მხოლოდ მაშინ ითვლება არსებითად, როცა ამ თვისებას საგნის ღირებულების განსაზღვრისთვის აქვს მნიშვნელობა.

საკითხავია, განსაზღვრავს თუ არა ქათმის მეკვერცხულობა მის ფასს. აქ გასათვალისწინებელია, რომ ქათმის სხვადასხვა ჯიში სხვადასხვა მიზნით გამოიყენება. მათი ფასის განსაზღვრისას კი ყურადღება უნდა მიექცეს იმ თვისებებს, რომლებიც კონკრეტული ჯიშის გამოყენების სფეროს შესაბამისია. მაგალითად, იმ ქათმის ჯიშების ფასს, რომლებიც კვერცხის წარმოებისათვის გამოიყენება, შეიძლება განსაზღვრავდეს კვერცხის დების სიხშირე და კვერცხის ხარისხი, ხოლო სახორცე ქათმის ჯიშების ღირებულების განმსაზღვრელი ქათმის ზომა, წონა და მისი ხორცის სხვა მახასიათებლები შეიძლება იყოს. მხოლოდ ის ფაქტი, რომ რომელიმე ჯიში არ

B. დათოს მოთხოვნა გიორგისგან ფასის გადახდის თაობაზე

I. 113-ე მუხლის წინაპირობები(+)

I. ხელშეკრულების ბათილობა შეცილების გამო(+)

- შეცილების დასაშვებობა გიორგის მიერ? (+)
- შეცილების განცხადება (+)
- შეცილების საფუძველი (-)
 - მოტყუება (-)
 - შეცდომა (-)
 - შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში (-)
 - შეცდომა მოტივი (+)
 - მოტივი: შეთანხმების საგანი? (-)

შედეგი: დათოს მოთხოვნა გიორგის მიმართ, სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან და 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე (-)

გამოიყენება მეურნეობის რომელიმე სფეროში, მის ფასზე გავლენას ვერ მოახდენს.

გიორგის შეცდომა უკავშირდებოდა ქათმის ჯიშის გამოყენებადობას მეურნეობის ერთ-ერთ სფეროში, რაც ამ ჯიშის ღირებულებას არ განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, გიორგის მიერ დაშვებული შეცდომა არ უნდა ჩაითვალოს არსებითად.

ბბ. შეცდომა გარიგების მოტივში

ქათმების ყიდვისას გიორგის (ირაკლის დავალებით) ამოძრავებდა კონკრეტული მოტივი, კერძოდ ქათმები საჭირო იყო კვერცხის წარმოებისათვის. რამდენადაც გიორგიმ შეცდომით მიიჩნია, რომ ამ მიზნისათვის ქართული ქათამი უკეთესია, შეცდომაც სწორედ გარიგების მოტივს ეხება. სკ-ის 76-ე მუხლის თანახმად, გარიგების მოტივში დაშვებული შეცდომა არსებითად მხოლოდ მაშინ ითვლება, როცა მოტივი შეთანხმების საგანია. გიორგისა და დავითს შორის გარიგების მოტივსა და მიზანზე შეთანხმება არ ყოფილა. უფრო მეტიც, დათომ საერთოდ არ იცოდა, რა მიზნით ყიდულობდა გიორგი ქათმებს. აქედან გამომდინარე, გიორგის შეცდომა არც სკ-ის 76-ე მუხლის მიხედვით შეიძლება ჩაითვალოს არსებითად.

გ. შუალედური დასკვნა

არ არსებობს შეცილების საფუძველი. შესაბამისად, შეცილება ნამდვილი არაა და ვერ გამოიწვევს გარიგების ბათილობას მისი დადების მომენტიდან, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების შესაბამისად.

III. განხორციელება

ფაბულიდან არ იკვეთება განხორციელების შემაფერხებელი გარემოებები, შესაბამისად, მოთხოვნა განხორციელებადია.

IV. შედეგი

დათოს აქვს გიორგისაგან ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლება, სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

სამახსოვრო:

როცა წარმომადგენლობის ნაკლის დროს მესამე პირი წარმომადგენლისაგან ვალდებულების შესრულებას ითხოვს, სკ-ის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი ალტერნატივიდან გამომდინარე, წარმომადგენლის სამართლებრივი მდგომარეობა უტოლდება ხელშეკრულების მხარის სამართლებრივ მდგომარეობას. შესაბამისად, წარმომადგენელს ყველა ის უფლება აქვს, რაც ხელშეკრულების მხარეს ექნებოდა (მაგ., საპასუხო შესრულების მოთხოვნის უფლება). რადგან ასეთ დროს გარიგება სამართლებრივ შედეგებს, ფაქტობრივად, მისთვის წარმოშობს, მას ამ (მის მიერვე დადებული) გარიგების შეცილების უფლებაც აქვს.

კაზუსი 29. სიურპრიზი ლადოსთვის

(საკუთარ თავთან დადებული გარიგების დაუშვებლობა, სკ-ის 114-ე მუხლის მიხედვით; გამონაკლისი საკუთარ თავთან დადებული გარიგების დაუშვებლობის პრინციპიდან)

ლადოს მშობლებმა გადანყვიტეს, 18 წლის იუბილესთან დაკავშირებით, შვილს განსაკუთრებული საჩუქარი გაუკეთონ და საკუთარი ბინა აჩუქონ. დაბადების დღემდე ერთი კვირით ადრე მშობლებმა ნოტარიუსთან დაწერეს ხელშეკრულება, რომლითაც ლადოს ქალაქ თელავში მდებარე ერთოთახიან ბინას ჩუქნიდნენ. ხელშეკრულებას, რომელსაც მშობლები აწერდნენ ხელს, ერთი მხრივ, თავისი და, მეორე მხრივ, ლადოს სახელით, ნოტარიულად დამოწმდა. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ლადოს საკუთრების უფლება იმავე დღეს საჯარო რეესტრშიც დარეგისტრირდა.

დაბადების დღემდე ორი დღით ადრე ლადოს მასწავლებელმა მშობლებს შეატყობინა, რომ ლადო სკოლას ხშირად აცდენდა, გაკვეთილებს არ სწავლობდა და სკოლაში თავხედურად იქცეოდა. შეშფოთებულმა მშობლებმა გადანყვიტეს, რომ ლადო არ იმსახურებდა ასეთ მნიშვნელოვან საჩუქარს და სასწრაფოდ ნოტარიუსთან წავიდნენ ახალი ხელშეკრულების დასადებად, რომლის მიხედვითაც, ამჯერად ლადო ჩუქნიდა მშობლებს თელავში მდებარე ერთოთახიან ბინას. ამ ხელშეკრულებასაც მშობლები აწერდნენ ხელს, ერთი მხრივ, თავისი და, მეორე მხრივ, ლადოს სახელით. მშობლების საკუთრების უფლებაც იმავე დღესვე დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში.

ლადოს დაბადების დღეზე მშობლებმა წიგნი აჩუქეს, უამბეს ბინის ჩუქების ისტორია და გააფრთხილეს, რომ კარგ საჩუქარს შემდეგ დაბადების დღეზეც ვერ მიიღებდა, თუკი უფრო ბეჯითად არ გააგრძელებდა მეცადინეობას.

ლადო თვლის, რომ მშობლები მას პატარა ბავშვივით ექცევიან, რომ ის უკვე დიდი და დამოუკიდებლად შეუძლია მიიღოს გადანყვიტელობები. ლადოს მიაჩნია, რომ საჩუქარი საჩუქარია და მისი უკან დაბრუნება არ შეიძლება, ამიტომ, მისი აზრით, თელავში მდებარე ბინა მისი საკუთრებაა.

რამდენად დასაბუთებულია ლადოს პოზიცია?

A. ლადოს საკუთრების უფლება თელავში მდებარე ბინაზე

საკითხავია, არის თუ არა ლადო თელავში მდებარე ერთოთახიანი ბინის მესაკუთრე?

I. თავდაპირველი მესაკუთრეები

თავდაპირველი მესაკუთრეები იყვნენ ლადოს მშობლები

II. საკუთრების უფლების გადასვლა ლადოზე

საკითხავია, ხომ არ გადავიდა საკუთრების უფლება ლადოზე? სკ-ის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავ ნივთზე საკუთრების შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამდენად, შესამოწმებელია სკ-ის 183-ე მუხლის წინაპირობები.

1. უძრავი ნივთი

უპირველესად, საჭიროა, საქმე ეხებოდეს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შეძენას. ერთოთახიანი ბინა თელავში, სკ-ის 149-ე მუხლის თანახმად, ითვლება უძრავ ნივთად.

2. გარიგება

გარდა ამისა, საჭიროა, დადებული იყოს გარიგება. ამ შემთხვევაში განსახილველია ჩუქების ხელშეკრულება. ჩუქების ხელშეკრულება ორმხრივი გარიგებაა და იდება ხელშეკრულების მხარეთა ორი ურთიერთმფარავი ნების საფუძველზე. წარმოდგენილი კაზუსიდან გამომდინარე, სახეზეა ლადოს მშობლების ნების თანხვედრა, თუმცა მშობლები ხელშეკრულების მხოლოდ ერთი მხარეა. საკითხავია, გვაქვს თუ არა სახეზე ხელშეკრულების მეორე მხარის – ლადოს აქცეპტი.

ა. აქცეპტი უშუალოდ ლადოს მიერ

უშუალოდ ლადოს აქცეპტი სახეზე არაა.

ბ. წარმომადგენლობა მშობლების მიერ

თუმცა, შესაძლებელია, ლადოს სახელით მისი წარმომადგენლები – მშობლები დებდნენ ხელშეკრულებას. ასეთ შემთხვევაში, სკ-ის 103-ე და შემდგომი მუხლების მიხედვით, ხელშეკრულების მეორე მხარედ ლადო

იქცევა. ამისათვის საჭიროა, წარმომადგენელი დებდეს გარიგებას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს (სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

აა. საკუთარი ნების გამოვლენა

ამისათვის, უპირველესად, საჭიროა, რომ მშობლებს გამოევიდინათ საკუთარი ნება და არ ყოფილიყვნენ მხოლოდ ნების გადამტანნი. ეს საკითხი უნდა შეფასდეს ნების გამოვლენის ადრესატის ობიექტური თვალსაზრისიდან. საკითხავია, ვინ არის ამ შემთხვევაში მშობლების მიერ ლადოს სახელით გამოვლენილი ნების ადრესატი. ხელშეკრულება ნოტარიუსთან დაინერა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ადრესატი ნოტარიუსია. როგორც ყველა ხელშეკრულების შემთხვევაში, აქაც ნების გამოვლენის ადრესატი ხელშეკრულების მეორე მხარეა – ე.ი., ამ შემთხვევაში ლადოს სახელით გამოვლენილი ნების ადრესატები თავად მშობლები არიან, როგორც ხელშეკრულების მეორე მხარე. მშობლებმა იცოდნენ, რომ ხელშეკრულებაში ისინი აფიქსირებდნენ არა ლადოს ნებას, არამედ საკუთარ ნებას. შესაბამისად, სახეზეა მშობლების მიერ საკუთარი ნების გამოვლენა.

ბბ. სხვისი სახელით

გარდა ამისა, აღნიშნული ნების გამოვლენა სხვისი, კერძოდ კი წარმოდგენილი პირის – ლადოს სახელით უნდა მომხდარიყო. მშობლებმა ნება ლადოს სახელით გამოავლინეს.

გგ. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

საკითხავია, ჰქონდათ თუ არა მშობლებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გარიგების დადებისას. სკ-ის 103-ე მუხლის მიხედვით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს, ან წარმოიშობა მინდობილობის (რწმუნებულების) საფუძველზე.

რწმუნებულება ამ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს. განსახილველია უფლებამოსილება კანონის საფუძველზე. სკ-ის 1198-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში. სკ-ის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ლადო ამ გარიგების დადებისას არ იყო სრულწლოვანი, რამდენადაც იგი ჯერ კი-

დევ არ იყო 18 წლის. ამდენად, მშობლებს ჰქონდათ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

დდ. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამორიცხვა, სკ-ის 114-ე მუხლი

საკითხავია, ხომ არაა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გამორიცხული სკ-ის 114-ე მუხლის საფუძველზე? კერძოდ, ხომ არაა სახეზე გარიგება საკუთარ თავთან, რომლის დადების უფლებამოსილებაც წარმომადგენელს არ აქვს? სკ-ის 114-ე მუხლის პირველი ალტერნატივის მიხედვით, წარმომადგენელს არ შეუძლია წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან თავისი სახელით დადოს გარიგება. ამ შემთხვევაში, ლადოს მშობლებმა, ერთი მხრივ, ლადოს სახელით და, მეორე მხრივ, თავისი სახელით დადეს ხელშეკრულება, რაც არის გარიგება საკუთარ თავთან. ამდენად, სკ-ის 114-ე მუხლის წინაპირობები შესრულებულია.

საკუთარ თავთან დადებული გარიგება

სკ-ის 114-ე მუხლის თანახმად, წარმომადგენელს არ აქვს უფლება, საკუთარ თავთან დადოს გარიგება. ამ მუხლის მიზანი ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, წარმოდგენილი პირის ინტერესთა დაცვაა. კერძოდ, როდესაც წარმომადგენელი, ერთი მხრივ, საკუთარი სახელით, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოდგენილი პირის სახელით დებს გარიგებას („თვითკონტრაჰირება“), ფაქტობრივად, გარიგების მთელი შინაარსი მის ნებას წარმოადგენს. ასეთ დროს დიდა შანსი, რომ წარმომადგენელმა სათანადოდ არ დაიცვას წარმოდგენილი პირის ინტერესები და მისთვის საზიანო და თავისთვის სასარგებლო ხელშეკრულება დადოს.⁷⁶

სკ-ის 114-ე მუხლის მეორე ალტერნატივა ითვალისწინებს აგრეთვე შემთხვევას, როდესაც ხელშეკრულების ორივე მხარე ერთი და იმავე მესამე პირის მიერაა წარმოდგენილი („წარმომადგენლობათა სიმრავლე“). ასეთ შემთხვევაში, მართალია, წარმომადგენელი, შესაძლოა, სულაც ნეიტრალური პირი იყოს, თუმცა მას მაინც გაუჭირდება ორივე მხარის ინტერესების თანაბრად დაცვა. ამიტომ დასახელებული მუხლი ასეთი გარიგების დადებასაც დაუმშავებლად მიიჩნევს.⁷⁷ ამგვარი შემთხვევები ხშირად სახეზეა, როდესაც ერთი და იგივე პირი ორი ორგანიზაციის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი

⁷⁶ ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 435.

⁷⁷ ზოიძე, სკ-ისკომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 114, 298-299.

პირია; ასეთი წარმომადგენელი ამ ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულებს დადებისას, მაგალითად, შესაძლებელია, მოქმედებდეს იმ იურიდიული პირის სასიკეთოდ, რომლისგანაც მეტ სარგებელს ელოდება.

სკ-ის 114-ე მუხლი ორ გამონაკლის შემთხვევას ასახელებს, როდესაც საკუთარ თავთან გარიგების დადება დასაშვებია. კერძოდ, მუხლის ფორმულირების თანახმად, თანხმობით შეიძლება სხვა რამ იყოს გათვალისწინებული. სკ-ის 114-ე მუხლში მოხსენიებულ თანხმობაში უნდა ვიგულისხმოთ წინასწარი თანხმობა ან შეთანხმება იმ პირის პირთან, ვისი სახელითაც წარმომადგენელი მოქმედებს. თუმცა, საკუთარ თავთან დადებული გარიგება შესაძლებელია ნამდვილი გახდეს წარმოდგენილი პირის მიერ შემდგომი მოწონების შედეგადაც, სკ-ის 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

მეორე გამონაკლისის სახით სკ-ის 114-ე მუხლი ითვალისწინებს შემთხვევას, „როცა გარიგება უკვე არსებობს რაიმე ვალდებულების შესასრულებლად“. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ბუნდოვანი ფორმულირება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 181-ე პარაგრაფის შესაბამისი სიტყვების ხარვეზიანი თარგმანია და უნდა ვიგულისხმოთ შემთხვევა, როცა „გარიგება მხოლოდ ვალდებულების შესრულებაში ვლინდება“.⁷⁸ ასეთი განმარტება მისაღებია ნორმის მიზნიდან გამომდინარეც და იგულისხმება, რომ საკუთარ თავთან გარიგების დადება წინასწარი თანხმობის გარეშეც დასაშვებია, თუკი ეს გარიგება წარმოდგენილი პირისათვის მხოლოდ სამართლებრივი სარგებლის მომტანია. მაგალითად, ასეთია ჩუქების ხელშეკრულება, რომელიც მხოლოდ ცალმხრივად ავალდებულებს გამჩუქებელს, ხოლო დასაჩუქებულს საპასუხო ვალდებულება არ წარმოეშობა. ასეთ შემთხვევაში, წარმოდგენილი პირის ინტერესების დაცვის აუცილებლობა, რასაც სკ-ის 114-ე მუხლი ემსახურება, აღარ არსებობს.

ეე. გამონაკლისი სკ-ის 114-ე მუხლიდან

საკითხავია, ხომ არ არაა სახეზე გამონაკლისი შემთხვევა სკ-ის 114-ე მუხლიდან? კერძოდ, სკ-ის 114-ე მუხლის თანახმად, საკუთარ თავთან გარიგების დადება შესაძლებელია ორ შემთხვევაში: (1) თუკი არსებობს თანხმობა ასეთი გარიგების დადებაზე და (2) თუკი გარიგება უკვე არსებობს რაიმე ვალდებულების შესასრულებლად.

თანხმობაში უნდა ვიგულისხმოთ წინასწარი შეთანხმება იმ პირთან, რომლის სახელითაც იდება გარიგება. ამ შემთხვევაში ეს პირი ლადოა. მასთან მშობლებს არ ჰქონიათ რაიმე შეთანხმება საკუთარ თავთან გარიგების დადების უფლებამოსილებასთან დაკავშირებით.

⁷⁸ კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, 2009, 413.

რაც შეეხება მეორე გამონაკლისს, აქ იგულისხმება შემთხვევა, როცა დადებული გარიგება მხოლოდ წარმოდგენილი პირის მიმართ ვალდებულების შესრულებით ვლინდება, ე.ი., როცა ეს გარიგება მისთვის მხოლოდ სარგებლის მომტანია.

საკითხავია, არის თუ არა დადებული ჩუქების ხელშეკრულება ასეთი? ჩუქების ხელშეკრულება ცალმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულებაა და ვალდებულება მხოლოდ მჩუქებელს წარმოემოხა. დასაჩუქრებული ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე მხოლოდ სარგებელს იღებს. ამდენად, სკ-ის 114-ე მუხლის გამონაკლისი შემთხვევა სახეზეა.

შესაბამისად, მშობლები მოქმედებდნენ თავიანთი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში.

გ. ხელშეკრულების ფორმა

სკ-ის 183-ე მუხლის მიხედვით, საჭიროა, ხელშეკრულება წერილობითი ფორმით იყოს დადებული. ამ შემთხვევაში კანონის ეს მოთხოვნა შესრულებულია.

დ. რეგისტრაცია საჯარო რეესტრში

სკ-ის 525-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ჩუქების ხელშეკრულება უძრავ ნივთზე მხოლოდ საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციის მომენტიდან ითვლება დადებულად. მშობლებმა ლადოს საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში ხელშეკრულების დადების დღესვე დაარეგისტრირეს.

ე. შუალედური დასკვნა – გარიგება

შესაბამისად, მშობლებსა და ლადოს შორის დაიდო საკუთრების უფლების წარმომშობი გარიგება.

3. უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში

სკ-ის 183-ე მუხლის მეორე წინაპირობა – უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში – შესრულებულია (იხ. ზემოთ, II, 2, დ).

შენიშვნა: სკ-ის 183-ე მუხლის თანახმად, საკუთრების შესაძენად, გარიგებასთან ერთად, საჭიროა ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. თუმცა ჩუქების ხელშეკრულების შემთხვევაში, სკ-ის 525-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, რეესტრში უფლების რეგისტრაცია თავად გარიგების ნამდვილობის წინაპირობაცაა.

შესაბამისად, იგულისხმება, რომ გარიგების ნამდვილობის შემოწმებისას ეს საკითხი უკვე იქნა განხილული და მეორედ ვრცლად განხილვა საჭირო აღარაა. ამავე დროს, არ უნდა დაგვაინტერესებდეს, რომ გარიგების ნამდვილობა სკ-ის 183-ე მუხლის მხოლოდ ერთი წინაპირობაა; მეორე წინაპირობის სრული უგულებელყოფა იმ მოტივით, რომ სხვა წინაპირობის შემოწმებისას ის უკვე განხილულ იქნა, შეცდომად ჩაითვლება. ამიტომ სკ-ის 183-ე მუხლის მეორე წინაპირობის ცალკე პუნქტად გამოყოფა მაინც აუცილებელია, თუმცა საკმარისია ზემოთ მსჯელობაზე მითითება. ზუსტი მითითებისათვის უმჯობესია, თუ იმ პუნქტებსაც მივუთითებთ, სადაც უშუალოდაა ამ საკითხზე მსჯელობა.

4. შუალედური დასკვნა – საკუთრების უფლების გადასვლა ლადოზე

ამდენად, დადებული გარიგებისა და ამ გარიგებით გათვალისწინებული უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შედეგად მშობლებმა დაკარგეს საკუთრების უფლება, ხოლო ლადომ შეიძინა საკუთრების უფლება თელავში მდებარე ბინაზე.

III. საკუთრების უფლების დაკარგვა ლადოს მიერ

საკითხავია, ხომ არ დაკარგა ლადომ საკუთრების უფლება თელავში მდებარე ბინაზე მშობლების მიერ მეორედ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე? ამისათვის, სკ-ის 183-ე მუხლის მიხედვით, საჭიროა, ეს ხელშეკრულება იყოს ნამდვილი და მასში გათვალისწინებული უფლების რეგისტრაცია მოხდეს საჯარო რეესტრში.

1. ჩუქების მეორე ხელშეკრულება

ჩუქების მეორე ხელშეკრულებით ლადო მშობლებს ჩუქნიდა თელავში მდებარე ბინას. ამ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საჭიროა მხარეთა ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა. ამ შემთხვევაში სახეზეა ლადოს მშობლების ნების თანხვედრა, თუმცა მშობლები ხელშეკრულების მხოლოდ ერთი მხარეა. საკითხავია, გვაქვს თუ არა სახეზე ხელშეკრულების მეორე მხარის – ლადოს აქცეპტი.

ა. აქცეპტი უშუალოდ ლადოს მიერ

უშუალოდ ლადოს აქცეპტი სახეზე არაა.

ბ. წარმომადგენლობა მშობლების მიერ

თუმცა ლადოს სახელით შესაძლებელია მისი წარმომადგენლები – მშობლები დებდნენ ხელშეკრულებას. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების მეორე მხარედ ლადო იქცევა. ამისათვის საჭიროა, წარმომადგენელი დებდეს გარიგებას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს (სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

აა. საკუთარი ნების გამოვლენა

უპირველესად, საჭიროა, რომ მშობლებს გამოვევლინათ საკუთარი ნება. ეს საკითხი უნდა შეფასდეს ნების გამოვლენის ადრესატის ობიექტური თვალსაწიერიდან. საკითხავია, ვინ არის ამ შემთხვევაში მშობლების მიერ ლადოს სახელით გამოვლენილი ნების ადრესატი? – ხელშეკრულება ნოტარიუსთან დაინერა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ადრესატი ნოტარიუსია. როგორც ყველა ხელშეკრულების შემთხვევაში, აქაც ნების გამოვლენის ადრესატი ხელშეკრულების მეორე მხარეა – ე.ი. ამ შემთხვევაში ლადოს სახელით გამოვლენილი ნების ადრესატები თავად მშობლები არიან, როგორც ხელშეკრულების მეორე მხარე. მშობლებმა იცოდნენ, რომ ხელშეკრულებაში ისინი აფიქსირებდნენ არა ლადოს ნებას, არამედ საკუთარ ნებას. შესაბამისად, სახეზეა მშობლების მიერ საკუთარი ნების გამოვლენა.

ბბ. სხვისი სახელით

გარდა ამისა, ამ ნების გამოვლენა სხვისი, კერძოდ კი ლადოს, სახელით უნდა გამოვლენილიყო. მშობლებმა ნება ლადოს სახელით გამოავლინეს.

გგ. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

საკითხავია, ჰქონდათ თუ არა მშობლებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გარიგების დადებისას. სკ-ის 1198-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან. ამდენად, მშობლებს ჰქონდათ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

დდ. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამორიცხვა, სკ-ის 114-ე მუხლი

საკითხავია, ხომ არაა სახეზე გარიგება საკუთარ თავთან, რომლის დადების უფლებამოსილებაც წარმომადგენელს არ აქვს. სკ-ის 114-ე მუხლის პირველი ალტერნატივის მიხედვით, წარმომადგენელს არ შეუძლია, წარმოადგე-

ნილი პირის სახელით საკუთარ თავთან თავისი სახელით დადოს გარიგება. ამ შემთხვევაში ლადოს მშობლებმა, ერთი მხრივ, ლადოს სახელით და, მეორე მხრივ, თავისი სახელით დადეს ხელშეკრულება, რაც არის გარიგება საკუთარ თავთან. ამდენად, სკ-ის 114-ე მუხლის წინაპირობები შესრულებულია.

ეე. გამონაკლისი სკ-ის 114-ე მუხლიდან

საკითხავია, ხომ არ არაა სახეზე გამონაკლისი შემთხვევა სკ-ის 114-ე მუხლიდან? კერძოდ, სკ-ის 114-ე მუხლის თანახმად, საკუთარ თავთან გარიგების დადება შესაძლებელია ორ შემთხვევაში: (1) თუკი არსებობს თანხმობა ასეთი გარიგების დადებაზე და (2) თუკი გარიგება უკვე არსებობს რაიმე ვალდებულების შესასრულებლად.

ამ შემთხვევაში, ლადოსა და მშობლებს შორის რაიმე შეთანხმება არ ყოფილა. რაც შეეხება მეორე გამონაკლისს, აქ იგულისხმება შემთხვევა, როცა დადებული გარიგება მხოლოდ წარმოდგენილი პირის მიმართ ვალდებულების შესრულებით ვლინდება, ე.ი. როცა ეს გარიგება მისთვის მხოლოდ სარგებლის მომტანია.

საკითხავია, არის თუ არა დადებული ჩუქების ხელშეკრულება ასეთი? ჩუქების ხელშეკრულება ცალმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულებაა და ვალდებულება მხოლოდ მჩუქებელს წარმოემოხა. დასაჩუქრებული ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე მხოლოდ სარგებელს იღებს. თუმცა ამ შემთხვევაში, დასაჩუქრებული არის არა ლადო, არამედ მისი მშობლები. შესაბამისად, მხოლოდ სარგებელს იღებენ მშობლები, ხოლო ლადოს მხოლოდ ვალდებულება წარმოემოხა. ამდენად, სკ-ის 114-ე მუხლის გამონაკლისი შემთხვევა სახეზე არაა.

შესაბამისად, მშობლები არ მოქმედებდნენ თავიანთი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში.

საკუთარ თავთან დადებული გარიგების სამართლებრივი შედეგი

საკუთარ თავთან გარიგების დადება არ ითვლება გარიგების ბათილობის საფუძველად. სკ-ის 114-ე მუხლი განსაზღვრავს არა დადებული გარიგების ბედს (ბათილობა/ნამდვილობას), არამედ აწესებს წარმომადგენლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებს. შესაბამისად, საკუთარ თავთან გარიგების დადება ითვლება წარმომადგენლის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებულ გარიგებად, რომლის ნამდვილობისა თუ ბათილობის საკითხი უნდა გადაწყდეს ზოგადი ნორმის – სკ-ის 111-ე მუხლის – საფუძველზე. სკ-ის 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი,

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით დადებული გარიგება არის არა ბათილი, არამედ მერყევად ბათილი; ე. ი. მისი ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის მიერ მოწონებაზე.⁷⁹

გ. სამართლებრივი შედეგი – მოქმედება უფლებამოსილების გარეშე

სკ-ის 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, წარმომადგენლის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებული ხელშეკრულება მერყევად ბათილია და მისი ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე. ლადომ უარი განაცხადა დადებული ხელშეკრულების მოწონებაზე. შესაბამისად, მშობლების მიერ დადებული მეორე ჩუქების ხელშეკრულება შეუქცევადად ბათილი გახდა.

2. შუალედური დასკვნა – საკუთრების უფლების დაკარგვა ლადოს მიერ

ამდენად, არაა დაკმაყოფილებული სკ-ის 183-ე მუხლის მოთხოვნა, კერძოდ არ არსებობს ნამდვილი გარიგება, რომლის საფუძველზეც ლადო მშობლებს გადასცემდა საკუთრების უფლებას უძრავ ნივთზე.

A. ლადოს საკუთრების უფლება ბინაზე

I. თავდაპირველი მესაკუთრეები – მშობლები (+)

II. საკუთრების შექმნა ლადოს მიერ, სკ-ის 183 (+)

- ჩუქების ხელშეკრულება (+)
 - აქცეპტი ლადოს მიერ (-)
 - მშობლების წარმომადგენლობა (+)
 - მოქმედება უფლებამოსილების ფარგლებში (+)
 - გარიგება საკუთარ თავთან, სკ-ის 114 (+)
 - გამონაკლისი სკ-ის 114-იდან (+)
- უფლების რეგისტრაცია (+)

III. საკუთრების დაკარგვა ლადოს მიერ, სკ-ის 183 (-)

- ჩუქების ხელშეკრულება (+)
 - აქცეპტი ლადოს მიერ (-)
 - მშობლების წარმომადგენლობა (+)
 - მოქმედება უფლებამოსილების ფარგლებში (-)
 - გარიგება საკუთარ თავთან, სკ-ის 114 (+)
 - გამონაკლისი სკ-ის 114-იდან (-)

შედეგი: ლადოს საკუთრების უფლება (+)

⁷⁹ *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 436; *ზოიძე*, სკ-ისკომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 114, 299; *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, 413.

IV. საბოლოო დასკვნა

ლადო არის თელავში მდებარე ერთოთახიანი ბინის მესაკუთრე.

სამასწავრო!

- სკ-ის 114-ე მუხლი დაუშვებლად მიიჩნევს საკუთარ თავთან დადებული გარიგების ორ ფორმას: (1) როცა წარმომადგენელი, ერთი მხრივ, წარმოდგენილი პირის სახელით, ხოლო, მეორე მხრივ, თავისი სახელით დებს გარიგებას და (2) როცა ხელშეკრულების ორივე მხარე ერთი და იმავე მესამე პირითაა წარმოდგენილი.
- საკუთარ თავთან გარიგების დადება დასაშვებია ორ შემთხვევაში: (1) როცა ამის თაობაზე არსებობს წინასწარი თანხმობა წარმოდგენილი პირის მხრიდან და (2) როცა დადებული გარიგება მხოლოდ ვალდებულების შესრულებით ვლინდება, ე. ი., როცა იგი წარმოდგენილი პირისათვის მხოლოდ სარგებლის მომტანია.
- საკუთარ თავთან დადებული გარიგების სამართლებრივი შედეგი გარიგების მერყევად ბათილობაა.

დავალება 1: რა შეიცვლებოდა, თუკი მშობლების საჩუქარი იქნებოდა არა ბინა, არამედ ავტომობილი?

დავალება 2: მას შემდეგ, რაც ლადომ პრეტენზია გამოთქვა თელავში მდებარე ბინის საკუთრებაზე, მშობლებმა ბინა მიჰყიდეს დათოს, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა ლადოსა და მის მშობლებს შორის დაძაბულ ურთიერთობაზე. არის თუ არა დათო ბინის მესაკუთრე? რა მოთხოვნა შეიძლება ჰქონდეთ კაზუსის მონაწილეებს ერთმანეთის მიმართ?

კახუსი ვი. სხოველების მსველი დალი

(თვითდახმარება; აუცილებელი მოგერიება)

დალი, რომელიც სამონადირეო მეურნეობა „ოჩოპინტრეს“ დაცვის სამსახურის თანამშრომელია, მეურნეობის ტერიტორიაზე სანადირო იარაღით და სამონადირეო ეკიპირებით აღჭურვილ პირს გადაეყრება. დალიმ მას მეურნეობის ტერიტორიაზე ნადირობის ლიცენზიის წარდგენა მოსთხოვა, რაზეც მონადირისგან პასუხად მიიღო, რომ ასეთი ლიცენზია მას არ ჰქონდა. დალის მოთხოვნის მიუხედავად, მან ასევე უარი განაცხადა მეურნეობის ადმინისტრაციის შენობაში წაყოლასა და საკუთარი ვინაობის დასახელებაზე და თავისი გზის გაგრძელებას შეეცადა. დალი, რათა თავიდან აეცილებინა, სავარაუდოდ, ბრაკონიერის მიმალვა, მის დაკავებას შეეცადა. წინააღმდეგობის მიუხედავად, რაც ბრაკონიერს ჩამტვრეულ კბილად დაუჯდა, მან ბრაკონიერს იარაღი წაართვა, ხელბორკილი დაადო და რაციით დაცვის სხვა თანამშრომლებს გადასცა, რომ უცნობი ბრაკონიერი მოჰყავდა და პოლიციისთვის შეეტყობინებინათ. ბრაკონიერი ითხოვს კბილის პროთეზის ხარჯების ანაზღაურებას 500 ლარის ოდენობით.

აქვს თუ არა ბრაკონიერს კბილის პროთეზის ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 500 ლარის ოდენობით?

A. უცნობი ბრაკონიერის მოთხოვნა დალისგან კბილის პროთეზის ხარჯის ანაზღაურების თაობაზე, სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე

I. მოთხოვნის წარმოშობა

ბრაკონიერს შესაძლოა, დალის მიმართ ჰქონდეს 500 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე. ამისთვის საჭიროა, რომ დალის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებით მიეყენებინა ზიანი უცნობი ბრაკონიერის რომელიმე დაცული სამართლებრივი სიკეთისთვის. შესაბამისად, მოთხოვნა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კუმულაციურ წინაპირობებს: ა) უნდა არსებობდეს ზიანი, ბ) ზიანი გამონვეული უნდა იყოს დალის ქმედებით (მიზეზობრივი კავშირი), გ) დალის ქმედება უნდა იყოს ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი), დ) დალის ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო.

შენიშვნა: ვინაიდან წინამდებარე კაზუსების წიგნი ეძღვნება სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილს და ვინაიდან დელიქტის წინაპირობები განხილულია კაზუსში – „ეჭვიანი სალომე“, ამ კაზუსში დეტალურად აღარ შევჩერდებით პირველ სამ წინაპირობაზე და მხოლოდ მართლსაწინააღმდეგობის საკითხს განვიხილავთ, რომელიც რელევანტურია ზოგადი ნაწილისთვის.

1. ზიანის არსებობა

(+)

2. ქმედება და მიზეზობრივი კავშირი

(+)

3. ბრალი

(+)

4. მართლწინააღმდეგობა

სკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, ზიანის მიმყენებელი ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო. მართლსაწინააღმდეგოა ქმედება, რომელიც არღვევს მართლწესრიგს, ისე, რომ არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი რაიმე გარემოება. შესაბამისად, იმისათვის, რომ დალის ქმედება შეფასდეს მართლსაწინააღმდეგოდ, საჭიროა, რომ: ა) ის

არღვევდეს მართლწესრიგს და ბ) არ არსებობდეს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი რაიმე გარემოება.

ა. მართლწესრიგის დარღვევა

ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ეწინააღმდეგება ამკრძალავი ან მავალდებულებელი ნორმის მოთხოვნებს, არღვევს მართლწესრიგს. დალის ქმედება ფასდება სისხლის სამართლის კოდექსით აკრძალულ სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებად (შდრ. სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლი). შესაბამისად, დალის ქმედება მართლწინააღმდეგოა.

ბ. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოება

ქმედება, მიუხედავად მისი ობიექტური მართლწინააღმდეგობისა, შესაძლოა, არ იყოს მიჩნეული მართლწინააღმდეგოდ, თუკი საქმე გვაქვს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებასთან. კერძოდ, თუკი ქმედება ჩადენილია აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობის ან თვითდახმარების ვითარებაში.

აა. აუცილებელი მოგერიება

შესაძლოა, დალის მიერ უცნობი ბრაკონიერის შეპყრობა იყო მისი პირადობის დადგენის მიზნით გაპირობებული აუცილებელი მოგერიება, სკის 116-ე მუხლის მე-2 ნაწილის მნიშვნელობით.

იმისათვის, რომ ქმედება ჩაითვალოს აუცილებელ მოგერიებად, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) უნდა არსებობდეს თავდასხმა მომგერიებელ ან სხვა პირზე, ბ) თავდასხმა უნდა იყოს რეალური, გ) თავდასხმა უნდა იყოს მართლწინააღმდეგო, დ) ქმედება უნდა იყოს აუცილებელი თავდასხმის მოსაგერიებლად.

(1) თავდასხმა

თავდასხმა არის სამართლებრივად დაცული სიკეთის მიმართ პირდაპირი მუქარა, გამოხატული ადამიანის აქტიური ქმედებით. კაზუსის თანახმად, უცნობ ბრაკონიერს რაიმე აქტიური ქმედება არ განუხორციელებია დალის წინააღმდეგ. პირიქით, დალი თავად გადავიდა შეტევაზე და შეიპყრო უცნობი ბრაკონიერი. შესაბამისად, სახეზე არ გვაქვს უცნობი ბრაკონიერის მხრიდან დალის სხეულსა და ჯანმრთელობაზე თავდასხმა.

შუალედური შედეგი: დალი არ მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში.

ბბ. თვითდახმარება

შესაძლოა, დალის მიერ უცნობი ბრაკონიერის შეპყრობა მისი პირადობის დადგენის მიზნით იყოს ნებადართული თვითდახმარება, სკ-ის 118-ე მუხლის მნიშვნელობით.

სამოქალაქოსამართლებრივი მოთხოვნის უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად, სკ-ის 118-ე მუხლით დაშვებულია უფლების მქონე პირის ან მისგან უფლებამოსილი პირის მიერ ნებადართული თვითდახმარების განხორციელება. ნებადართული თვითდახმარება, თავის მხრივ, მართლსაწინააღმდეგოობის გამომრიცხავი გარემოებაა იმ ქმედებებისთვის, რომლებიც თავად 118-ე მუხლშია ჩამოთვლილი.

სკ-ის 118-ე მუხლის თანახმად, იმისთვის, რომ საქმე გვექონდეს ნებადართულ თვითდახმარებასთან, საჭიროა: ა) არსებობდეს სამოქალაქოსამართლებრივი მოთხოვნა, ბ) კომპეტენტური ორგანოების დახმარება დროულად ვერ უსწრებდეს და გ) სწრაფი ჩარევის გარეშე არსებობდეს საფრთხე, რომ უფლება ვერ განხორციელდება, ან მისი განხორციელება არსებითად გართულდება.

(1) მოთხოვნის არსებობა

დალის მიერ უცნობი ბრაკონიერისთვის იარაღის წართმევა მხოლოდ მაშინ იქნებოდა ნებადართული თვითდახმარება, სკ-ის 118-ე მუხლის მნიშვნელობით, თუკი მას ექნებოდა რაიმე მოთხოვნის უფლება ბრაკონიერის მიმართ, რომლის უზრუნველყოფაც შესაძლებელი იქნებოდა მისი დაკავებით. ვინაიდან დალი, ამ შემთხვევაში, მოქმედებდა როგორც სამონადირეო მეურნეობა „ოჩოპინტრეს“ დაცვის სამსახურის წარმომადგენელი, უცნობი ბრაკონიერის მიმართ მოთხოვნის უფლება უნდა იყოს არა პირადად დალის მოთხოვნის უფლება, არამედ სამონადირეო მეურნეობა „ოჩოპინტრეს“ მოთხოვნის უფლება.

შესაძლოა, სამონადირეო მეურნეობას ჰქონოდა უცნობი ბრაკონიერის მიმართ მის ტერიტორიაზე ტახის მოკვლის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე. ამისათვის, უცნობ ბრაკონიერს მისი მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით ზიანი უნდა მიეყენებინა სამონადირეო მეურნეობისთვის.

კაზუსიდან ირკვევა, რომ ბრაკონიერმა მოინადირა ტახი სამონადირეო მეურნეობა „ოჩოპინტრეს“ ტერიტორიაზე. მართალია, ველურ პირობებში მობინადრე გარეულ ცხოველებზე, რომლებსაც მიეკუთვნება სამონადირეო მეურნეობაში მობინადრე ტახი, არ ვრცელდება მეურნეობის საკუთრების უფლება, მაგრამ მას, გენერალური ლიცენზიის საფუძველზე, აქვს ამ ტერიტორიაზე ნადირობისა და ნადირობის ერთჯერადი სასყიდლიანი სახელობითი ლიცენზიების გაცემის ექსკლუზიური უფლება, რაც მოწესრიგებულია ცხოველთა სამყაროს შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტით. მეურნეობის ტერიტორიაზე ულიცენზიო ნადირობა კი, თავის მხრივ, ნადირობის წესების დარღვევაა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86-ე მუხლისა და „ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ“ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №95 ბრძანების მე-5 მუხლის საფუძველზე. შესაბამისად, უცნობი ბრაკონიერის ქმედება მართლსაწინააღმდეგოა და, ამავე დროს, განზრახი.

უცნობმა მონადირემ ტახის მონადირებით შეამცირა სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული ტახების რაოდენობა. ვინაიდან ველურ პირობებში, მათ შორის სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე, მობინადრე გარეულ ცხოველებზე საკუთრების უფლება არ ვრცელდება, საქმე არ გვაქვს ქონებრივ დანაკლისთან, ანუ, ფაქტობრივად, მიყენებულ ზიანთან, სკ-ის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით. თუმცა ერთი ერთეული ტახის მონადირებით სამონადირეო მეურნეობას ერთი ერთეულით შეუმცირდა გასაცემ ნადირობის სპეციალურ ლიცენზიათა რაოდენობა. აქედან გამომდინარე, სამონადირეო მეურნეობის ზიანი ის მიუღებელი შემოსავალი, სკ-ის 411-ე მუხლის მნიშვნელობით, რომელსაც იგი მიიღებდა ლიცენზიის გაცემით.

შესაბამისად, სამონადირეო მეურნეობას უცნობი ბრაკონიერის მიმართ აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, სკ-ის 992-ე მუხლიდან გამომდინარე.

(2) კომპეტენტური ორგანოების დახმარების დროულად მიღების შეუძლებლობა

კომპეტენტურ ორგანოებში, სკ-ის 118-ე მუხლის გაგებით, უნდა ვიგულისხმოთ სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოები. რაც შეეხება

„დროულ დახმარებას“, აქ გადამწყვეტია არა ის, ზოგადად ხელმისაწვდომია თუ არა ეს ორგანოები, არამედ ის საკითხი, შეუძლიათ თუ არა ამ ორგანოებს ამა თუ იმ შემთხვევაში დროულად იმოქმედონ. წარმოდგენილ კაზუსში ნაკლებად სავარაუდოა, რომ პოლიცია შეძლებდა დროულად მისვლას და უცნობი ბრაკონიერის პიროვნების დადგენას, თუკი დალი მას არ შეიპყრობდა.

(3) უფლების ვერგანხორციელების ან განხორციელების არსებითი გართულების საფრთხე

თუკი სახეზეა სამოქალაქოსამართლებრივი მოთხოვნის უფლების განხორციელების საჭიროება და კომპეტენტური ორგანოების დახმარება დროულად ვერ უსწრებს, სკ-ის 118-ე მუხლის თანახმად, თვითდახმარების უფლება შეიძლება მხოლოდ მაშინ განხორციელდეს, როცა სწრაფი ჩარევის გარეშე იარსებებდა იმის საფრთხე, რომ უფლება ვერ განხორციელდება, ან მისი განხორციელება გართულდება. პიროვნების ვინაობა, მისი საცხოვრებელი მისამართი აუცილებელი მინიმალური ინფორმაციაა მოთხოვნის უფლების სასამართლოს გზით განსახორციელებლად. შესაბამისად, თუკი დალი უცნობ ბრაკონიერს მისცემდა გზის შეუფერხებლად გაგრძელების საშუალებას, დიდი იქნებოდა იმის ალბათობა, რომ მისი ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი დაუდგენელი დარჩებოდა, რაც, ფაქტობრივად, გამორიცხავდა, ან, მინიმუმ, არსებითად გაართულებდა მოთხოვნის უფლების განხორციელებას.

საბოლოო შედეგი: უცნობ ბრაკონიერს არ აქვს დალის მიმართ 500 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

ვინაიდან მოთხოვნა არ წარმოიშვა, აღარ ვამოწმებთ მოთხოვნის შეწყვეტის საკითხს.

III. მოთხოვნის განხორციელებადობა

ვინაიდან მოთხოვნა არ წარმოიშვა, აღარ ვამოწმებთ მოთხოვნის განხორციელებადობის საკითხს.

კაზუსი 31. ეჭვიანი სალომე

(აუცილებელი მოგერიება; დელიქტი; ზიანის ანაზღაურება)

ცეკვის დამწყები მასწავლებლები, – 18 წლის სალომე და 17 წლის ქეთი, – რომლებსაც ერთმანეთი დიდი ხანი არ ენახათ, შემთხვევით შეხვდნენ ბათუმის სანაპიროზე და გადანწყიტეს კაფეში წასვლა, რათა ერთმანეთისთვის მოეყოლათ, რას აკეთებდნენ ეს პერიოდი და რა იყო მათ ცხოვრებაში ახალი. საუბარში მათ ისიც გაიხსენეს, როგორ მიატოვა სალომე მისმა მეგობარმა ბიჭმა და ქეთისთან დაიწყო ურთიერთობა. აღმოჩნდა, რომ ეს ისტორია არცთუ ისე დავიწყებული იყო, როგორც ამაზე ერთხელ უკვე შეთანხმდნენ სალომე და ქეთი. ალკოჰოლმაც თავისი ქნა და... სალომე და ქეთი ხმამაღალ ჩხუბზე გადავიდნენ. სალომე უცებ წამოხტა სკამიდან, ქეთის სახეში მუშტი ჩაარტყა და გასასვლელისკენ დაიძრა. თან ქეთის მიაძახა: „გარეთ გამოდი, თავი უნდა გაგიხეთქო“. ქეთის ძალიან შეეშინდა, რადგან იცოდა სალომეს ფეთქებადი ხასიათის შესახებ, იფიქრა, რომ ახალი თავდასხმა გარდაუვალი იყო, წამოხტა, მაგიდაზე მდგომ არყის ბოთლს ხელი დაავლო, სალომეს დაედევნა, თავში ჩაარტყა ბოთლი და გათიშა. საავადმყოფოში გადაყვანილი სალომეს გონზე მოსვლის შემდეგ გაირკვა, რომ მას ტვინის შერყევა ჰქონდა და მკურნალობასთან ერთად ორი კვირა წოლითი რეჟიმი დაენიშნა. სალომე ითხოვს მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას 500 ლარის ოდენობით, ორკვირიანი რეაბილიტაციის პერიოდში წოლითი რეჟიმიდან გამომდინარე, მომვლელის მომსახურებით გამოწვეული ხარჯის ანაზღაურებას 100 ლარის ოდენობით და ორი კვირით შეწყვეტილი გაკვეთილებიდან მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას 400 ლარის ოდენობით. ჯამში 1000 ლარი.

აქვს თუ არა სალომეს ქეთის მიმართ 1000 ლარის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება?

A. სალომეს მოთხოვნა ქეთის მიმართ 1000 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურებაზე, სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე

I. მოთხოვნის წარმოშობა

სალომეს შესაძლოა, ქეთის მიმართ ჰქონდეს 1000 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე. ამისთვის საჭიროა, რომ სალომეს მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებით მიეყენებინა ზიანი ქეთის რომელიმე დაცული სამართლებრივი სიკეთისთვის. შესაბამისად, მოთხოვნა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კუმულაციურ წინაპირობებს: ა) უნდა არსებობდეს ზიანი, ბ) ზიანი გამონვეული უნდა იყოს სალომეს ქმედებით (მიზეზობრივი კავშირი), გ) სალომეს ქმედება უნდა იყოს ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) და დ) სალომეს ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო.

1. ზიანის არსებობა

საკითხავია, მიადგა თუ არა სალომეს ზიანი და თუ მიადგა, რა სახის და რა მოცულობით.

ა. ჰიპოთეზური მდგომარეობა

ქეთის რომ არ ჩაერთვას სალომესთვის თავში ბოთლი, სალომეს არ ექნებოდა ტვინის შერყევა, შესაბამისად, არ წარმოექმნებოდა მკურნალობის ხარჯები, არ მოუწევდა მომვლელის აყვანა და არ დაკარგავდა ორი კვირის შემოსავალს მონაფეებისგან.

ბ. ფაქტობრივი მდგომარეობა

მიყენებული დაზიანების შედეგად სალომეს წარმოექმნა 500 ლარის ოდენობის მკურნალობის ხარჯები, მომვლელის მომსახურების ხარჯები 100 ლარის ოდენობით და ორი კვირის განმავლობაში ვერმიღებული 400 ლარის ოდენობის შემოსავალი.

გ. ასანაზღაურებელი ზიანის მოცულობა, სკ-ის 408-ე–415-ე მუხლები

შესაბამისად, სალომეს ზიანს შეადგენს: 500 ლარის ოდენობის მკურნალობის ხარჯები, მომვლელის მომსახურების საფასური 100 ლარის ოდენობით და მიუღებელი შემოსავალი 1000 ლარის ოდენობით (მუხ. 411), რომლებიც შეგვიძლია დავყოთ შემდეგ სახეებად:

აა. ფაქტობრივად მიყენებული ზიანი (საკომპენსაციო ზიანი), სკ-ის 408-ე მუხ.

ფაქტობრივად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზანია დაზარალებულისთვის იმ ქონებიდან დანაკლისის კომპენსირება, რაც მას ისედაც ეკუთვნოდა. წარმოდგენილ კაზუსში სალომეს საკუთარი ქონებიდან მოუწია 500 ლარის მკურნალობისა და 100 ლარის მომვლელის მომსახურების ხარჯის გაწევა. შესაბამისად, ისინი ქმნიან საკომპენსაციო ზიანს.

ბბ. მიუღებელი შემოსავალი, სკ-ის 408-ე, 411-ე მუხლები

მიუღებელი შემოსავალი არსებობს მაშინ, როდესაც, მართალია, არსებულ ქონებრივ სიკეთეს რამე არ აკლდება, მაგრამ ზიანის მიმყენებელი დაზარალებულს უკარგავს იმის შესაძლებლობას, რომ თავისი ქონება გაზარდოს. წარმოდგენილ კაზუსში სალომემ ვერ მიიღო 1000 ლარის შემოსავალი, იმ მიზეზით, რომ წოლითი რეჟიმის გამო სამუშაოზე გასვლა არ შეეძლო.

დ. ზიანის ანაზღაურების ფორმა

408-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, უპირატესობა ენიჭება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას (ე.წ. ნატურით რესტიტუცია), რაც გულისხმობს დაზარალებული პირის ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებას, როგორშიც ის იქნებოდა, რომ არა მიყენებული ზიანი. ამასთან, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა უნდა მოხდეს ან თავად ზიანის მიმყენებლის მიერ, ან დაზარალებულისთვის პირვანდელი მდგომარეობის აღსადგენად საჭირო ფულადი ანაზღაურების გადახდით.

შესაბამისად, წარმოდგენილი კაზუსის შემთხვევაში ასანაზღაურებელი ზიანი შეადგენს 1000 ლარს.

2. ქმედების მიზეზობრივი კავშირი ზიანის დადგომასთან

ა. ქმედება

სკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებულ „მოქმედებაში“ უნდა ვიგულისხმოთ როგორც მოქმედება, ისე უმოქმედობა, თუკი პირს ჰქონდა მოქმედების სამართლებრივი ვალდებულება და მან არ იმოქმედა (მაგ.: გემიდან გადავარდნილი არასრულწლოვანი შვილის მშობლის მიერ დაუხმარებლობა, მძღოლის მიერ ავტოსაგზაო შემთხვევისას დაზარალებული პირის მიტოვება, ძალადობრივი დანაშაულის თვითმხილველის მიერ

პოლიციისთვის არშეტყობინება – შდრ. სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე–130-ე მუხლები.).

კაზუსის მიხედვით, ქეთიმ სალომეს თავში ბოთლი ჩაარტყა. შესაბამისად, სახეზეა ქეთის აქტიური მოქმედება.

ბ. მიზეზობრივი კავშირი

სალომესთვის მიყენებული ზიანი გამონწვეულია ქეთის მიერ ბოთლის თავში ჩარტყმით. ეს ქმედება ეკვივალენტურად და ადეკვატურად კაუზალურია, რაც იმით გამოიხატება, რომ ბოთლის თავში ჩარტყმის გარეშე სალომეს ზიანი არ წარმოექმნებოდა (ეკვივალენტობა) და, ამასთან, ობიექტური დამკვირვებლის თვალსაწიერიდან განსჯით, ბოთლის თავში ჩარტყმამ, დიდი ალბათობით, შეიძლება გამოიწვიოს სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანება და წარმოშვას ზიანი (ადეკვატურობა).

3. ბრალეულობა

სკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა მიყენებული ყოფილიყო განზრახ ან გაუფრთხილებლობით, ანუ ბრალეული ქმედებით. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, რომ ქეთი იყოს ბრალუნარიანი.

ა. ბრალუნარიანობა

აა) შესაძლოა, ქეთი არ იყოს ბრალუნარიანი, სკ-ის 994-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე. კაზუსის მიხედვით, ქეთი 17 წლისაა. სკ-ის 994-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, 10-იდან 18 წლამდე ასაკის პირი პასუხს არ აგებს სხვისთვის მიყენებული ზიანისათვის, თუკი ზიანის მიყენებისას მას არ შეეძლო, თავისი მოქმედების მნიშვნელობა გაეაზრებინა. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტია, ინდივიდუალური გონებრივი განვითარებიდან გამომდინარე, შესწევდა თუ არა ქეთის უნარი, გაეაზრებინა საკუთარი ქმედების საშიშროება და გაეცნობიერებინა მოსალოდნელი პასუხისმგებლობა. კაზუსიდან არ ჩანს რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს შეგვატანინებდა ქეთის გონებრივ განვითარებაში. შესაბამისად, ქეთი უნდა მივიჩნიოთ ბრალუნარიანად, სკ-ის 994-ე მუხლის გაგებით.

ბბ) შესაძლოა, ქეთი არ იყოს ბრალუნარიანი, სკ-ის 996-ე მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, პირი პასუხს არ აგებს სხვისთვის მიყენებული ზიანისათვის, თუკი ზიანის მიყენებისას ის დროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ისევე, როგორც სკ-ის 58-ე მუხლში, აქაც საუბარია ისეთი სახის ფსიქიკურ მდგომარეობა-

ზე, რომელიც ზღუდავს პირის აზროვნების უნარს და, შესაბამისად, მისი ნების გააზრებულ ფორმირებას. ამასთან, იმავე მუხლის მე-2 წინადადების თანახმად, ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირი მაინც აგებს პასუხს, თუკი მან ამგვარ მდგომარეობაში თავად ჩაიყენა თავი ალკოჰოლის ან სხვა მსგავსი საშუალების გააზრებული გამოყენებით. მართალია, კაზუსის თანახმად, ქეთი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ რთულია, ვიმსჯელოთ, რამდენად შეიძლება საქმე გვექონდეს უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობასთან, ვინაიდან ასეთი მდგომარეობის დადგომისთვის სახეზე უნდა გვექონდეს მძიმე ხარისხის ან პათოლოგიური ალკოჰოლური თრობა, რაც წარმოდგენილი კაზუსით ერთმნიშვნელოვნად არ იკვეთება. თუმცა, ასეთის არსებობის შემთხვევაშიც, სკ-ის 996-ე მუხლის მე-2 წინადადების საფუძველზე, ქეთი არ გათავისუფლებოდა პასუხისმგებლობისგან, ვინაიდან ეს ფსიქიკური მდგომარეობა მან თავად გამოიწვია ალკოჰოლის მიღებით. შესაბამისად, ქეთი უნდა მივიჩნიოთ ბრალუნარიანად, სკ-ის 996-ე მუხლის გაგებით.

ბ. განზრახვა ან გაუფრთხილებლობა

ზიანი მიყენებული უნდა იყოს ქეთის განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით. პირი მოქმედებს განზრახ, როდესაც მას გაცნობიერებული აქვს მისი ქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს ეს შედეგი, ან ეგუება მის დადგომას, ხოლო გაუფრთხილებლად – როცა პირი არ იჩენს სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელ წინდახედულობას, ანუ უგულვებელყოფს გულისხმიერების ობიექტურ სტანდარტს.

კაზუსის თანახმად, ქეთის შეეშინდა, რომ სალომე მას კვლავ დაესხმებოდა თავს და ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად დაედევნა სალომეს და თავში ბოთლი ჩაარტყა.

შესაბამისად, სახეზე გვაქვს ქეთის განზრახი ქმედება, სკ-ის 992-ე მუხლის გაგებით.

გ. შერეული ბრალი, სკ-ის 415-ე მუხლი

სკ-ის 415-ე მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასა და მის მოცულობაზე გავლენას ახდენს ის მომენტი, თუ რამდენად განაპირობა საკუთარი ქმედებით თავად დაზარალებულმა ზიანის წარმოშობა. კაზუსის მიხედვით, სალომემ პირველმა წამოიწყო ჩხუბი. ამას გარდა, კაფედან გასვლისას ანგარიშსწორებით დამუქრებით, მან პროვოცირება

გაუკეთა ქეთის მხრიდან აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ყოფნის აღქმას. შესაბამისად, სალომემ თავისი მოქმედებებით საფუძველი ჩაუყარა მის მიერ ზიანის მიღებას.

ამდენად, სახეზე გვაქვს სალომეს თანაბრალეულობა, სკ-ის 415-ე მუხლის გაგებით, რაც გამოიწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გადანაწილებას მხარეებს შორის ბრალის სიმძიმის პროპორციულად.

4. მართლსაწინააღმდეგობა

სკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, ზიანის მიმყენებელი ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო. მართლსაწინააღმდეგოა ქმედება, რომელიც არღვევს მართლწესრიგს ისე, რომ არ არსებობს მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხავი რაიმე გარემოება. შესაბამისად, იმისათვის, რომ ქეთის ქმედება იყოს მართლსაწინააღმდეგო, საჭიროა: ა) ის არღვევდეს მართლწესრიგს და ბ) არ არსებობდეს მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხავი რაიმე გარემოება.

ა. მართლწესრიგის დარღვევა

ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ამკრძალავი ან მავალდებულებელი ნორმის მოთხოვნებს, არღვევს მართლწესრიგს. ქეთის ქმედება არის სისხლის სამართლის კოდექსით აკრძალული სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება (იხ. სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლი). შესაბამისად, ქეთის ქმედება მართლსაწინააღმდეგოა.

ბ. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოება

ქმედება, მიუხედავად მისი ობიექტური მართლწინააღმდეგობისა, შესაძლოა, არ იყოს მიჩნეული მართლსაწინააღმდეგოდ, თუკი საქმე გვაქვს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებასთან. კერძოდ, თუკი ქმედება ჩადენილია აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში.

შესაძლოა, ქეთი მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში. ამ შემთხვევაში, მისი ქმედება, მიუხედავად იმისა, რომ ის არღვევს მართლწესრიგს, არ იქნებოდა მართლსაწინააღმდეგო, ვინაიდან საქმე გვექნებოდა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებასთან. სკ-ის 116-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იმისათვის რომ ქმედება ჩაითვალოს აუცილებელ მოგერიებად ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) უნდა არსებობდეს თავდასხმა მომგერიებელ ან სხვა პირზე,

ბ) თავდასხმა უნდა იყოს რეალური, გ) თავდასხმა უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და დ) ქმედება უნდა იყოს აუცილებელი თავდასხმის მოსაგერიებლად.

აა. თავდასხმა

თავდასხმა არის სამართლებრივად დაცული სიკეთის მიმართ პირდაპირი მუქარა, გამოხატული ადამიანის აქტიური ქმედებით. კაზუსის თანახმად, სალომემ ქეთის სახეში მუშტი დაარტყა. შესაბამისად, სახეზე გვაქვს სალომეს მხრიდან ქეთის სხეულსა და ჯანმრთელობაზე თავდასხმა.

ბბ. თავდასხმის რეალურობა

რეალურია თავდასხმა, რომელიც დაწყებულია და მიმდინარეობს, ან არსებობს მისი დაწყების მყისიერი, იმნუთიერი საფრთხე. სალომე დარტყმის შემდეგ გასასვლელისკენ გაეშურა, ანუ აშკარა იყო, რომ მან იმ მომენტში თავდასხმის გაგრძელება ან გამეორება აღარ მოინდომა. მისი მუქარის შემცველი ნამოძახილი უნდა განვიხილოთ არა როგორც რეალური თავდასხმა, არამედ როგორც კაფეს გარეთ მომავალი თავდასხმის დაანონსება, რომლის წინააღმდეგაც ქეთის სხვაგვარად შეეძლო თავი დაეცვა (მაგ., გამოეძახა პოლიცია). მხოლოდ პრევენციული ხასიათის მოგერიება, რომელიც სამომავლოდ მოსალოდნელი საფრთხის აცილებას ემსახურება, არ აკმაყოფილებს იმნუთიერების წინაპირობას. აქედან გამომდინარე, სახეზე არ გვაქვს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა.

შესაბამისად, ქეთი შეცდომით თვლიდა, რომ ის აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფებოდა (ე.წ. პუტატიური აუცილებელი მოგერიება). ეს შეცდომა კი, თავის მხრივ, გამონვეული იყო მისი გაუფრთხილებლობით, ვინაიდან მან დაინახა, რომ სალომემ იმ მომენტში თავდასხმა შეწყვიტა და გასასვლელისკენ წავიდა.

5. შუალედური შედეგი

ქეთიმ სალომეს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით მიაყენა 1000 ლარის ოდენობის ზიანი, ისე, რომ არ არსებობს მართლწინააღმდეგობის და ბრალეულობის გამომრიცხავი რაიმე გარემოება.

ამასთან, სალომემ თავისი საწყისი ქმედებებით მნიშვნელოვნად განაპირობა ქეთის ქმედებები, რის გამოც აქვს თანაბრალეულობა წარმოშობილი ზიანის მიმართ.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

კაზუსი არ შეიცავს არანაირ მითითებას ისეთ გარემოებაზე, რაც შესაძლოა, მეტყველებდეს მოთხოვნის შეწყვეტაზე. ამრიგად, მოთხოვნა არ შეწყვეტილა.

III. მოთხოვნის განხორციელება

კაზუსი არ შეიცავს არანაირ მითითებას ისეთ გარემოებაზე, რაც შესაძლოა, მეტყველებდეს მოთხოვნის განხორციელებლობაზე. შესაბამისად, მოთხოვნა განხორციელებადია.

IV. საბოლოო შედეგი

სალომეს ქეთის მიმართ აქვს 1000 ლარის ოდენობის ზიანის ნაწილის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე.

A. სალომეს მოთხოვნა ქეთის მიმართ 1.000 ლარის ზიანის ანაზღაურებაზე, სკ-ის 992

I. ზიანი (+)

- ფაქტობრივი ზიანი (მკურნალობისა და დამლაგებლის ხარჯი)
- მიუღებელი შემოსავალი (განაცდური ანაზღაურება)

II. მიზეზობრივი კავშირი (+)

- თავში ბოთლის ჩარტყმამ გამოიწვია ტვინის შერყევა და ორკვირიანი შრომისუუნარობა

III. ბრალეულობა(+)

- ბრალუნიანი, მიუხედავად ასაკისა
- განზრახი ქმედება

IV. მართლსაწინააღმდეგობა (+)

- პუტატიური თავდაცვა

შედეგი: სალომეს მოთხოვნა ქეთის მიმართ (+)

სამასწავრო!

ზიანი არის ნებისმიერი არანებაყოფლობითი დანაკლისი, რომელსაც პირი განიცდის, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის ქონებრივი, თუ არაქონებრივი (ნებისმიერი უარყოფითი შედეგი დანაკარგებისა და დაზიანების ჩათვლით).

ზიანის მოცულობა არის სხვაობა ფაქტობრივ მდგომარეობას, რომელიც დადგა ზიანის მიმყენებელი ქმედების შედეგად, და ჰიპოთეზურ მდგომარეობას შორის, რომელიც იარსებებდა, ზიანის მიმყენებელი ქმედება რომ არ ყოფილიყო (ე.წ. დიფერენციაციის მეთოდი). ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ასევე ის უპირატესობები, რომლებიც წარმოიშვა ზიანის მიყენებიდან.

ბამოყენებული ლიტერატურა

ბიოლინგი, ჰაინს/**ლუტრინგჰაუსი**, *პეტერ*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლებების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2009.

ციტ.: *ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი*, სკ-ის მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, გვ.

კერესელიძე, *დავით*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009.

ციტ.: *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ.

ჭანტურია, *ლადო* (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2017.

ციტ.: *ავტორი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, *ჭანტურია* (რედ.), 2017, მუხ., ველი.

ჭანტურია, *ლადო* (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge.

ციტ.: *ავტორი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, კომენტარის დამუშავების თარიღი, მუხ., ველი.

ჭანტურია, *ლადო*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011.

ციტ.: *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ.

ჭანტურია, *ლადო* (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001.

ციტ.: *ავტორი*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ., გვ.

ჭანტურია, *ლადო*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000.

ციტ.: *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, გვ.

Bamberger, *Georg/Roth, Herbert* (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch.

ციტ.: *ავტორი*, in Beck OK BGB, Edition (Auflage), §, Rn.

Brox, *Hans/Walker, Wolf-Dietrich*, Allgemeiner Teil des BGB, Vahlen, 38. Auflage, 2014.

ციტ.: *Brox/Walker*, Allgemeiner Teil des BGB, 38. Aufl., Rn.

Eltzschig, *Jan/Wenzel, Jens*, Die Anfängerklausur im BGB, Kernprobleme des Allgemeinen Teils in der Fallbearbeitung, 3. Aufl., 2008.

Palandt, *Otto* (Begr.)/**Bassenge**, *Peter*, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch: mit Nebengesetzen, München, Beck, 75. Aufl., 2016.

ციტ.: *ავტორი*, in Palandt BGB Komm, 75. Aufl., 2016, §, Rn.

Säcker, *Franz Jürgen/Rixecker, Roland/Oetker, Hartmut/Limberg, Bettina* (Hrsg.),

Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, 7. Aufl., 2015.

ციტ.: MüKo/ავტორი, BGB, 7. Aufl., 2015, §, Rn.

Schwab, Dieter/Löhnig, Martin, Einführung in das Zivilrecht: mit BGB-Allgemeiner Teil, Schuldrecht Allgemeiner Teil, Kauf- und Deliktsrecht, Aufl. 19, 2012.

ციტ.: Schwab/Löhnig, Einführung ins Zivilrecht, 19. Aufl., S.

Staudinger, Julius von (Begr.), Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Neubearbeitung 2011.

ციტ.: ავტორი, in Staudinger, BGB – Neubearbeitung 2011, §, Rn.

Sowka, Hans-Harald, Die Frage nach der Schwangerschaft, NZA 1994, 967-971.

ციტ.: Sowka, Die Frage nach der Schwangerschaft, NZA 1994, S.

